

14  
979



ISSN 0132-5999  
ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ԱՆՈՒՍԱԿԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ

# ՆԵՅՈՒՄՆԻ

6

1979



ს. ს. კვარცხელია



# ენათობი



სოციალისტური ლიტერატურულ-მხატვრული  
და საზოგადოებრივ-კულტურული შუქნაწი

წელიწადი 56-ე

№ 6

ივნისი, 1979 წ.

საბარტველოს საბჭოთა მშენებლის კავშირის ორგანო

## შინაარსი

ალექსანდრა კუზკინი — ორი ლექსი, თარგმნა კოლაჟ ნადირაძემ	3
ლავროსი კალანდიაძე — რუსული პოეზიის მზა	5
მთარ ზელიძე — ლექსები	9
დალილა ბაღინიძე — სიუჟეტური ძალაქის ფონზე, ლექსები	14
ჯემალ ჭიტიბა — ტრავალაზის სიმღინი სიმღერა, მოთხრობა	19
იზა ორჯონიძიძე — ლექსები	46
პარღია ბაკრაშვილი — ლექსები	50
ზაქარია შირაზაშვილი — ლექსები	53
ქეთევან ზილაშვილი — ბუღი, ტილი, მოთხრობა	56
პარკოტ კოხარიძე — მწერები, მოთხრობა	61
დიდარ ივარჯია — რტოები არ იმსხვრებიან, ლირიკული პოემა	182
მთარ იოსელიანი — შავი და ცისფერი მღინარი, რტოები, გაგრძელება	81
მურმან ჯგერჯგერა — ლექსები	129
ილია მთლმანაძე მეთათ — ფაუსტი, გაგრძელება, გერმანულიდან	
თარგმნა ვიორჯი ჯორჯანელი	132

### კრიტიკა და გუბლიმისტიკა

ნიკოლოზ ჯაჭვი — ლინეზები იტალი ესთეტიკაში	144
გურამ გვირგვინიძე — „სიუჟეტურული არ არსებობს...“ გაგრძელება	153

### მეცნიერება

პაპი შანიძე — ასტრალური მოვლენები ვიზუალ ტაქსონში	167
ნათელა ჯანაშიანი — კარტული ლექსიკოლოგიური მუშაობის ისტორიისათვის	176
გურამ შარაძე — კლასტონ იოსელიანის ერთი რუსთველიკოლოგიური ცნობის გამო	182



### გვინი იუბილკრები

მორის ფრანკოვილი — ღვთისნიერი და მადლიანი	187
პრიმოლ ნიკოზანი — კოეზი პარისა	188
ნოდარ შამანაძე — ძმად მოთა	190

### ქიზნების მიმოხილვა

ა. შორაძე — ხალხის ერთგული მსახური	191
------------------------------------	-----

### მთავარი რედაქტორი პიორპი ნატროშვილი

#### საკრედიტო კოლეგია:

ზ. პაპიძე, ი. პაპიძე, რ. პაპუაშვილი (მთ. რედ. მოადგილე), ხ. პირუღაძე, თ. პიშინი-  
 იშვილი, კ. კალაძე, მ. ლუბანიძე, ლ. მარაშვილი, ა. მულაქაძე, ა. ქუთათილი,  
 ხ. შანშიაშვილი, დ. შანგილაძე, ნ. წულუხიძე, ვ. წულუკიძე, თ. ჰრეშაძე, ა. ხარაბა-  
 ული, რ. ჯაფარიძე, ბ. ჯიბლაძე

#### ტიპრედაქტორი რ. ჩაბუჩაძე

რედაქციის მისამართი:  
 თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11.  
 პ/მე. მღვანის — 93-55-18, განყოფილებ-  
 ზის — 93-55-16, 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ანაწილად 8/V-79 წ., ხელმოწერი-  
 ლა დასაბეჭდად 18/VI-79 წ., ანაწილის ზომა  
 7 1/4 X 12, ქაღალდის ფორმატი 70 X 108 1/16  
 ფიზეური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირბითი  
 ნაბეჭდი ფურცელი 13, საილრ.-საგამომცემლო  
 თბილისი 16.58.

უკ 08286. ტირაჟი 15.250. შეცვ. 1347  
 საქ. კვ ტყ-ის გამოცემლობის სტამბა,  
 თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ალექსანდრე პუშკინი

## პალწინაგაიის მიერ წარმოთქმული ს ბ ლ ე გ რ ძ ე ლ

როცა ზამთარი გამეხებულა,  
უძლეველ სარდლად ამხედრებული,  
მოუძღვის ჩვენზე, აფოფრილს თეთრად,  
ლაშქრებს ყინვების და ქარბუქისა, —  
ჩვენ ბუსრებს ვანთებთ მათ შესახვედრად  
და ლხინი გვართობს მშური სუფრისა!

დღეს მეფე-ჟამი განრისხებული  
ჩვენ წინააღმდეგ გალაშქრებულა:  
უხვი მოსავლის მსურველი არი...  
და ფანჯრებს დღე-ღამ ჩვენს გასაგონად  
ის უკაკუნებს საფლავის ბარით.  
რა ვქნათ, რა ვცადოთ, რა მოვიგონოთ?!

ისე, ვით ზამთარს შემზარავს, ავსა  
გადაფუკეტით კარები ჭამსაც,  
ავანთით ცეცხლი, ვავსით თასები: —  
გონება საღი ღვინოში ჰქრება!!  
მივეცეთ ლხინს და ქეიფს სავსებით,  
ჟამის შეფობას შევასხათ ქება!

მწველი სიამე არის ბრძოლაში  
და ბნელ უფსკრულის პირზე დგომაში,  
აბობოქრება გვიტაცებს ზღვების,  
წვირთებს რისხვა და შებრძოლება,  
არაბულ ველთა ქარიშხლის ხმები  
და ჟამის სუნთქვის გამოქროლება.

რაც კი დაღუპვით ჩვენ გვემუქრება,  
აღამიანის გულს ეუფლება

პილისონ ლხინი ჟამიანობის დროსა.

ქ. მარტის სხ. სპ. სპ.  
სახელმწიფო მწიფე  
განათლების სამსახურში

უმძაფრეს გრძნობით და ნეტარებით —  
 ძვით უკვდავების საწინდრად თითქოს!  
 და ნეტავ იმას, ვინც მღელღარებით  
 განიცდის ერთხელ ამ წუთის სიტკბოს!!


მაშ, ყველამ, ყველამ ვადიდოთ ჟამი!  
 ჩვენ არ გვაშინებს სიკვდილის წამი,  
 არც დამუჭრება მისი არ გვაკრთობს!  
 ჩვენ მხიარულად ვაჭაფებთ თასებს,  
 და სუნთქვა ტურფა ასულის გვართობს,  
 სუნთქვა, ვინ იცის, ძვით ჟამით სავსე!

### საქართველოს მთებზე

საქართველოს მთებს დაჰფენია ბურუსი ღამის  
 ჩემს წინ არაგვი ხმაურობს დენით.  
 არის ნათელი და მსუბუქი მოწყენის წამი,  
 მოწყენა ჩემი სახეცა შენით.

ო, მხოლოდ შენით! მღელღარება ჩემში რომ ჩადგა,  
 ჭირ-გარამს ოდნავ არ შეუცვლია,  
 და გული ჩემი ისევ იწვის და უფვარს, — რადგან,  
 რომ არ უყვარდეს არ შეუძლია

თარგმანი კოლაუ ნაღირაძემ



## რუსული პოეზიის მზა

პუშკინი უნივერსალური გენიოსია. ჟამთასვლა ყოველივე შემთხვევითს, დროებითს, წარმავალს, ნაჭდევს, ნაია-რევს წაშლის, წარხოცავს და დატოვებს მხოლოდ იმას, რაც მარად ცოცხლობს და მარად უჭკნობია.

ხელოვნების უდიდეს ქმნილებას, უწინარეს ყოვლისა, ჰუმანიტ პოეზიას, გარდა მრავალი სხვა თვისებისა, აქვს ერთი მარად ურყევი თვისება: როგორადაც უნდა შეიცვალოს, ან სულ მოისპოს საგანი თუ საბაზი მისი წარმოშობისა, თვით პოეზია არ კვდება.

რანაირადაც უნდა იცვალოს სახი-ერება საქართველოს ქედებში, რანაირი ზღუდეებითა და ჭებირებითაც უნდა გადაიგუბოს არაგვი, პუშკინის მშვენიერ ლექსს ერთი ძაფიც არ გაუწყდება. პოეზიის მოყვარულნი. მუდამ გაიხსენებენ:

სილამის ბინდი საქართველოს მთებზე დაეშვა;  
ჩემს წინ არავეი მიბორგავს ქვენიით,  
გადაეშალა სული ჩემი ნათელ კაეშანს,  
ეს კაეშანი საესეა შენიით.

შენი, ო, შენიით!... დამუტფლა დაღერემილება  
ისე მსუბუქა, თითქოს რულია,  
და კვლავ ეს ველი სიყვარულით მიტომ

რომ ხეედრი მისი სიყვარულია.  
(თარგმანი კ. ჭიუინაძისა)

გული მიმიწევს გავიხსენო და გავა-ხსენოთ აგრეთვე მარად გაუხუნარი სტროფები:

არა, ლამაზო, ნუ გამავიწყებ  
ქართულ სიმღერას ესოდენ მწარეს:  
ამ ნაღვლიანის ჰანგიოთ მავიწყებ  
სხვა ცხოვრებას და შორეულ მხარეს.  
თითქოს ზმა იფოს ეგ სმარისა,  
ჩემში ცოცხლება უცნაურ ძალით  
ტრამლო, ღამე, შეჭი მთვარისა  
და შორეული საბრალო ქალი...  
საბედისწერო, ძვირფას ჩვენებას  
ვიფიწვებ ზოლმე, როდესაც გნახავ,  
მაგრამ შენ მღერი — და იმ მშვენებას  
კვლავ ჩემს წინაშე ოცნებით ვსახავ.  
არა, ლამაზო, ნუ გამავიწყებ  
ქართულ სიმღერას ესოდენ მწარეს:  
ამ ნაღვლიანის ჰანგიოთ მავიწყებ  
სხვა ცხოვრებას და შორეულ მხარეს.  
(თარგმანი კ. ჭიუინაძისა).

გავიხსენე უკვდავი სტრიქონები მხო-ლოდ ხმისა და ფიქრების ასალესაეად, ასაყოლებლად. ეგვი არ არის, რომ ყველა წიგნიერი კაცი, ყველა წიგნიერი ქართველი მეტნაყოლებად უეჭველად ეძ-ლევა აღტაცებას პუშკინის პოეზიით. მით უფრო საგულისხმოა ნაღვლიანი განცდა პოეტის ტრაგიული ბედისა. არ შეიძლება არ გავიწიაროთ ა. ვ. ლუ-ნაჩარსკის დებულება, რომ „პუშკინის დაღუპვაში იმალება უზარმაზარი სო-ციალური ტრაგედია“.

როგორც ყველა დიდი შემოქმედის, პუშკინი ორ განათებაშია წარმოსაჩენი: ერთის მხრივ საგულისხმოა ის, თუ პიროვნულად რა აზრისა, რა შეხედულებისა, რა წარმოდგენის არის პოეტი თავის დროის სამყაროსა და ყოფიერების ყველა მხარეზე, მეორე მხრივ, შთაბეჭებითაა ის, თუ სამყაროსა და ყოფიერების რაწილი თავისთავად სიღრმეებს და ესთეტიკურ არსს სწვდება პოეტის გენია ობიექტურად, დამოუკიდებლად მისი პირადი მიდრეკილებისა და გემოვნებისა.

უკველად ნათელილვის ბევრი ნიმუში მუდამ გავაოცებს. არ შემძლია არ მოვიტანო მოკლედ ლუნაჩარსკის ერთი ფრიად ღრმა და გონებამახვილური მინაკლევი, სახელდობრ, პუშკინის გასაოცარი გენიალურ პოეტური განკვერტა ცდუნებათა წყვლიადიდან საქმე ეხება პოემა „ბრინჯაოს მხედრის“ თვალაუწყდენელ სიღრმეებს. ლუნაჩარსკი წერს:

„ეს გენიალური პოემა წარმოადგენს ყველაზე უმაღლეს მიღწევას პუშკინისა; „ბრინჯაოს მხედრით“ პუშკინი პასუხობდა მის მიერ დიდად დაფასებულ მიცვეიჩს, ვინც თავისი პოეტური მეხთატეხით გმირავდა „თვითმპყრობელ კერპს“, და თავის თავსაც, ვინაიდან მიცვეიჩის მეხთატეხა იყო, შესაძლოა, ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ხმათაგანი, ექოს რომ აღვივებდა თვით პუშკინის სულის იღუმალ ხვეულებში. მაგრამ პუშკინი ნამდვილად აყენებს ამ საკითხს გენიალურად. იგი, არსებითად, მაღლდება საკითხის პეგელიანურ დაყენებამდე, თუმცა საეჭვოა, რომ მას რაიმე წარმოდგენა ჰქონოდა პეგელიანობაზე“.

პუშკინის მხატვრული ფანტაზია უმაღლესი კაცობრიული აზრის დიდ უღელტეხილზე იყო მიმდგარი... იყო მღვდლარება დიადი სულისა, იყო წაფორთხილებაც ძნელ მოლიპულ გზაზე, მაგრამ წყვლიადთან შერიგება არ ყოფილა არასდროს. მშვენიერების მძერწავი არ შეიძლება კემშარიტების მაძიებელიც არ იყოს. უმაღლეს საფე-

ხურზე სიბრძნე და მშვენიერება ყველად ერთმანეთს ერწყმის და ენიუთება. გენიოსი შემოქმედის აზრისა და გრძნობის გეზი თავისუფლების მწვერვალისაკენ მიიმართება.

იმ ეპოქას, რომელშიც პუშკინი მოღვაწეობდა, ლენინი შემდეგი სიტყვებით ახასიათებს: ბატონყმური რუსეთი გვემული და უძრავია. პროტესტს აცხადებს აზნაურთა უმნიშვნელო უმცირესობა, რომელიც უძღურია ხალხის მხარდაუჭერლობით, მაგრამ საუკეთესო ადამიანებმა აზნაურთაგან ხელი შეუწყეს ხალხის გაღვივებას. ეს საუკეთესო ადამიანები დეკაბრისტები იყვნენ.

პუშკინი არ ყოფილა დეკაბრისტების არც ერთი ფარული საზოგადოების წევრი, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ იგი არსებითად იყო დეკაბრისტების მხატვრული იდეოლოგი, მათი იდეების მქადაგებელი — მათი თავისუფლების მოყვარული სულისკვეთების გამომხატველი.

ეპოქის შემზღუდავი გაელენით გამოწვეულ ზოგიერთ არათანამიმდევრობათა მიუხედავად, პუშკინი მუდამ რჩებოდა ტირანიის შეურაცხველ მტრად და თავისუფლების უდიდეს მომდერლად.

მთავარი, რითაც უკვდავი პუშკინი ორგანულად უკავშირდება ჩვენს დიად ეპოქას, — ეს არის მისი დაუტყრომელი ლტოლვა მშვენიერებისა და თავისუფლებისაკენ, უღმობელი ზიზელი ყოველგვარი ტირანიისადმი, უღრმესი ხალხურობა და მგზნებარე პატრიოტიზმი.

პუშკინის უჭკნობი სიდიადე, პირველ ყოვლისა, სწორედ იმაშია, რომ მისი მრავალფეროვანი შემოქმედება შეადგენს დიდი რუსი ხალხის, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის და მთელი პროგრესული კაცობრიობის ძვირფას სულიერ სიმდიდრეს.

პოეტი დაუნდობლად ესხმოდა თავს ეროვნულობისაგან გაძარცულ ყოველგვარ ანტიპატრიოტულ მიდრეკილებას. პუშკინმა გაწმინდა რუსული ენა ხალ-



ხისთვის გაუგებარი უცხოური გამოთქმებისაგან, ხალხის ბუნებასთან შეუბრალებელი ფორმებისაგან: პუშკინმა, ისე როგორც არაგინ, დაამკვიდრა და დადასტურა რუსული მეტყველების რუსული მხატვრული აზროვნების თვითმყოფადობა. თითქოს ახალი ძალით ეღერს დღეს მისი უღმობელი სატირა უცხოურის წინაშე ყოველგვარი ქედმოხრის წინააღმდეგ. პუშკინს მთელი თავისი პოეტური არსებით ეზიზღებოდა ყოველი „ზღვისგადაღმელი მიომუნა“, ყველა ეს ნელინება — ეროვნულობას მოკლებული პარიზელი რუსები“. მაგრამ არა მარტო ამ კერძო მომენტებით, არამედ პუშკინს მთლიანადაც, როგორც დიდება და მშვენება რუსული მხატვრული აზროვნებისა, როგორც დიდება და მშვენება მთელი კაცობრიობის მხატვრული კულტურისა, ყველაზე ნათელი დადასტურება იმისა, რომ საკაცობრიო კულტურაში ყოველი დიდი და ძვირფასი განძი შედის როგორც უაღრესად ეროვნული მოვლენა. ჯერ კიდევ გოგოლი ამბობდა პუშკინის შესახებ: „ჩვენს პოეტთა შორის მასზე მაღლა არავინ დგას, და არავის შეიძლება მასზე შეტად ეწოდოს ნაციონალური: ეს უფლება გადაჭრით ეკუთვნის მას“. და სწორედ იმიტომ, რომ პუშკინი უაღრესად ნაციონალურია, რომ მასში მთელი სისრულით გამოისახა რუსი ხალხის საუკეთესო ეროვნული თვისებები, — იგი არის „უდიდესი მხატვარი მსოფლიოში“ (გორკი), საკაცობრიო მხატვრული კულტურის ბუმბერაზი.

პუშკინი თავისი პოეტური უკვდავების მთავარ საწინდარს ზედავდა იმაში, რომ მან თავის მკაცრ საუკუნეში აღიდა თავისუფლება. მწვავე იყო ტყვეობები იმის შეგნებისა, რომ ეს თავისუფლება არ ეკუთვნოდა მის მკაცრ საუკუნეს, მაგრამ მზიური იყო რწმენა იმისა, რომ თავისუფლება აღიპართეობდა თვითმპყრობელობის ნანგრევებზე, მწვავე იყო იმის შეგნება, რომ თვით მისი ამაღლებული პოეტური სამყარო, მისი მკაცრი პოეტია, მისი

ლექსების მომხიბვლელი სინჯისაგან მკაცრი საუკუნის ტყვეობაში იყო, მაგრამ ნათელი იყო რწმენა იმისა, რომ ეს უმშვენიერესი პოეტური სამყარო მომავალში იქცეოდა მშობელი ხალხის კუთვნილებად.

პუშკინის, როგორც დიდი რუსი ლიტერატურის ფუძემდებლის უდიდესი გარდამქმნელი როლი, უწინარეს ყოვლისა, ლიტერატურისა და ლიტერატურული ენის გახალხურობაში მდგომარეობდა. პუშკინის შემოქმედებაში ანკარა შადრევანივით აჩქევდა ცოცხალი რუსული მეტყველება, ხალხის წარმტაცი და ხატოვანი ენა.

პუშკინის მთელ შემოქმედებას უაღრესად ხალხური წყაროები ასაზრდოებენ. პოეტის მშვენიერი ზღაპრები, მთელი მისი პოეტური სამკაულები გენიალურ პოეტურ ლაბორატორიაში გადაღლებული და გარდაქმნილი ხალხური მასალაა, მისი უკვდავი მხატვრული სახეები ხალხის ცხოვრების უღრმესი პროცესების პოეტური განზოგადება და გამოსხივებაა.

თითქმის ყველა თავის ძირადატ მნიშვნელობაში პუშკინი სხვადასხვა კუთხით, სხვადასხვა განათების ძალით აშუქებს და უტრიალებს ხალხთან დამოკიდებულების საკითხს. ეს საკითხი არის დასმული პოემა „ბოშებში“, ბრწყინვალე ისტორიულ დრამაში „ბორის გოდუნოვიში“, ეს პრობლემა დგას რუსული ცხოვრების ენციკლოპედიაში, როგორც ბელინსკიმ უწოდა მას, — „ვეგენი ონეგინში“. პუშკინი გრძნობს, რომ ხალხი არის უდიდესი ძალა, ხალხისგან გათიშვა, ხალხისგან მოწყვეტა არის უძლურების სათავე, ადამიანის ზედმეტობის წყარო, უნაყოფო ფანტაზიორობის საფუძველი.

ხალხის ცხოვრებასთან უღრმეს მიახლოებას მოწმობენ პუშკინის შესანიშნავი ნაწარმოებები, — „ბელკინის მოთხრობები“, „დუბროვსკი“, „სოფელ გორიუხინის ისტორია“, „კაპიტანის ქალიშვილი“ და სხვ.

პუშკინი თავის დროისათვის უდიდესი სიღრმით აყენებს ეპოქის საკიბობოროტო საკითხებს, განსაკუთრებით გლეხთა მოძრაობის საკითხებს. დამახასიათებელია, რომ პუშკინს, ვისაც მთელი პუშკინის დროინდელი მაღალი წრე მხეცად და ბოროტმოქმედად თვლიდა, პუშკინი ხატავს აჯანყებული გლეხობის მამაც, ნიჭიერ და ძლიერ წინამძღოლად. პუშკინი სათუთად ეპურობა ხალხის დაბალი ფენების წარმომადგენლებს, რომელთაც პუშკინამდე სრულიად დახშული ჰქონდათ მხატვრული ლიტერატურის კარები. უბრალო ხალხის გამოხატვა უცხო იყო პუშკინის წინადროინდელი ლიტერატურისათვის. პუშკინმა კი გაბედულად ასახა უბრალო ხალხის მაღალი ადამიანური თვისებები — მამაცობა, მხნეობა, უღმობლობა თავისი მწაგვრელების მიმართ და ღრმა ჰუმანიზმი ყოველივე ცოცხალი არსების მიმართ.

პუშკინის შემოქმედების ხალხურ ფესვებთან არის დაკავშირებული მისი ცხოველმყოფელი რეალიზმიც, რაც სამართლიანად ითვლება პუშკინის დროინდელი მსოფლიო ლიტერატურის მოწინავე რეალიზმად; პუშკინის მთელი მხატვრული სამყარო არის უღრმესი იდეური შინაარსისა და სრულყოფილი მხატვრული ფორმის ორგანული ერთიანობა.

პუშკინის ლექსის სილამაზეც ხომ თვით სიცოცხლის სილამაზეა, მისი ფორმების სიუბზე — თვით სინამდვილის ფორმათა სიუბზეა, მისი ფერადები — თვით სიცოცხლისა და ბუნების ფერადებია, პუშკინის ლექსების მუსიკალური ელერა — თვით სიცოცხლის, გრძნობისა და განწყობილების ელერაა, აი თუნდაც, პოლტავის ბრძოლის სურათი. მცირედაც გახშიანებული რიტმი ამ ლექსისა ბრძოლის ხმაურის სრულ ილუზიას ჰქმნის. აი, ტატიანას წერილი ონეგინისადმი. თვით ლექსის რიტმიული მოძრაობა, მისი შინაგანი რხევა თითქოს ძვერაა ქალწულის გუ-

ლისა, რომელსაც პირველად შექმნა მხეცად სიყვარულის ცეცხლი.

პუშკინის ლექსებიდან ისმის რუსეთის დიდი ბუნების სიმთა ელერა, ისმის სუნთქვა რუსეთის ველებისა, ისმის რუსული ზამთრის ჩქამი, ქარიშხლის ზუზუნი, დაბურულ ტყეთა იდუმალი შრიალი, ისმის საქართველოს მთების გუგუნე, არაგვის ხმაური, კავკასიონის ფერთა აელერება, ყირიმის შადრევნების ჩუხჩუხი და ყოველივე ეს არის მშვენიერი გაბმული სიმღერა სიცოცხლისა და სიკაბუქისა. და მართლაც „დიდი რუსი სახალხო პოეტი, შემქმნელი სილამაზითა და ჭკუით მომხიბვლელი ზღაპრებისა, ავტორი პირველი რეალისტური რომანის „ევგენი ონეგინის“, ავტორი ჩვენი საუკეთესო ისტორიული დრამის „ბორის გოდუნოვის“, პოეტი, ვისაც აქამდე არავეინა ჰყავს ბადალი არც ლექსის სილამაზისა და არც გრძნობებისა და აზრების გამოთქმის ძალაში, პოეტი — დიდი რუსული ლიტერატურის ფუძემდებელი“ (გორკი) — პუშკინი არის სიცოცხლისა და სიკაბუქის მომღერალი. მისი მშვენიერი სიმღერები გასხივოსნებულა საშობლო ქვეყნის უწმინდესი სიყვარულით, მაღალი პატრიოტული გრძნობით, რაც განსაკუთრებული სიძლიერით ჩქეფს პოეტის ცნობილ პოემებში — „ბრინჯაოს მხედარსა“ და „პოლტავაში“.

ბესარიონ ბელინსკი ამბობდა: „პუშკინი ეკუთვნის იმ შემოქმედი გენიოსების რიცხვს, რომლებიც, მუშაობენ რა აწმყოსთვის, აშადებენ მომავალს და სწორედ ამის გამო მათ უკვე აღარ შეუძლიათ ეკუთვნოდნენ მხოლოდ მართო წარსულს“.

პუშკინის შემეკვიდრეობა მსოფლიო კულტურის დიდ საგანძურში შედის. იგი არა მართო ისტორიის, არამედ უფრო მეტად დღევანდლობისა და კიდევ უფრო მეტად მომავლის ძვირფასი მხატვრული საუნჯეა.

პუშკინი — რუსული პოეზიის მართო ჩაუქრობელი მზეა.

### ბავშვი და სხეუმი

სეტყვა შეთვალეულ ისრიშს  
წერილი საფანტივით ისერის,  
ელვის მოჭნეული შუბით  
ფატრავს შუალამის შავ ტანს,  
დამაბრმავებელი შუქი  
ვაზის ფესვებამდე ატანს.

ზარი დაგრუხუნებს გლოვის —  
იაგარმყოფელი ყოვლის  
სარჩო-საბადებელს მებავს,  
ქვეყნად არიალებს ურვას,  
შუსრავს მსხმოიარე გენახს,  
მიწის საწნახელში წურავს.

აწრიალებული გლეხი,  
როგორც დათოფილი ვეფხვი —  
განსახიერება რისხვის —  
ბორკავს, ეწხუბება ელვას,  
უფლის გასაგონად ისმის  
მისი დედაკაცის წყევლაც.

ამ დროს გამოტყვერება ზვარში  
მათი თითისხელა ბავშვი, —  
პერანგს გაიღელავს რიხით,

იჭერს ჩამოქცეულ სეტყვას  
და ცხელ საგულეში იყრის,  
სადაც გაზაფხული ფეთქავს.

ზარავს, აჭრიალებს ტანში,  
მაგრამ გაფანდარა ბავშვი  
ცაში გაყურებულ ღრუბლებს  
ისე აქებრდება ერთხანს,  
თითქოს გასრულდაო უკვე  
მისი საუბარი ღმერთთან...

იდგა შუბლმალაღი, დინჯი  
ყინვით უბეგავსე ბიჭი  
დიდი მოლოდინით სდუმდა,  
ალარ აკურებდა ზეცას,  
ჩუმად ინახავდა გულთან  
ხვალის მობდღვრიალე მზეცაც.

იდგა ვალმოხდილი ბაღლი  
და ღრმა მოხუცივით დალილს  
ფეხქვეშ ემღვრეოდა გუბე,  
შუბლზე შარაგანდი ვრტყა;  
მისმა უწმინდესმა უბემ  
წვიმად მოაქცია სეტყვა.

...

არა ზემალაღმა წნევამ,  
არა სიგარეტის წვეამ,  
არა ალკოჰოლმა მწველმა,  
არა დახარჯულმა წლებმა,  
არა არსებობამ ძნელმა,  
არა დაკარგულმა რწმენამ,  
არა აღსარებამ წრფელმა,

არა განშორების ცრემლმა,  
არა მეგობარმა ძველმა,  
არა მოშურნალთა წყევლამ...  
იგი შეიწირა მხოლოდ  
ბედის გარდუვალმა წერამ,  
როცა უღალატა ბოლოს  
კალმის პაწაწინა წვერმა.

## ზღვის შოკული ყვავილება

ზღვის და დედამიწის ორთაბრძოლა  
წყდება, განთიადზე ყაიმდება  
და შორს — კორიზონტზე ამოდიან  
თეთრი თბომავლები ყვავილებად.

## ქრწანისის ორს შედეგ...

ერწანისის ომი როცა დამთავრდა,  
არ ატეხილა ერგვინვა დაფდაფთა...  
— სიკვდილის ველზე თანასწორები  
ცხელი თავები — ტანს მოწყვეტილი  
ევარა, როგორც „ქართლის ცხოვრების“  
ბოლო ფურცელზე მრავალწერტილი...

## ახალი ჩიხით...

რალაც შეუძლებელს ვებდავ:  
მინდა აბლებურად მოვყვე,  
როგორ აჯახირა ბედმა  
ვეფხისტყაოსანი მოყმე,  
ღმერთკაც ამირანზე ვიტყვი,  
როგორ გამიჩინა ცეცხლი;

ჯერარგაგონილი რიტმით  
სიტყვას წონადობას შევცვლი.  
რალაც შეუძლებელს ვებდავ,  
მაგრამ შეიცვლება რამე?  
ისევ დაღამდება დღე და  
ისევ გათენდება ღამე.

## ახალ გეოქიხში...

ზღვაში თბომავლები მიმოდიან  
გრძელი სიგარების აფუვლებით,  
ბოლოს იძინებენ იოდთან  
წყალში სანახევროდ ჩაფლულები.  
და ჩვენც — მიმავალი ბიძიები  
ესერავთ ბილიყებით ამასოფელს,

მღერიე ვამთავლაში ვიძირებით,  
მაგრამ სანახევროდ — არასოდეს.  
წავალთ დაყურსულნი, დაქსაქსულნი  
ტვინის უხასრულო ნაოჭებით  
და არ გვეღირსება დასასრული —  
ახალ მებოძირში აღმოვჩნდებით.

## ზამთრისაიჩის წიგნი

მიღის შემოდგომა, მცევა  
და ეს უსიამო წვიმა  
ჩუმაღ მიგუბდება სულში,

რომ არ დაგეგვანო ცხედარს,  
მტკივან თვალებიდან შუშის  
წვრილი ნამსხვრევები მწვეთავს.

მიდის შემოდგომა, მცოვა  
 მოდის უსიამო წვიმა  
 და ჩემს არსებაში ისვრის  
 სიზმრად გაელვებულ წინწყლებს,  
 წამით გაყინული სისხლი  
 მდორე მიმოტყვევას იწყებს.

მიდის შემოდგომა, მცოვა,  
 მოდის უსიამო წვიმა.  
 მიწის სიახლოვის განცდა  
 ისე მეუფლება, თითქოს  
 ჩემი წუთისოფლის ნაცვლად  
 სხვაგან მოველოდე სითბოს.

მიდის შემოდგომა, მცოვა,  
 მოდის უსიამო წვიმა.  
 — ნუ ხარ სიმძიმით ხაგზე!  
 ყურში ჩამჩურჩულებს ვიღაც  
 უღვთოდ მილურსმული ჯვარზე  
 ოცი ხაუკუნის მიღმა.

რადაც იღუმალი ხილვით  
 მიწის წიაღიდან შესმის  
 თბილი, აზრიანი, ფრთხილი  
 სუნთქვა მოფუტყუსე ფესვის.  
 მიდის შემოდგომა, მცოვა,  
 მოდის უსიამო წვიმა.

როცა ჩაფიქრდები, მეჩვენება,  
 თითქოს უკველად მემეველება.  
 თუმცა აბალახდა ბილიკები,  
 რითაც უსეირში მიევიკვდები,  
 თუმცა ნახევარი ასწლეული  
 ღროის უკანა გაქვეული,  
 თუმცა ძნელბედობას წარუშლია  
 რაც ჩემს უღალატო წარსულშია;  
 მაინც რანაირად მეჩვენება,

თითქოს უსათუოდ მემეველება!..  
 მაინც არასოდეს ჯანდაცლილი  
 არ ვარ მომავალი გარდაცვლილი,  
 მაინც სიბრალულით ნაცრემლები  
 ჩემ თავს არასოდეს ვაცქრდები,  
 როგორც ახლობლები უკურნებელ  
 სენით დავრდომილებს უყურებენ.  
 და როს ჩაფიქრდები, მეჩვენება,  
 თითქოს უკველად მემეველება.

## კ ი მ ე ა რ ლ ბ ა

კერკად აიშანშლა აღუბალი,  
 შამშმა ღვინობისთვე გვიგალობა,  
 როგორც აუშლელი ნასუფრალი  
 რთველმა გვიფეშქაშა კიშპალობა.  
 და ჰა, გაკრეფილი ვენახიდან  
 შორი სიზმარივით მესახიან:  
 — წამო, შემოდგომამ გვიწყალობა,  
 თავის შესაქცევი კიშპალობა!..  
 ჩემი წვრილკისურა, სასაცილო  
 სიყრმის მეგობარი გავაწმილო?..  
 მიხმობს ატატებულ შვილიშვილით,  
 სახე მისჭკნობია ქიშპაშვიით.  
 მისი, მისპიერი, ღვთისმადლია,  
 რაც მის ქვეყანაზე სიმართლეა,  
 რაც მას უგლოვია, უსვენია —

მისი ნაშეირის ნუგეშია,  
 რაც ვაზს შერჩენილი კუფხალია —  
 ჩემდა გასახარად უხარია.  
 მისმა ბრწყინვალემამ მიწყალობა  
 თავის შესაქცევი კიშპალობა.  
 და ამ საყვარელი ნამცეცობით  
 ყრმობის ორღობეზე გადასულნი  
 ერთურთს ხელმოორედ გავეცნობით  
 ბერიკაცობამდე ხანდაზმულნი.  
 ჩაქრა სიახლოვე გარდუვალის,  
 სისხლმა ჟრუანტელით მიგალობა  
 და ჯერ აუშლელი ნასუფრალით  
 რთველმა შაფეშქაშა კიშპალობა.  
 მტვენის აღმოჩენა მახარებდა,  
 როგორც გაულვება ზადახშების,

საქმის" მეგობარი ხარხარებდა —  
 მოწმე — ქალაქელის გაბავშვების.  
 ზეარში სასაცილოდ აგდებულნი  
 ყრმობის სათავეში გადავეშვი.

კურძნის მარცვლებივით დაბნეული  
 დიდხანს ვგორობდი ბალახებში,  
 როცა საწყლსავით მიწყალობა  
 ბედმა ხამოწყალო კიშპალობა.

## პანდარის ბიხის ღიშობა

ბალადა

ტყვეობას გამოქვეული  
 ჭეღელის თვალწინ ჩანს დაბა —  
 ქართველთა ჭირად ქვეული —  
 სპარსეთის ციხე წყველი,  
 გალაუნიათი ჯანდაბა.

იქ ცხრა დღეს ღია თვალეებით  
 ყმა იგი ვეღო, ვით ლეში,  
 ნაბეგვი იატაგნებით,  
 მორიელ-ღრიანკალებით  
 აფუთფუთებულ დილეგში...

და ახლა ძალმოცემული  
 დედას აგინებს შაქ-აბასს,  
 რომელმაც კახნი რჩეულნი,  
 თავისუფლებას ჩვეულნი  
 ჯოგად წაასხა ჯანდაბას.

ბვერი ყავს ხრიოკ-ღრანტეებს  
 ჯარბი და მხეცი ტანჭრელი —  
 ტყვედყოფილს თვალს რომ ადევნებს,  
 მოყმეს მუქარით აბერებს  
 სიკვდილმისჯილის სასჯელი.

უარადო, უდანო  
 მიდის ჭაბუკი და ფიქრობს:  
 უკიდვანო უდაბნოს  
 სხვა არაფერი უნდაო.  
 ოლონდ ნათელი ჩამიქროს.

მშრალ ხრამებს როცა გამოსცდა,  
 ვედარ ქვრეტს ჭვას და ხაჭაულს,  
 შედგა ჯველი, გაოცდა:

— მწვანე წალკოტი გამოჩნდა,  
 ღმერთო მოგეჭწარ სასწაულს!..

მაგი, ვით დედის თავშალი,  
 წყურვილოთ ხახაგამშრალი  
 ჯერ არ ელოდა ამ ამბავს,  
 და თაზისში მამურალი  
 აღარ იხსენებს ჯანდაბას.

ციხიდან გამოქვეული  
 აღარ ვიდოდა ყარიბად,  
 ნანახით გაოცებული,  
 ალაღანებულ ყვაილოთა  
 ალყაში გამოწყვედული.

ჩუმად შრიალებს წალკოტი:  
 წამოდი, გაღზენ წყაროთი,  
 დაეხსენ ციურ ყვაილებს  
 ჭაბუკი გულში გაივლებს:  
 „გადავრჩი ღვთისა წყალობით...“

მაგრამ ეგების, გამჩენო,  
 ალაზნის ველიც მაჩვენო,  
 რაც სამოთხეზე კარგია,  
 რაც სპარსმა დამაკარგვანა,  
 ისაა სამარადჩემო.

დარწყულდა მოყმე მწყურვალი  
 და არე გამოუვალი  
 უცებ შეიკრა რკალივით:  
 ლერწმებში ეღვისუმაღვე  
 გამერთალი წვეილი ყვაილით.

წედან მზეაყვავებული,  
 ახლა — დღედაღამებული  
 ნაბიჯსაც ვეღარ გადადგამს,  
 სიცოცხლეს დახარბებული  
 ინატრებს ისევ ჟანდაბას.

როგორც სპარსული კაშიში  
 მგზავრს ნუსხავს მზერა საშიში;  
 შინ მისვლა ვეღარ ეღირსა,

რაწამსაც იმ ორ ყვავილში  
 იცნო თვალუბი ვეფხვისა.

და ეს ბალადა ნამდვილი —  
 სვედრისგან კაცის დაჯაბუნის  
 გულს მგლეჯდა როგორც ნადირი...  
 და შორს სიკვდილის ნადიმით  
 ციხე ღრეობდა ჟანდაბის,



დაწვილა ბაღიანიძე

### სიყვარული ქაღალდს უწონავ

ეს მე კი არა, ღმერთს უყვარხარ ჩემში გადმოსულს,  
ქალებს ასეთი სიყვარული არ შეუძლიათ.  
გავიღვიძებ — მიყვარხარ!  
დავიძინებ — მიყვარხარ!  
კარგად ხარ — მიყვარხარ  
და ავად თუ ხარ, უფრო მიყვარხარ!  
როცა გინებას მუშტივით ურტყამ იმათ,  
ვისაც სიყვარული შემოეხარჯა,  
ვინც ხშირ-ხშირად იმეორებს „მიყვარხარო“,  
რომ სიტყვა მაინც არ დაავიწყდეს,  
მიყვარხარ, რადგან შენი გინება მაშინ ლოცვაა  
აღამიანთა გადასარჩენად!  
არ გაგაჩუმებ, არ მეწყინება!  
მე სიყვარულზე უფრო მეტი სიყვარული მიბოძა ღმერთმა,  
რომ კაცზე უფრო ათასჯერ კაცად მომიჩვენებოდი,  
ტკივილზე უფრო ათასჯერ ტკივილს,  
ცრემლებზე უფრო ათასჯერ ცრემლებს —  
გულში გული რომ გადაერჩინა;  
ღამეზე უფრო ათასჯერ ღამე,  
ხიზმარზე უფრო მეტი ხიზმარი  
და ცხადში — ცხადი რომ დამენახა  
თვალებზე უფრო მეტი თვალებით.  
შენს აღმოჩენამდე ჩემი დღეები აფეთქებით დაბოცილი  
თევზებივით

გულადმა ვყარა საკუთარი გულგრილობის შლამზე,  
იქ, სადაც ახლა მდინარეა, სადაც კალმახობს ჩემი სიცილი.  
არული, კუდიანებო, არული! არული!  
არ გათვალთ ჩემი სიყვარული!  
ქალაქზე უფრო ათასჯერ ქალაქს  
ჭირდება ჩემი ერთი ფანჯარაც,  
ჭირდება ჩემი სიყვარულიც მილიონივით.

განათებული ფანჯარა ვარ ჩემი ქალაქის  
 და თუ ჩავეჭრები, მილიონი აღარ დარჩება...  
 მაგრამ მე ქალაქს არ ვუღალატებ,  
 შუალამისას შინ მომავალს არ ჩაგიჭრები,  
 რადგან ერთ კაცს თუ უღალატებ,  
 გინდაც ყველასთვის გიღალატია.  
 თუ გიყვარს ერთი ადამიანი, მამ ყველა გიყვარს  
 და სიძულვილი თუ წაგართმევს იმას, ვინც გიყვარს,  
 დაგარტულია მაშინ შენთვის მთელი ქვეყანა.  
 მე გზედავ პირველ სექტემბერს  
 მეცხრეკლასელი ბიჭების დაპატარავებულ მერხზე  
 და დავიწროებულ ტანსაცმელში,  
 დედების გამოხედვაში, როდესაც რძეს დარაჯობენ,  
 ადუღებისას არ გადმოვიდესო,  
 მოხუცების დაჩეხილ ღიმილში,  
 ხარაჩოებშემოვლებულ დღეებში,  
 მოჩხუბრებს შორის ჩავარდნილ გამშველებელში,  
 სტუდენტების გამოცდებჩასაბარებულ სახეებზე,  
 მერცხლის ბუდეებში,  
 გადაგვალულ შინდორზე ამოხეთქილ შადრევნებში,  
 ქვის ქვეშ ამოსულ ყვავილებში —  
 მე გზედავ და სიცოცხლეს ვეცნობი.  
 ვაშლი გაეფცქენი — მენატრები!  
 წიგნი გადავშალე — მენატრები!  
 ვლაპარაკობ ენათმეცნიერებაზე,  
 ჩოგბურთზე,  
 მეზობლის ახალ კაბაზე,  
 ყველაფერზე, თღონდ შენზე არ ვილაპარაკო,  
 და მენატრები!  
 ქალაქი მხოლოდ ფონია შენი მონატრებისთვის.  
 როცა გიყურებ — მენატრები!  
 თვალს მოვასვორებ — მენატრები!  
 შენსკუნ მოვდივარ — მენატრები!  
 შენგან მივდივარ — მენატრები!  
 მონატრებაზე უფრო მეტმა მონატრებამ სამუდამოდ შენად  
 მაქცია.

როცა გეხვევი, საკუთარ თავს ვპოულობ შენში.  
 ჩემი სუსტი სხეული ნუ დაგენანება,  
 უფრო მაგრად მომეხვიე, რომ უფრო ვიგრძნო, რა ძლიერი ვარ!  
 რომ ჩემს გარშემო არ არის თმი,  
 ეს მშვიდობას სულაც არ ნიშნავს.  
 ჩემი მშვიდობა მშვიდი ვერასდროს ვერ იქნება,  
 რადგან იქ, სადაც ერთ კაცს კლავენ,  
 მეც მკლავენ, შენც გკლავენ  
 და ადამიანთა დაჭრილი სიყვარული  
 ნელ-ნელა ხისბლისაგან იცლება,  
 ნელ-ნელა კვდება.  
 როცა ამბობენ, რომ დედამიწა ასაფეთქებლად გამზადებული

ატომური ბომბია,  
 მე დედამიწის ადგილზე ვხედავ კვამლს კითხვის ნიშნის  
 ფორმით.

რა იყო აქ?

ვინ უპასუხებს?

აი ამიტომ არაფერს ნიშნავს, თუ ჩემს გარშემო არ არის ომი,  
 როცა ანა ფრანკის დღიურს ვკითხულობ,  
 მე სასიკვდილო განაჩენს ვკითხულობ სიკვდილისათვის.  
 ატომით გადაშენებული ხიროსიმას ოთხი თაობის გამო  
 მე სიტყვა „შვილს“ მუქარით ვიმეორებ,  
 მე მაშინ ვხდები დედაშენი,  
 ყველა დედაზე უფრო დედა  
 და ვევედრები ადამიანებს:  
 „გადააჩვიეთ ბიჭები ომობანას!  
 გადააჩვიეთ ბიჭები ომობანას,  
 თორემ ისინი ერთად გაგლენ ერთ დღეს სახლიდან  
 სათამაშოდ

და უკან აღარ დაბრუნდებიან!“

როცა ხმას ვაძლევ მშვიდობას,  
 შენს სიცოცხლეს ვაძლევ ხმას!  
 შიშზე უფრო დიდი შიში შთამაგონა სიყვარულმა.  
 როგორც ნაგავი გააქვთ დამლაგებლებს,  
 მე მინდა, შენი სულიდან სიყვარულის კათარზისით  
 გამოვიტანო სურვილი,

რომ შელის ნუკრის დედაზე ინადირებ,  
 ან სხვას მისცემ ამის უფლებას,  
 რადგან ასე საკუთარ თავზე ნადირობ სხვისი ხელით.  
 მე მინდა, შენი სულის დიასახლისი ვიყო.  
 მინდა, ვიცოდე, რა არ უნდა გავაკეთო,  
 რომ არ დაგკარგო!

ჩემი სიყვარული დედამიწაზე დაიბადა და გაიზარდა,  
 ის არა მხოლოდ ცნობიერების,

ყოფიერების შვილიცაა,

მაგრამ როცა შექსპირის, ვან გოგის

ან ბეთჰოვენის თანდასწრებით გხვდები,

მე გამოვდივარ ჩემი ადამიანობიდან,

როგორც კოსმონავტი ზომალდიდან — ცაში

და მაგიწყდება, რომ შენ მხოლოდ ადამიანი ხარ.

როცა ჭერარდაბადებულ შეილს ვეფერები —

შენ გეფერები!

როცა შინ თითისწვერებზე დავდივარ,

ქალაქის უცნობ ბინაში შენს ძილს ვუფრთხილდები!

როცა ზამთრის ბელურებს ნამცვეცებს ვუყრი,

შენს ზამთარშორეულ სიბრალულს ვაპურებ.

როცა ძარღვს ვიხსნი, რომ ჩემი სისხლით

სხვისმა გულმა განაგრძოს ფეთქვა,

ვიცი, შენ უნდა გადაგარჩინო!

მე არ ვეძებ შენს მადლობას!

მე არ ვეძებ სამაგიეროს!  
 მადლობაზე დიდი მადლობა არის ჩემთვის შენი სიცოცხლე!  
 როცა ვხედავ, როგორ გარბის გოგო პემანზე,  
 ხარკეში ვიხედები და შენთან შეხახვედრად ვეშხადები.  
 როცა მამების ნაბიჯებს ვუსმენ სამშობლიარს სახლის  
 მონაცდელში,

შენს ნაბიჯებს ვუსმენ!  
 როცა კაცებს აქებენ, მიხარია, რადგან შენ გაქებენ!  
 როცა ფეხბურთის მატჩის დროს ვეღარ მხედავ,  
 არ გიბრაუნდები, რადგან ვიცი,  
 ძალას იკრებ იმისათვის, რომ მოგნატრო!  
 როცა მიყვები, რა ლამაზია შენი ახალი ნაცნობი ქალი,  
 მიხარია, რადგან სხვა ქალს თუ ვერ შეამჩნევ,  
 მეც ვერ დამინახავ!  
 ეს შენ ხარ ყველგან და მჯერა, გიყნობ,  
 როცა იქნება,  
 შინ, თუ ქუჩაში,  
 კონცერტზე თუ — აეროპორტში,  
 სტადიონზე თუ — მაღაზიაში,  
 პანაშვიდზე თუ — უპანაშვიდოდ,  
 სადაც იქნება, როცა იქნება — შეგხვდები!  
 არ მჭკარება.  
 შენ ჩემთან ერთად დაიბადე,  
 და ჩემთან ერთად იზრდები,  
 მე კი შენთან ერთად.  
 შენს არსებობაში ჩემი არსებობა იგულისხმება.  
 რომ ხარ, ის არის მთავარი  
 და არა ის, როდის გამოხვალ ჩემგან,  
 ანდა ვისში განსხეულდები!  
 ვიდრე არ ვიცი მონატრების მონატრება,  
 ვიდრე მიყვარხარ,  
 ყველა ცოცხალზე ცოცხალი ვარ ცოცხლებისათვის  
 და თუ მოვეკვდები უსიკვდილესი სიკვდილისაგან,  
 შენში სხვა ქალი გამაცოცხლებს.

ო, მე კი არა, ღმერთს უყვარხარ ჩემში გადმოსულს!  
 ქალებს ასეთი სიყვარული არ შეუძლიათ!

■ ■ ■

მე ბავშვობისას მგვიტებოდნენ:  
 „რომ გაიზრდები, რა გამოხვალ, აბა, გვითხარი?“  
 და ვპასუხობდი:  
 „მფრინავი, და პარიზში გადავფრინდები!“  
 „იცი, სად არის პარიზი?“  
 „ვიცი!“  
 „მაგრამ ფრენა ჯერ რომ არ იცი...  
 ჯერ ვერ გაგიშვებთ!..“  
 და იცინოდნენ უფროსები...

91891

მე გაგიზარდე და ისინი ახლაც სიცილით მგვითხებიან:  
 „აბა, პარიზში როდის მიდიხარ?  
 შენ შეგიძლია, უკვე გაფრინდე,  
 უკვე დიდი ხარ!“  
 გაფრენას ახლა არავენ მიშლის,  
 არც თვითმფრინავის მიჭირს მიგნება,  
 მაგრამ მე ვიცი, ჩავალ პარიზში  
 და იქ პარიზი აღარ იქნება.

■ ■ ■

ხმამალალია ეს მუსიკა,  
 ხმამალალია ეს სიცილი...  
 იჩქარე ჩემსკენ.  
 ეს მე ვარ, თოვლი.  
 მერამდენეჯერ ისე მოვედი,  
 ვერავის ფეხმა ნაფეხური ვერ დამაჩნია.  
 იჩქარე ჩემსკენ,  
 მე დავიმალე ესთს კუთხეში,  
 რომ ტალახიან ფეხსაცმელებს გადავრჩენოდი  
 და დაგხვედროდი,  
 მე დაგიცადე, რამდენ ხანსაც უფლება მქონდა.  
 ქუჩის თოვლი გი მოდის და მიდის,  
 ბრჭყვიალებს მზიან სახურავებზე,  
 როგორც ღიმილი „ეკრანის“ ყდაზე...  
 ხმამალალია მისი მუსიკა...  
 იჩქარე ჩემი სიჩუმისაკენ დასასვენებლად.



# ტრამალები სევდიანი სიმღერა

მოთხრობა

1

ნაშუადღევს ცაზე მძიმე, შავი ღრუბლები ჩამოწვა. მოიქუფრა. ჰაერი არ იძროდა. ისე დაიხუთა, სუნთქვა ჭირდა. მერე უცბად დაიგრიალა და კოკისპირულმა წვიმამ დასცხო. აქამდე გარეთ, სკამებზე მსხდარი მგზავრები წამოიშალნენ, თავიანთი ბარგი-ბარხანით აეროპორტის შენობას შემოაფარეს თავი. ფართო დარბაზები დავიწროვდნენ სტის სუნით გაჭვრებულ ჰაერში მგზავრთა ხმამალაი ყაყანი ერთ უწყვეტ ბუბუნად ჩამოეკიდა.

— ფრენას კვლავ გადადებენ! — ჯოჯობ ღამნაშავეის თვალებით შემომხედა მზერა ამარიდა და კვლავ ფართო მინას მიაშტერდა. მინაზე უამრავი წვრილი ნაკადი დაიქსელა. წვიმის ფარდის მიღმა ჩაიკარგა ვრცელი აეროდრომი. შენობასთან ახლოს მდგომი ორიოდე თვითმფრინავის ვერცხლისფერი სილუეტები თუ გამოკრთებოდა ხანდახან.

— იქნებ არც გაფრინდეთ, ა? — ყოყმანით დავეკითხე.

გოჯიმ მზრები აიჩეჩა. მეც გაეჩუმდი. რაღა ღროს ყოყმანი იყო, ბილეთები ძლივს გავებერხეთ. არც ვიცოდი, სად მივყავდი, წინ რა საქმე გვედო, მაგრამ ერთი თვის შევბუღება მქონდა და გოგის უსიტყვოდ გამოვყევი.

გაფრენა უკვე მესამეჯერ გადაიდო.

მგზავრები ღელავდნენ. აეროპორტი სკასავით ზუზუნებდა და მოუთმენელი ბრბო „ცნობათა ბიუროს“ აწყდებოდა. გოგის მზრები უხერხულად ჩამოეყარა, თითქოს მისი ბრალი იყო ეს უცაბედი უამინდობა, სოხუმის აეროპორტში რომ გამოგვეკეტა. მე მოთმინებით ველოდი, თუ როდის ამიხსნიდა ყოველივეს. გადატანილი ტრაგედიის შემდეგ ისე შეცვლილი მეჩვენებოდა, აუწონავ სიტყვას ვერ ვუბედავდი.

— ეჰ, დღეს პლაჟზე რომ გავედი, რა გოგოები ვნახე? — ფრთხილად ჩაფიქვითე. სოხუმიდან წასვლა დიდად არ მეპიტნავებოდა, მაგრამ აშკარად არაფერს ვამბობდო რადგან გოგის გადარწმუნება შეუძლებელი იყო, ჩემი ჭიჭყინით კი იქნებ თავიც მომებზრებინა და სულაც მართო გამეგზავრებოდა.

— ყურადღება! მოქალაქე მგზავრებო!.. — რეპროდუქტორის ხრინწიანი ხმა ჩაიხშო მგზავრთა რუზრუზში და წვიმის გაუთავებელ დგანდგარში.

მივხვდი, რომ ჩასასხლომად გვიხმობდნენ. ტვირთი არაფერი გექონდა, მსუბუქი ჩემოდნების გარდა, და გასასვლელისაკენ გავემართეთ.

კართან ხელი მტაცა, შემაჩერა. სახეზე სიფითრე გადაკრავდა. მღელგარების დაფარვას ცდილობდა და ციებიახი მზერა განზე წაიღო. გაურკვეველმა შფოთმა შემიაყრო.

— გუჯა, თუ გეზარება, ნუ წამოხვალ! ხომ იცი, მარტოც იოლად გავალ!

— გაცი ხომ არა ხარ! — გასასვლელისაკენ მხრით ეუბოძგე და უკან მივყვირი.

ავტობუსი ტროტუარის პირას, ათი-ოდე ნაბიჯზე იდგა. სანამ იქამდე მივადწიეთ, წვიმამ პერანგში გაგვატანა. გოგი ჩემ წინ გარბოდა. წამით თვალი შევავლე მის მოხრილ ბუკებს და სიბრალული ვიგრძენი. ახალა დავრწმუნდი, ღრმად და მტკივნეულად განიცდიდა ობლობას. ავტობუსის სივიწროვეში, სველ მხრებზე ხელი მოვხვიე, მინდოდა ხმადაბლა მეთქვა, — გოგი ჩემო, მძიმეა დანაკარგი, მაგრამ ხომ გაგიგონია, კირსა შიგან უნდა გამაგრებო... — ხმა ვერ ამოვიღე. ავტობუსი ნელა გასრიალდა ბეტონის გზაზე და წვიმიდან აუქმარებლად გამოცურდა ვერცხლისფერი საპაერო ლანინერი.

უკვე სალონში, ერთმანეთის გვერდით რომ ვისხედით, აზრს ძალა დავატანე, იქნებ რამე გამამხნევებელი სიტყვა მომაგონდეს-მეთქი, მაგრამ ენის დაძვრა გამიჭირდა. არც იყო საიმისო ვითარება. მგზავრები მიმოდიოდნენ, მოურიდებლად ქაქანებდნენ, სივიწროვეში ერთერთს ევახებოდნენ, ყველა თავის ადგილს ეძებდა და ამ ალიაქოთს მოთმინებიდან გამოვყავდი.

ნესტი შემომეტმასნა. ჰაერში ანაორთქლი ირხეოდა. ილუმინატორის მინა წვიმის წვეთებს გადაესერა, ზედ კი თეთრი ნისლი დაჰფენოდა. მის მიღმა ბუნდოვნად ისახებოდა აეროპორტის შენობა.

ამ უფერულმა, მჭრქალმა სურათმა გუნება გამოიფუჭა. სევდა წამომეპარა, გულში ხინჯად ჩამიჭდა, ძველ ამბები გამახსენა. კაცმა რომ თქვას, შესაწუხი მონცდამიანიც არაფერი მჭირდა. ბედს არ ვემდურდი. სკოლა, უმაღლესი, სამსახური, ყველაფერი ისე აეწყო, ალბათ, უფალი მფარველობდა, უფრო კი მამაჩემი, რადგან ოჯახში ერთი ბიჭი ვიზრდებოდი. აქამდე არც გოგის გამოუთქ-

ვამს ბედის სამდურავი, ყოველ შემთხვევაში მის სახეზე სევდის ნაკვალევაც არასოდეს შემიმჩნევია. თუმცა იქნებ კარგად ვერ ვაკვირდებოდი?

არც კი მახსოვს, ერთმანეთი როდის გავიცანიოთ. თავდაპირველად სხვა თანაკლასელებისაგან არ გამომიჩნევია. მერე მამაჩემმა ახალი ორსართულიანი სახლი იყიდა და იქ გადავიდიოთ. ჩემი ოთახის ფანჯრიდან კარგად ჩანდა ერთი ციციქნა, მიწას მიტყეპნილი ქოხი, გოგისა და მის დედას რომ ეკუთვნოდათ. ამ დღიდან ალბათ ერთად მოგვიწევდა სკოლაში სიარული. ეს ამბავი ხომ უნდა მეზარებინა გოგისთვისაც და მის ეზო-ქიშკარს მივაშურე.

— ჰეი, მიყურე! — მომესმა ბიჭის ხმა. ხელში გრძელი ჭოკი ეჭირა. გამოექანა იმ ჭოკით, უცებ აბტა და... აბა როგორ ვითხრათ? ქოხი ხომ დაბალი იყო. ელდენის მავთულეზიც დაბლა უფრთდებოდა, ჰაიპარად ჩამოგვოწნალებინათ. პატარა ბიჭი სწორედ ამ მავთულეზს შორის გასხლტა და მოლზე დაეცა. ჭოკი მავთულეზს მიენარცხა. მავთულეზი აქანავდა, ნაბერწყლები დაჰყარა. შიშისაგან მე ჩემი დამემართა, ბიჭი კი, აქაოდა არაფერი მომხდარათ, ღიმილით სახეგაბადრული წინ გადამიდგა.

— როგორია, პა?

არ ვიცი რამ მიბიძგა, დაუფიქრებლად გავუქნიე და ყბაში ეუთავაზე. წამით შეცბა. მეც დაგიბენი და საბოდიშო სიტყვა ვერ ამოვღერლე. ამასობაში უსიტყვოდ მეცა. კარგა ხანს ვიკოტრიალეთ მდელოზე. გამშველბელი არავინ ჩანდა. არაქათი რომ გამოგვეცალა, ქოშინ-ქოშინით შემეკითხა:

— რად გამარტყი?

— დენს რომ დაერთყა, უკეთესი იქნებოდა?

ბიჭმა ცივად მიშვა ხელი...

გუგუნმა ფიქრი დამიფრთხო. ჩასხდომა დამთავრდა, ძრავებს ახურებდნენ. მცირე ბიძვი და ნელ-ნელა დავიძარით ასაფრენი ზოლისაკენ.



წვიმა შეწყდა.

აეროდრომის შორეულ კუთხეში ნისლს გამოეყო მიწისპირზე კუტკალე-ბივით დაყუნეული ვერტმფრენები.

გოგომ ამოიხვნეშა.

— ხომ არ გეძინება? — ბოლოს და ბოლოს უფლება მქონდა ახსნა-განმარტება მომეთხოვა.

შემომხედა. თვალი გაეუსწორე. სახე ილუმინატორისაკენ მიაბრუნა.

— გუჯა, თუ ძმა ხარ, ნურაფერს შეკითხები.

მკლავზე ხელი მოვუთათუნე. არც არაფერს გეკითხები-მეთქი, ვაგრანობინე, თუმცა ცნობისმოყვარეობა მწყვედა.

თვითმფრინავი ასაფრენ ზოლზე გავიდა. ერთხანს ადგილზე იდგა და გუგუტუნებდა, თითქოს ნახტომისათვის ემზადებოდა. თანდათან უმატა გრიალს. ტაბლოზე აინთო გამაფრთხილებელი წარწერები. ადგილს მოსწყდა, გაირბინა. სავარძლის ზურგი მჭიდროდ მომეკრა. ყოველთვის დაძაბული ინტერესით ველი წამს, როცა შასები ბეტონის ზოლს მოშორდება. სიძვარეს ენაცვლება უწონადობის წამიერი განცდა. ტანზე ბუსუსებს მაყრის. ყოველივე საფიქრალისაგან ვიცლები და მცირე ხნით შეშინარევი აღტაცება მეუფლება.

მობდენილმა სტიუარდესამ გამოიარა. ჩემს სავარძელთან შეყოვნდა. გაეუღიმა. მან კი მკაცრი მზერა შემავლო.

— თქვენ მისაბმელი ქამარი დაგაგიწყდათ!

— ისედაც მიმაბეს თქვენმა თვალემა, — გაეხუმრე, მაგრამ ქალიშვილი ცივად გამშორდა.

ქამარი მაინც არ გამოიკეთებია. ფიქრით ისევ წარსულს დავებრუნდი, რადგან იქ ვეძებდი ამ მოულოდნელი და უცნაური მოგზაურობის მიზეზს...

...დეიდა ვარას მსგავსი ქალი მეორე არ შემხვედრია. ლამაზი თითქოს არ ეთქმოდა. ან რა მესმოდა შეუხანს მიტანებული მანდილოსნის სილამაზისა. თანაკლასელის დედა იყო და პირველად სადილობისას რომ შევასწარი, ისე დაგამორცხვე, სუფრასთან ძლივს მიმათ-

რის, ჭამით კი ლუკმაც ვერტმფრენებზე. სამაგიეროდ საოცრად ცხადად ვიგრძენი, რაღაცნაირი დედობრივი სითბო მომელამუნა თითქოს. ამან ისე მიმიზიდა, ჩემი თავი არაერთხელ დამიკერია ახრზე, გოგვივით მეც ჩამახუტებდეს და მომეფერებოდეს-მეთქი. სახეზე მუდამ ცოტათი სევდანარევი ღიმილი გადააქრავდა და ხანდახან, ეს ალბათ მეჩვენებოდა, თვალის უპეში ცრემლი გაუქრთებოდა. მეჩვენებოდა-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ მეგონა, დეიდა ვარას არაფერი არ უნდა ჰქონოდა გულსატყენი და საწუხარი. დედამიწის ზურგზე ალბათ არ მოიძებნებოდა კაცი, ვინც გულში მის წყენიწებას გაივლებდა. პოლა, მეც ისე შევეჩვიე დეიდა ვარას, ერთა საათი თუ შინ ვიყავი, ორი საათი მათთან ვეგდე. ის კი არა და, მოწადელობის ხანაში, შინ თუ სადილი დროზე არ დამხვდებოდა, უმალ დეიდა ვარასთან გადავირბენდი. იქ ყოველთვის მელოდა ჩემი არჩივი და მე და გოგი ერთად ესადილობდით. დეიდა ვარას სამახურში ეჩქარებოდა, ჩვენ კი მარტონი ვრჩებოდით, მიმხედვარე არავინა გეყავდა და ყირაზე გადავდიოდით. საღამოყამს კი, როცა დეიდა ვარა უნდა გამოჩენილიყო, წიგნებს მივუსხდებოდით, მეცადინეობით გადავლილებივით ჩაეყვინთავდით. დეიდა ვარას თვალეში გაუბრწყინდებოდა. ორივეს გადაგვისვამდა თავზე ხელს და მე შინდოდა დამეკოცნა ის თბილი ხელები. „გეყოფათ ახლა, მთლად ნუ გადაყვებით მაგ წიგნებს, ცოტა ბურთიე ითამაშეთ“, — გვეტყოდა დეიდა ვარა და ეზოში გაგვეყრიდა...

— ხომ არ ინებებთ? — თავზე ის ლამაზი სტიუარდესა დამდგომოდა. ლანგარზე მინერალური წყლით სავეჯე ქიქები ეწყო. წინანდელი სიმკაცრე არ ეტყობოდა. კვლავ გაეუღიმა. ამგერად ოღონდ ჩაილიმა. გონებაში უმალეე ათასნაირი მიმზიდველი გეგმა ავაწყე. ქალიშვილი პასუხს ელოდებოდა. ვანგებ ზოზანიით ავიღე ქიქა „ბოჩოკო“, თან მრავალმნიშვნელოვნად შევეცივინებდი თვალეში. ქიქა გოგის გადაეწდებ,

თვითონ კი მკერდზე ხელი მივიდე, აქაოდა მადლობელი ვარ, მაგრამ არ მინდა-მეთქი.

სტიუარდესა უხმოდ გამშორდა.

— კარგი გოგოა, — გადაეუჩურჩულე გოგის. საწყლად გამიღიმა. ფიქრში ჩაფლულმა ალბათ ვერ გაიგო, რაც ვუთხარი, ან სულაც არ შეუხედია ქალიშვილისათვის. ბოლო დროს ქალებს მაინცდამაინც არა სწყალობდა, ის კი არა და, არც ამხანაგ-მეგობრებსა და თანამშრომლებს აქცევდა ყურადღებას, თითქოს მზერა შიგნითკენ შეიბრუნა და, რაც გარშემო ხდებოდა, მას არ ეხებოდა.

— მოსკოვში თუ დავრჩებით, ტელეფონის ნომერს ვთხოვ...

— მოსკოვში არ გავჩერდებით, — იმედი უცბად გადაიწურა და ილუმი-ნატორისაკენ შებრუნდა. უნებურად ამოვიხვნეშე, — კარგი შევბუღება გამოივია, ასეთი უკმურთი მეგობრის გვერდით-მეთქი. სტიუარდესაზე ფიქრი თავიდან ამოვიგდე და მეც ილუმი-ნატორს მივატყერდი. მის მიღმა თეთრი, ფუმ-ფულა ღრუბლები ცის კიდეზე განფენილიყო, სივრცეს ნელი ზოზინით შესეოდა ურიცხვი ფარა, ზევიდან კი მუქ-ლურჯად მოსარკული ზეცა ხუფივით ეხურა თვალსაწიერს. იქ იყო მიჯნა, რომლის მიღმა სამყაროდან თითქოს სიცივე იღვრებოდა და ეს სიცივე სულში აღწევდა, გულს მიმძიმებდა.

არა, ქალთა მოქალაქე სულაც არ იყო. მეორეჯერ ჩხუბი სწორედ გოგოს გამო მოგვეფიდა. ყუყუნა ჩვენს კლასში სოფლიდან გადმოიყვანეს. შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო, თორემ მასზე ლამაზი გოგონები კლასში ბევრი გვეყავდა. ყუყუნას რატომღაც პირველსავე დღეს თავზე მზეთუნახავის ოქროს გვირგვინი დაეღვით. ურიგო გოგო როდი იყო, მაგრამ ახლა რომ ვიხსენებ, არც ზღაპრის ფერია გახლდათ. დიდრონ ცისფერ თვლებს გულუბრყვილოდ აფახულებდა და ჯადოსნურ ღიმილს ყველას თანაბრად გვიწილადებდა. თანაც ამას ისე ახერხებდა, ყოველ ჩვენთაგანს ეს ღიმი-

ლი თავისი საკუთრება ეგონა, სწავლისთვისაც ცეცხლზე ნათი დაგვისხენს, სეირის ყურება ხომ ყველას უხარია. რა ჩარა იყო და ამხანაგურად ვიჩხუბეთ. ოღონდაც წინასწარ გადავწყვიტე, ჯანდაბას ჩემი თავი, ვეცემინები და ის იქნება-მეთქი. აბა, მართლაც ხომ არ დავარტყამდი გოგის. თურმე იმასაც გადაუწყვიტია, ვეცემინებო. პოდა, ჩხუბის მაგიერ მამლაცინწების კინკლაობა გამოგვეფიდა. ბოლოს ორივეს სიცილი აგვიტყდა, რითაც სეირის მოყვარულნი გავანაწყენეთ. კინკლაობას სხვა კინკლაობა დაერთო, რაც ჩხუბში გადაგვეზარდა. ახლა ორნი ვჩხუბობდით ყველას წინააღმდეგ. მაგარი ჩხუბი გამოგვეფიდა, თუმცა ჩვენც კარგად დაგვიზილეს გვერდები. შინ რომ ვბრუნდებოდით, შევთანხმდით, კენჭი გვეყარა. ეს საქმეც მომავლისათვის გადავდეთ, არ გვინდოდა რომელიმეს გული დაგვეწყვეტოდა. ამასობაში საიდანღაც გამოტყვერა ერთი ჭოკასავით უდროოდ წამოზრდილი ყმა-წვილი, მანქანაში ჩაისვა ჩვენი რჩეული და თვალსა და ხელს შუა გაგვიქრო... ასე და ამგვარად, მე და გოგი პირველი კურსის სტუდენტები რომ ვავხდით, ყუყუნა, თვითონ რომ იყო, ისეთ ცისფერთვალემა გოგონას ურწევდა აყვანს...

სტიუარდესამ ჭიქის წასაღებად გამოიარა. გადავაწოდე, ცოტათი გავენახე.

— გოგონა, გენაცვალე, სად ვიმყოფებით?

— პაერში! — მოკლედ მომიჭრა, თან გოგის ინტერესით შეავლო თვალი.

— პე, ბიჭო, შენ მოეწონე! — მხარი ვკარი.

ძლივს გამოერკვა.

— მორჩი ერთი!

რა სწრაფად გადის დრო! თითქოს ახლახან იყო სტუდენტობის წლები. მე და გოგიმ ერთად დავექირავეთ ერთი ციკქნა ოთახი ვაკეში. ხან დედაჩემი გვაკითხავდა, ხან დეიდა ვარა... ისწავლეთ შეილდებოო, რაგრიგობით გვეჩინებოდნენ. ჩვენც ვსწავლობდით... გოგონების გამოქერას. ისე სწრაფად

შეგვიყვარდებოდა ხოლმე ახლადგაცნობილი გოგონა, წინა სატრფოს მოძულეობას ვერც კი ვასწრებდით. ამასობაში დრომ ელემს უსწრაფესად გაიზბინა. მოვიხედეთ და აღმოჩნდა, თურმე სერიოზულად არავენ გვეყვარებია. დეიდა ვარა სულ იმას გვეხვეწებოდა, შეილებო, აგრე ნუ დამიბერდებით, ცოლი შეირთეთ, შეილიშვილები გვენატრება, ჩვენს ასაკში აწი ბებია უნდა დაგვიძახონო... გოგი ჩემად გაილურსებოდა ხოლმე, ხმას არ ამოიღებდა. მე კი თვალთმაქცურად მივექლესებოდი, დეიდა ვარა, რა დროს თქვენი ბებიაობაა-მეთქი. მეგონა, არ დაილეოდა ჩვენი დრო, მაგრამ წაეწყო წელი წელს და ეს მაშინდა ვიგრძენი, როცა შეათეკლასელმა გოგონამ მკითხა: „ბიძია, რომელი საათია?“

თითქმის ერთი საათი მიფერინავდით უკვე. მომწყინდა, მოქნარება ამიტყდა. „მე, ბიჭო...“ — მივუბრუნდი გოგის და სიტყვა გამიწყდა. თავი სავარძლის ზურგისათვის მიეყრდნო და მშვიდად ფშვინავდა. სახე დაწყნარებული ჰქონდა, ფერიც მოსკოდა. ლამაზი ქაბუკი იყო. გოგონებს ჩემზე მეტად ის მოსწონდათ და უნდა ვალიარო, სადღაც გულის კუნძულში მწყინდა კიდევ. მე უფრო ევროპელს ვგავდი და მაინც გოგონები ტუჩს მიბზუებდნენ, ის კიდევ ტაფაზე შებრაკულსა ჰგავდა და ზედ აწყდებოდნენ. ერთხელ გავეხუმრე, „ლამაზ ბოშას მაგონებ“-მეთქი. სიკვდილის ფერი დაედო. ენა მოვიცვნიტე, თუმცა ვერ მივხედი, რატომ ეწყინა. ნათქვამი როგორღაც მივაფუჩეჩე... ახლა მძინარეს ვუთვალთვალუბდი და მეგონა, რომ გადამოლილ წიგნს ვკითხულობდი: აი, ბავშვივით სძინავს შენს მეგობარს, — ვეუბნებოდი საკუთარ თავს, — ის თითქოს მთლიანად განიარაღებულია, ნიღბები ჩამოხსნილი აქვს, ვერაფერს დაგიმაღავს, რასაც ფიქრობს, სახეზე აწერია... სახეზე გოგის ღრმა ტანჯვის კვალი აჩნდა... დეიდა ვარას შემდეგ ვერ მოიხედა!.. სხვა დასაკენა მაშინ აზრად არ მომსვლია. ვასაყ-

ვირი აქ არაფერი იყო. მე ხომ ვიცი, როგორ უყვარდა დედა. ან როგორ არ ეყვარებოდა სიკეთის ისეთი განსაზიერება, როგორიც დეიდა ვარა იყო. მაგრამ ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს. არ შეიძლება შეილი შეეწიროს ამ მწუხარებას, ეს ეწინააღმდეგება ბუნების კანონებს...

ფიქრით კი ასე ვფიქრობდი. მაგრამ თვითონაც არ შემეძლო გულის ტკივილის გარეშე დეიდა ვარას გახსენება. წუთისოფლის სიმუხთლის დადასტურებად მეჩვენებოდა, რომ დეიდა ვარა ერთ დღეს არ გათავდა. ვის რად დასკირდა წლების მანძილზე ეწამებინა საბრალო ქალი. იქნებ ჩვენ თვითონ ვიყავით დამნაშავენი, დროზე ვერ მივხედეთ. თავდაპირველად არაფრად ჩავვიგდია მისი ავადმყოფობა. ყოველ დღე სიციხეებს აძლევდა. გაცივდა აღბათო, უბნის ექიმმა დაგვაშვიდა. მაგრამ დღეები წაეწყო ერთიმეორეს, მერე თვეებიც და წელიც გავიდა. დეიდა ვარა კი დნებოდა და დნებოდა... მერე თბილისში თირკმელი ამოუღეს. იმდინად მოიხედა. გოგი რაღაც ავადმყოფური გზნებით ამტკიცებდა, ადამიანი ცალი თირკმლითაც დიდხანს ძლებსო. არც არავენ ეკამათებოდა, მაგრამ ის მაინც თავისას გაიძახოდა, იღბათ საკუთარ თავს არწმუნებდა. ერთი პირობა, მართლაც მოიკეთა დეიდა ვარამ, ფეხზე დადგა. მერე კი ყველაფერი კვლავ უკულმა შეტრიალდა...

უკანასკნელად სიკვდილამდე ერთი კვირით ადრე ვახე. მთლად დაღუპილიყო. ლოგინს ძლივს აჩნდა. უელში რაღაცამ წამიჭირა, კინალამ ზღუქუნი წამსკდა. თავი ძლივს შევიკავე. ღიმილის მაგიერ საცოდავად დავიჭყანე და უგერგილოდ გავეხუმრე: დეიდა ვარა, ჩემი თავი გენაცვალოს, მალე მოკეთდი, ცოლი მომყავს ოქროსთმიანი, ჩემს ქორწილზე უნდა გაცეკო-მეთქი. სუსტად გამიღიმა. პო, შეილო, მალე მოიყვანე, ამ ჩემს სულელსაც გაურიგე ვინმე, თორემ ხომ ხედავ როგორ დამიბერდაო...

ამის გახსენებაზე თვალი ამიწყლინდა. თავი ავწიე და სტიუარდსას გაცემულ მშერას შევეჩხე. შემრცხვა.

— საწყენია, — ჩავიღუღუნე.

— რაა საწყენი? — გოგამ თვალი გაახილა.

— მოსკოვში რომ არ ვრჩებით, — თან სტიუარდსაზე მივუთითე.

გოგამ არაფერი თქვა.

ილუმინატორს მიღმა ცას მქრქალი ფერი მოედო. დედამიწას თხელი ბინდი ვფინებოდა. ნათურების მწყრივებმა გადაპყვეთეს გარეუბნების ფიქვნარები...

ლაინერი უკვე ეშვებოდა...

## 2

მოსკოვში ხშირად მიწევს მივლინებით ჩასვლა. ამიტომაც უამრავი ნაცნობ-მეგობარი მყავს. ამჯერად კი ერთი საათიც არ დავრჩენილვართ, უბრალოდ დარეკვა და შეხმიანება ვერ მოვასწარი... შერემეტიევის აეროპორტიდან ტაქსით პირდაპირ კურსკის ვაგზალში მივგვრიალდი. ენის წვერზე მიტრიალებდა, რა გვეჩქარება, შე კი კაცო, წინ მთელი თვე გვაქვს. მოდი, ორი-სამი დღე დავრჩეთ; გავისეირნ-გამოვი-სეირნოთ, დრო გავატაროთ-მეთქი, მაგრამ გოგის აბნეულ მშერას რომ წავაწყდებოდი, ენა მუცელში მივარდებოდა. თვითონ კი მთელ გზაზე, სანამ მანქანიდან ჩამოვიდოდი, ხმა მხოლოდ ერთხელ ამოიღო, კურსკში მივემგზავრებითო, მაცნობა.

ამასობაში კიდევ შემოგვალამდა. მატარებელი ნახევარ საათში გადიოდა და ვჩქარობდით. კიდევ კარგი, იმ გაწამაში მოვასწარი მინერალური წყლისა და ბუტერბროდების ყიდვა, თორემ გოგის ჭამა მთლად დავიწყებოდა.

კუბეში ჩვენს მეტი არავენ იყო. იქნებ როგორმე გავამზიარო-მეთქი, ჭკუამსუბუქი კაცის როლი გავითამაშე. ორი-სამი მაგარი ანეკდოტი ჩამოვაბულბულე. ვაგონის გამყოლს ცხელი ჩაი მოვატანინე, თან ის ანეკდოტები იმასაც შევასაღე. გოგი სევდანარევი დი-

მილით შემომყურებდა, ხომ შენდამა... მეგონებინა ახალი გასართობი. ის კი უცბად გამოეთიშებოდა აქაურობას, სადღაც ზმანებათა სამყაროში გადაეშვებოდა. ვგრძობდი, იმ წუთებში მისთვის არ არსებობდა ეს ვაგონი, ვიწრო კუბე, არ ვარსებობდი მეც—გუჯა გობეჩია... ამ აზრს ვერ ვურიგდებოდი და ისევ და ისევ ვასარსალებდი ენას, ვიხსენებდი ახალ ანეკდოტებს... სხვა დროს ალბათ ბევრზე ბევრს ვიხარხარებდით, მაგრამ ჩემი ხმა თითქოს ციკსა და ყრუ კედელს აწყვდებოდა.

ყბედობის სენით, ბოლოს და ბოლოს, არც მე გახლდით შეპყრობილი. თანდათან ხალისი დამეკარგა, მერე კი სულ გავჩუმდი. კარგა ხანს უბრად ვისხედით, ფანჯრის მინაზე საკუთარ გამოსახულებებს ვუბღვევდით... ნათურა გამოერთე. ახლა ფანჯარას სიბნელე მოაწვა... ცაზე დაცარიელებული ვარსკვლავი მიექანებოდა... წყვილადად იშვიათად გამოკრთებოდა შორეული დასახლებების ელნათურები... მეზობელი კუბეებიდან დაფენილი სინათლის ოთხკუთხედები გარბოდნენ მრწყარილზე... გზის გასწვრივ კი შავად მიიგრაგნებოდა ბნელი ტყე...

უჩუმრად ვისხედით ბნელ კუბეში, ჩვენ-ჩვენს ფიქრებში ჩაფლულნი. ყოველვინ ამქვეყნიურს გამოვეთიშე. მე — გუჯა გობეჩიას დამეიწყდა სად ვიყავი, ვისთან ერთად ვიჯექი, ვინ ჩამკეტა აქ?... უკუნში მიმალული კაცი კი იქნებ უკვე არ იყო გოგი კანკავა, ვილაცა უცხო შემოიპარა, წინ დამისკუპდა და მითვალთვალეს... უზარმაზარი, შავი უფსკრული გაიხსნა ჩემსა და ამ უცხოს შორის. მე მარტო დავრჩი ამ ნაპირზე, ის კი გაღმა ყურყუტებს კენტად...

რელსებზე ბორბლების რიტმული დაგადული გაძლიერდა. ტორტმანით მიჰქროდა ვაგონი და ეს უწყვეტი რბევა მინანავებდა.

თანდათან სევდა დამეუფლა, ყელში წამიპირა. პაერი არ მეყო და უნებურად ამოვიოხრე.

— უმჯობესია დაეწვეთ, იქნებ ჩაგვეძინოს, — ჩემი ხმა ცივ სიცარიელეში შთაინთქა. ვერ მივხვდი, გაიგონა თუ არა ჩემმა თანამგზავრმა. იქნებ ის მხოლოდ საკუთარი გულის ჩივილს უგდებდა ყურს და ჩემი სიტყვები მის სმენაზე ასხლტა...

მორიგ სადგურთან გავიარეთ. წარწერა ვერ წავიკითხე. თეთრი ვაგზლის ურიცხვი ნათურა ჩახახებდა. ბაქანზე მგზავრები იდგნენ და მათი ცნობისმოყვარე მშერა ფანჯრების ზედაპირზე ირეკლებოდა. კუბში წამით სინათლე შემოეფინა, გოგის სახეზე გადაურბინა. სუსტმა სინათლემ სახის ფერი უფრო გაუცრიცა. გაყინულ თვალებს კი ფოსფორის ცივი ციმციმი შეატოვა. იქნებ მომეჩვენა, მაგრამ შიგ ენით გამოყოფილი დარდი დაელანდა.

— გოგო, — ხმადაბლა დაუძახე, ხელზე მოვეუქირე, — სინათლე ხომ არ ავანთო?

— არა! — აჩქარებით ნიბასლბა.

— გოგო, — რაც შეიძლებოდა რბილად ვთქვი, — მშობელი დედა ვის არ ყვარებია, შე კაცო...

კუბის სიბნელეში მისი სახის გამომეტყველებას ვერ ვხედავდი და ლაპარაკი მივირდა.

— გუჯა, შენთან დამნაშავე ვარ...

პასუხმა დამაბნია. არ ვიცოდი რას გულისხმობდა. ნაძალადევი, არაფრის-მთქმელი სიტყვები შევაგებე:

— არა ვრცხვენია, ბიჭო? რას ლაპარაკობ!

— ჰო, მოვეშვით ახლა ამას! — კვლავ თავის ნაკუჭში ჩაიკეტა. მეც გავჩუმდი, ლოდინი ვარჩიე.

მატარებელმა ხიდზე გადაიბრინა. ისეთი გრიალი ატეხა, თითქოს გადავარდნას აპირებდნო. მერე კვლავ ველებში გაიჭრა. ვაგონის ტაბლით რხევას ბორბლების თანაბარი დაგადუგი შეერწყო.

ბნელში გაუჩნებული გოგი შეირბა, ჩახველა, თითქოს სიტყვა ყელში გასჩხეროდა.

— კარგა ხანია, ერთი ამბავი მინდა გაამბო, — კოჭმანით თქვა.

ჩემმა დუმილმა გაათამაშა, წამოიწყით:

— ერთი კაცის ამბავი მინდა გაამბო... სახელს ვერ გეტყვი. უფრო იმიტომ, ზუსტი მინდა ვიყო, იმ კაცს კი თვითონაც ვერ გაუგია საკუთარი ვინაობა... თითქოსდა ერთ სხეულში ორი სული დასადგურებულა...

— რაღაც რებუსებით მელაპარაკებდი, — ხმა იმიტომ ამოვიღე, ბნელში ვერ მხედავს და არ გაჩუმდეს-მეთქი.

— ადვილად გასახსნელი რებუსია, — გულმოკლულად ამოიხორა, — სიუჟეტიც მარტივია. მსგავსი ამბავი კინოშიც ბევრჯერ გინახავს, ალბათ წიგნშიც წაგკითხავს, მაგრამ ერთი წაკითხული ან კინოში ნანახი და სულ სხვაა... საკუთარი თვლით დანახული...

კარზე დააკაკუნეს. ვაგონის გამყოფმა შემოიხედა, ჩაის ჭიქების წასალბად მოსულყო. მხიარულ გუნებაზე იყო, მაგრამ ჩაბნელებულმა კუბემ დააფრთხო, ძილი ნებისა გვისურვა და გაიძურწა. პასუხი არ გამიცია, ფიქრებით სხვაგან დაექროდი.

— საკუთარი თვლით? — უნებურად დავეკითხე.

— იმ კაცის თვლით, — ხმაში გალიზინება შეეტყო, — ხანდახან უთქმელადაც მიმიხედები, ხან კი...

— ჰო, ჰო, — შემრიგებლურად შევეპასუხე.

ჩემმა წამოძახილმა თითქოს დაამშვიდა. ხმა დაურბილდა, მაგრამ უჩვეულო სიმწარე ახლდა ყოველ სიტყვას, თითქოს გავარვარებული ნაკვერჩხლები ეჭირა და ზელს ვერ უშვებდა...

...ჭერ იყო წყვილიდის!... მეხსიერების თვალსაწიერზე თავდაპირველად ამოტივტივდა ფუმფულა, ბატის ლუნლით გატენილი ბალიში... თითქოს ხრჩოლაგდა, თეთრი კვამლი ასდიოდა... უცხად ცეცხლის ალი შემოეხვია, წამოიწია და ფანჯრის მოქარგულ ფარდებს აედევნა... მეტი არაფერი დაამახსოვრდა. არც სახლი, არც ადამიანები, არც ხმა, ოთახი, კედლები, ჭერი, იატაკი... ბალიში იწვოდა და ცეცხლის ენები ფარდას მის-



— სულსწრაფი ხარ, ყოველთვის ასე გემართებოდა, წიგნებსაც ბოლოდან კითხულობდი, — ძალდატანებით ვამეხუმრა, შიგ საყვედურის კილოც ვაუტრია.

...ამის შემდეგ ყველაფერი თითქოს ერთ დაუსრულებელ სისმრად ვადაიქცა. ბიჭუნა კვლავ ვაგონში იყო. ვაგონი მთლიანად პატარა ბავშვებს ეკავათ. ამ ლაშქარს სამი თუ ოთხი თეთრხალათიანი დალილი ქალი უვლიდა. მატარებელი ნელა მიიწედა, წამდაუწუმ ჩერდებოდა, მერე ისევ დაიძვრებოდა... ვინ იცის, რამდენ ხანს გრძელდებოდა ასე. იქნებ სულაც ერთი დღე, ან კვირა, ან თვე... ხანდახან აგუგუნდებოდა ზეცა. აკვლდებოდა ორთქლმავალი. საიდანაც მოისმოდა უწყვეტი ბათქი. შიშისაგან მოკუნტული პატარები ერთხმად იწყებდნენ სხარსხალს. დალილი ქალები ვერ აწყნარებდნენ ამდენ ბავშვს და თვითონაც მოჰყვებოდნენ მოთქმატირილს. „დედა მინდა!“ — ღნაოდა ბიჭი. „დედა მინდა!“ — აყვებოდნენ სხვებიც. საიდანაც კი ისმოდა გუგუნნი, ზათქი, გრიალი... მერე ხმაური მიწყდებოდა, მატარებელი კვლავ ამოძრავდებოდა. ბორბლების დამამშვიდებელი რაკუნი, ვაგონის ნელი ტატი თანდათან უნანავებდა და ბოლოს გადალილ ბავშვებს ძილი ჩაითრევდა... ძილი და ტირილი ვადაეჭდო ერთმანეთს... და კიდევ შიშშილი, უწყვეტად რომ წიოვდა, ძალ-ღონეს აცლიდა...

მიწაზე რომ ჩამოიყვანეს, ბიჭუნა ფეხზე ვერ დადგა. სამხრეთის პატარა ქალაქის სიწყნარე ეჩოთირა. ყურში კვლავ დაუსრულებელი გუგუნნი ედგა... გოგამ ამოიოხრა.

თითქოს დენმა გამკრა. „ბრიყვო, არამზადე!“ — შევეუკურთხე საკუთარ თავს. ჩემს მიხვედრაში ჯერაც დარწმუნებული არ ვიყავი, მაგრამ ექვეა ამაწრიალა.

სინათლე ავანთე და ჭიქურ მივაშტერდი.

ბაგეზე სედდიანი ღიმილი მიეყინა. უბებში ნამი უბრკვევიალებდა. საზე

ვასხივოსნებოდა, თითქოს ამ სეფტინულში მცირე ტვირთი მაინც ჩამოსხმულიყენებოდა.

— გოგი? — ჩურჩულით შევეკითხე.

— არაფერი ვიცი, — ყოყმანით შემეპასუხა, მერე აჩქარდა, დაუმატა, — გუჯა, ოღონდ ნუ დამცინებ. პატარაობისას, მგონი, ვიტია მერქვა.

ენა ვერ მოვაბრუნე. კისერზე ხელი ჩავავლე. შუბლით შუბლზე მივეყრდენი.

— ასე მგონია, ჯამბაზი ვარ და თოკზე წონასწორობას ვკარგავ. — ჩურჩულით განავრძო, — ჩემს თავს მილიონჯერ დავუსვი კითხვა: ვინ ხარ შენ, გოგი კანკავა? რად მიისაკუთრე სხვისი სახელი და გვარი? შენი სად დაკარგე, შე უთვისტომოვ, შენა?..

— გაჩუმდი, ჯიმა — შევებევეწე. ნათურა კვლავ გამოვრთე. კუპე უკუნში შთაინთქა.

უხმოდ, გაუხდელად წამოვწევი. სიბნელეში გოგი კარგა ხანს წრიალებდა, ვერ ისვენებდა, მერე მიყუჩდა.

მატარებელი რომელიღაც სადგურში გაჩერდა და პროექტორმა სინათლე პირდაპირ კუპეში შემოაბარჩხალა...

გოგის ეძინა...

3

არც კურსკში გავჩერებულვართ. ჩასვლისთანავე საგარეუბნო მატარებელში გადავბარგდით და ხის უბრალო სკამებზე, ფანჯარასთან, პირისპირ მოვკალათდით.

ვაგონი აივსო ათასი ჯურის ხალხითა და პაერში უწყვეტი რუზრუზი ისმოდა.

მატარებელი ნელა მიიოჩავდა, თითქოს არსად ეჩქარებოდა. წამდაუწუმ ჩერდებოდა ციკქნა ვაგზლებზე. ვაგონებს უმაღლე შემოვსეოდნენ ვაშლით, ქლიავით, მოხარშული კარტოფილითა და სიმინდით, კიტრისა და კომბოსტოს მწნილით დატვირთული დედაკაცები და იშვიათ მუშტარს ერთმანეთს ეცილებოდნენ.

გოგის იერი შეეცვალა. აქამდე ხომ სულ დეშდა, ახლა ენას არ აჩერებდა.

— იცო, გუჯა, მეშინოდა კიდეც ამის გამოძვლავნება, ვაითუ ჩვენი მეგობრობა სიმართლემ დაღუპოს-მეთქი!

— რას ამბობ, ჯიმა, — ხელი მუხლზე მოუფთათუნე. ხმაში სიყალბე ვერ შემამჩნია, თუმცა მთლად გულწრფელი არ ვიყავი. ვგრძნობდი, ტვირთი ახლა მე დამაწვა.

მზიანი დღე დადგა და ცაზე ღრუბლის ნაფლეთიც არსად ჩანდა. სამხრეთის ლურჯ ცასთან შედარებით მაინც უფრო გაყრეცილი მეჩვენა.

— რას ამბობ, ჯიმა, — სიტყვას ვზომავდი, ვცდილობდი ზედმეტი არაფერი წამოშეძენოდა, მაგრამ ვერაფრით შევუვებოდი აზრს, რომ გოგი კანკავა — ჩემი ბავშვობის მეგობარი, დეიდა ვარას შვილი, სხვა ვიღაცა... სახელიც კი სხვა აქვს — ვიტია. იქნებ ეს იყო მხოლოდ სიზმარი, ზმანება, თამაში... აი, გოგი წამით გაჩუმდება, მუჭლუგუნს გამკრავს, გადაიხარხარებს და მეტყვის: „ხომ ვაგაცურე, ჯიმა, ჰა!“

ფანჯრის მიღმა მწვანე ტყეებს ვრცელი მინდვრები ენაცვლებოდა, ანდა ახლადგათიბული ყანების ყვითელი კვადრატები. პატარა სოფლები და ქალაქები მოულოდნელად გამოეყოფოდნენ ტყეთა მწვანე მასივებს. რუსული ხატა თეთრად გამოკრათოდა ტანდაბალი ვაშლის ბაღებში.

— ერთი მითხარი, საიდან იცო, რომ ვიტია გქვია? ვითომ დაგამახსოვრდა?

სახეზე სიწითლემ გადაჰკრა, თვალი განზე წაიღო.

— პატარაობისას მეზობლის ბავშვები მაჯავრებდნენ, „ვიტ-ვიტ-ვიტ!“ — აჭოთა იხვის ჭეცს აგავხარო. ჰოდა, მეც გავიფიქრე. იქნებ ვიტია შერქვა და ამიტომაც მაჯავრებდნენ...

— ვიტ-ვიტ-ვიტ! — გავხუმრე. თავგზა ამებნა და ვცდილობდი ეს დამეფარა.

— მე შეუბნებია? — ვგრძობთა სკამზე მოკალათებულმა წვერმოშვებულმა კაცმა გაკვირვებით შემამხვდა. გამეცინა.

შეშვითებულმა წვეროს <sup>გაქცეულმა</sup> ტომარა მოიგდო და გასასვლელისაკენ გაძენჭლდა. ვერ მივხვდი რა ბზიკმა უკბინა. მისი ადგილი უმაღლე ყმაწვილმა გოგონებმა დაიკავეს. სწრაფად რატრატებდნენ და წამდაუწუმ იცინოდნენ.

— ჩავალ ერთი, რამეს ვიყიდი! — რამდენიმე წუთით მაინც მინდოდა მართო დარჩენა და ეს მოვიმიზეზე. ვაგონის კიბესთან სავაჭროდ მოსული დედაკაცები დამეხვივნენ. ცხელი კარტოფილი და კიტრის მწნილი ვიყიდე, მაგრამ უკან არ შევებრუნებულვარ. ბაქანზე ბოლოსა ვცემდი და ვცდილობდი აზრი დამელაგებინა. თავში სრული ღომხალი მჭონდა. კაცმა რომ თქვას, ისეთი რა მოხდა, ტრაგედიად მიმჩნია რა მნიშვნელობა ჰქონდა, ორი წლის კანკავს ბიჭს გოგი ერქვა თუ ვიტია. ის ხომ მაინც დეიდა ვარას ერთადერთი ვაჟიშვილი იყო... დეიდა ვარას ვახსენებამ მთლად ამბნია. ამასობაში მატარებელიც დაიძრა და კიბეზე ძლივს ავსაწარი.

ნავაჭრი გაზეთის ფურცელზე დავაწყე. სჯობდა თავი არ შემტვრია, მივეყოლოდი დინებას. ყველაფერი თავისთავად გაირკვეოდა.

— დაგვეწვიეთ, გოგონებო! — მეზობლებს მივუბრუნდი.

გოგონები გაიბუსნენ, მერე შეთანხმებულბივით აკისკისდნენ, პასუხი კი არ გამცეს.

ჩუმად შევექვიეთ. ლუკმა ყელზე მადგებოდა. რატომღაც ბოღმა მომაწვა, მოვიწყინე.

— საით მივეყავართ ამ მატარებელს? — სრული უფლება მქონდა ეს კითხვა დამესვა.

გოგამ უხმოდ გამომიწოდა ქალაღის ნაგლეჯი. ზედ ეწერა: „სოფელი ჩისტოპოლიე, პეტრ ნიკოლაევიჩ ვოროპანოვი“.

— ვინ არის?

მხრები გაურკვეველად აიჩეჩა. ალბათ მეტი იცოდა, მაგრამ ვარაუდებს თავი აარიდა. ფანჯრისკენ მიბრუნდა, ენაზე კლიტე დაიდო.

მეც დაუღუმი. ვაგონში თავშეყრილ

ხალხს ვათვალისწინებდი. პროფესია ადამიანზე დაღს ასვამს. უმთავრესად კოლმეურნეები უნდა ყოფილიყვნენ. სახე-დაღარული, კისერჩაყანგებული მამაკაცები წეკოს ეწეოდნენ; ფაშფაშა, დედაყვები ზმამალა ყაყანებდნენ. მეზობელ სკაშზე გოგონები ჩემად პუტუნებდნენ. ერთი ზორბლისფერი ასული ზანდაზან აქეთ გამოიხედავდა და მეც თვალი გავუსწორე. ყურადღება შემინიშნა, ლოყები აუღვივდა, თავი კეკლუცად გადახარა.

ფიჭი კვლავ შემომიბრუნდა. დეიდა ვარას გახსენება სულს მიწიწვნიდა. თითქოს ჯერაც ცოცხალი იყო და მის წინაშე პასუხი უნდა მეგო. თავის გასამართლებელი სიტყვები კი ვერა და ვერ მოვიგონე. „ცხოვრება რთულია, დეიდა ვარა, უნდა შეეგუოთ!“ — არაფრის-მთქმელ სიტყვებს ვაქიჩმარებდი, ის კი არ ვიცოდი, როგორ უნდა შევგუებოდა დეიდა ვარა ყოველივე ამას.

— მალე ჩავდივართ! — გოგის სიტყვებმა გამომაფხიზლა. ზორბლისფერი ასულის მზერას თვალი შეევსწარი. გაბუტული მეჩვენა. მესიამოვნა. არც ისე პატარა გახლდით, ეგეთი გოგონების მოწონება არაფრად ჩამეგდო. გულზე შემოწოლილი დარდი გამეფანტა. გოგონამ მზერა ამარიდა და ისევე ძველებურად აქეკიკდა. მისმა ამხანაგებმა გაიციენს.

— რა მოგივიდა, ჩავდივართ უკვე! — გოგი გასასვლელისაკენ გაექანა. გულდაწყვეტილმა გოგონას ხელი დაეუქნიე და წამოვედი. შევამჩნიე, სახეზე ღიმილი წარეშალა. „ეჰ, მართლაც დავბერდი, რა დროს ეგეთებია!“ — თავს ნაძაღვევად ვიჭილკებდი.

პაწია სადგურზე ჩამოვედი. სახელწოდების მაგიერ რიცხვიდა ეწერა: „45-ე გადასარბენი“.

გოგი თამამად წამიძღვა. სადგურისწინა მოედანზე ავტობუსი იცდიდა. „უხუტრე შენ, ამას ყველაფერი წინასწარ გამოუჩხრეკია...“ — ვიცოდი, ამ მხარეში პირველად ჩამოვიდა, ცენტრალურ რუსეთში მოსკოვს გარეთ არსად

უმოგზაურია და ამიტომ ალბათ წინასწარ გაარკვია ყოველი გზა და ბილიკი. „სინხლში აქვს პედანტობა!“ — მოულოდნელად დავძინე. შემრცხვა. დეიდა ვარას არაფერი ეცხო პედანტობისა. თვითონ მე, მინდოდა თუ არ მინდოდა, დათქმულ პაემანზე ორი საათით მაინც ვიგვიანებდი. გოგი კი გერმანელივით წამს არ გადააცდენდა. ეს მალიზიანებდა კიდევ და ერთხელ გავეხუმრე, რა არაქართველივით ზუსტი ხარ-მეთქი. რა ვიცოდი, უნებლიედ გული რომ ვატყინე.

სამანქანო გზამ გადაკვეთა ორი თუ სამი სოფელი და ჩამოვედი.

— აქედან ახლოსაა, — გულდაჭერებით მითხრა გოგიმ, როცა ავტობუსი მტერის კორიანტელში გაუჩინარდა.

— ეს „ახლოს“ ერთი ათი კილომეტრი მაინც ხომ იქნება?

— კი, ათ კილომეტრამდე იქნება.

გზა გავიკითხეთ და ბილიკს დაეადექით. იგი ვრცელ მინდვრებსა და ტყის ნათელ კორომებში გადიოდა.

მზემ მალა იაწია. გამჭვირვალე პაერი ლივლივით ევლებოდა მწვანე სანახებს.

მომცრო ზორცხზე ავედი. წვეროზე წყვილი არყის ხე ჩუმად ამრიალებდა ნახ ფოთლებს.

აქედან ფართო პანორამა იშლებოდა. სოფელი გასდევდა ფართოდ გაშლილი სემის ნაპირს. ვალმა კი ვრცელ სათიბებს ტყის ზოლი ენაცვლებოდა. ტყის თავზე გაქიმულ ბეჭობზე ათიოდე თეთრი ქოზი ჩამომწერივებულოყო.

— აგერ ჩისტობოლიე! — იმ ციკქნა სოფელზე მიმითთა გოგიმ. ხმა ებზარებოდა და ჩემოდანს ნერვულად ატოკებდა.

— ეჰ, დეიდა ვარას რომ სცოდნოდა... — უნებლიედ დამცდა. დეიდა ვარას სათნო ღიმილი წარმომიდგა და ეს გახსენება მტანჯავდა.

გოგის სახე მოედრებოდა. სიფითრემ გადაქრა. მკლავზე ხელი მტაცა.

— გუჯა, თუ ძმა ხარ... — თავს მოე-

რია, უფრო მშვიდად გააგრძელა, — ცი-  
რა, დაგავიწყდა რამდენი წლის ვარ?

— რა შუაშია?

— იმ შუაშია, რომ ეს მისამართი  
ხუთი წელია გიხმში მიდევს... ხუთი წე-  
ლია ის კაცი მელოდებდა, იქნებ ცოცხა-  
ლი აღარც დამხედვს... დედის სიყვარუ-  
ლმა და რიღმა გამაჩერა... დედა ისე  
მიიცივალა, ბოლომდე სწამდა, რომ მე  
აღარაფერი მახსოვდა. მეც ვდევნიდი  
მოგონებებს, შანთით ვძირკვავდი. ვიძა-  
ხდი, ხალხო, ქართველი ვარ და აი ეს  
კეთილი ქალი, დეიდა ვარას რომ ეძა-  
ხით, დედაჩემია, ჩემი ერთადერთი  
მშობელია, მე სხვა მშობელი არ მყო-  
ლია... წარსულის ის მოჩვენება კი მა-  
ინც მღრღნიდა და მღრღნიდა... ვერ და-  
ვიფიწყე!

...ვაგონიდან რომ ჩამოვიდა, ბიჭის  
ფეხქვეშ მიწა შეტორტმანდა. ყურებში  
კვლავ ზათქი და გუგუნე იდგა... მერე  
არაერთხელ უცდია მეხსიერებაში აღე-  
დგინა იმეამინდელი სურათები, მაგრამ  
დეტალები უცვლად ამოიშალა... თეთრი  
ოთახები და დერეფნები დაამახსოვრ-  
და... იქნებ საავადმყოფო იყო, ან ბავ-  
შეთა სახლი... ვერ გაიხსენა, როგორ  
მოხვდა აქ... თეთრხალათიანი ქალები  
დასტრიალებდნენ თავზე. მათ ფაფუკ  
ხელებს მანანის ფაფის სუნი სდიოდა  
და ყოველი მათგანი დედა ეგონა... მაგ-  
რამ არც ერთი არ იყო დედა, კეთილი  
ღმილი იმ ფაფასავით ყველას თანაბ-  
რად ეფიქნებოდა და ბიჭს ის ნამცეცი  
სხივი გულს ვერ უთბობდა...

მდინარის მხრიდან გრილმა ნიავმა  
დაპებრა, სახეზე მომელამუნა... გამახ-  
სენდა, აქ ვადიოდა კურსკის რკალის  
სისხლიანი ბრძოლები. აუჩქარებლად  
ჩამოვეშვით ბორცვიდან და ის წყვილი  
არყის ხე ახლა ცის ფონზე ორი წერწე-  
ტა ტოტივით გამოიკვეთა.

...მერე ის დღე! მეხსიერებაში ისეთი  
მკვეთი ფერებით ჩაიკვდა, ნაჯახითაც  
ვერავინ ამოჩეხავდა. არა და, ჩვეულებ-  
რივი დღე იყო. მზეც კი არ ათბობდა.  
არც წვიმდა. ზეცას თეთრი, გაცრეცი-

ლი ნისლი ეფინა და პალატის მჭრელობის  
სინათლე იდგა. ნასადილევის შევდარი  
საათი ზოზონით ითვლიდა მოსაწყევნ წა-  
მებს. ბიჭს არ ეძინებოდა. ბალიშში  
თავჩარგული ცალი თვალით ფანჯრის-  
კენ იჭვრიტებოდა. იქ ცის ნაჭერი მო-  
ჩანდა. თითქოს ნისლის ფარდა გახიო,  
ლურჯი ნაპრალი დააჩნდა ცას. იმ ნაპ-  
რალიდან მზემ გამოაშუქა და პალატაში  
უპარავი ათინათი ბაჭიებივით ახტუნავ-  
და.

ბიჭმა თავი წამოსწია. პალატაში ათი-  
ოდე სხვა საწოლი იდგა. იმ საწოლებ-  
ზეც ბავშვები იწვნენ და არ ეძინათ.  
ოღონდაც ძიძისა ერიდებოდათ და ბა-  
ლიშიდან თავი არ წამოუწევიათ.

კარს გაიღო. ძიძა გამოჩნდა. ბიჭი  
ვაიტრუნა, თავი მოიმძინარა. ქუთუთო-  
ები ოდნავ გაეხსნა და ისე უთვალთვა-  
ლებდა.

ძიძას უცხო ქალი შემოჰყვა. ტანზე  
ძაძები ემოსა, სანდომიან სახეზე თეთრი  
ნათელი ეფინა და ბიჭუნას გული ერთი  
მუქა გაუხსდა.

„იქნებ ჩემი დედა ხარ?“ — ყველა  
ქალს ამას ეკითხებოდა, მაგრამ მხო-  
ლოდ ფიქრში, რადგან ხმის ამოღებას  
ვერ ბედავდა.

ძაძებიანმა მანდილოსანმა საწოლე-  
ბის რიგს ჩამოუარა. სახეზე აშკარა და-  
ბნეულობა ეხატა და მორიგე ძიძის ტუ-  
ტუნი ალბათ არც ესმოდა.

აქრატუნდა ზამზარები. თმაგადახოტ-  
რილი თავები მოუსვენრად ატოკდნენ  
ბალიშებზე. ცნობისწადილით, მუდარ-  
ით, შიშით, დარდით აღსავსე თვლები  
პალატის ყოველი კუთხიდან მისჩერე-  
ბოდა ძაძებიანს და ქალს ხელები უთრ-  
თოდა. ეს კარგად შენიშნა ბიჭმა. თვი-  
თონაც შიშით მოკუნტული იწვა, იმედი  
და უიმედობა ელვისურაფესად ენა-  
ცვლებოდა ერთმანეთს.

მანდილოსანი მეზობელ საწოლთან  
შეყოვნდა. იქ ნოღაცხვირა ბიჭუნა წა-  
მომჭდარიყო, დამფრთხალი აცეცებდა  
ლურჯ თვლებს.

„იქნებ ეს წავიყვანო?“ — ჩუმად, ყო-  
ყმინით ჩაიოთხა მორიგე ძიძას.

მესამე საწოლზე უმაღლე წამოიწია ბიჭივით თავგადაპარსულმა, სასკოლო ასაკის გოგონამ. უსიტყვოდ გადაავლო საბანი, ნოღაცხვირა ბიჭუნას შეუძვრა და ჩაეხუტა.

„ეს ჩემი ძამიკოა, არ ვაგატანთ!“ — მძულვარედ ვაკვსა იმ ბიჭუნასავით ლურჯი თვალები.

მანდილოსანი შეცბა, უკან დაიხია, ხელები დაბნეულად გაასავსავა.

ეს იყო და, აქამდე შიშით მოკუნტულ ბიჭს თითქოს უბიძგესო, საწოლიდან წამოფრინდა, ხელები ვაშალა და იწივლა:

„მე წამიყვანეთ! მე წამიყვანეთ!“

ხმა ჩაუწყდა, ტირილი წასკდა.

მანდილოსანმა ხელი შეაგება და თვითონაც აქეთინებულმა ყელზე შემოჭდობილი ბიჭი პალატიდან გაიყვანა...

— იცი? იმ წელს დედას ზუსტად ჩემი ასაკის გოგი მოუყვდა. მის სანაცვლოდ მომიყვანა... მერე ომიდან ის კაცი მობრუნდა, ვის გვარსაც ვატარებ... ვაჟიშვილის სანაცვლოდ სხვა ბიჭი რომ დინახა, გადაირია... მიგვატოვა... მახსოვს, ერთი-ორჯერ გზაზე შემხვდა. დიდხანს მიყურებდა შორიდან. მეშინოდა და გავრბოდი... ერთხელ დამიჭირა, მომეფერა, მაგრამ თავს ვერ დასძლია და სულ წაივდა... იმას ახლა სხვა ოჯახი აქვს და შვილებიც ბლომად ახვევია... დედაჩემი მაშინ ჯერაც ახალგაზრდა და ლამაზი ქალი იყო, მაგრამ...

ხელი დარდიანად ჩაიქნია და გაჩემდა.

ბილიკმა სოფლის ორღობეში გაგვიყვანა. ბატების მწკრივმა გზა დინჯი ყოყინით გადაგვიჭრა. სახლებს მიღმა ლაპლაპებდა მდორე და წყნარი სეიმი...

## 4

მზის მცხუნვარებამ საგრძნობლად იმატა. თავდაპირველად მტვრიან ორღობეში ძე ხორციელი ვერ ვიპოვეთ. პატარა, კოხტა ქოხებიდან ხმა არ ისმოდა, თითქოს მთელი სოფელი სადღაც გაკრეფილიყო. ერთგან კარი აჭრიალდა.

ვაურკვეველი ასაკის დედაკაცი და და სარკმლის ქვეშ დაგდებულ მზე მზეს მიეფიცხა. შევეკითხე, სეიმზე როგორ გადავცუროთ-მეთქი. მიგვასწავლა, აი იმ სახლში ღიზავეტა პეტროვნა იკითხეთ, ხალხი იმას გადაპყავს ორ შაურადო.

ხაზოდან საუცხოო სანახაობა იშლებოდა. სეიმს უზარმაზარი რკალი შემოეხაზა ზანტად. თითქოს ოდნავადაც არ იძროდა. ფართოდ ვაშლილიყო, ავესო ნახევარი ცისქვეშეთი. კუნძულების წყება კუს ბაკნებივით ჩამოპყლოდა კალაპოტს.

— იფ, გაი სათევზაო ადგილია! — კმაყოფილებით წამოვიძახე. სათევზაოც კარგი იქნებოდა და სანადიროც, რადგან ვრცელ სათიბებში ალბათ მწყერი იბუდებდა.

ტყის თავზე, მაღალი სერის გასწვრივ მიცუტქნული ჩისტოპოლიე კი სწორედ რომ წმინდა რამედ ჩანდა გამქვირვალე პაერში.

ღიზავეტა პეტროვნა ერთი ძვალ-მსხვილი ქალი აღმოჩნდა. ხმა მამაკაცივით ბოხი ჰქონდა, მკლავები მძიმე წონის მოკრივეს მიუგავდა და ნიჩაბიც მამაკაცივით ეჭირა. ცოტათი შემეშინდა კიდევ, ამ ციციქნა ნაეში რომ ჩალაჯუნდეს, ფსკერზე აღმოვჩნდებით-მეთქი, მაგრამ ნაემა სამივეს ვაგვიძლო. ღიზავეტა პეტროვნა ეტყობა იშვიათი მგზავრის მოლოდინში ამ ხაზოზე გამოყრუვდა და ახლა ენა ეფხანებოდა. წუთში ჩამოგვიკაკლა თავისი ცხოვრების წვრილმანები: ქმარი მყავს, წიწილაზე მეტი არც იქნება, რომ მოვიწოდო, მივხარხოზ, მაგრამ ქმარი ქმარია და ქალი არ უნდა აუჯანყდესო; ამ ადგილას ჯერ კიდევ ჩემს პაპისპაპას გადაპყავდა მგზავრები, იქნებ თვით დიდი პეტრეც ჩემმა წინაპარმა გადაიყვანა, რადგან მის შემდეგ მამაკაცის შტოს თითო წარმომადგენელს მაინც პეტრე ჰქვიაო; სეიმზე მგზავრის გადაყვანა ორი შაური ღირს, მაგრამ თუ ზურდა არა ვაქვთ, აუცილებელი არც არის, სოფლის საბჭომ ბილეთები არ გამომიწერა და ამ

ხერდას თავში ხომ არ ვიხლიო... შუა წყალმდე არც ვიყავით მიღწეული, მთელი სოფლის ამბავი წვრილად ვიცოდით.

— ხატულა მტრედებო, ვინა ხართ და სად მიდიხართ? — ახლა ჩვენ ვადმოგვწვდა ლიზავეტა პეტროვნა, თან ნიჩაბი ხელიდან ხელში გადაინაცვლა და ცივი წვეთები გადმოგვასხურა.

— ისე, მგზავრები ვართ, — ცალყბად შევეპასუხე.

— ჰი, მგზავრები! რაღაც არ გავხართ ტურისტებს. ქართველები ხართ უთუოდ!

— როგორ მიხვდით? — ვითომ გავიოცე. ჩვენი აქცენტის პატრონები სადაურობას ვერც დავმაღავდით.

— ჰი, ბევრი კი არ დადის თქვენისთანა შევტუხა.

გამეცინა. კაცმა რომ თქვას, გოგი კი იყო შევტუხა, მაგრამ ჩემზე თეთრი რაღაც არაფერს შემხვედრია აქეთკენ.

— ლიზავეტა პეტროვნა, აღბათ იმასაც ადვილად მიხვდებოდით, თუ ვისთან მივდივართ?

— ამას რა მიხვედრა უნდა, მაგას ლენჩიკ მიხვდება. ჰი, — ლიზავეტა პეტროვნამ ნიჩაბი ისე ღონივრად მოუსვა, კონაღამ გადაგვაცირა.

— ნელა, ლიზავეტა პეტროვნა, ცურვაში ვერა ვარ გაწაფული, — გავაფრთხილე.

— ნუ გეშინია, ხატულა მტრედო, არ დაგახრჩობ, — დამამიმედა, — ვოროპანოვების სტუმარი იქნებით, არა?

გოგი ყურს ჩუქმად გვიგდებდა. აქამდე სახეზე სრული გულგრილობა ეხატა, ახლა გაოცებით შემომხედა.

— მაგას რა მიხვედრა უნდა? — გაიმეორა ლიზავეტა პეტროვნამ, — პეტრ ნიკოლაიჩი ჩემი ახლობელია...

ყური ვეჭვირებ.

— ისე როგორი კაცია?

— ეგეთი კაცი მეორე არაა. დედაკაცების ნათქვამს ყურს ნუ დაუვდებთ. დედაკაცს ჰკუა არ მოეციტებდა. შერეკილიო, გაიძაპიან. მე თუ მკითხეთ, შერეკილი კი არა, უბედურია...

გოგი მოიკუნტა, თავი ჩაქრწვდა ტყობდი, იტანჯებოდა. გავუჯავრდი. ქართულად გადავულაპარაკე:

— რა მოგივიდა? დედაკაცის რატარატს რა ფასი აქვს!

ჩემი ნათქვამი თითქოს არც გაუგონია, ქალს მიუბრუნდა:

— ლიზავეტა პეტროვნა, რატომაა შერეკილი?

ქალმა ნიჩაბი მუხლზე დაიდო. ნავი მსუბუქი ტორტმანით შეყოვნდა.

— მოგცლიათ ერთი, ჭორს თუ აყევით...

— მაინც, მაინც?

— ომი რომ დამთავრდა, პატარა გოგო ვიყავი. მეც იქ ვცხოვრობდი, ჩისტოპოლიეში... შერე აქეთ გამოვთხოვდი. ცხონებული პირველი ქმარი ეგეთი ჭილყავი კი არ იყო, ახლა რომ მყავს... ხარივით კაცი იყო, არაყსაც ხარივით სვამდა და ამ ნაფიდან გადავარდა, გადავარდა და გათავებული ამოვიყვანეთ... შერე გავთხოვდი ამ ჭილყავზე, ვერ გავძელი, მწარეა ქვრივის ხვედრი...

— ლიზავეტა პეტროვნა... — მუდართით შეაწყვეტინა გოგამ.

— აჰ, სულ არ დამაფიწყებ? დავბერდი და ესაა, ერთს ვიწყებ და მეორეს ვაგრძელებ... მანამდე იქ ვცხოვრობდი, ჩისტოპოლიეში. ჩემი სახლის ფანჯარა ლიდა ვოროპანოვას ეზოში გადიოდა. ახლაც კარგი მეგობრები ვართ მე და ლიდა ნიკოლაევნა. ოღონდ ესაა, მე გავთხოვდი, ის კი სევგამწარებული ისე დაბერდა, მთლად თავის ძმას გადაეგო, მაგრამ რად გინდა...

ლიზავეტა პეტროვნამ ნიჩაბი კვლავ წყალს მოუსვა. ნელა მიეუახლოვდით ნაპირს. გოგი მიჭედლივით იქდა და ნაპირზე გადასვლას არც აპირებდა.

— შერე ჩამოვიდა პეტრ ნიკოლაიჩი...

...პეტრ ნიკოლაიჩი ცალ ყავარჯენზე დაყრდნობილი ჩამოვიდა... ჯიბეში ხახვის თავი და ორასი ვრამი შავი პური ედო. უნდა გამოეზოგა. არც ისე შორი გზა ედო სოფლამდე, მაგრამ პეტრ ნიკოლაიჩის ტანზე ცოცხალი ადგილი არ

შერჩენოდა და სიარული უჭირდა. გამარჯვების ბოლო დღეს ნაღმს წააწყდა და ისე იყო გადაღებული, მკედრების სიაში ჩარიცხეს. პოსპიტლის თეთრ პალატაში შემოსული ექიმი ყოველ დილას კითხულობდა: „ეს კიდევ ცოცხალია?“ პეტრ ნიკოლაიჩი კი სიკვდილს არ აპირებდა. შემდგომ თავის დას ლიდია ნიკოლაიენას გამოუტყდა, ცოცხალი ამიტომ დაერჩია, ჩემი დუნიაშა ერთხელ კიდევ მინდოდა მენახაო. მისი სახლი პროვინციულ ქალაქში იყო, აქედან ორმოცდაათ კილომეტრზე. როგორც კი ფეხზე წამოდგა, მთავარ ექიმს უთხრა, ჩემი მკურნალი ჩემი დუნიაშაა, შინ გამიშვით, თორემ თავს არ ვიცოცხლებო. მთავარი ექიმი ერთი დაღლილი ბერიკაცი იყო. სხვის ამგვარ სიტყვებს ალბათ ყურსაც არ მიაპყრობდა, მაგრამ პეტრ ნიკოლაიჩმა ისეთი კილოთი თქვა, ბერიკაცმა ქუთუთოები შეხსნა, ყურადღებით შეხედა და შეიგინა: „ემშაკმა წავილოს, სიკვდილის ხაროდან ძლივს ამოგათრიე, აიღე სამი დღის ულუფა და აქედან მოუსვი. გზაში თუ ჩაძაღლი, შენ თავს დააბრალო!“ პეტრ ნიკოლაიჩმა მიიღო სამი დღის ულუფა და წამოვიდა. ალბათ მართლაც ჩაძაღლდებოდა, მაგრამ დუნიაშაზე ფიქრი აძლედა ძალას და ამიტომაც გაუძლო ჯოჯოხეთურ ტყვილებს. მთელ გზაზე რომ ღრწიდა. ბოლო ასი ნაბიჯი ძალიან გაუჭირდა. ამ მუდრეგმა ფეხებმა ხომ სასახურზე მთლად უარი უთხრეს, ისე აბიჯებდა, თითქოს შიშველ ფეხისგულებს მინის ნამსხვრევებზე ადგამდა. პეტრ ნიკოლაიჩი ყოველი ათი ნაბიჯის შემდეგ ტროტუარის პირას ჯდებოდა და ისევ და ისევ იმეორებდა ერთსა და იმავე ფრაზებს, მეუღლისათვის რომ უნდა ეთქვა: „დუნეკა, შე ოხერო, როგორ გაატარე ეს დრო უჩემოდ? რქები ხომ არ დამადგი ჩემს არყოფნაში? ვიტყვი ხომ მოუარე, როგორც საჭიროა? ქალაქუნა გამიზარდე თუ მამაცი მეომა-რი?..“ ამას იქით აზრი ვერ მიდიოდა და კვლავ თავიდანვე იწყებდა: „დუნეკა, შე ოხერო...“ ამასობაში კრიკანგი მეზობ-

ლის მაღალ ღობეს მიადგა. მისი გეგმა კაცი ვერ გადაიხედავდა და პეტრ ნიკოლაიჩმა შეუკურთხა, ღობე მეფარება და ჩემს ქოხს იმიტომაც ვერ ვხედავო...

— ეხეჰე... — ლიზავეტა პეტროვნას მოუსვენრობა დაეტყო. აწი ჩემი ჭილყავივით ქმარი მომაკითხავს და თუ შნი არ ჩავახეთქე, შეიძლება მიმბეგვოს კიდევო, მაგრამ ეს რა დასაჯერებელი იყო. გოგის თითქოს არ გაუგონიაო, კვლავ ნაფში იჭდა, მე კი გამომოხტი და ნაპირზე ველოდებოდი, — ეხეჰე, კაცის ბედს რა ვუთხარი... პეტრ ნიკოლაიჩი ცალ ყვარჯენზე დაყრდნობილი ჩამოვიდა, ჯიბეში ხახვის თავი და ორასი გრამი შავი პური ედო.

აბა სად უნდა წასულიყო?.. მაშინ კი იმ ღობეს ვასცდა და მოკვდა კაცი. ტყვილები, მთელ გზაზე რომ წიწკნიდა, უცბად გაუქრა. ხელ-ფეხი დაუბრუედა და ყოველგვარი შეგრძნება დაკარგა. არ ეგონა, თუ გონი დაუბრუნდებოდა. მართლაც ძაღლია ადამიანი. თუმცა რა, ძაღლიც ვერ გაუძლებდა ამდენს და სული იქვე გასძვრებოდა. მაგრამ პეტრ ნიკოლაიჩმა გაუძლო. წაქცევივითაც არ წაქცეულა, ცრემლიც კი არ დასცდენია. ალბათ ნახევარი საათი მანც იდგა ასე. მერე ჭრილობებმა შეასხნეს თავი და ამით მიხვდა, ჯერაც ცოცხალი იყო. სალი თვალით შეხედა იმას, რაც ოდესღაც მისი თეთრი ხატა იყო, წინ ორიოდე ძირი ალუბალი, მწირი ყვავილები და რამდენიმე მზესუმზირაც ხარობდა, ახლა კი ყველაფერი ეს ღორების ტლაპოდ გადაქცეულიყო. პეტრ ნიკოლაიჩი ნელა შებრუნდა. კრიკანგი მეზობლის მაღალ ჭიშკარს მიადგა, დააბრაუნა. ფაშვანაშა დედაკაცმა გამოიხედა, შინ არ შეუპატეებია, ლოყაზე ხელი სიმწრით იტკიცა და მანდილის წვერი თვალში ამოისვა. „დაიხოცენ?“ — მხოლოდ ეს იკითხა პეტრ ნიკოლაიჩმა. „წავიდნენ, მეზობელო, წავიდნენ, გაოხრდა თქვენი სახლი და ლიდია ნიკოლაიენასთან წავიდნენ...“ თითქოს საფლავიდან წამოდგა პეტრ ნიკოლაიჩი, გამოცოცხლდა, უზარმაზარი იმედი ჩაუგუბდა გულში.

მწარედ ასტივდა უამრავი ჭრილობა და მადლობის ნიშნად თავი მიწამდე დაუკრა შემეცბარ ქალს...

— აქეთ გამოეშურა პეტრ ნიკოლაინი. აბა, სად უნდა წასულიყო? აქ, ჩისტობოლიეში ეგულვებოდა თავისი და ლიდია ნიკოლაევნა. კაცი იმედით ცოცხლობსო, იმედს მოჰყავდა აქეთკენ...

სადგურიდან მაშინ ავტობუსი როდი დადიოდა, არც მოასფალტებული გზა იყო სადმე მთელ ამ მხარეში. ნაწვიმარზე სახიდრების მიერ აზელილი თათნით შვე ზოლად ჰყოფდა ნახანებებს და, სანამ პეტრ ნიკოლაიჩმა გადასასვლელამდე მიაღწია, ჩექმებს ძირები გასძვრა. ოპო! ახლა რა, ახლა ავტობუსი მთელ გზას ორ საათში გაიბრუნეს. პეტრ ნიკოლაიჩს კი ნახევარ გზაზე დაუღამდა. აქედან თხუთმეტ კილომეტრზე ერთი გადამწვარი ხუტორია, იქ წყლით გაფიქნებულ ჩალაბულაში ათია ღამე. სცივისაგან ამაგაგებდა. იქნებ ვერც მიეტანა დიღამდე, მაგრამ კაცს განა მარტო ცეცხლი ათბობს... ის თხუთმეტი კილომეტრი მთლად ფორთხვით გაიარაო, რომ ვთქვა, მართალი არ იქნება, მაგრამ ოცჯერ მაინც ჩაემხო ტალახში... ტიროდა, ივინებოდა, კბილებს აკრაქუნებდა... ასე და ამრიგად მოაღწია სვიმის პირა ხაზომდე. ღიზავებდა პეტროვნას პირველმა მამამთილმა პაპა სტიოპამ დაინახა ტალახში ჩაეარდნილი კაცი... „ღმერთი არ გასწირავს თავის გაჩენილს“, — პირვეარი გადაიწერა და ლაფში ამოთხვრილი კაცი წამოაყენა, გადაბრუნებულ ნაწებ დასვა. ცნობით რას იცნობდა, მაგრამ შეეცოდა. ჯიბეში ბოთლი ედო, შიგ ერთი ყლუბი კარტოფლის არაყი ესხა და ის გადაახუხა. პეტრ ნიკოლაიჩმა მოიხედა. პურის ქერქი და ნახევარი ხახვი ამოიღო. პაპა სტიოპას უარს არ უთქვამს და გემრიელად ჩაახარა მუნეს. მერე პაპა სტიოპამ ჯიბიდან წყლის ნაფხვენეები ამოიფხვია, გაზეთის ციკქნა ნავლეჯში ვახვია და ორთავემ რიგრიგობით გააბოლეს. მაშინღა ამთიღო ხმა პეტრ ნიკოლაიჩმა: „ვერ

მიცანიო, პაპა სტიოპა?“  
 გიციანი, კაი კაცო, გიციანი, მაშ!“ — უწარბო ქუთუთოები მოჭურტა პაპა სტიოპამ. „ვოროპანოვი ვარ მე, პეტრ ნიკოლაიჩი, ლიდია ნიკოლაევნას ძმა“. „პო, ახლა კი გამახსენდი!“ — თავი დააქიცინა პაპა სტიოპამ. ვერა ცნობდა ბერიკაცი და პეტრ ნიკოლაიჩმა არაფერი ჰკითხა. „გაღმა გამიყვანე პაპა სტიოპა!“ — ესლა სთხოვა, „გავიყვან, აბა არ გავიყვან?“ — დაფაცურდა პაპა სტიოპა. პეტრ ნიკოლაიჩი ამ ნაპირზე გადმოვიდა...

— არც ჩვენ გვიცხოვრია მოლხენით, — მოიღუშა ღიზავებდა პეტროვნა, — ბალახ-ბულახსა და ქერქსა ვკვამლით, აბა ესაა ცხოვრება?

ბეჭობზე ციკქნა კაცი გადმოდგა და მუშტი მოგვიღერა.

— ღიზავებდა, ძუენავ, ამ წუთას აქ გაჩნდი! — ხმა ისეთი ჰქონდა, ბაყბაყდვეი ვეგონებოდათ.

— ახლავე, ახლავე, ვანიუშა, ოღონდ არ ინერვიულო! — დაფაცურდა ღიზავებდა პეტროვნა, — დანარჩენს სხვა დროს მოგიყვებით, ხატულა მტრედებო. ისე, ლიდია ნიკოლაევნამ ჩემზე უკეთ იცის ყოველივე... აბა, აბა, მშვიდობით მენახეთ...

გოგი უხმოდ წამოდგა და გადმოხტა. ღიზავებდა პეტროვნამ სასაცილო ფაციფუცით გააცურა ნაეი თავისი ჩია მეუღლისაკენ და მხოლოდ მაშინ მოგვამახა:

— გზა არ აგებნეთ, ხატულა მტრედებო! ტყიდან რომ გახვალთ, ბოლოდან მესამე სახლი ვოროპანოვებისა! ხელი დაეჭქნიე და მდინარეს ზურგი შევაჭქიე.

გოგი ადგილზე გახვევებულიყო. ფიქრიანი თვალებით გაჰყურებდა ნაეს. ბაგეები მთლად გასთეთრებოდა.

— გამაგრდი, ჯიმა, ქალაჩუნასავით ნუ იქცევი! — ბეჭზე ხელი დაეკარა.

— ფეხები არ შემორჩილებო, — თავს ძალა დაატანა, გამიღიმა, — არ ვიცი როგორ მოვიქცე. იქნებ უკან დაებრუნდეთ...

— იქ მივიდეთ და ვნახოთ, როგორ აჯობებს! — ყოჩაღად წარმოვთქვი, მაგრამ ლიზავეტა პეტროვნას ნაამბობმა მეც მოსვენება დამიკარგა. მინდოდა ვინმე ენაწყლიანს გადავყროდი, რათა დანარჩენი ამბებიც ჩამოეკაკლა.

გოგი უსიტყვოდ შებრუნდა და ბილიკს დაუყვა. მუხლამდე ბალახი იდგა. ალბათ ამ მხარეში მუშახელი ჭირდა, მხოლოდ აქა-იქ მოეთიბათ. მინდვრის კიდეზე ჭრელმანდილიანი ქალები დავლანდე, თივას აბინავებდნენ, ბილიკზე კი არავინ შეგვხვედრია. გოგის უხმოდ ვაკვირდებოდი. აშკარად ვხედავდი, როგორ თანდათან იხრებოდა ბეჭებში და კუზიანს დაემსგავსა. სათიბებს ნესტიანი თხმელნარი ესაზღვრებოდა და ბილიკი საქონლის ჩლიქებს აეზილა. გოგი ტალახს ვერც ამჩნევდა და პირდაპირ მიიბოტებდა... მღელვარება მეც უფრო და უფრო მიპყრობდა. სინდისის ქენჯნა მაწუხებდა, თითქოს დეიდა ვარას წმინდა ხსოვნას ვლაღატობდი, მაგრამ აქამდე უცნობი პეტრ ნიკოლაიჩიკ მებრალეობდა, უბრალო ჯარისკაცი, საკუთარ კერასთა რომ მიბრუნდა და სიკვდილი დაინახა.

ტყეც მალე მოთავდა, ბექობზე შეუმჩნევლად ავალწიეთ. პატარა სოფლის ერთადერთ ორღობეში გავედით. ბოლოდან მესამედ იდგა თეთრი, გაქათმებული სახლი, რომლის ჩუქურთმებიანი დარბები ლურჯად შეეღებათ, ფანჯრებზე კი შინაბერას მოქარგული ტილოს ფარდები ეკიდა...

5

ეზოს მაღალი ღობე ერტყა და ქუქურტანებს ტანდაბალი და ჯერაც მსხმოიარე ალუბლები ეფარებოდა. ჭიშკარზე დავბრახუნე. არავის გამოუხედილა. საკეტი გადავწიე და შევალე. შუახანს გადაცილებული ქალი ახლადგარეცხილ ზეწრებს თოკზე ჰფენდა. ალბათ ყურს აკლდა, თორემ ბრახუნს და ჭიშკრის ჭრიალს როგორ ვერ გაიგონებდა. ეზოში თამამად შევაბიჯე. გოგიც გამოვიყლოე. ამას იმერტომ ვამბობ, ხელი რომ

არ ჩამეველო, ალბათ კარს გაღმე დაწინებოდა. ახლაც ბავშვივით ანგარიშმიუცემლად მიძალიანდებოდა.

ქალმა ჩვენსკენ მოიხედა და... ხმის ამოღება ვერ მოვასწარი. სველი ზეწარი მიწაზე დაუვარდა და თვითონაც იქვე ჩაჯდა. წამით დავიბენი, მერე გონს მოვედი, ქალთან მივიჭერი, წამოყენება ვსცადე. ქალმა სასოებით ამომხედა, მოულოდნელად ხელზე მაკოცა და წაიჭურჩულა:

— ღმერთო ჩემო, ვიტკა!

ხელი ცივად ვუშვი. ცხადია, ეს იყო ლიდია ნიკოლაევნა.

— შე ვიტკა კი არა, გუჯა გობეჩია ვარ. თქვენი ვიტკა ეს ვაყბატონი ვახლავთ! — ნაძალადევი მზიარულებით განვეუმარტე.

ლიდია ნიკოლაევნამ ვაკვირებით ახედა ადგილზე გაშტერებულ გოგის, თვალეში შიში, დაბნეულობა, წრიალი ჩაუდგა.

— მიდი, ბიჭო, აკოცე მამიდაშენს!

გოგი გამოერკვა. ახლა უფრო ყოჩაღად გამოიყურებოდა, ვიდრე გზაზე. სწრაფად გამოიქცა და ლიდია ნიკოლაევნას წამოყენებაში მომხმარა.

— გამარჯობათ, ლიდია ნიკოლაევნა! — ნათესაურად აკოცა კიდეც.

ქალს პირველი გაოცება გადაუვიდა. გოგის ჩახუტა და ატრიადა. გოგიც რალაც უშნოდ აპარბალებდა თვალეებს. „ე, კოკისპირულს დაუშვებს ახლა!“ — უქმყოფილოდ გაეფიქრე და ზურგი შევაქციე. ან რა საყურებელია ჩვენი ასაკის მამაკაცის ცრემლი.

ბოლოს, როდის-როდის, ლიდია ნიკოლაევნამ თვალეები შეიმშრალა და სახლში შეგვიძღვა. ტაბურეტებზე დაგვისვა, თვითონ კი დაფაცურდა, არ იცოდა ჩვენთვის რითი ესამოვნებინა.

— ახლავე ბორშის გავაცხელებ, ნამგზავრები ხართ და მოშიებულნი იქნებით... კატლეტებიც ამ წუთას შევწვი, თითქოს ტანმა მიგრძნო, რომ ჩამოხვიდოდით... — ვერ ისვენებდა ლიდია ნიკოლაევნა; ოღონდ ეს იყო, ამ ფაცაფუცში უფრო მე მელაპარაკებოდა;

მდუმარე გოგის კი ხანდახან თუ გადახედავდა შიშნარევი თვალებით.

— როგორ გაუხარდება პეტრ ნიკოლაიჩს, სათევზაოდ წავიდა. მიკვირს, როგორ არ შეგხვდათ... ეჰ, დაბერდა პეტრ ნიკოლაიჩი. ნახეთ, როგორი იყო ჭეღვლობისას! — თავი კუთხისაკენ მიაბრუნა. იჰ, მაგიდაზე სამხედრო ფორმიანი მამაკაცის სურათი იდგა.

გოგი ტაბურეტიდან წამოიწია. სურათს მიაშტერდა. ყბებს ანგარიშმიუცემლად ამოძრავებდა. სახე კვლავ უფითრდებოდა.

— რა მოვივიდა?

— რა უნდა მომსვლოდა? — სწრაფად შემეპასუხა..

ლიდია ნიკოლაევნას არაფერი შეუმჩნევია. თვალბზე წამდაუწუმ ცრემლი ადგებოდა და ცხვირს აქშუტუნებდა.

— მოწვევა მინდა! — წამჩურჩულა გოგმი. იშვიათად ეწეოდა.

— ლიდია ნიკოლაევნა, ეზოში გავალთ, მოვწვეთ! — მე უფრო სწრაფად გავშინაურდი.

— ჰო, ჰო, ვიტენკა! მანამდე მე სუფრას გაგიშლით!

ჩემი სახელი ვერ დაიმახსოვრა, „ვიტენკას“ გამეორება კი ალბათ სიამოვნებდა.

ეზოში თითო პაპიროსი გავბოლეთ. არ ვიცოდი რა მეტქვა. ან რა უნდა თქვას კაცმა ამ ვითარებაში? ორივენი ვლელავდით და ეგ იყო.

— იცი, იმ ფოტოზე... — ყრუდ წარმოთქვა გოგმი.

— ხომ არ გააფრინე, ის ფოტი შენი მოგონილია!

— ჰო, ალბათ მე თვითონ მოვიგონე. იქნებ მხესიერებაში მთლად სხვაგან ნანახი ჩამებეჭდა, — ყოყმანით დაძვინჯებდა.

შინ შევბრუნდით. ლიდია ნიკოლაევნამ სუფრასთან მიგვიწვია. არაყზე უარი ვთქვით. ანდა რა დაგვალევიებდა, სანამ პეტრ ნიკოლაიჩი არ მოვიდოდა ვერც ჭამა შევძელით. ძლივს მოვწიწკნე მეთვე კიტრი. გოგის კი კრიკა შეეკრა და ლუკმა ვერ გადაყლაპა.

პაპიროსი აიღო, პირში თვის მოკიდება კი არ მოჰგონებია, ნერვიულად დაღვეა და საფერფლეში ჩააგდო. მერე თითქოს დაავიწყდა, წუთის წინ რომ უარობდა, არაყი დაისხა და მეც დამისხა.

— ეს ჩვენ გავვიმარჯოს, ლიდია ნიკოლაევნა, ყველა ობოლს გაუმარჯოს! — და უცებ გადაპკრა.

ლიდია ნიკოლაევნა ისევ ატირდა. თვალბზე წინსაფარს იფარებდა და ფშლუკუნებდა. შეწუხებულნი ვისხედით. არ ვიცოდით, როგორ დაგვეშვიდებინა. ქალი თავის მართლებას ცდილობდა, ახლავე გაშიველის, ყველაფერი ნერვების ბრალაა, მეტს არ ვიტყვებო, მაგრამ წინანდელზე მეტად განაგრძობდა ფშლუკუნს.

...მაშინ ლიდია ნიკოლაევნა თვითონ გაემგზავრა რძლისა და ძმალწულის ჩამოსაყვანად. დღენაშამ უარი სტკიცა, არ წამოპყვა, პეტრ ნიკოლაიჩს დაუბარებია, შენ იცი და შენმა ქალობამ, ოჯახი არ ვამიგვრანოო. „რალა დროს ეგაა, მტერი კარს მოგვადგა!“ — ფიცხობდა ლიდია ნიკოლაევნა. არც ჩასტობოლიეს ასცდენია ოკუპაციის მძიმე წლები, მაგრამ მაშინ ეგონა, ეს პირი აქამდე ვერ მოაღწევს, თანაც სოფელი მაინც სოფელია, თუ გპირდა, მინდორში რომ კარტოფილი ჩარჩება, კაცი თავს იმითაც გაიტანსო. არ დაეთანხმა დღენაშა, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. ისეთი ჯიუტი იყო. იმ დღეს მთელი ქალაქი სანგრების სათხრელად გაიყვანეს. ლიდია ნიკოლაევნაც წამოვიდა და პაწია ვიტენკაც წაიყოლიეს. ნაშუადღევს შავ ღრუბლებს მოულოდნელად ბომბდამშებები გამოეყვინ. ქალაქში კარგი ხანს ისმოდა გრიალი... საღამოს, შინ რომ დაბრუნდნენ, სახლის ადგილას დიდი შუკ ორმო დახვდათ... რა ჩარა იყო, მატარებლით წამოვიდნენ... ჰოდა, იმ მატარებელს გზაზე მტრის სვაეები დააცხრნენ...

— ვერაფრით ვერ ვიხსენებ, რა და როგორ მოხდა. რკინის ანატყემა თავში დამჭრა. გონს რომ მოვედი, დღენა-

შას ძებნა დაეიწყე... ბომბისაგან ამოთ-  
ხრილი ორმოს პირას ეგდო... ჩემი ხე-  
ლით დავმარხე იმ ორმომში... შორიახლო  
პატარა ბიჭიც ეპოვე, ოღონდ თავი არ  
ჰქონდა და ტანსაცმელიც შემოფლეთო-  
და... ისიც დუნიაშასთან დავმარხე... მე-  
რე ვიფიქრე, იქნებ ის ბიჭი სულაც არ  
იყო ვიტენკა, იქნებ ჩვენი ბიჭი ცოც-  
ხალი გადარჩა-მეთქი...

ჭიქაში წყალი ჩაეახსი და მივაწოდე.  
კბილები უკაწაწებდა, ჭიქის კედლებზე  
რაკუნნი ვაჰქონდა.

ოკუპაციის წლები ვინც გადაიტანა,  
იმან ალბათ ნახევარი სიცოცხლე დაკა-  
რგა. ლიდია ნიკოლაევნა ყველაფერს  
აიტანდა, შიმშილს, სიცივეს, დამცირე-  
ბას, მაგრამ ყველაზე საშინელი იმ დღის  
გახსენება იყო. მოგონებები აწამებდა,  
ანემებულნი აზრი უწიწკნიდა სულს, რა  
უნდა ვუთხრა, პეტრ ნიკოლაიჩს, ომი  
რომ დამთავრდება და ფრონტიდან და-  
მიბრუნდებაო. ყველაფერს თვითონ იბ-  
რალედა, ძალით წამოვიყვანე რძალი  
და ძმისწული, თორემ დღესაც ცოცხ-  
ლები იქნებოდნენო. ვერ იქნა და ვერ  
უმჯობნალა გულის წყალულს. კარგად  
იცოდა ძმის ხასიათი. ისეთი ოხრები  
იყვნენ ეს ვოროპანოვები... თუ ვინმეს  
გულით მიეწებებოდნენ, მერე ვერ აალ-  
ღებდი, თუ ვინმეს შეიძულებდნენ,  
მტრისას... არაერთგზის გადაიწყვიტა  
ლიდია ნიკოლაევამ, ავდგები და კარის  
წირთხლზე თავს ჩამოვიბრჩობო, მა-  
გრამ მეზობლად მცხოვრები ერთი ურ-  
ჯუცი პოლიციის ჯინი სჭირდა, იმას ვაუ-  
ხარდებო და თავსაც იმიტომ იკავებდა.

— ჩემზე აღრე ის პოლიცია ჩამოე-  
კონწილა საკუთარ ბოსელში, —  
ფშლუტუნნი შეწყვიტა ლიდია ნიკოლაე-  
ვნამ, — მის ცხედარზე ცრემლი არავის  
დაუგდია. ცოლ-შვილიც აიყარა აქედან.  
მისი ქოხის ფანჯრები ახლაც ფიცრი-  
თაა აჭედლილი და კაცი არ ეკარება.

მერე პეტრ ნიკოლაიჩი მობრძანდა.  
შორი გზა გამოეგლო. ყვეარჩნებზე და-  
ყრდნობილი დიდხანს მოდიოდა თურმე.  
ჭიშკარს რომ მოადგა, საფრთხობელას

ჰგავდა. ფარაჯა შემოპხეოდა, <sup>ჩიქაში</sup> <sup>წიქაში</sup>  
ძირი გასძრობოდა, თავფეხიან <sup>წიქაში</sup>  
ში ამოგანგლულიყო. ლოყები ჩასცე-  
ნოდა და ცარიელი ყვრიმალეები მოუჩა-  
ნდა. ჩონჩხი იყო, მთარული ჩონჩხი...  
შიმშილისაგან მუცელი ხერხემალზე აპ-  
კვროდა... მაგრამ არ უთქვამს, ლიდენ-  
კა, ნაომარი ძმა დაგიბრუნდა, მაჭამე  
და მასვი, ლიდენკა, წყალი გამიცხელე  
და დამბანე... არა, მსგავსი არაფერი  
უთქვამს... ზვიდად იდგა აი ამ ეზოში,  
პირდაპირ თვალებით ბურღავდა დას.  
ხმადაბლა იკითხა: „ლიდია ნიკოლაევნა,  
დაო ჩემო, შენი იმედი მქონდა და იმი-  
ტომ დავძლიე ის ჯოჯოხეთი. რა უყავი  
ჩემი ცოლი დუნიაშია და ჩემი ვიტენკა?“  
ლიდია ნიკოლაევნას სახეზე მიწისფერი  
დაედო. ძმას ფეხებში ჩაუვარდა და  
ტირილი მორთო: „მომკალით, პეტრ  
ნიკოლაიჩ! ვერ დავიკავი შენი ოჯახი  
ერთ ორმომში დავმარხე რკინიგზის პი-  
რას!“

არაფერი უთქვამს პეტრ ნიკოლაიჩს,  
ცრემლიც არ დაუგდია. სახლში შევიდა.  
სკამლოგინზე დაჯდა და გაუქნდა. სამი  
საათი იჯდა გაუნძრევლად, ერთ წერ-  
ტილს მისჩერებოდა... დაფრთხა ლიდია  
ნიკოლაევნა, მწუხარებისაგან ჰკეუანე არ  
შეირყესო, მაგრამ სიტყვა ვერაფერი  
შეჰკადრა. სლუტუნს მოუმატა ოღონდ.  
ცრემლებს იწმენდა და ხმაურით იხო-  
ცავდა ცხვირს. უცებ თავი აიღო პეტრ  
ნიკოლაიჩმა, მუშტი დაახეთქა მაგიდან,  
დაიღრიალა: „ლიდკა, არაყი!“

— წახდა კაცი! პო, ომამდე არ სვამ-  
და, არც ეწეოდა, აქ კი ლუკმაც არ მო-  
უციცქნია, იჯდა და სვამდა...

მართლაც წახდა კაცი. უმეები თით-  
ქოს უხურდა, ამოშრობოდა. ზედზედ  
ისხამდა არაყს და ჭიქას უხმოდ ცლიდა.  
არაყი კი არა და არ ეკარებოდა. „იტო-  
რე, შე ურჯულო, იტირე!“ — ეხვეწებო-  
და ლიდია ნიკოლაევნა. პეტრ ნიკოლა-  
იჩს მისი წუწუნნი თითქოს არ ესმოდა.  
მხოლოდ ერთხელ მოჰხედა ციებიანი  
თვალეებით და შეუბღვირა: „ლიდკა,  
მომწყდი თავიდან!“ ნახევარლიტრიანი  
დაპირქვევა ასე და მაშინ წამოიწია.

თითქოს წყალი ესვასო, ზედაც არაფერი ეტყობოდა. ის კი არა და, ძალა მოეცა. ყავარჩენს ხელი დაავლო, ორღობეში გავიდა. „ჰეი, თქვე ოხრებო, მოვედი ჯარისკაცი პეტრ ნიკოლაიჩი!“ — გასძახა მიჩუმებულ სოფელს და რაღაც ჯარისკაცული, ყოჩაღური სიმღერა შემოსძახა. ხმა კი კარგი ჰქონდა პეტრ ნიკოლაიჩის, თითქოს შიგ გულიდან ამოსდიოდა. ასე მღერა-მღერით გასწია მეზობლებმისაკენ. ყველას სათითაოდ ჩამოუარა: კუზმა მკედელს, ცალფეხა ივანეს, მასწავლებელ პელაგია პავლოვნას, პროხორ ივანისს, ქაჩალი რომაა, ადელაიდა უსირცხვილოსაც კი, ოკუპაციის დროს ვერმანელ ოფიცერთან რომ დაეთრეოდა... ასე სახლიდან სახლში გადადიოდა პეტრ ნიკოლაიჩი. ყველას მიესალმა, თავი მიწამდე დაუკრა, თითო ჭიქა არაყი გადახუხა. სანამ ბოლომდე ჩააღწევდა, ხმაც ჩაუწყდა. ან ვინ მისცა ამდენი ღონე დაჰკრილ ჯარისკაცს... ვამორდა სოფელს და სათიბეები გადაჰკრა. იქ კი სეიმში გადავარდა... ვინ იცის, იქნებ მთვრალი იყო და იმიტომ გადავარდა, იქნებ თვითონ მოისურვა ასე და იმტომ... საბჭოს თავმჯდომარე ივნატიჩი ორთვალათი მოდიოდა თურმე რაიკენტრიდან. იმან დაინახა, ფარჯიანი კაცი რომ გადავარდა სეიმში, და თან გადაჰყვა, ამოათრია... — ეპ, ვიტენკა, რა დღე გადავიტანეთ...

გონდაკარგული პეტრ ნიკოლაიჩი ივნატიჩმა თავისი ორთვალათი რაიკენტრში, საავადმყოფოში წაიყვანა. სამი დღე გონს არ მოსულა პეტრ ნიკოლაიჩი, სამი თვე ვერ გამოეწერა საავადმყოფოდან... ლილია ნიკოლაევნამ ერთხელ კიდევ შეაწუხა საბჭოს თავმჯდომარე, ორთვალა სთხოვა, ძმა წამოიყვანა შინ. ვზახე ხმა არ ამოუღია ნაავადმყოფიდან. მარტო ერთხელ შეეკითხა: „ორთავე დამარხე?“ ლილია ნიკოლაევნამ ისევ ტირილი მორთო, მაგრამ პეტრ ნიკოლაიჩი უხმოდ შეჰყურებდა და პასუხს ელოდა. ბოლოს გამოუტყდა ძმას, დუნიასა მართლაც ვიცანი, მაგრამ პა-

ტარა ბიჭი თავწაგლეჯილი ტყრქან მქაქნებ ვიტენკა არც ყოფილა... მტკვამ მტკვამ მტკვამ ჩასძიებია პეტრ ნიკოლაიჩი. ჩუმიად დაბრუნდნენ ჩისტოპოლიეში. მთელი კვირა მისი ხმა არ გაუგონია ლილია ნიკოლაევნას. კვირის თავზე, ღამის საბნელეში მოესმა, როგორ ეჩურჩულებოდა საკუთარ თავს პეტრ ნიკოლაიჩი: „იქნებ ჩემი ვიტკა ცოცხალია, ღმერთო, იქნებ ცოცხალია!“

— რამდენი წელი გავიდა, იესო ქრისტე, რამდენი წელი... ცოლი ვერაფრით შეერთე, მაშინ ხომ ჭერაც ახალგაზრდა იყო... ეპ, მართლაც დიდი ხანი გავიდა... ბოლო დროს კი ძალიან მოტყდა...

ღიახ, დიდი ხანი გავიდა. იმედი კი ხან აენთებოდა, ხან მთლად ქრებოდა. ქალებს ვერ იტანდა. ხომ იცით, სოფლის თამამი ქალები, სიტყვის საძებრად ჯიბეში როდი ძვრებიან. ომის შემდეგ სოფელში მამაკაცი თითზე დათვლებოდა და პეტრ ნიკოლაიჩი ღიახაც რომ ბევრ ყმაწვილ გოგოსაც მოსწონდა. მაგრამ გოგოების მრავლისმეტყველ ქარაგმებს პეტრ ნიკოლაიჩი ყურს არ უგდებდა. თუ მაინცდამაინც ჩააცივდებოდნენ, ერთს ისე შეხედავდა ქურუშად, ენაჩავარდნილები გაეცლებოდნენ... აი, ბავშვები კი კულში დასდევდნენ: „პეტრ ნიკოლაიჩ, ეს გამიყეთე!.. პეტრ ნიკოლაიჩ, აჰან მცემია.. პეტრ ნიკოლაიჩ, იმან შემაგინა!..“ ეს ამოდენა კაცი ხან სანადიროდ წაიყვანდა თითისტოლა ბიჭ-ბუჭებს, ხან სათევზაოდ. ბურთაობის დროს კარშიც კი აყენებდნენ, თუმცა რა მეკარე ეგ იყო, კოჭლობა შერჩა და სანამ ორ ნაბიჯს გადადგამდა, ბურთი კარში აღმოჩნდებოდა. ლილია ნიკოლაევნა უწყრებოდა, სირცხვილია, პეტრ ნიკოლაიჩ, ვის არის, თავს რომ უყადრებ, სოფელი დაგცინებსო. ძმას სახეზე ღიმილი შემოადნებოდა და მოლუშული მხოლოდ ორ სიტყვას დაადებდა: „მომეწვი, ლილია!“ ასე გრძელდებოდა თვიდან თვემდე, მაგრამ ხანდახან სასოწარკვეთილება დარევდა ხელს, არაყს მიასკდებოდა, ღრიალღრიალით ჩამოვიღიდა ორღობეს, ვის

ქვას ესროდა, ვის ხუთსართულიან გინებას მიაყოლებდა, ვის ფანჯარას ჩაუღწედა. მერე სადმე გზისპირას მიწვებოდა და წუწუნსა და ტირილში ჩაეძინებოდა. ისევ ის ბიჭ-ბიჭები მოუყვანდნენ ლილია ნიკოლაევენას, უხმოდ გაეცლებოდნენ, ენა ვერ უბრუნდებოდათ საქილეოდ. ლილია ნიკოლაევენა გახდიდა, დაბანდა, ლოგინში ჩააწვენდა. მეორე დღეს კი დარცხვენილი პეტრ ნიკოლაიჩი თავის აწევას ვერ ბედავდა. ლილია ნიკოლაევენა თვითონ ეახლებოდა შესარიგებლად. ისიც ამოიხვნეშებდა: „ეჰ, ლიდა, დაო და მეგობარო, ისევ მივქარე!“

ერთხელ იყო და რაიციენტრიდან გახარებული დაბრუნდა. ეს აი, ამ ხუთი წლის წინ მოხდა. ვილკას უთქვამს, დაკარგულ ნათესავეებს რადიოთი ეძებენო. განცხადება დაუწერია და გაუგზავნია, სადაც საჭირო იყო. ოთახში ისე თვალეზგაბრწყინებული შემოვარდა, მზეც თან შემოიყოლო, ლილია ნიკოლაევენამ გაიფიქრა. იმ დღიდან ცხოვრება შეიცვალა, პეტრ ნიკოლაიჩი ერთიანად გაახალგაზრდავდა, ქალებსაც კი დაუწყო ხუმრობა, ყოველ დღე პირს იპარსავდა, კოჭლობას კაცი ვერ შეატყობდა...

— კაცი იმედითააო, გამიგონია, მაგრამ ხუთი წელი მაინც ცოტა არაა, — საყვედური გაურია ლილია ნიკოლაევენამ. თავის მართლება ვერ მოვასწართ, ტუჩზე თითი მიიღო: — მგონი მოვიდა! — წაჩურჩულა და ადგილზე გაშეშდა. ჩვენც ფეხზე წამოვდგით.

გოგის ხელი წვაბატანე. ვიგრძენი, მკლავი უცახცახებდა. უსასრულოდ დიდხანს ვაკიანურდა წამი, რაც ჭიშკრის გაჭრილობის შემდეგ გავიდა. მერე წინკარში ნაბიჯის ხმა გაისმა. მოსული ხენეშოდა, რეზინის ჩექმას თუ იხდიდა.

— ლიდა, ნახე რა ლოქო მოვიტანე! — გ. მოსძახა.

ლილია ნიკოლაევენა ელდანაცემივით შექანდა, კარისაკენ გაემართა, მაგრამ ისევ შეჩერდა და ხმის კანკალით შეეპასუხა:

— პეტრ ნიკოლაიჩ, ჩვენთან სტუმრები!

— სტუმრები? — ხენეშა შეწყდა და წამის შემდეგ ზღურბლზე ასე სამოცს გადაცილებული, გამხდარი კაცი წამოიმართა. სახე ერთიანად დაექსელა წვრილ ნაოქებს. თმაც მთლიანად გასქალარავებოდა. ჩაშრეტილ თვალებში ალბათ ოდესღაც კრთოდა ლურჯი სხივი. დაკვირვებით შეგვათვალიერა, არაფერი უთქვამს.

შეეტკოდი. შემეშინდა, ვაითუ ლილია ნიკოლაევენასავით ამასაც შევეშალო და ჩემსკენ გამოემართოს-მეთქი. კაცის მზერამ ისე გადაშირბინა, თითქოს რაღაც უსულო საგანზე ასხლტაო და გოგის მიაშტერდა.

გოგის ბაგე აუკანკალდა, სახე ბავშვივით დაემანჭა და ენის ბორჩივით ამოღერდა:

— მამა!

კაცს სახეზე მკვდრისფერი დაედო, ბაგე მთლად გადაუთეთრდა.

დამფრთხალი ლილია ნიკოლაევენა მივარდა, ფაფხური მორთო:

— პეტრ ნიკოლაიჩ, თქვენ ნუ აღელდებით, გეთაყვა, დამშვიდდით!

კაცმა ქალი განზე გასწია და მხოლოდ ერთი სიტყვა თქვა:

— ვიტყა!

6

მერე ისეთი ამბები დატრიალდა! გოგის ისტერიკამ მოუარა. ლოგინის კიდეზე ჩამოემხო და აქეთინდა. პეტრ ნიკოლაიჩს ერთი ღერი ცრემლი არ დასცდენია, თითქოს თვალები სულის ხვატმა ამოუწვაო. ლოგინზე ჩამოჯდა და გლეხის ნაჭაფარი, ჩაენგული ხელი გოგის თავზე დაადო, თმაზე მოეფერა. ლილია ნიკოლაევენა, სიხარულმა თუ ძველი გულსტკივილის გახსენებამ, პირდაპირ ააბლაღა და ვერაფრით გავაჩუქე. ერთადერთი მაყურებელი მე ვიყავი და არც მე მადგა კარგი დღე. ალბათ მართალი მაშინ ვიქნებოდი, აქედან

გავბარულიყავი, სადმე ამ მიდამოებში ეკლესია მომეტებნა და სათელი ამენთო დეიდა ვარას წმინდა სულისათვის. ამ რია-რიაში ერთი რამ მკვეთრად ჩამებტყდა მეხსიერებაში: პეტრ ნიკოლაიჩის საოცარი გამოხედვა. ბერიკაცის თვალეში სიხარულის ნაცვლად აუტანელი ტანჯვა დავლანდე და ეს ვერაფრით ამოვხსენი.

ამასობაში კარგა დიდი დრო გავიდა, მოსალამოვდა კიდევ. მეზობლებმა მოგვაკითხეს. სოფელში ელვის უსწრაფესად გავრცელდა ხმა, ვოროპანოეების ვიტკა დაბრუნდაო და დიდ-პატარას ცნობისმოყვარეობა სწავდა. გასაოცარი ისღა იყო, ყოველი სტუმარი ერთნაირად იბნეოდა, რადგან უპირველეს ყოვლისა მე მომვარდებოდა: „ვიტკა, ძველო!“ მერე, როცა გაირკვეოდა, ვიტკა რომ არ ვიყავი, დარცხვენილები გოგის ერთგვარი უნდობლობით ართმევდნენ ხელს.

მერე ჰუმარტი ღრეობა გაიმართა. რუსული ლხინისა მე რა მესმის, თამადა ჩვენ არა გვყავდა და ვისაც როგორ მოეპრიანებოდა, ისე ჰქეიფობდა. შინნახადი არაყი დიდი მუცელგაბერილი ბოცით გვედგა. თვითონ ვისხამდით, ვის რამდენიც გვინდოდა, ჰქეიფებ ვუჭახუნებდით, სადღეგრძელოც, ცხადია მოკლე იყო: „აბა, კარგად იყავი!“ „იცოცხლე!“ მალე საკმარისზე მეტადაც შევზარხოშდი და სიმღერები დაგვქეიფე. ხან რუსული ვიმღერე, ხან ქართულიც გავურეი. ვის როგორ შეეძლო, ისე ამყვა და თუმცა შეწყობილი სიმღერა არ გამოგვივიდა, მხიარულება არ გვაკლდა. ოჯახის ბედნიერება მთელ სოფელს გადასწვდა, ხალისი ყველას უწილადა. სხვაზე მეტად ალბათ მე ვბობოქრობდი. თავი ისე ავიწყვიტე, ჩურჩული შემომესმა: „უყუბრე ამ ქართველს, სისხლი უდულს!“ — ოციოდე წლის გოგონამ გადაუჩურჩულა თინატოლს და ის გოგონა დავიამხსოვრე.

გოგი სუფრის თავზე, ახლადშემენილი მამის გვერდით იჯდა. სახე უცინოდა. ისეთი დაბნეული და გამობნეტილი-

ბული ჩანდა, მისი შემხედვარე სიწილის ვერ ვიკავებდი.

შეა ჰქეიფში რომ ვიყავით, ფეხზე წამოვდექი და სიტყვა მოვითხოვე.

— მე მინდა ამ მხიარულ სუფრაზე გავიხსენო ადამიანი, ვინაც გოგის ჰუმარტი დედობა გაუწია, დეიდა ვარას სახელი აღმერთმა აცხონოს!

ჰქეიფა დავცალე და ტირილი მომინდა. ბეჭებზე ხელი მომიტყაპუნეს, მამშვილებდნენ.

ცრემლი მოვიწმინდე და ისევ სიმღერა წამოვიწყე. უტბად გამკრა. აღმოვაჩინე, რომ ამ შეუწყობელ ხმებში ერთხელაც არ გამოიგონია ერთი კაცის ხმა. საყოველთაო მხიარულებაში ერთი ხინჯი მაინც ერია, ერთი შეუმჩნეველი თამადა გვეჭდა სუფრის თავში. პეტრ ნიკოლაიჩის მთელი საღამოს მანძილზე ხმა არ ამოუღია. საკმაოდ შემთვრალი ვიყავი, გამიჭირდა თვალის გასწორება. ბერიკაცის მზერაში კვლავ უზარმაზარი ტანჯვა იჭდა. სახეზე ხელი ჩამოვისვი. გამახსენდა ლიდია ნიკოლაეენას ნათქვამი, ჩემს მძას მშვენიერი ხმა ჰქონდაო. ისევ წამოვიწეე და აყაყანებული თანამეინახეები ჩავაჩუმე.

— პეტრ ნიკოლაიჩ, ძვრფასო, გვიმღერე რამე!

— გვიმღეროს, გვიმღეროს! — ტაში შემოჰკრეს დანარჩენებმა. შეზარხოშბულებს ხომ ყველაფერი ეიოლებათ.

— პეტრ ნიკოლაიჩ, ძამიკო!.. — ლიდია ნიკოლაეენას მღელვარებისაგან ხმა აუკანკალდა.

პეტრ ნიკოლაიჩმა თავი ჩაქინდრა. თანდათან სამარისებური სიჩუმე დასადგურდა. უხერხულება ვიგრძენი. ალბათ გადავამლაშე. ისევ მე უნდა გამოემსწორებინა ჩემი შეცდომა. წუთიც და ხუმრობაში გადავიტანდი ჩემს ნათქვამს, ან თვითონ წამოვიწყებდი კიდევ ერთ სიმღერას ჩემი მწირი რეპერტუარიდან.

მაგრამ ის ამღერდა... ბერიკაცის გაბზარული ბარატონი... ჩუმი დვრინი... მართლშეთნელი კაცის უხმო ჰქვითინი... უყიდვანო, უსულოვანი ტრამაღე-

ბი... არსად ადამიანის ნაკვალევი... თეთრი მდუმარება... თეთრად გასარკული ცივი ზეცა... სისხლისფერი ცივი მზე... თოვლზე გაწოლილი ცივი სხივები... ჰორიზონტზე ცივი ქარაშოტი წამოიძარბება, მოეშურება, თან მოაქვს მომაკვდინებელი ხვევნა... ტრიალ მინდორზე გზაბნეული ბავშვი მიიჩქარის... ხანდახან ჩერდება... „დედა!“ — მისი ხმა აქვე, ორ ნაბიჯზე წყდება... „მამა!“ — მის ხმას ყინულოვანი ველი ირეკლავს... მიდის გზაბნეული ბავშვი, მიიჩქარის... ჰორიზონტზე კი უკვე წამოიძარბა ცივი ქარაშოტი... ღამე უჩუმრად ეფინება ვრცელ ცისქვეშეთს... მარტოდ დარჩენილი ბავშვი მიდის და მიიჩქარის... ყინულოვან ტრამალებში არსად ადამიანის ნაკვალევი არ ჩანს... ბავშვის პაწია ნაფეხურებს კი კვალს ადევნებული ცივი ქარაშოტი წაშლის...

ბერიკაციის გაბზარული, ჩუმი ღვრინი... თითქოს გაიბზარა ძველი ფირფიტა. გრამაფონის დაქანვულმა ნემსმა გაიფხაკუნა, შეწყდა...

მძიმე, სევდიანი მდუმარება დასადგურდა, ბეჭებზე დაგვიწვა, მიწამდე მოგვნიჭა.

ბედნიერ სუფრაზე რა უნდოდა ასეთ მძაფრ სევდას, „ბრაფო!“-მეთქი შევძახე და ტაში დავცხე.

ვითარება უცბად განიშუბრა. ტაშს აპყენენ, დარდი იქით გადააგდეს და მზიარულად ახმურდნენ.

— ტაში, ტაში! — ხელები გავშალე, ქართული ცეკვა შემოვუარე. ის გოგონა, ამასწინათ რომ დამამახსოვრდა, თამამად გადამიდგა, ფეხები ააბაკუნა, ჭრელი მანდილი თვალწინ ამიფრიალა და „ეეჰო!“ — შეჰკვილა...

სუფრა თანდათან აიშალა. ეზოში ცეკვა-თამაშით გავედით.

უზარმაზარი მთვარე ეკიდა ცაზე, მთელი სოფელი ვერცხლისფრად ქათბებდა.

ახალგაზრდებმა ტრანზისტორი ჩართეს და ორლობეში წრე შეჰკრეს.

უფრო ხნიერი წყვილები თავთავიანთ სახლებში განაწილდნენ.

ზედ ყურისძირთან ვილაყამე შემკურნა და ჩაიხითხითა. მკლავზე ხელი წავავლე და აკი ის ჩემი მოწონებული გოგონა შემჩნა. ძველი ნაცნობებივით დავუყვეით ორლობეს.

— მზიარულად ცხოვრობთ, ვალაჰა!

— როგორ ამოხსენით ჩემი სახელი? — გადაიკისკისა გოგონამ, — მართალია, ნადენკა მქვია, მაგრამ ვალაყ ხომ რუსული სახელია.

მეც ვამეცინა.

იქნებ არაყიც აკეთებდა თავის საქმეს, მაგრამ თავი ზღაპარში მეგონა. ათასნაირი წვრილმანი იწილო-ბიწილო, რაც ასე მალეღებდა, ახლა სასაცილოდაც მეჩვენებოდა. დედა ვარამ სადღაც მეხსიერების სიღრმეში გადაინაცვლა და რაც დღეს აქ მოხდა, ჩვენს კეთილშობილებას ვაწერდი. მართლაც გმირობა ჩავიდინეთ, ამდენი ხნის უნახავი მამა-შვილი რომ შევყარეთ ერთმანეთს. ჰოდა, ასეთი გმირობის წილ ალბათ შესაფერი ჯილდოც მეკუთვნოდა და ეს ჯილდოც აგერ მოიჩხეოდა ჩემს გვერდით.

— თქვენ, ქალაქელებს, რა გიჭირთ? — ჩივილის საღერღელი აეშალა ნადენკას, — ჩვენთან კი ათიოდე ქობის მეტი არაფერია. კანტორა მეზობელ სოფელშია, საბჭო იმის იქითა სოფელში, სკოლა მთლად იქითაში. კინო თუ მოგინდათ, ანდა ცეკვები, ათი კილომეტრი მაინც უნდა გაიაროთ...

— მერე ამას რა ჯობია, ნადენკა, — ყველაფერი მეიოლებოდა და მხარზე ხელი გადავხვიე. არ გამძალიანებია, არც უცხო ხილად ჩაუგდია ეს ნაჩქარევი ალერსი. იმას კი არ ვამბობ, მსგავს რამეებს მიჩვეული ყოფილა-მეთქი. იმ თუთარჩელა ღამეს ჩემთვის ყველაფერი ამალღებული და წმინდა იყო. ამ სოფელმა გოგონამ თითქოს გაიზიარა ეს ჩემი ამალღებული განწყობილება და ამიტომაც გავუშინაურდით ერთმანეთს.

— თქვენთვის ადვილია ლაპარაკი, — ჰიკვიებდა ნადენკა, — ახალგაზრდები ქალაქს გარბიან, ორიოდე ქალიშვილი შევრჩით ამ ბებრების ყურებს. კლუბი

მინც იყოს! სოფელში ერთადერთი საზოგადოებრივი ნაგებობა ესაა...

აგურით ნაშენები ტრანსფორმატორის ჯიხურის მიჩვენა. რკინის კარზე თავის ქალა და გადაჯვარედინებული ძვლები ეხატა და არ მესიამოვნა.

სოფლის ბოლოს, ბექობზე გავედით. მთვარის ვერცხლისფერი ნათელი თანაბრად ეფინებოდა ვრცელ სათიბებს, ტყე-ბუჩქნარს. ფართოდ ვადაშლილი სეიმი ცივად ლაბლაებდა.

— გინდათ ნაზე გასეირნება? — ჩამჩურჩულა გოგონამ.

სოფელს ნელ-ნელა გავშორდით. ტყეს გვერდი ავუქციეთ. სათიბებს შორის გაკვალული ბილიკი ოდნავ აჩნდა მინდორს. ცვრიანი ბალახი მოგვწვდა და შარვლის ტოტები დამისველა.

მთვარე თანდათან ჩაესვენა, იკლო ვერცხლის ნათებაში.

წყალი გაშავდა, კუბრის ფერი დაედონაბირზე ნავი ავსენით. ბუჩქში ჩამალული ნიჩაბი გამოვადვირინეთ და წყალში ტაბათ შევცურეთ.

დუმბილი მეწადა. ფსკერზე დაფენილ თივაზე ზურგიით გავწევი და ზევით ავიხედე. ნავი ოდნავ ირწყოდა. ვარსკვლავებით მოჭიქული ზეცა გადმოიმეზო თავზე. იმ ვარსკვლავებს ორი ვარსკვლავი კიდევ მიემატა. ეს ნადენკას თვალეზი ბრწყინავდა. ასე ვიწვევით მსუბუქედ დარწმუნულ ნავში და უჩუმრად ვუთვალთვალეზი უსაზღვრო ვარსკვლავეთს, რომელიც ჩვენთან ერთად აუჩქარებლად მოძრაობდა. საოცარი მღვთაობა დასადგურდა, რასაც ხანდახან წყლის სუსტი ტყლაშუნი თუ არღვევდა.

რამდენი ხანი გავიდა, ამას ვერ ვიტყვი. თანდათან დაიკრიცა ღამე, მრუმე განთიადს დაუთმო ადგილი. აღმოსავლეთი ოდნავ შეივერცხლა, სეიმის ნაპირები და კუნძულები გამოიკვეთა.

ნადენკას ჩემს მკერდზე ჩასძინებოდა. უსაზღვრო სითბო ვიგრძენი. თავი ფრთხილად ავწიე. ნავი წყალს კუნძულისაკენ გაეირიყა და ახლა ზედ ნაპირთან ამოსულ ლელიანში გაჩხერილიყო.

უცბად შფოთმა შემოიპყრო. ისეთი

გრძნობა დამეუფლა, თითქმის უჩინო ბუჩქნარიდან ორი ჩამტყრებული თვალი შემომცქეროდა. ბერკაცის გაბზარული დვინი ჩამემა თითქოს... თვალწინ წარმომიდგა თოვლიანი ტრაპლევის გაუხარელი სურათი და გზაბნეული ბავშვი, რომლის ნათესურებსაც ცივი ქარაშოტი შლიდა.

— ნადენკა.

თვალი გაახილა. თავი არ აუწევია, ისე ამომხედა.

— ალბათ ძებნას დაგვიწყებენ, — დღის სინათლეზე სითამამე მოაყლდა და ლოყები სიწითლემ აუღვია.

თვალეზში ვაკოცე, მეტი არაფერი მიკადრებია. არც მსურდა შეურაცხმყო ის სათუთი და წმინდა გრძნობა, ღამის სეირნობის დროს რომ დამეუფლა. ან რა მეჩქარებოდა, წინ მთელი თვე მედო საკუთარ გულში ჩასახედავად.

სტუმრად უკვე არ გგრძნობდი თავს და ნიჩაბი ავიღე.

სათიბეზში ნისლი იდგა.

ჩახუტულები მივესეირნობდით. ნესტიანი სიცივის განდევნას გუდილობდით.

ბექობს რომ ავალწიეთ, ცის კიდებზე მზის წითელი კუწები გამოჩნდა. ნისლი სეიმისაკენ ჩარგვა, განფანტა, ხეებზე დაცვარული ფოთლები აბარკყვია.

სოფელს ჯერ კიდევ ეძინა. ერთ სახლთან გავჩერდით. ნადენკამ ლოყაზე სწრაფად მაკოცა და ჭიშკარს მიღმა გაუჩინარდა.

მცირე ხანს ვიდევქი, იქნებ ფანჯრიდან გამოიხედოს-მეთქი.

მოპირდაპირე ეზოდან დედაკაცი გამოვიდა. რძიანი ვედრო ეჭირა და ძროხას მოერეკებოდა.

— რაო, კავალერო, დროს არ კარგავ? — შემომცინა.

მეუხერხულა და დედაკაცს სწრაფად გავშორდი:

გავშორდი.

და. რალაცნაირი დამფრთხალი თვალეზი შემავლო, განზე გაიხედა.

— ჰა, დაბრუნდი?

საქართველოს  
საბჭოთაო  
საზღვრო  
სამართლებრივი  
სამსახური

რამე ზომ არ დავაშავე-მეთქი, ვაიფიქრე. იქნებ მთელმა სოფელმა ვაიგონადენკასთან ჩემი ვასეირნების ამბავი, ჭორი დაიხლართა და მასპინძლები უხერხულ მდგომარეობაში ჩაცვიფდნენ. ეს აზრი სისაცილოდ მეჩვენა და უმალვე უკუვაგდე. უძილობამ ექვიანი გამხადა-მეთქი, დავასკვენი.

— სად არიან?

— შენს ძმაცას სძინავს, პეტრ ნიკოლაინი კი... — ხელი ჩაიჭნია. გაცხება რომ შემამჩნია, ტყისპირისაკენ მიმახედა, — იქ, დიდი ნეკერჩხლის ძირსაა პეტრ ნიკოლაინი, თვალი ერთიც არ მოუხუჭავს...

ლიდია ნიკოლაევნამ ძროხა ეზოდან გადადენა, რძე სარდაფში წაიღო.

ერთხანს ეზოში ვიწროალე. არ მეძინებოდა. ხან ალუბალი მოვწყვიტე, ხან ქლიავი. უკანა ეზოში ჭუჭა ვაშლებს ესხა, მაგრამ მეავე მეჩვენა.

მოვიწყინე.

კვლავ ორღობეში შევბრუნდი და იმ ნეკერჩხლისაკენ ვაწვიე, რომლის მძლავრი ვარჯი განაპირა ქოხის თავზე გადაშლილიყო.

პეტრ ნიკოლაინი მართლაც იქ აღმოვაჩინე.

ჯორჯოზე იჭდა განმარტოებით. მხრებჩამოყრილი და თავჩაქინდრული იყო.

კარგა ხანს ვუთვალთვალე. ერთიც არ შერხეულა. ვერ გაიგებ კაცის ბუნებას. მეგონა სიხარულისაგან ცაზე იფრენდა. ბოლოს და ბოლოს ერთადერთი ვაჟი, დაღუპული რომ მიაჩნდა, დაუბრუნდა. ის კი, იმის მაგიერ, რომ შეიღის სასათუმალს არ მოშორებოდა, აქ ჩამოყუნცულა და იქნებ გემოზე თვლემს კიდევ ბრაზიც კი მომაწვა. გულცივობა დავაბრალებ, თუმცა რაც აქამდე მოვისმინე, საპირისპიროს მეტყველებდა. ახლა გამახსენდა, გოგი და ლიდია ნიკოლაევნა ცრემლს რომ აღვარღვალეზდნენ, ამ კაცს კურცხალიც არ დასცდენია.

ამგვარმა ფიქრმა გამათამაშა. მივედი და გვერდით მივუჯექი.

— როგორა ბრძანოებით, პეტრ ნი-

კოლაინ? — დინჯი ბაასინათვის განსუქობილი კაცის კილოთი შევეკითხე.

პეტრ ნიკოლაინი ნელა შემობრუნდა, მძიმე მზერა შემავლო.

პირკატა მეცა. მის თვალეზში კვლავ ის უსაზღვრო მწუხარება ჩაგუბებულიყო. მივხვდი, უკვე არაფერს შეეძლო ამ კაცის შველა. გულზე ისეთი სიბრაულული შემომეჭლო, კინაღამ ღრიალი მოვართე.

— პეტრ ნიკოლაინ, გეთყვია, ვერ გამიგია, თავს რაზე იკლავ, თქვენი ვიტენჯა ზომ დაბრუნდა... — აჩქარებით მივეყარე.

კაცი კვლავ შეირხა, თითქოს ღონივრად ანჭლრევდნენ და ისე აღვიძებდნენ, მას კი ღრმა ძილიდან გამოსვლა არაფრით არ სურდა. მის მზერაში ჩაგუბებულ უზარმაზარ მწუხარებასთან შედარებით ჩემი სიტყვები, განცდები, მღელვარება მსუბუქ ცერცეტობად მომეჩვენა და შემრცხვა.

— იტირე მაინც, შე კაცო, გულს მოიოხებ! — ამაზე მეტ სიბრიყვეს რას ვიტყოდნი, მაგრამ სხვათაგან გამიგონია, ცრემლი წამალიაო და იმიტომ წამოვროშე.

მის თვალეზში კი რაღაცა ჩაქრა, ჩაიშრიტა... პეტრ ნიკოლაინმა ქუთუთოები დახურა და ხმადაბლა, თითქოს ჩვეულებრივ ამბავს მეუბნებოდა, ხმა ოდნავადაც არ აკანკალებია, ისე მითხრა:

— კარგი ბიჭები ხართ, ორთავენი... ოღონდ წადით, გაემგზავრეთ აქედან... ამას კი ნაღდად არ მოველოდი.

— მაგრამ ვიტია?

პეტრ ნიკოლაინმა არაფერი მითხრა. მძიმედ წამოდგა და გამშორდა.

გაშტერებული ვიჯექი. ვერაფერი გამეგო. თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენი. როგორია, შენ მთელი შენი გულის სითბო გამოაღვლინო, სამაგიეროდ კი კარისაკენ მიგაბრძანონ! ამდენს, რასაკვირველია, ვერ მოვითმენდი. ბრაზით გულგასიებული შევბრუნდი სახლში, მივეარდი მძინარე გოგის და შევანჯღრიე.

— რა იყო, რა მოხდა? — თვალის

გახელა უკირდა, მაგრამ ლოგინზე წამოჭდა.

— რა იყო და ახლავე მივდივართ აქედან! აბა, ჩაიცივი!

ტანსაცმელი მივუყარე და ჩემოდნები გამოვავლო.

— შენ რა, აფრენ? — ტანსაცმელი უკანვე მომეყარა, გადაბრუნდა და ძილი განაგრძო.

სიბრაზემ ვადამიარა და მაშინდა მეწვია ექვი. მესხიერებაში აღვადგინე ყოველი წამი იმ დროიდან, როცა ეზოში ფეხი შემოვდგი და ლილია ნიკოლაევნას შევეშალე. თითქოს ცვლავ ჩავიხედე პეტრ ნიკოლაიჩის ჩამქრალ თვალებში და უცებ ყველაფერი ნათელი გახდა. ოღონდ ამ სინათლემ უფრო შემადრწუნა. აბა, როგორ უნდა გამემხილა მწარე სიმართლე გოგისათვის, ვისაც ჩვილივით ბედნიერი ძილით ეძინა.

სხვა რა გზა მქონდა, ტაბურეტზე ჩამოვჯექი და დაველოდე. კარგად რომ ვამოიძინებდა, ვაქცავტურად უნდა მეთქვა ყოველივე და დღესვე წამეყვანა აქედან. დეიდა ვარას წმინდა საფლავი არსებობდა ამქვეყნად და იგიც კმაროდა, რათა მიწაზე ფეხი მტკიცედ დაედგა.

კარგა ხანი გავიდა ასე. მუხმ საკმარისად ამოიწია, ფანჯარას მოადგა და მოქარგულ ფარდებში გამოაღწია.

საათს დაეხედე. ათს თხუთმეტი აკლდა. არ ვიცი შაინცდამაინც რამ მიბიძგა. საათს დაეხედე და მაშინ მომეხმა მოთქმა და ჩვილი. იქნებ პირიქით იყო. ხმაური რომ მომწვდა, ალბათ მაშინ დაეხედე საათს. დრო კი დავიბახსოვრე, მაგრამ დანარჩენი დეტალები ერთმანეთში ამერია... ჩოჩქოლი ორღობიდან მოისმა. ჯერ თითქოს ბავშვის მწივიანა ხმა იძახდა რალაცას. მერე დედაკაცმა გააბა: „ოი, ოი, ოი!“ ძალღი აყუფდა, აცის ხმამ დაიღრიალა.

გოგომ თავი ასწია.

— რა იყო?

— არაფერი, იძინე! — სწრაფად შევეპასუხე, თან კი შიშისაგან გული შემეკუმშა. რა საფუძველი მქონდა შიში-

სა. ხომ არ ვიციოდი რა ხდებოდა, მაგრამ ინსტინქტურად შემეშინდა.

გოგი ძილში ისევ ჩაიძირა, მე კი ფრთხილად გავადე კარი და ეზოში გავედი.

ახლა ჩოჩქოლი უფრო აშკარად იწმოდა. რამდენიმე კაცი და ქალი ერთ მხარეს გარბოდა, თან რალაცას გაიძახოდნენ, მაგრამ სიტყვები ვერ გავარჩიე.

თაქედმოვგლეჯილი გამოვუდექი და სხეებსაც კი გადავასწარი. ტრანსფორმატორის ჯიხურთან ათიოდე სოფლელი შეყრილიყო, ერთი ვაი-ვიში და ყაყანი გაპქონდათ. როცა მივირბინე, აქეთ-იქით გაიწიეს, გზა დამითმეს. წინ გავძვერი და თავზარდაცემული გავშეშდი.

ჯიხურის ფართოდ გაღებულ კართან მიწაზე ლილია ნიკოლაევნა იჯდა, ქალბრა თმები გასწეწოდა, ხელებს უაზროდ აქნევდა, თითქოს ჰაერი არ ჰყოფნიდა. ტრანსფორმატორის მძიმე სხეული შავად ბზინავდა.

იატაკზე, საგანგებოდ დაფენილ თექის ფარდაზე ქალბრა ბერიკაცი ეგდო. კარის კრილში, გარდიგარდმო გაჭიმულ შავ ძაფზე ქალბლდის ნაგლეჯი ეკიდა. ზედ აცაბაცა ასოებით ეწერა: „ასე გადავწყვიტე!“

## 7

ეპ, რამდენი დრო გავიდა და ახლაც მიმძიმს ყოველივე ამის ვახსენება, მაგრამ დავიწყებაც ვერა და ვერ შევძელი. მაშინ კი პირველი, რაც თავში მომივიდა, ის იყო, როგორმე გოგისთვის დამემალა ეს სურათი. მეორე წამს გადავწყვიტე, ამის დამალვა შეუძლებელია, მაგრამ ვინც რაც უნდა ისა თქვას, დავალებით ხელს ჩემოდნებს და სასწრაფოდ გავეცლებით აქაურობას-მეთქი. არც ერთი გამიკეთებია, არც მეორე. ის წარწერა ჩამოვხსენი და ელექტრონამართველის ჩანგალი ამოვაგდე. შიშველი კონტაქტისათვის მოუკიდა თურმე პეტრ ნიკოლაიჩს ხელი და იმ წუთსავე გათავებულა უბედური ბერიკაცი.

თუმცა რაღა დროსი იყო, მაჯა მაინც გავუსინჯე. ვერაფერს ვშველოდი და ალბათ წასვლის უფლებაც მქონდა, მაგრამ ლილია ნიკოლაევნას რომ შევხედე, ვერსადაც ვერ წავედი. ქალს თავგზა აბნეოდა, თვითონაც არ უწყოდა, რას ამბობდა და რას აკეთებდა... ჰოდა, კიდევ ერთი კვირა დავრჩით პატარა სოფელ ჩისტოპოლიეში მე და გოგი. ორი ღერი სიტყვა არ გვითქვამს ერთმანეთისათვის. ისე უბრაოდ ვიყავით, ვითომ ჩვენი ბრალი ყოფილიყო ეს ტრაგედია. საქმეს კი შეთანხმებულებივით ვუვლიდით. რაც შეგვეძლო, ვუქირისუფლეთ მოხუც ჯარისკაცს.

გულდამძიმებულებმა მივაყარეთ მიწა მის საფლავს და გავეცალეთ.

ლილია ნიკოლაევნა ბოლო წუთს ისევ ატირდა. ვერაფრით აეხსნა მომზდარი ამბავი და გოგის წასვლაც გულს უკლავდა. ან იქნებ ყველაფერს მიხვდა, მაგრამ ამაზე არ შეეძლო ლაპარაკი. ერთადერთი მოთქმა დასცდა დაკრძალვის დღეს: „პეტრ ნიკოლაიჩ, ძვირფასო ძმაო, აღრე დაობლებულო მეგობარო, ამ მიწაშიც მარტო ჩადიხარ, შენი დუ-

ნიაში კი იქ დავმარხე, რკინიგზის პატარა ბიჭიც გვერდით უწევს...“ მასატიოს დუნიაშიამ, ბიჭის თავი რომ ვერსად ვიპოვე...“ ეს უკვე ბოდვასა ჰგავდა და დედაკაცებმა დაამშვიდეს: „გეყოფა, ლილია ნიკოლაევნა, პეტრ ნიკოლაიჩს მაინც ვერაფერი ეშველება!“

შემდგომში გოგისთან ამ თემაზე კრიტიკე არ დამიძრავს.

ერთი კვირა მოსკოვში დავრჩით, მაგრამ ორთავენი ჩვენ-ჩვენს საქმეებზე დავრბოდით და ერთმანეთის გვერდით მარტო თვითმფრინავში აღმოვჩნდით. შინ სამსახურიდან გამოგზავნილი დეპეშა დამხვდა, „შვებულება შეწყვიტე, სასწრაფო მივლინებაში უნდა წახვიდეო. ამჯერად შუა აზიაში უნდა გავფრენილიყავი. ორი თვის შემდეგ დავბრუნდი. გამახსენდა, დეიდა ვარას წლისთავი რომ იყო. სახლში შველას ვერც მოვასწრებდი და აეროპორტიდან პირდაპირ სასაფლაოზე გავემგზავრე. გზად მიხაკები ვიყიდე. გოგი იქ დამხვდა. ხელი ჩამოვართვი და ყვავილები დეიდა ვარას საფლავზე დავდე...“



იზა ორჯონიძე

## მარიონა ბააკშიონის ჩივილები

არსებობენ წამები,  
როცა არ ვეწამები.  
როცა გეჩურჩულები,  
„არ გიყვარვარ სრულებით“...  
როცა კვლავაც ბავშვური  
ოცნებებით ნაგები  
ქვეყნის გზებს უშურები  
შენი ამხანაგებით...  
როცა მწყალობს უფალი  
ნადელიან სიმღერებით,  
მომცვრეული კუფხალით,  
ნაცვლად ბედნიერების,  
როს სიკვდილის დროც არის,  
ისე ჭირს საღამოთი,

დილით კი საოცარი  
მზე ჩემთვისაც ამოდის...  
და გზა, სად ჩვენ გვიგრძნია  
სიწმინდით ერთმანეთი,  
ისევ თითის სიგრძეა,  
იმოსება მწვანეთი...  
როს ფიქრი სიჭაბუკეს  
არას ემათხოვრება,  
როცა უცებ გარეშე  
მთელი ჩემი ცხოვრება —  
სიკვდილის წინ,  
სამარის ზღურბლთან მოსაგონარი,  
ჩანიშნული წამებით,  
როგორც წიგნი ზონარით...

## „ღე გრისა და ბაონის“...

ნეტავ თუ არის  
ვინმე ამ ღამით  
ახსოვხარ ვისაც,  
სწუხს შენზე ვინაც,  
ო, როგორ გინდა  
ტუტყუტბალდამი  
არ მოჰყვეს დილას  
ვით ბურჯურ, წინათ...

ო, როგორ გინდა  
იყოს თუნდ შორი,  
ოღონდაც იყოს  
სიწმინდე სადმე —  
შეუბღალავი სიწმინდე ორის,  
რომლებმაც მხოლოდ  
სიცოცხლე დათმეს...



მარტოა ყველა...  
 ზამთრის ყვითელი  
 ღამეებისთვის  
 რამდენჯერ უთქვამთ;  
 ან შენ ვით ელი,  
 ან ის ვით ელის  
 ერთხელ უწმინდეს  
 პაერთ სუნთქვას.  
 მარტოა ყველა,  
 არავინ იცის,  
 რა გააცოცხლებს  
 მიღეულ მაჯას...  
 კედლებს გულისას  
 ვერავინ იცავს  
 და შენი სისხლიც  
 ჩამოსდის ნაჯახს...

მარტოა ყველა.  
 საწოლი ცივი,  
 როგორც ბელურას  
 დაცლილი ბუდე,  
 აღარცა ბარტყობს,  
 აღარცა ჟივის,  
 სველ ბუმბულებზე  
 ქარს თავი უდევს...  
 მარტოა ქალი,  
 მარტოა კაცი,  
 ხელს აფათურებს  
 პანდორას ყუთში,  
 რომელსაც კუბოს  
 ბალიშზე გაცვლის,  
 რომელიც სიკვდილს  
 არაფერს უშლის...

უსიტყვოდ ვისხდეთ,  
 დანაშაული ერთად უნდა მოვინანიოთ...  
 მიტკლისფერ ცას და  
 უღიმღამოდ მოსულ ალიონს  
 ჩვენი ნათქვამი  
 არაფერი გაუკვირდება...  
 (კარს ნუ გააღებ,  
 ამ წუხილში არვინ გარიო,  
 ჩვენი ცხოვრების ნასუფრალი  
 ვისაც სჭირდება...)  
 მინდა გიცქიროთ,  
 და თვალები არ მოგაცილოთ.  
 შენს ძვირფას ნაკვთებს  
 წამების და ერთგულების  
 ბეჭედი აზის...  
 დღე პატარაა,  
 უსუსური და ხასაცელიო,  
 ვით მოყვარული დედაკაცის

დრტკინვა და ბრაზი...  
 მადლობა ღმერთს,  
 რომ სამუდამოდ დადგა ეს წამი!  
 ყოფნის ქაოსში  
 ერთი წვერი ვუპოვნე გორგალს,  
 მე მზად ვარ უკვე  
 გადაჭრილი როგორც ლერწამი  
 იმ სიმღერისთვის,  
 დღის გაჭიობას რომელიც მოკვავს,  
 მაგრამ მაკაეებს  
 ჩემი ვალი გადასახდელი,  
 მაგრამ მაკაეებს მზე,  
 რომელიც თვალში იღვევა,  
 ო, არის წამი  
 სიჩუმის და ყოვლის გამხედლის  
 ო, არის წამი,  
 როცა ვერძნობ რომ  
 შენი ჩრდილი ვარ.

შენი ოღნავაც  
 არა მშურს არა!  
 უსიყვარულოდ  
 ვე გვლესია  
 ბუდეა ცოდვის  
 და უფრო მზარავს,  
 რაც იყო,  
 ჩემთვის უწმინდესია...  
 არა მშურს, არა,  
 აგერ ამ ქალის,  
 არც ამ კაცისა —

ბურჯის ოჯახში,  
 სადაც დულს ქვაბი, —  
 გული ჩამქრალი  
 და საქმიანობს  
 მონა ყოჩაღი...  
 არა მშურს, არა!  
 ამ სპექტაკლების,  
 მოსაჩვენებლად მაღალი სცენის...  
 მე მირჩევნია  
 ეს დღე ნაკლები  
 და სადმე ჩუმად  
 ხსენება შენი...

გადასცდა უკვე შუალამეს,  
 დაასკდა ნაპირს  
 გემის ნარჩენიც...  
 შენ გგონია  
 ვწვეარ და მძინავს.  
 (დაბორიალობს დერეფანში  
 უტვინო ღლაპი!),  
 ყველა აჭა ვართ  
 და არავინ არა ვართ შინა...  
 დამეპნა თითქო ვერცხლისწყალი,  
 გაგორდა სადღაც, —  
 ამოიგანგლა ჭუჭყში, მტვერში  
 ეს წლები ბოლო  
 და ირგვლივ უფრო ჩამოზნულდა,  
 სიმწრისგან დაცხა,  
 ჩამოჰქენა შენი სიყვარულიც,  
 ვით ნარზე დოლო...  
 უნდა გათენდეს,  
 მშურს თუ არა

გათენდეს უნდა!  
 უნდა მოგვიბო გაფანტულიც  
 და გითხრა ბარემ,  
 ის, რასაც მაინც დაინახავ  
 და როგორც ხურდას,  
 ჩაინსრიალებ ძველ ჯიბეში  
 და გახვალ გარეთ...  
 გარეთ კი თითო გაზაფხული  
 სიარულს სწავლობს,  
 გარეთ კი მყიდვ  
 წელს მიაჩვენებს  
 ცერცვტა მარტი  
 და საცა არი,  
 გასრულდება  
 სიცოცხლის ალო  
 და გვლებს  
 მალლით გადმოხედავს  
 წითელი ვარდი...

იღგა ტაძარი  
 წელიც ათია  
 რაც ჩვენივე ხელით  
 ერთად ვანგრეთ...

ნეტავ დღეს გულზე  
 რა გაზატია  
 იმ დაუეიწყარ  
 ტრფობის ზაგიერ?!  
 ბრმა ვიყავ!  
 არც შენ გქონია თვალი,  
 ახლა ერთმანეთს  
 რას ვეშართლებით?!  
 გადაგვიყრია  
 ოქრო და რვალი  
 არ შეგვიანახავს  
 ნამწვიც სანთლების...  
 დღეს უბატრონო  
 ნანგრევში ტაძრის  
 ხანდაზან ცრემლი  
 იმოქებს წრფელი,  
 როცა თიბათვის  
 იქ ლანდი დაძწის  
 და გულმაგიწყვი  
 სასწაულს ელის...



## გარდია გარიაშვილი

### ასე იყო და ასე იქნება

მთამსვლელი ბილიკს დაეძებს მუდამ,  
არ ფიქრობს ფართო გზებზე.  
იგი მას ელტვის,  
რაც გულით სურს და...  
იბოვის,  
რადგან ეძებს.

სიყვარულს ეძებს პატარა გოგო, —  
დალალდაყრილი მხრებზე.  
პატარა მკერდში გული უბორგავს,

იბოვის,  
რადგან ეძებს.

— მხოლოდ ძიება!  
არ აქვს სხვა ნება:  
მზატვარს,  
მფრინავს  
თუ  
პოეტს.

ასე იყო და ასე იქნება, —  
ვინც ეძებს,  
იგი პოევეს!

### ღივი ფოთოლცვენა

გარდაიცვალა  
დადიანი —  
რაინდი დიდი.

გალაკტიონმაც  
დაუშვა აფრა,  
და გრიშაშვილი, —  
თბილისს თვალისჩინს რომ ადრიდა,  
სავარსკვლავეთში აენთო და...  
ქუჩიდან გაქრა.

უსრაოობას,  
თბილისი თვალს როგორ მიაჩვევს,  
როცა,

ჭერ კიდევ,  
ცრემლებს აფრქვევს ლეო ქიაჩელს.

სულ მალე,  
მტკვარმა,  
კალაპოტში, უმატა ბორგვას,  
ეთხოვებოდა ლეონიძეს —  
ბუნუნა გოგლას.  
მაინც ამდენი მზე,  
ერთბაშად,  
ვით ჩაესვენა?!

საუკუნეებს ესსომებათ,  
ეს ფოთოლცვენა.

## მ ა რ ტ მ ა მ ყ რ უ ე მ

ახლა საშველად არავის ვუხმობ,  
სხვისთვის წუხილის არ მსურს გაყოფა,  
ოღონდაც უხმოდ,  
ოღონდაც უხმოდ,  
ოღონდაც ასე მარტო მამყოფა.

ჩემს სევდას მუდამ იმედიც ახლავს,  
რომ მომავალი ოცნებით ვხატო  
და აი ახლა,

და აი ახლა,  
საკუთარ თავთან მსურს ვიყო მარტო.

ვისზეც მე ვდარდობ,  
ჩემზე არ დარდობს,  
სხვაზე აჩერებს თავის არჩევანს  
და აი ამ დროს,  
და აი ამ დროს,  
საკუთარ თავთან მინდა დარჩენა.

## ღ ლ ე ს მ ო მ ე ს ა ლ მ ე და გ ა მ ი ლ ი მ ე

ზურგს უფიცხებენ მთებს თეთრი ქვები,  
ზღვის ტალღა ლოკავს  
ნაპირზე ქვიშას.  
შენ მარტო დგახარ  
და ილიმები,  
ო, ეს ღინილი,  
ნეტავ, რას ნიშნავს?

მწვანე ხალიჩა ახურავთ ქედებს,  
ამინდებს ვატყობ სიკეთის ნიშანს.  
შენ ზაიარე

და შემომხედე,  
ეს, უკვე,  
ჩემთვის, რალაცას ნიშნავს.

უთქმელი სიტყვა მძიმეა,  
მძიმე,

იგი გამსგავსებს  
მხდალსა და პირშავს.  
ღლეს მომესალმე და გამილიმე,  
ეს, უკვე, ჩემთვის,  
ყველაფერს ნიშნავს.

## ი ს

ის დადიოდა ჩემად და მარტო,  
თავის ფიჭრთან და ტკივილთან ერთად.  
ის არ უმზერდა არავის სამტროდ,  
ხიბლავდა ელვა აპრილის ფერთა.

და ვინც ემონა გაშლილ დარბაზებს,  
ის მათ უმზერდა ცივად, უნდოდა.

მას თავვანს სცემდა ყველა ლამაზი,  
შაგრამ ის არა, —  
ვინც მას უნდოდა.

გამოდიოდა ბინდის ქამს კარში  
და ბრუნდებოდა მწვანე ველიდან.  
ის შეიყვარა იმ ერთმაც, მაშინ...  
როდესაც უკვე ვერ უშველიდა.

## ქარს გუსიკოს სგა ქურაში გგაქვს

ქარს მუსიკის სგა ქურაში გგაქვს,  
ქარი ყოველთვის უცნაურია.  
ფეჟუნა წვიმა ასველებს ქალაქს,  
წვიმა კი მინდვრის ბალახს სწყურია.

შეგყურებ ცაზე ღრუბლების რწევას,  
სადღაც მიდიან ღრუბლები მუდამ.

მზე სულ პირველად დახედავს მწვერვალს  
თუმცა მზის სითბო ბარს უფრო უნდა.

გზას ცხოვრებისას ნელ-ნელა გკეცავ,  
დიდ სივრცებთან შენაჭიდები.  
მე უფრო მეტად მოტაცებს ზეცა,  
მაგრამ ვგრძნობ, მიწას უფრო ვჭირდები.

## მუნებოს სახლი

მე ეს სახლები  
არ მომწონს,  
არა —

არცა კედლები,  
არც სახურავი.

მე ეს სახლები  
არ მომწონს,  
არა

და ნუ დამძრახავთ,  
ძმებო,  
ნურავინ.

მას ყველა მხრიდან  
კედელი ფარავს  
და სულს მიხუთავს  
მძინავს თუ მღვიძავს.

სიცოცხლედ მიღირს,  
სიცოცხლედ კმარა

ვიწვე და  
თვალთ ვუმზერდე მიწას.

თქვით,  
აბა,  
იმას რა შეედრება

ვიწვე —  
ვხედავდე ვარდების ღიმილს.  
ან მოუშაღეთ ჩემს სახლს კედლები,  
ან გაუკეთეთ  
კედლები მინის.

ყვავილთა ფერი,  
ბალახთა ფერი,

უცებ,  
ერთბაშად,  
მოაწყდეს მინებს.

მოაწყდეს,  
როგორც მიწის სიმღერა,  
რომელიც მერე,  
არც დამაძინებს.

გთხოვთ,  
მოუხერხოთ აახურავს რამე,  
არც კრამიტის მსურს  
და არცა ისლის.

მსურს, —  
სახლს ებუროს  
ცა, — მოგამკამე,  
ან, იისფერი,  
ესუროს ნისლი.

წივებარ?! —  
ოცნებით ცად აიჭერი,  
ალარ ინატრებთ,  
მერწმუნეთ,  
არას.

რა გქნა,  
არ მომწონს სხვაგვარი ჭერი,  
არ მიყვარს,  
რადგან, ჩემს წილ ცას ჰფარავს.

ზამპარია შერაზადიშვილი

## სორნაბუჯი

ს ა რ ღ ბ ა ს

ელგაერ,  
შეცქერი სორნაბუჯს რიდით,  
თამამად ცისკენ აჭრილ გოლიათს,  
კვარას, თმოგვს, ხერთვისს,  
სამშვილდებს... ვთელიდი,  
არანაკლები აქეთ მქონია!

შენ, სორნაბუჯო,  
შეცქერი ვთერები,  
არ მოეხიბლულვარ ასე არასდროს,  
შემეძლოს ახლა —  
შეგასხა ფრთები  
და ამ ლურჯ ცაში შეგანავარდო;

შეგანავარდო,  
როგორც მიმინო,  
რომ გვაცოდინო, რაა ირაო,  
ჩვენ სიხარული  
რომ მოგვივლინო,  
მტერი კი შურით ააყირაუო.

მსურს მაღალ შუბლზე  
გემთხვიო კრძალვით,  
გადარჩენილო დროთა ნიმუშად,  
მერე კი  
მთელი ღონით და ძალით  
თავის ნებაზე გული მივეშუა.

ეს შენ გამხვიე  
იჭვთა აღმურში,  
უნდა გამიტყდე,  
გკითხავ ამგდარს:  
ვველაზე მძლავრი ამ ჩვენს ძამულში,  
შენზედაც მძლავრი  
ცნავე სადა დგას?

არ მოეხიბლულვარ  
ასე არასდროს...  
მწადს სორნაბუჯო, გაქციო ფრთოსნად,  
რათა ლურჯ ცაში შეგანავარდო,  
ისწავლო  
ფრთების ძაერში მოხმა...

## ხ ა ს შ ე რ გ მ უ რ ნ ი

ცად აზრდილო  
ციხევე, — ცის ხევე,  
თავწაკრულო ღრუბლის ბლუჯით,  
კვარას ციხევე, მინდას ციხევე,  
ციხევე ბებრის, სორნაბუჯის...

თქვენი გეწამს და მუდამ გვჯერა,  
თქვენგან შეგვრჩა ახოვ ახო,  
ვერ გაგისზღტათ დაუსჯელად,  
ვინც ორგულად ხელი გვახლო.

შობლის დარნო,  
ყველა ციხევე,  
სიმტკიცისთვის ცას შედგმულნო,

თქვენ ხართ რწმენა,  
თქვენ ხართ სიმსხე —  
საიმედოდ, საერთგულოდ.

## ქ ე ბ თ ა ლ ა ლ ა რ ი

ვისთვის მუნჯდებიან,  
ვისთვის ბაზანებენ  
ქვებზე დაწერილი ჩემი ანბანები.

და ეს ღალადება  
ვიცი რის ტოლია,  
ქვებში შენახულო, ჩემო ისტორიავე!

ქვებზე ნაკაწრებო  
ჩემო სურათებო,  
ჩემო წინაპარო, კაცო სულნათელო;

ხუროთმოძღვართ და  
დასტურ სახვითხურო,  
ჯერ ვერ მიგნებულო, ჯერ ვერ წაკითხულო!

ქვებო წიგნებო და  
ქვებო რვეულებო,  
კაცის ერთგულებით გადარეულებო.

მოსახსენებლებო  
მუდამ სანაქებოდ,  
ქვათა ფურცლებო: და ქვათა ქარაგმებო!

დაწაფებულებო  
ჩემი ვაზის გემოს,  
ქვებად ჩაძირულნო ცხუნო, ფაზისებო!

ძველო ნილოსებო,  
ზღაპრის ვეფრატებო,  
დიდი უფლისციხის ქვათა ეტრატებო;

ქვებზე აღბეჭდილო  
ჩემო ვინაობავ,  
ქვათა ამოვიდან, აბა, ვინ ამოვა!...

მან გადაგვიჩინა,  
ქვათა ღალადებამ,  
რაც ვერ შეინახეს ბაგემ, ქალღაღებმა.

შენი ღალადება  
ვიცი რის ტოლია,  
ქვებით დასტამბულო ჩემო ისტორიავე!

## ქ ე ბ ა ლ ა ს უ ლ ე ბ ა

ლოდის მადლით ედგავედი წისკვილს,  
ლოდისაგან ვთლიდი დოლაბს,  
ძველად, აწ და  
ამას იქით  
ვთვლიდი,  
ჩავთვლი თავს ღვთის ტოლად.

გრდემლად მედგა დიდი ლოდი,  
ქვასა ვცემდი სანგად,  
უროდ,  
დასაბამით ასე მოდის, —  
გვიყვარს მამულს ვემსახუროთ.

კვლავ დამიდის  
ჯოჯიც, ფარაც,  
წვიმამ მირტყა, ქარმა მცემა,  
არც რამ ვისთვის მომიპარავს,  
არც ვიკადრო მოტაცება.

თვითვე ვქედავ  
სვეს დიდებულს,  
არც რამ ხადმე მიყიდნია,  
მამულზე ფეხმოკიდებულს,  
„ქვაზე ხელი მიკიდია“!

საქართველოს ველებს მსურვალს  
დავაქარგე თბილი ხნული,  
კვლავაც მისთვის მამსახურა,  
ვიდრე ძალმიძს სამსახური.

უნერგეთ  
რაც რომ კაცურს ჰგავდა,  
მე და თანამომეებმა,  
მამულის და ხალხის გარდა,  
ყველაფერი მოძველდება.

მამულის და ხალხის მეტმა,  
სხვამ რამ შეძლოს განახლება,  
ჩვენ მომავალს  
ისე ვეტრფათ,  
კვლავ ბევრი რამ გადაგვხდება;

დასაბამით აქ გაჩენილს,  
აქვე მელის აღსრულება,  
გითხრან მამულს  
დანარჩენი  
ძეებმა და ასულებმა!..



კათეხან პილასვილი

## გული... ტიალი

მოთხრობა

დილა-ბინდბუნდში წამოდგა ოლიკო, ფრთხილი ხელისფათურით მისწვდა კაბას... მაინც მოუხვდა ხელი სკამზე და პერქვეშ მყუდროება დაირღვა, თავშექცევით მძინარე ბავშვებმა ერთმანეთს ფეხები გააკრეს-გამოაკრეს, ერთი ამონიზმუქუნეს და ისევ ძილში წავიდნენ.

შიოც ამოტრიალდა გულადმა, საბერველივით გაიბერა და წელი ფშვინვა დაიწყო. ოლიკო გაიციქნაფა, ლოგინიდან ჩამოდგმული ფეხი ისევე დარჩა ჰაერში და რომ არ გადაყირავებულიყო, ხელუბი ფრთებივით გამალა. შიომ ხელი მოაცაცუნა ბალიშზე; რომ არაფერი შეიგრძნო, თვალის შეპეტა, მაგრამ დილის ძილი ტკბილიაო, გვერდი ინაცვლა და...

— ქალაქს ჩავალ, ცოტა წიწმბატი მიმაქვს, ეგების ერთი-ორი გროში ავიღო, ყმაწვილებს მიხედუ... — დატოვა ამბავი და კარი გაიხურა. შიოს ძილში ჩაესმა ცოლის ჩურჩული, მაგრამ ვიდრე გულისხმაში ჩაეარდა, ოლიკო უკვე სოფლის ბოლოს გავიდა. მწვანის კონებით ამოტენილი ტომარა მედიის ბეწვივით შემოედო მხრებზე და ტანის კვლუცი რხევით გზას ბარაქას აყრიდა. დრო და დრო თავს იქნევდა აბეზარი ფიქრების გასაფანტად, მაგრამ ის საზე რომ ეერ მოიშორა თვალისა? თოკზე

გამობმულივით მიჰყავს ვილაცას ოლა, თოკი კი ბაზრის პურის მალაზიაში გორგალდება.

შიომ ძილი ისევ მიიბრუნა, ტკბილ სიზმრებშიც გაეხვია, მაგრამ ვინ დააყალა? ფანჯარასთან მეხივით იპექა ბრივადირმა.

— რა ძილქუში დავაწათ ან ცოლს, ან ქმარს! ჰაი, ოლა, კაცო შიომ!

— შიო შენა და დარდუბალა, — კალოშებში ფეხი ვაკყო ოჯახის უფროსმა და შარვლის სწორებით აივანზე გავიდა.

— რა ამბავია, რას აგვიცელი ამ დილადრიან? — დაიბუბუნა შიომ.

— რალა აღრიანია, კაი მუშა ერთი პირი კიდევ მოიღალა შრომითა... სად არი შენი დედაკაცი?

— სად უნდა იყოს? — შეიცხადა შიომ.

— აბა, მე რაევი, ხახა ამომივარდა ძახილით, მიკვირს და გამკვირებია, მასხრად მე მიგდებთ თუ თქვენს თავსა? — აენტო ბრივადირი.

— აბა, ეგ რა სათქმელია, სახლიკაცო?

— მოდი და ნუ იტყვი, ვიცი დღესაც ქალაქი გაოტყუილებდა, ნეტავ რა ნახა იქა, წარამარა გარბის...

— ენა დაიმიოკლ! — ჩაახველა შიომ.



— შენ წამოდი იმის მაგივრად...

— სად უნდა წამოვიდე, უმაწვილები ჩემ სინაბარა არიან, გუშინ ჩაკვედი კაცი სილოოსის ორმოების ამოღებაში, დასვენების დღე არ მეკუთვნის?

კიბისთაზე ერთმანეთს მიპკროდნენ ნამძინარევი, თმაბურძმველი გოგობიჭი და ბრიგადირს ცნობისმოყვარეობით გადმოსცქეროდნენ.

— მე არაფერი ვიცი, წაასხი სიდედრთან და წამოდი... საქმე ყელამდე გვაქ, გაიგე! — კოპები წამოიყარა ბრიგადირმა.

— კიდევ რაღა იყო! ისედაც სულ იმას მტრმტრებს — თქვენი შეილები ლატარიაში მერგო? — ჩაიროხრობა შიომ.

— მამაცხონდა, ამისთანა ანგელოზები ბეზიას რომ დასძახიან, მადლობელ იყოს... წაასხი, წაასხი... წაასხი... სათესლე სიმინდი გვაქვს გადასარჩევი, ნოტიო შეუდგა...

შიომ რამდენიც რალაცის თქმა დააპირა, იმდენი ამოიხმულა, ბრიგადირს სიბრახისაგან ლამის კისრის ძარღვები დააწყდა ერთი ყბაში შემომარტყმევინა, გულს რა მოვიოხებო, ფიქრობდა გუნებაში, სიტყვით კი დაუტკბა, იქნება კიდევ შეებრალა ცოდვის კოკორა ბიძაშვილი.

— კანტორასთან ჩამოდი! — მოკლედ მოუტრა სიტყვა ბრიგადირმა და ბრავაბრუვით გადაიარა ბოგირი.

შიომ ფარხმალი დაყარა, ტიტლიკანა, შეციებელი ბავშვები შინ შემოიყვანა, პატარას, ბიჭს ჩააცვა, გოგო კი, რის ვაივავლახით თვითონ გამოეწყო, და ასე გაბუებულები, წირაღლიანები დაილალია სიდედრთან.

გაჯგიმული მიდიოდა ბიჭი, შუბლზე კობი წამოსჯდომოდა, თავზე — ნაბდისქული. ცალი ნესტოდან ჩამოწეული ცინგლებს წამდაუწუმ ისრუტავდა და თან პურის ყუას იღმურძლებოდა. გოგო დილატიკიას ჰკავდა, ჩაფართხუნებულ კაბაში, ფეხსაცმელი ქუსლებთან ორივე გადაგრებილი ჰქონდა და ხან ერთი ეხდებოდა, ხან მეორე.

— ამ სისხამზე რას წამოვიყვარებ ბალები? — შედგა წყაროდან მომავალი შიოს ლტროსი და სალომე, — მაგათი დედა სად არი?

— დედა იმასა და ელდა! — ჩაიბუბუნა შიომ, ბიჭი ხელში აიტაცა, გოგო წინ წაიმძღვარა და აჩქარდა.

— თქვენ მოვიკვდეთ, მამიდაო, — ამოიოხრა სალომემ ბავშვების ცოდვით და გუნებაწამზდარი გაპყვა ისიც გზას...

მათი დედა კი ბაზრის შესასვლელთან, ზედ პურის მაღაზიის წინ, დახლის ბოლოს მოწყობილიყო და თვალი წამდაუწუმ იქით გაუბრუნდა... გამოჩნდებოდა — გული აიმედებდა ოლიკოს... და ამ მოლოდინში უქმად არა სცდებოდა, „აბა, ქორფა წიწმავი“ — ეხმიანებოდა მუშტარს. დრო და დრო დახლს ქვემოდან ორ ცალ ვარიასაც მოფარებით ამოაწყობდა ხოლმე, ე მანდ კონტროლი თავზე არ წამომადგესო.

— აბა, რამდენისაა ე წიწმავის კონები? — შემოგზვივნენ უმაწვილი გოგობიჭები?

— როგორ რამდენისაა? კონა თხუთმეტი კაპიკი.

— ათი კაპიკი, სულ წავიღებთ, ქორწილისთვის გვინდა.

— აბა, საბედნიერო სუფრისთვის გდომებიით, წაიღეთ... ერთმანეთზე დაულავა ოლიკომ კონები და პირდაპირ ვეება ჩანთაში თავისი ხელით ჩაულავა, თვალი დარჩა იმათ უზრუნველ და ხალისიან ეცივილ-ხივილზე... ვერ ამხნევდა კონტროლი რომ წამოსდგომოდა თავს და დახლზე შემოწყობილ ვარიებს ავად დასცქეროდა. ოლიკო არ დაიბნა, არც აცია, არც აცხელა, ჯიბიდან ორი მანეთი ამოიღო და მუქაში ჩასაჩარა კონტროლიორს.

— ჰქუაზე ხარ, ქალო? — მიაყარა ფული გაოცებულმა კაცმა და თითი დაუქნია.

— გეცოტავა? — ხელბზე ჩააფრინდა ოლიკო — აღრიან წამოვედი, ცნობა ვეღარ მოვასწარ, წმინდა ხორბალზე მყავს დაზრდილი, — მიაყარა რაც ენა-



მამადგეთისა გაუწყრეს... ლანძღვა-ვინე-  
ბაში ფეხი წაუტოდა და რუში ჩატომა.  
„დასწყველოს ღმერთმა, ეს რუ ზაფ-  
ხულში არა ეონავს და ამ შემოდგო-  
მისპირზე რამ ააწაწკარაო“ — დასვე-  
ლებული ფეხსაცმელი ბალახზე გაუსვ-  
გამოუსვა და გულის ბაგაბუგით შეაღო  
ქიშკარი.

— დედა მოვიდა! — კისრები დაიგ-  
რძელეს ბავშვებმა, — რა მოგვიტანე?  
შემოსვლისთანავე კაბის კალთაზე შე-  
აფრინდნენ, ეცნენ ჩანთას და თავები  
შიგ ჩაყვეს.

— ბუბლიტი! — ამოათრია გოგომ  
ასხმულა და კისერზე ჩამოკიდა.

ბიჭმა დედას ხელები აუწია, ამიჯვა-  
ნო, ოლიკომაც მკერდზე მიიჭრა თავა-  
სი პაწაწინა ვაყვაცი... იმისმა თბილმა  
ყელსურმა, გული ამოუფესო, გოგოც კა-  
ლთაში ჩაისვა.

— ხომ არ გააჭაგრეთ დიდედაი? —  
ჩასჩურჩულებდა ყურში შვილებს, ფიჭ-  
რი კი იმ „ოხრადდასარჩენ“ ზურის მა-  
ღაზიაში ეწეოდა.

„მეხიცი იმას დაგაყარე, ვინ არის, ვინ  
ოხვრია... როგორ ვადმომიყარა სურდა,  
ბუბლიკებს რანაირად ასხამდა კანაფზე,  
სად პაპიჩემისკენ მიჰქონდა ი საზე, იქ-  
ნება სოფლელებს თავს არ უყადრებს,  
აი, მენაცვალოს იმის თავი...“ ქალური  
თავმოყვარეობით ივსებოდა ოლიკო და  
ცრემლად რომ არ დიდვრილიყო, შვა-  
ლების კოცნითლა იტრიალებდა ზოდმას  
ისევ გულში. „მაშ, იმ დღეს რალა მო-  
ელანდა ნეტავ? საგანგებოდ დაბარწუ-  
ლი ბუბლიკი უნდა ავიჩიოთ, ორკეცა  
კანაფზე ავიხავ, ვზაში არ გავიწყდე-  
სო, ქალო, შენი თვალების მაცქერალი  
ქმარი რა ჭკუაზეაო?“ ოლიკოს რაღაც  
ძალიან აწუხებდა, ვიღაცას ნიშნს უგებ-  
და, ეკამათებოდა... რატომ? რისთვის?  
ვერა გაეგორა თავისთავისა...

გოგო კალთიდან დაუსხლტდა და  
ისევ ჩანთაში ჩაძვრა.

— დედი, ქათამიც ჩამოგვიტანე?

— აბა, ქათამი, გო? — ჩამობობლდა  
ბიჭიც და იმანაც ააფათურა ხელები.

— წავიდეთ, შვილებო, შინი — წა-

მოდგა ოლიკო და ბავშვებს უფრსკენე  
ლი ჩააცვა.

ბაბაღე კი ქანდაკებასავით იღგა  
გულზელდაკრფილი და შეჭფარებოდა  
თავის მოთმინებას.

\* \* \*

შიომ შესაწრო ცოლშვილს სახლში,  
სინათლე აანთო და თუნუქის ღუმელიც  
ააბაბანა. ცივი ქრუანტელი უვლიდა-  
ახლოს მიჭდა, ხელები მიუფიცა, შიო-  
და, მაგრამ თავს ვერ დაატანა ძალა პუ-  
რი მაინც გაეხუბა და ერთი ლუკმა შე-  
ეკნა.

ოლიკომ განათებული სახლი რომ და-  
ინახა, სული უფრო წაესწრაფა შინ მი-  
სასვლელად.

— ჩქარა, გენაცვალეთ, ჩქარა! გახე-  
დეთ სახლი როგორ გველოდება, გვიბ-  
მობს მალე მოდიეთო. ბავშვები წაქეხ-  
ბაზე გაბალისდნენ და ქოშინითა და  
ბრაბი-ბრუბით აიარეს კიბე. შვილების  
ფეხისხმა შიოს საამოდ აუჩქროლა გუ-  
ლი და შემოკვენილ ბავშვებს გაშლი-  
ლი ხელები შეაგება. ოლიკო კი ვითომც  
ვერ შეამჩნია.

— მამი, აი დედამ ქათმები ჩამოგვი-  
ტანა! — მამის ფეხებთან შეუშვა ხელი  
გოგონამ ჩანთას.

— ბუბლიტიც... — კისერზე შემოეხ-  
ვია ბიჭი.

— დასწყველოს ღმერთმა, რა დათ-  
ვის ბელებივით აკუნტარუშდით? —  
ჩანთას დაავლო ხელი ოლიკომ და  
თვალს ამოაფარა...

— დათვის ბელები! — ტყვიასავით  
მობვდა შიოს ეს სიტყვები და გუნება  
წაუხდა. ოლიკოს თვალს არ გამოეპარა  
გაბუსხული ქმარი, მაგრამ ვითომც ბა-  
იბურშიც არ იყო, განგებ წიოკობდა  
და წინდაუკან მიჰქონდა წალოდან გად-  
მოღებული ბავშვების ლოგინი.

შიო, როგორც იყო, წამოიმართა სკა-  
მიდან და მთელი ძალით დაჭკრა მივი-  
ლას მუშტი, მერე კარს ეცა და გაიჭა-  
ხუნა.

ბავშვებმა ერთი კი სცქვიტეს ყურე-  
ბი, გააფაციცეს ცნობისმოყვარე თვა-

ლები, მაგრამ რაჯი დედამ ნირი არ შეიცვალა, იმათაც ისევ განავრძეს ლოვინში კოტრიალი და სიცილ-კისკისი.

— საით ყოფილხარ, შიო? — კანტორასთან დაეხმურა შიოს დარაჯი.

— ჰაერზე გამოველი...

— ჰაერი პირველი წამალია, მე თუ ჰაერი მომაკლდა, მორჩომილია საქმე, როგორც გინდა თქვი, უჭმელობას ვიტან, უჰაერობას — ვერა. ჰაერი, რაც არი, ისიც ჩვენი სოფლისა, გახედე რამსიმაღლე მთებიდან მოედინება, ეკვი... ის ღრო სჯობდა იმ მთაზე ცხვარში რომ ვიდექი, მწყემსი კაცისათვის კანტორის დარაჯობა ვერაფერი ბედენაა, მაგრამ გატეხილი ჯანი ძნელი ყოფილა... ასე არ არის, შიო? შეშო, ცოტა წაუუქეიფოთ... ვანშაში ჩამომიტანა ჩემმა დედაკაცმა, ღვინოსაც ვიპოვენი...

— მადლობელი ვარ... გერასიმე, ქეიფსაც თავისი გუნება უნდა — ამოიოხრა შიომ და შენელებული ნაბიჯი ისევ განავრძო.

— მთელი დღე იშრომე, გუნებაც ეგ არის! — გადაუდგა გერასიმე, მაგრამ ვერ დაიყოლია. მიდიოდა შიო, არც მიიჩქაროდა, არც ფეხს ითრევდა...

— ეეჰ... რაღაცა სევდას არის შეჭიდებული, — ხელი ჩაიჭნია გერასიმემ და კანტორაში შებრუნდა.

ოლიკო ქმარს ელოდა, ელოდა და

რომ აღარ გამოჩნდა, შალი მოიგდო მხრებზე, კარი ჩუმად გამოიხურა.

— რა ჭირმა და სიკვდილმა მათქმევინა დათვის ბელები? ქალო, ხომ იცი შენი ქმრის პოხონდრია ხასიათი, ვერ აწონ-დაწონი სათქმელსა? — ნეტავ ვისთან იქნება? მეზობლებში, თუ სალომესთან ჩაეიდოდა სატურტუროთა? სოფელი ძილში ჩამოშვიდებულყო. ორღობეში ოლიკოს ფლოსტების ხმაური ღობისძირებში შეყუთულ ჩიტებს მყუდროებას უფრთხობდა.

უცებ შედგა ქალი. წყაროსთან ქვაზე ჩამომგდარიყო შიო და თავი ხელებში ჩაერგო. ოლიკოს გული დაეწურა გარიყულ, საგონებელში ჩავარდნილ ქმრის დანახვაზე.

„ვინ ოხერია, ვის დაპყარფვია“ — ამოისროლა ოლიკომ გულიდან ხვამიადი და წყაროს წყალს მისცა... ეს გული... ტიალი...

— კაცო სახლი არა გაქვს თუ კარი? — შემოეხვია ზურგიდან ოლიკო ქმარს და ქოჩოჩი ალერსით მოუქექა.

დაღნა ვაეკაცი...

ფეხაკრეფით შევიდნენ საკუთარ ქერქვეშ, უჩუმრად დაწვნენ... ოლიკოს თავი ქმრის მკერდზე დაედო და შორს, სიბნელეში იყურებოდა ფართოდ გახეული, ცრემლიანი თვალებით...



კარლო კოხავიძე

# მ წ ყ რ ე ბ ი

მომხრობა

დილით, მზის ირიბი სხივები რომ მიადგება მოფაფალებულ კიბეს, ვინმემ თუ აუჭრიალა სადგურები, ისე მოქანაობს დაფუტურავებული წიფლის მტვერი, გვეგონება ფქვილს ცრიანო. წიფლის კიბე ურარაობისაა, ურარაობისა და უკეთესის მოლოდინისა. მოლოდინით კი ის მელის, ვისაც ბედის წალმა-უკულმა ტრიალისა გაეგება რამე და, საერთოდ, სიცოცხლისაც. სიცოცხლე ხომ, მხოლოდ და მხოლოდ, უკეთესი მერმისის მოლოდინია და მეტი არაფერი, რაც უპირველესად, ადამიანის, როგორც უძირო საწყაოს აღუვსებლობაზე მიგვანიშნებს. ამას კი — თუ უკაცრავად არ ვიყო — უბრალოდ: გაუმადლობა ჰქვია. როგორც უნდა მოვიკულტურულოთ, მოვიპატიოსნოთ თავი და დაბეჭითებით ვამტკიცოთ საწინააღმდეგო, გულში მაინც გამოვუტყდებით ამ მამააბეულ ქეშპარიტებს: ბუნების ბრძანებაა და წაყრუებით, დამუნჯებით, დუმილით ვერ აუვლი გვერდს. ასეა და, აჯობებს, ერთმანეთის მოტყუებას მოვეშვათ, თორემ ამდენი უძილობა ძნელი ასატანია — იმავე ღამეს მარტო, შინაურულად რომ ვრჩებით საკუთარ ფიქრთან, ნებ-აუოფლობით ვამბობთ სიმართლეს, რა-

საჭ სინდისის ქენჯნას ვეძაბით. და ისევე ხვალინდელი დღის იმედი გვაქვს, ხვალ ვაპირებთ ამ სასჯელის მოხსნას, მაგრამ ცხოვრება სულ სხვას გვკარნახობს და შემსუბუქების ნაცვლად უფრო ვიძიმებთ სადარდელს...

რა თქმა უნდა, ხვალინდელი, კეთილი დღის მოლოდინი ჰქონდა თედო კვეტიერელსაც. წიფლის კიბეს რომ ადგა აბალაშენებულ სახლს: მერე რა მოხდა, უკვე პასპორტი თუ აიღო ჩემმა ოთიამ, ეგ რომ დაკაცების საბუთი იყოს, ამდენი თავქარიანი ჭვილიც აღარ გვეყოლებოდაო; ჭერ ისევ ბალღია, თვალი და ჭკუა-გონება მარტო გოგოებისაკენ მიაქნებს, ზუთილიც წელი გაივლის, დადუღდება, მზარს შემაშველებს და მუხის კიბეს კიდევ მაშინ მივადგამთო... იმ ზუთილიც წელში მართლაც იმარჯვა ოთიამ და მამამისმაც სამჭერ აიყვანა ვეჭილი. ამასობაში წიფელიც დაქიანდა: კიბის ქვეშ შეიცოცხებული კლანძა, ჭინკრისდღეა მატიტელა, მრავალძარღვა და საძირკველში ბორჯგადგმული ბალბა მწვანედ გაღვიძებიდან უფოთლ-უღეროოდ მიძინებამდე ერთავად თეთრად არიან გაგანგლულები. ხანდახან მოფუტკნავე ქათამი დაუბრუნებს ხოლმე ბუნებას

ფერს, ხანდახან მზე-წვიმასგარიდებულ ზებერი მყეფარი, ხანდახან კიდევ სტუმრის მოლოდინე, დარდით მოტეხილი დედაკაცის უგულოდ გამოსმული ცოცხი...

აგვისტოს მიწურულის ერთ ღამესაც თთიამ ისე აიარა ჭრილა კიბე, იმ კიბის ქვეშ მიწოლილ ძაღლსაც არ გაუგია არაფერი. კიბე აიარა და შუშაბანდის ღია კარის ზღურბლზე ვაჩერდა: შინ იყვნენ მოხუცები — ვახშობდნენ. მაგიდაზე ლობიოს თავლია ქოთანის, სველი ხელადა და წყლის თუნგი იდგა; ლამაზად ელაგა პამიდორი, მწვანელი, მწვანე წიწკა, კიტრის მწნილი და მოკლე, ბარაქიანი შოთები. თთია ჩაფიქრდა: ასეთ შოთებს სასტუმროს არ ეტყვიან, არც საქორწილოა, არც საქელეხო — უცებ გასახარჯი — უცბილობას რომ უჩივიან, საიმათოა, მოუცლელობისაც: ობს ადრე იკიდებს, მაგრამ გვიან ხმება... პური სულ ახლახან ამოყვარათ თონიდან — სითბოს სურნელიც ისევ დაჰკრავდა, ნაერისაც. თთიამ იცოდა, მამა არასოდეს არ ყიდულობდა მალაზიის ფქვილს, ჯერ ერთი: თეთრია თუ რუხი, კანგაცილია, უმაწირო, მარტო ახალგამომცხვარს აქვს ცოტაოდენი გემო, გახმება, გაუგემურდება და კვივიით საღეჭიაო; მეორეც: დენის წისქვილზე დაღქული, ჰაიპარად, გეგმაზე გადაბტომას ეშურებიან, არც დოლაბების მოკოდვით იწუხებენ თავს, არც — გაციებით, აქრა წარამარა წყალი შემოაკლდებათო, ამიტომაც ჩამოდის მოშუშული ფქვილი, წებოვანი, გამომშრალი; რასაც ათასი ჯურის მომგონ-ამოსაწყვეტი შხამ-სასუქი აკლებს, იმას წისქვილი უთავებდა. და შემოდგომაზევე იჭერდა თადარიგს — ინდენ ხორბალს მოიმარაგებდა ხოლმე, რამდენიც მომდევნო შემოდგომამდე გასწვდებოდა. მერე ნაწილ-ნაწილ, ავტობუსით მოჰქონდა წყლის წისქვილში. წყლის წისქვილი კი ორად ორიდა ვგულებოდა: ერთი გაღმა, ფშავეში, ერთიც — იორხე, საართიქალასთან. მთელ სოფელს ძეგლი მაღლის გასახსენებლად ეფინე-

ბა მათ თონეში ჩაქრული ტყვამის წიხტის, ნაშუქისა და საახალწლო, კიპიანი „ბასილას“ სურნელი...

ღედა ზურვით კარისკენ იჭდა, მამა შუშაბანდისკენ. მამის მოპირდაპირე კედელზე ოთიას მოზრდილი სურათი ეკიდა, ალავერდობაში გადაიღო საშუალოს დამთავრებისას — ეკლესიის გალავანზეა მიყუდებული და ხელმოჩრდილვით აპყურებს ცას. ოთია მიხვდა: მამა იმ სურათის მაღიმალ შესახებდად იჭდა ასე... მოხუცები, თითქოს ვალს იხდიანო, უხმაუროდ, უმადოდ ილოღნებოდნენ.

თთიამ ტუჩი მოიკვნიტა, სიმწრით დახუჭა თვალები და მარცხენა ხელი მიუტყაპუნა კარს, მარჯვენაში ალუბლის ფოთლიანი ტოტი ეჭირა, ცერი მხარზე გადაგდებულ პიჯაკის საყელოზე ჰქონდა ამოდებული; ჯერ დედის შეკვივლება მოესმა:

— შვილო!

მერე მამის ბოხი ხმა:

— ვერ უყურებ?!

თვალები რომ გაახილა, უკვე ეხვეოდა დედას. ოთია დაიხარა — ჩამომკენარ ლოყაზე აკოცა და თავზედ რომ გადაუსვა ხელი, მაშინლა დაინახა — ერთიანად მოჰკიდებოდა ჰაღარა. ცოტაც და ატირდებოდა ეს უჩიათო, ციხე-ციხე ნათრევი კაცი... ვერაფრით ვერ გაიხსენა, სულ ბოლოს როდის იყო, როდის აკოცა დედას, ალბათ პატარობისას, გაურკვეველობის ბურუსი რომ იდგა, მაშინ, მაშინ ვინ აღარ კოცნის დედას!

— შენ გენაცვალე, ჩემო უბედურო შვილო! — ფერდაკარგულმა, მოულოდნელობით დაბნეულმა დედამ უფრო აუწია ხმას.

— ჩუმად, — ტუჩებზე თითი მიიღო თთიამ და მერე დაარტყა მამას მხარზე ხელი, — როგორ ხარ, ბერიკაციო?

მამა მოწყვეტილი დაეშვა სკამზე, ერთბაშად მოიჩრდა, ხელები აუკანკალდა, ხმაც:

— გამოიპარე, ბიჭო?!

— რას ამბობ? — გაელიმა ოთიას,

ბიჭაქი ტახტზე მიაგდო, კედლიდან თავისი სურათი ჩამოიღო, მაგიდაზე დადო და ლურსმანზე ალუბლის ტოტი ჩამოაკიდა, — აქი გავიდა ხუთი წელი! — ტახტზე ჩამოჯდა, ბეჭებზე მუთაქა მიიღო და კედელს მიეყუდა.

— ვერ მოგიბერხებია, თორემ დაიმბტებდი, — ჩაიქირქილა უკვე დამშვიდებულმა მამამ.

— წყალს შევდგავ, თედო, შენ ჩადი, ქათმები დამიხოცე! — მაგიდიდან სალათის თევზი აიღო დედამ, სამზარეულოსკენ მიბრუნდა, სკამს წამოედო და თევზი გაუფარდა ხელიდან — იატაკზე ნამსხვრევებმა გაიწკრიალა, — შენ გენაცვალე, შვილო.. ეს რა ბედნიერი დღე დამიღამდა, ხალხნო..

— კარგი ნიშანია! — თედომ თევზის ნამსხვრევს ფეხი გაჰკრა, მაგიდის ქვეშ შეაგდო, და შვილს მიაჩერდა, — როდის გამოვიშვეს?

— ათი დღეა.

— არ გეყურება, კაცო?! საცაა გაიგებენ მეზობლები, მოვლენ და, ეგეთ დროს ეგეთი სუფრა სირცხვილი არ არის, კაცო?!

თედო წამოდგა.

— დაჯე, მამი, რა დროს მეზობლებია! — მუთაქა გაისწორა ოთხამ, — სოფელზე კი არ ამომივლია, ღელე-ღელე მოვდიოდი, კაცის ჰაქანება არ შემხვედრია და ეინ საიდანღა გაიგებს, ჩამოვიდოა.. ხვალ თუ მოვლენ, მოვიდნენ.. ახლა იმათი ყაყანისთვისა მცხელა, ხუთი წელია, გემოზე არ მიძინია.. ქათამი? ხორცის გემოს ხანდახან მაინც გავიხსენებდი ხოლმე, მაგრამ, აი, ლობიოსი, რაც თბილისიდან გამოიყვანეს, აღარ მინახავს... უკეთეს სუფრას ვერც ვინატრებდი!

— მაშ, ათი დღეა გამოვიშვეს, პა? — ჰკითხა მამამ.

— ზუსტად ათი.

დედა რაღაცას ეძებდა — კიბეს ჩაყოლა თვალთ, მერე ისევ შუშაბანდში შებრუნდა, მაგიდის ქვეშ შეიხედა:

— ბარგი სად არის, შვილო?

— რა ბარგი? — წამოჯდა ოთხი, მა-

გიდას მოატარა მზერა, — საჭურჭლე მოიტა, — თავი მოუსრისა სივარეტს.

— ეგე, თევზზე დაყარე... ზედ რაც გაცვია, დავიჯერო, მაგის მეტი არაფერი გამოგატანეს?

— რათ გინდა, რო?

— ის რაღათ მინდა, ოცდაათი წელი რომ ვინახავ შენს ფანურებსა და ქუსლ-გამოქმულ წინდებს?

— ჰოო!.. პატიმრებს დაეუტოვე, ხელმოშპირნე ხალხია, გამოიყენებენ; შინ მოვდიოდი და ჩემი მეოთხე, გახსნილი დანაშაული იქნებოდა იმ ნაგავის წამოღება, იქ კი ოქროს ფასი ადევს.

— აქამდე სად იყავი? — შეფიქრიანდა მამა.

— სვენებ-სვენებით მოვიჩრჩეტობდი, — ალუბლის ფოთოლი მოსრისა თითებით, დაუნოსა, — თვალთ მოვატარე ქვეყანას. ერთი დღე თვითმფრინავში ვიყურებულე გზაში; სამი დღე მოსკოვში ვიხეტიალე; ეს ტანსაცმელი იმ მთავარ დედაქალაქში ვიყიდე.

— მჯერა, იყიდდი, აბა, პატიმრებს რო ეგრე, ქალაქურად მოსავდნენ, ჩაცმაზე გადარეული, თავდაფრაკებული ბიჭ-ბუჭობა შენს გზაზე დაიწყებდა წანწალს.

— არც უმაგისოდ ამბობენ უარს... ოთხი დღე კიდევ ოდესაში გავიხედ-გამოვიხედე.

— ჰო, ბიძაშენის საფლავის მოსანახულებლად ჩახვიდოდი.. რატო არ ვაგვაგებინე, გამოვიდვიარო, ფულს მოვაწვდილით.

— მქონდა, ჩემი ოფლის დანაზოგი მამაობრეს წამოსვლისას.

— დანაზოგი?!

— დიახ... წესდება-კანონით მეტი სადარდელი არ ჰქონდათ, გამოსწორებული ოთხი კვეტერელი უფულობამ, ემანდ, გზაში არ გაჩხიროსო.

— მერე, გეყო?

— რას ამბობ, მამი, იმას რა მოერეოდა? — წამოდგა, შარვლის ჯიბეში მოიფათურა ხელი, — ვერაფრით ვერ დავხარჯე, ვადამურელი კიდევ, შენ მაინც იცი, არა ვარ, — ხუთკაპიკიანი

მაგიდაზე დაატყდა, — აი, ბატონო, იმ ფულის ბარაქა!.. დაბლა ისევ მოდის წყალი?

მამა დაფიქრებული დასჩერებოდა ხუთკაპიკიანს.

— მალა ამოვიყვანეთ, — დედამ უთხრა, თან შუშაბანდის ბოლოსკენ გადააქნია თავი, — გეგ, კარი, მანდ დაგხვდება.

— კარგად მოგიფიქრებიათ! — ხალათი გაიძრო ოთხამ, უსახელოებიც, კარი გამოაღო, — ვაჰ, ესეც, ალბათ, სამზარეულო! დაგტყობიათ უჩემობა! — ონკანი მოუშვა.

— თვალი არ გეცეს — მოსუქებული მეჩვენები, შეილო.

— შენ კი კინალამ ცრემლად დაიდვარე, კინალამ დარღმა და მარხვამ გადაგიყოლა! იმედი კი გქონდა, მაგრამ ექვი გაწვალდება, გვეონა, აღარ დაებრუნდებოდი, მე კი გამოსასწორებლად, კაუსის სასწავლებლად წამიყვანეს, უმალესიც ავი უფრო ხუთწლიანია!

— იქით ორჯერ ორ-ორი წელი?

— ისა ტექნიკუმები იყო.

— იმიდან ვერ გამოაქვთ ცოდნა?

— შენს ძმისწულსა ჰკითხე ეგა: სამი ტექნიკუმი დაამთავრა, მაგრამ კაცობისა მაინც არ მოეცხო არაფერი... იცოდეთ, აქ თუ მოვატანე, შენ მაშინ უნდა ნახო დანაშაული, მეოთხედ შეგბრუნდები ჯოჯოხეთში — ისე დავცემ თოფს, აღარც კაცად ვარგოდეს, აღარც დასამარხად ემეტებოდეთ!.. აქ წამაწყვიტა, ერთი, აქა... აემიტომ ვერიდები ქალაქს, მოთმინების ძაფი დამეჭმეება, შინ მივევარდები და საფლავიც დაგეარგებათ ჩემი! — კარი გამოიჭახუნა.

დედამ ქათქათა პირსახოცი მიაწოდა:

— აღარ გეყო, შეილო, სულ მაგაზე უნდა იწეწო ნერვები?

— რას ამბობ, ქალო! — უფრო გაბრაზდა ოთია, ნაჩქარევად შეიმშრალა პირისახე, თავ-კისერი: წყლის წვეთები ისევ უციმციმებდა გოჯზე წამოზრდილ თმასა და წარბებზე, — სამუდამოდ ამიწეწა ცხოვრება, მაგ შობელძალმა!.. სტუდენტი ვიყავი, ორი თვის სტუდენ-

ტი, თავი შეამაყებოდა. სულ ჩემსწინაშე ბი მეპატიებოდნენ ხან კინოში, ხან სასაბილოში და რაკი დროზე ვერ მომწოდეთ ფული, შემარცხვა: ერთხელ მეც დაგპატიებე-მეთქი, შინ არ ეგდო არც ისა, არც იმისი მათხოვარი ცოლი, ორმოცდაათი მანეთი ავიღე დაუკითხავად, ჰქვეყანა დავაქციე? ან კიდევ, ორმოცდაათი მანეთის ამაგი აღარა გქონდათ იმათზე?.. ცეცხლად შეერგოს თუნდაც ის ოთხი წელი, ომის დროს რომ აქ გაუტარებია, ამ ეზო-ყურეში ჩემს დაბრუნებას აღარ დაუცადა, მეთქვა, მე ავიღე-მეთქი, და მილიციამაც სასაბილოში ამიყვანა. გაუკვირდათ, რა მალე გამოტყდათ!.. განა არ იცოდა, ქურდი რომ არ ვიყავი, ძალიან კარგადაც იცოდა, მაგრამ თავის გათახსირებული ცოლის ჰკუას აპყვა, ეგონათ, მთელ ხუთ წელს იმათ ჩაობრებულ ოჯახში გავლევდი! აეს იყო მიზეზი, მეტი კი არაფერი!.. გამოსასწორებელი ბანაკი? ჩემი გამოსწორება თუ უნდოდათ, ეს საცოდავი ბაღი იმ მკვლელებში, ბანდიტებში, რეციდისტიებში რას ჩამადგდეს, პროფესორებს ვერ მიმბარეს? ან რა მქონდა გამოსასწორებელი?.. კარგი, ეს შენი ძმისწული დამთხვეულია, კანონის დამცველები ხომ დალაგებულები არიან, ღრიალი რომ გავაბი მილიციაში, იმით მაინც ვერ მიხვდნენ, უდანაშაულოა?.. რა დიდი მიხვედრა ამას უნდოდა, მაგრამ ფეხებზე დამიკიდეს! საერთოდ, ადამიანს მხოლოდ მაშინ ხვდება გულზე სხვათა უდანაშაულობა, როცა თვითონ აღმოჩნდება ხოლმე დამნაშავის სკამზე. ასეთი სკამები კი, ასეთი — უკაცრაული ქართულია — ადამიანებისათვის, ჭერჭერობით ძალიან ცოტა... მოკლედ, ტყუილ-უბრალოდ გამომკეტეს. დაქერის დარდი, ჩანდაბას, კინალამ სირცხვილის ჯავრმა გადამიყოლა. მაგრამ რას აღარ მიეჩვენე კაცი და ავი ამასაც მიეჩვიე... ციხისა იმას ეშიენია, ვისაც ბედმა გაუღიმა და ჭერჭერობით გარედან შეუვლია თვალი, ვისაც ჭერჭერობით არ გამოუცდია ჰერთან მიმალული, ცხაურიანი სარკმლის სიპა-

ტარავე, მისი ჩამტანებლის მისამართით გასროლილი, ჩახუტუქებული გინება... მივეჩვიე-მეთქი, ჰაერზე არ მითქვამს, მივეჩვიე და შიშიც გამიქრა. ამიტომაც მეთმობით ასე ადვილად, ამიტომაც მივაკითხე ორჯერ კიდევ, ამიტომაც ეშინიათ ნაციხარი ხალხისა... უკეთესი ცხოვრების იმედი დავეარგე და სირცხვილის, თავმოყვარეობის გრძნობაც დამეკარგა, — ოთიამ ლობით გადაიღო ჯამში, შოთის ყუა წაიტეხა.

დედამ ამოიხზა.

— ყოჩაღ, ძალიან ვამახარე, შვილო!

— წყენით თქვა მამამ.

— რაზე მეუბნები მაგას?

— ისევე იქ წასვლით რომ გვემუქრები.

— ფიქრადაც არ მომსვლია... ვიმუშავებ რამეზე, ქალსაც ვითხოვ.

— ვინ გამოგყვება, თორემ თხოვნით კი ითხოვ.

— მეც იგეთი შტერი მნახე, ვინც არ მიცნობს, აედგე და თავიც გავაცნო, ჩემი ჩაოხრებული წარსულიც.. მერე, რამდენიც უნდა იმდენი იფხაკუნოს. პირველი არა ვარ ეგეთი და არც უკანასკნელი ვიქნება.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს!.. ეს ალუბლის ტოტი რაღათ გინდა? — კედელს ახედა მამამ.

— ძეძვიც კი მომენატრა, უხვირო ძეძვის ფოთოლი.

— ჩვენი დარდი და ეება კიდევ არაფერი! — თავი გააქნია დედამ, — რატო არ გვეკითხები, ახალი რა არის სოფელშიო? დავიჯერო, ძეძვის ფოთლის მეტი არაფერი მოგენატრა?

ოთიამ ვაოცებით შეხედა:

— ეგა ვთქვი, მარტო ძეძვი მომენატრა-მეთქი?

— ეგრე გავიგე.

— სხვადაც უკულმა გამიგო და სწორედ იმან გამიძალღუმადურა სიცოცხლე!.. ეეჰ! — დენო დაისხა, ჭიქა ასწია, — როგორ მინდა არსებობდე, ღმერთო!.. როგორ მინდა საიქიოც არსებობდე თავისი მიქელ-გაბრიელთ, თავისი ედემითა და ჯოჯოხეთით!.. როგორ მინდა გაარჩიონ, ვინ მტყუანია და ვინ 5. „მწიგნობი“, 166.

მართალი!.. ჰო, ჰო, ჰო, ჰო, რამდენად ურანგელოზს ეტირებოდა დედა! — დალია და ფრთხილად დადგა ჭიქა, — რამდენი გაქ დენო, მამი?

— ათაფიანი ქოცო მაქვს მიძეკილი.

— გენაცვალე მოლოდინში!

— ხო არ გეცოტავა, შვილო?

— რალა მეცოტავა, ორიოდე დღეში ქვევრებიც გაირეცხება!.. გივარგა რამეთ?

— მაგარი რთველი გვექნება!

— გადაეხდი ხვალე და დავეწაფები!

— გზამებს და ვერც ვერაფერს დააკლებ, — გაელიმა მამას.

— თავი არ ჩამივა და პეშვით ამოეხაპე — არ დამიყვანია მტკაველზე, აღარც კაცი ვყოფილვარ!.. თოფი ხო არ წაიღეს?

— ვინ გაატანდათ, რო?

— მზე ვიდრე მიიღლ-მოივლის, მწყერზე ავუყვები სანადიროდ და თვალსაც გავეხარებ. ხვალე კვირაა და შენ, ალბათ, ველისციხის ბაზარს ჩახედავ.

— სხვა რა გზაა: ქვეყანა დაგვეღება და კილოებით ნასყიდ ხორცს რა ბარაქა ექნება — საკლავს მოვიყვან რამეს!.. რაკი აღრე აპირებ ძილიდან გამოსვლას, აჯობებს, ამაღამვე დაეტენოთ ვაზნები!.. რალაცა მინდოდა მეთქვა... ჰო, ის ჩამოვიდა, ჭრიალა, და თუ გადააწყდი სადმე, შვილო, საციხე არაფერი დაიმართო. მოვხუცდით, პატრონობა გვინდა; მოთბუნდი, დაიმშვიდე სული: რაც იყო-იყო!

— არ მოიქცა კაცურად, მაგრამ, შენი თქმისა არ იყოს, ჩაელილის დედაც ვატირე!.. შენ ნამზითე საწოლზე დამიგელოგინი, დედი, ერთი რბილად უნდა დავიძინო!.. ამით ყველაწმინდა შეგვეწიოს, — ჭიქა გამოცალა და მაგიდას დაჰკრა მსუბუქად, — ამინ!.. ადგ, მამი, — ჯერ თვითონ წამოდგა, — ვაზნები და ტყვია-საფანტი გამომიტა...

იმ დამეს ოთიას სამჯერ დახედა დედამ და სამჯერ შეიმშრალა ცრემლი — არ სჯეროდა შვილს შინ, გვერდითა ოთახში თუ ეძინა... ოთიამ სამჯერვე გაიგო დედის ღია კარში შემოსვლა, მა-

გრამ სამჭერვე მოიძინარა თავი, აღარ უნდოდა ზვეწნა-მუდარის მოსმენა, იცოდა, ისიც იმას ეტყოდა, რაც მამამ უთხრა — შეგვიბრალეო... მთელი ღამე იწვალა, როგორც იქნა, მოატყუა თვალი და მაშინაც მამლების საგანთილო ყვირილმა დააფეთა — კავკასიონის მთებზე უკვე გვალვით ჩამქრალი ბალახისფრად ირხეოდა რიყრაყი... წამოდგა, ტანთ ჩაიცვა, ხელ-პირს წყაროზე დავიბანო; კედლიდან ფრთხილად ჩამოხსნა თოფი, ფრთხილად შემოირტყა პატრონტაში და კიბეზე რომ დაეშვა, სახტად დარჩა: დედა კიბის ქვედა საფეხურზე მოხრილი იჯდა, მამა — სარეცხის თოკის ნაწყვეტს იდებდა შარვლის ჯიბეში... დედამ ნაბიჯს ხმაზე თავი უკან მიაბრუნა, წამოდგა და ჩამოეცალა. მამამ ქეჩო მოიქექა.

— მალე დაბრუნდები?

ოთიას ბოლმა მოაწვა ყელში, ეგონა, ხმა თუ ამოვიღე, ავტირდებო; ეზო გადასჭრა და ლელეში ჩასასვლელი ლასტის კარისაკენ გაუხვია — ამ გზით დაბრუნდა გუშინ.

მამა უკან აედევნა:

— ქათმები გყავს, მე მარტო ცხვარსა და ვიყიდი. ჩასვლა და ამოსვლა ერთი იქნება, რასაც დამიფასებენ, მაშინვე მივეთვლი... წუხელ რო გითხარი, წუხელ, ჭრილა თუ შეგხვდა-მეთქი, შევილო... მალე დაბრუნდები?

— მე მოვასწრებ, — ჩაილაპარაკა ოთიამ და ლასტის კარი გამოაღო...

დამშრალი, ბუჩქებიანი ღელე ქურდულად გაიარა — ეშინოდა, ვინმე ნაცნობი არ შემხვდესო, მოკითხვ-მოკითხვის, ლაპარაკის გუნებაზე არ იყო... მიდიოდა და თანდათან შუქიც მატულობდა, თანდათან არჩევდა: მყავალს, ჩაკაფვა-გადაკაფვით დაგვაჯულ ჭაგრცხილას, კატაბარდაში ამომძვრალ მყრალას, ლაშქარას, ჭყიმსა და სათათრეთიდან ცხენის ძეხვს. ეს ყველაფერი მისთვის შინაური, სიზმრებში ჩაყოლილი ნატვრა იყო და კიდევ ისიც, რასაც გამოუთქმელი სითბო ჰქვია, ტკბილი

ერუნტელით რომ იზომებოდა...  
 ჰქვას წამოპკრა ფეხი, დიხედა და წითელი კაყი მოხედა თვალში. დასწვდა, აიღო, დიდხანს დასჩერებოდა ღიმილით: ხელი გადაუსვა: რამდენი ხანია აღარ მინახხარო, და მერე ხრამში ნაცრისფრად ამოჩრილ ლოდზე დადო... უკან მიხედა და ისევ გაეღიმა: შემოდგომის თრამლის ფოთოლივით წითლად ანათებდა კაყი...

უნაყოფო ასკილის ტოტიდან ბელურა აფრთხილდა და გორაკებზე გადავლილ ბილიკივით ტალღა-ტალღა გაფრინდა. ბელურას თვალი რომ გააყოლა, მაშინ გაახსენდა წყარო, წყარო და წყაროს თავზე მდგარი ბებერი, სიკვდილის პირზე მიმდგარი მუხა. რაც თავი შეისწავლა ოთიამ, მას აქეთ სულ ასეთი, სიცოცხლეს ჩაქიდებული ახსოვდა მუხა. რამდენჯერ უფიქრია, გაისად აღარ გამოიტანს ფოთოლსაო. გაივლიდა ის წელი, მოვიდოდა მომდევნო გაზაფხული და აქა-იქ ისევ მწვანედ აშუქებდა დაკბილულ ფოთოლს; მართალია სიყვითლეს მალე წაიცხოვდა ხოლმე ფოთოლი, მაგრამ სიცოცხლე ერქვა მაინც. ახლა კი აღარ ჩანდა ლურჯ ცაში შავად ავარდნილი, ფოთოლგალარიბებული მუხა... ნაბიჯი აჩქარა და წყაროსაც მალე წაადგა, წყაროს და ნამუხარ ფერდობს. ეტყობოდა მუხა გამხმარიყო და ისე მიწის პირ-პირ მიეჭრათ, ცელით გადასხეპილი გეგონებოდათ. გული დასწყდა: იმ ახლო-შახლო ის ერთადერთი მუხა იდგა, ამიტომ ხმელსაც ვერავენ დააკარებდა ნაჯახს: ამოვიდოდნენ მეტყუევები, შეიდგენდნენ აქტს და ვიდრე გადაწყვეტდნენ, ვისზე უნდა გაეფორმებინათ ბილეთი, ერთმანეთს დასჰამდნენ — იქნებოდა ერთი გაქცევა-გამოქცევა, ჩივილი, მუქარა, წამოყვედრება და ათასი ზვეწნა-წუწუნიც. წიფელმა იყითხოს, თორემ ხმელ მუხასაც დიდი ფასი აქვს!..

არ სწყუროდა და წყალს მაინც სვამდა: ამოიღებდა პეშვით, ერთ ყლუპს დაღვედა, დანარჩენს ისევ შიგ ჩაღვრიდა და დასჩერებოდა დაფიქრებულში...

ბოლოს პირსახეზე შეისხა წყალი, ფერდობზე მიყუდებული თოფი აიღო და თავისი სოფლისკენ აუყვა ფერდობს. უცებ აათავა, გაიხედა და სინანულის ღიმილით გააქნია თავი: აღარსად იყო სასაფლაომდე გაფენილი ზვრები... რამდენი ოფლი და ფული ჩაიღვარა, ვენახი რომ გაეშენებინათ აქ, მთაზე მიმდგარ, დაქანებულ-დაცურებულ ფერდობზე, აყალოთი და ნასოფლარის კირით ადგვეფილ მიწაში. ვისაც სისხლში აქვთ გამჭდარი მიწის, ვაზის, ამინდის ალღო, ცოდნა და გემო, მათ რჩევას ყური არ ათხოვენ — და ქირჭილის ნაცვლად სინანული დაუტოვეს: დარდიან კაცს ქირჭილი ეუცხოვება. ბოლო-ბოლო უკადრებიათ სახეხილე, საბაღ-ჩაბაღე ადგილი სავენახეში შეგვეშალაო, ამდგარან და სამყურა დაუთესიათ...

— თურმე რა ვაშლები მდგარა აქა! — ჩაილაპარაკა ოთიამ და წაილიღინა: „თამარსა ვაშლოვანელსა, ვაშლი უდგია თავსაო“...

სამყურა ახლახან გაეთიბათ: ისევ მწვანედ ჩანდა აქა-იქ. დაუდევრობით თუ განგებ დატოვებული, ღელე-ღელე წასაღები თალამები.

ხელი ჩაიქნია ოთიამ და ღელის პირპირ, მთისკენ აუყვა ბუჩქებიან ფერდობს. ღელის გაღმა მეორე სოფლის გასადევრები, ბალ-ვენახები ჩანდა... ცას ახედა — საცაა ამოიწვედა მზე. ირგვლივ ფოთლების შმაშური იდგა, ხანდახან ჩიტების სტვენა-ხმობა რომ შეეპარებოდა ხოლმე... თხილის წამოზრდილ ბუდობს ღივი მოქცეოდა თავზე, დაედუნა, მოექოლგებინა — მოზრდილ მიწას ჩამოხზობოდა. ქვეშ მწვანედ ხასხასებდა ბოლქვა-ბოლქვა ამობლუქული წივანა ბაოახი.

ოთიამ თოფი მიწაზე წააწვინა, ზედ თავი დადო და გადმოხრილ ტოტებს აჩერდა: ხშირ ფოთლებში ბუდე დაინახა, აძენძილი იყო — ვილაცას ამოეშალა. „პატარა ბიჭი იქნებოდა, — გაფიქრა, — გორღებოთა სან ნებლად ექცეოდა. თათი ღელზე შეი რომ გამო-

უტყვრება. აუარებელი სადარცელი არაფერი!“

ღელის გაღმა თოფი გაეარდა. შეკრთა, თავი უხერხულად შეუქანდა, კეფა ეტკინა. თოფი უკან გასწია და ცარიელ, თბილ მიწაზე დადო თავი... ღრმად, დაგემოვნებით სუნთქავდა და თითზე აცოცებულ ჰიანჰველას ღიმილით აკვირდებოდა: ჩამოიწვედა დაბლა და ისევ უკან მიბრუნდებოდა ხოლმე. ისევ მოექცეოდა წვერზე და რაკი ასასვლელი აღარ იყო, კვლავ თავქვე მიუყვებოდა. „ყველა წინ მიიწვეს, ღობე-ყორეს აწყდება, მიალწვეს მიზანს საპოვნელს იპოვნის და მერე გასაქცევს ეძებს“ — ამოიოხრა და გვერდზე გადაბრუნდა...

უფრო ახლოს გაეარდა თოფი. ისე მოეჩვენა, თითქოს, საფანტმა გადაუარა თავზე. ფიქრში მიდგა-მოდგა, მაგრამ ვერ გაარკვია, მართლა საფანტმა გაკენწლა თხილის ტოტები თუ ნიაფწანწალამ მოიქნია ფრთა... წამოდგა, ღელეს გაღმა გადაიხედა და კინაღამ სიცილი წასკდა: იქვე, ორმოცდაათიოდე მეტრზე, აბალახებულ ბაღჩაში ჰრიალა ჩაცუცქელიყო და პირიდან მწყერს ართმევდა მეძებარს. წელში რომ გასწორდა, ცოტას დარჩა, ტაში შემოჰკრა ოთიამ: ზურგჩანთის ყულფში რატო ოც მწყერს არ გაეყო თავი. „ახლახან ამოვიდა მზე და, ამდენის ჩამოღება, ნეტა, როდისღა მოასწრო ამ ოხერმა!“

ჰრიალამ ვაზნა გამოცვალა, ასუნსულებულ მეძებარს გასამხნეველად ყრულ წაუსტვინა და შეტრიალდა. მეორე ბაღჩის ღობე რომ გადაჰქეპა და გადავიდა, ოთიამაც დაუძახა:

— ჰრიალ!

ჰრიალა ადგილზე გაქეპავდა, ნელა, შიშით შემობრუნდა, ღელის ფერდობს მოატარა თვალი.

— მალა ამოიხედე, ვერანს! — მოიღუშა ოთია და თოფი შეაყენა — ელდალ გაიტკაცუნა ჩახმახმა.

ჰრიალამ ჯერ მისკენ მიშვერილი თოფის ლულა დაინახა, მერე — ოდნავ წელში მოხრილი, სასროლად მომზადე-

ბული ოთია და კეფა და ფეხის გულები ერთბაშად აუწვა შიშმა.

— ჰა? — ისე ჰკითხა ოთიამ, თითქოს ჭრილაშად რაღაც უთხრა და ვერ გაიგო.

მუხლების თახთახი ძლივს შეიჩერა ჭრილაშად, ძლივს ამოიღო ხმა:

— ჩამოველ.

— გხედავ... შენ სხვა მითხარი: ვინ წამიყვანა ღორების მოსაპარად?

— ვითომ არ იცი!

— არა, შენ როგორ იცი-მეთქი!

ჭრილა დაიბნა; მარჯვენა ფეხი ოდნავ გადადგა და დაშვებული თოფის ლულა დააყრდნო, მარცხენა ხელი ციმციმ ასწია და თავ-პირზე მიშტერებული ცხელი მზე მოიშორა.

— როდის ჩამოხველ?

— ღმერთმა რომ არ გიცის!.. შე კეთილ-ჩაობრებულო, გზაც შენ მიმასწავლე, საღორეცა და ღორებიც, სასამართლოზე კი მე შემაწერე უფროსობა; ვითომ იმ ღორების პატრონი შენი კი არა, ჩემი ალალი ჭვისლი იყო!.. მოსამართლემ კიდევ დაგიჯერა, აქაოდა, ჩემი მოგვარეთ!

— რისი მოგვარე — ნაღდი ბიძაშვილი... მე მეგონა, იცოდი.

— ამიტომაც: მე შეიდი და შენ ხუთი, არა?

— რაღა გინდა, კაცო, აცი შენც ხუთზე დაგიყვანეს?

— რაკი დუშაყი მომაძრეს და ჭერზე მიმაგდეს, გაგიხარია, დედა ვუტირო მე მაგას!

— რას უზამ? — უფრო წამოსცდა ჭრილას.

— რაო?! — ხმა დაიწვრილა ოთიამ.

— რითი გადაუხდი-მეთქი!

— ხო იცი ხმაც დამიბრუნეს, ძალა მაქვს: აღარ ავირჩევ და ეგ იქნება! — გაეცინა, — მერე რაღა ჩემს ფეხებს გასამართლებს, იმასაც ვნახავ!.. როდის გამოგიშვებს?

— ათი დღეა! — გულზე მოეშვა, — სამი დღის ჩამოსული ვარ.

— ჩრდილში შედი, შე ოხერო, იქ არ გეყო მზეში ყურყუტი? მე რას მიყუ-

რებ: ვიდრე ეს მზე ჩვენს გულზე დადებდა ჯანში, მანამდე ჩემი მომლოდინე მიწაც მიმიღებს! — ჩახმახი ღმილით დაუშვა, ბეჭზე ჩამოჯდა, თოფი ფეხებზეა ჩაიღო, — ისე, შენ არ მომიკვდე და, ღირსი კი ხარ, შუბლში გამოგიშვა-პუნო საფანტი: უცებ რომ ჩამოღერდე დაუმტერეველად და წაუტიალებლად, შენ თუ დაგაფიწყდა, მე გაგახსენებდი ცხონებულ პაპაშენს: რუს ხელმწიფე ორი თვე აბანავებდა კარცერში და ვერც გვარი-სახელი ათქმევინა, ვერც ეროვნება და ვერც — სადაურობა... რაკი ჭურღობა — ეს დიდი საპატიო ცხოვრების გზა ავირჩევია, მაშინ ან კბილებზე ენის დაჭირება უნდა ისწავლო, ან ყურებში ბამბის გაკეთება, ანდა, მელი-ას უნდა მიებარო ორ დედლად — თავის მომკვდარუნებაში წაგავარჯიშებს, შე დედალო!. მე გამყიდე და გამყიდე — ჯანაბას შენი თავი! — მიპატიეებია ეს წყალსა და ქარს გატანებული ქონება: ათას რუას ოცდახუთი დღე და კიდევ ერთი დღე, ოღონდ თუ ჭირად მიინც წაეაწყდი, ისევე ჭურღობსო, თანაც — მარტო არაო, პაპაშენის ფეხით დარგულ ალვის ხეზე ჩამოგყიდებ... დაიმახსოვრე, რასაც გეუბნები, კარგად დაიმახსოვრე, თორემ ვიდრე შენ ისევე მზეში გაგისვრიან, მე კიდევ — თოვლში, მანამდე, არა მგონია, პაპაშენის საფლავზე მოდარაჯე ალვის ხემდე ვერ მივიტანოთ. გაიგე?

— გავიგე, — გაელიმა ჭრილას და ახალა შევიდა ლეღვის ჩრდილში.

— ხო ჯანზე არიან შენიანები?

— იცოცხლე!... იგეთი ბიჭი დამდგარა, იგრე გაჯორებულა, ესლავე დასდევნ თანამედროვე გოგობი!

— რომელზე ამბობ, ჩემს ნათლულზე?

— ის ერთი ბიჭი არა მყავს, კაცო?!

— რა ვიცი, ნამატი ხომ არაფერი დაგახვედრა-მეთქი კენინამ, — ჩაიხითხითა ოთიამ.

— ნეტა მოეფიქრებინა — აცენის ჭრილს ვერ ვიტან! — თვითონაც ჩაიხითხითა.

— არც თქვენც იცოდნენ აკვნები?  
 — გაგიგონია?! ლიანდაგივით გააბამდნენ ორ თოკს, მიხლართ-მიხლართადნენ უხეირო გოდორყურივით და თავის იმაში ჭყუმპალაობდა ბალოდ.

— რამდენი დატოვე იქა?  
 — ორი. შენა?  
 — ექვსი.  
 — ერთთან, კაცო? — გაუკვირდა ჭრიალას.

— დიახ.  
 — აურიე?!  
 — ოთხი იმას ჰყავდა ოთხ ძვირფას მეუღლესთან, ორი კიდევ მე და ყანდაურელმა ბიჭმა ვაჩუქეთ, მაგრამ ვერაფრით ვერ გავარკვიეთ, ჩემი რომელი იყო და იმისი — რომელი. საქმე იმან გააჩანჯლა, რომ ჭალ-ვაეია, ორივენი კი ბიჭს ვინჩემბდით. ჩვენს სიყვარულს ვერ უღალატა ქალმა და, არც მე ვიცოთ. ის ყანდაურელი სამი წელი კიდევ იქნება იქ, ვერე მოხსრა, ვიდრე ამ ზღართს არ გამოვხსნი, ფეხს არ მოვიცვლი აქედან, დრო არ მეყოფა და დავიმბტებო. იგეთი ცნობისმოყვარეა, იგეთი, ნუ იტყვი!.. დღეს ინადირე მაგდენი?

— რა ბევრი ეს არის! — მწყერებს დახედა ჭრიალამ, — თქვენსა რომ ვიყავი, გითხრეს?  
 — როდის, კაცო?!  
 — ჩამოსვლის დღესვე — გუშინწინ.  
 — რა ჯანდაბა გინდოდა?  
 — მოდის-მეთქი.  
 — შენ საიდან იცოდი?!

— ოდესის რესტორანში რომ გაძეხი ობოლი კნუტივით, მერე ის რომ მოხდა — ძაღლის პატრონი რომელიაო, პატივცემულო, კუპედან საგანგებოდ გამოძახებულ მოკრივეს მე არ დავალეწე თავზე ბულგარული რქაწითელის ბოთლი? იმ დალოცვილს, კარგად ევლება ხელი, ჩვენებურ ბოთლებს კი არა ჰგავს!

— მოიცა: პიანინოზე რომ შანდალი იღო...  
 — იმ შანდლით კიდევ გოდორა ბიძას ლავიწი არ აუუყვირე?  
 — ჭრიალავ! — წამოხტა ოთია, —

მკედრებზეა მოდაში, მაგრამ მე ვიჩივად, ცოცხალს გაძლევ რეზილიტაციას!.. გამოვფხიზლდი დილით, ჩაფუკვირდი და ეგ ამბავიც გავიხსენე, ვერკი დავიჭერე, ვიფიქრე, დამესიზმრა-მეთქი და აქაურულად შეგიკურთხე!.. რალათ აითესე?

— გიყ ხარ?!. გაეგოთ, ერთმანეთს ვიცნობდით, ვინდა გამოგიშვებდა?... იმ ქალის გულისთვის მოგიალერესეს, შენ კი ბაიბურშიც კი არ იყავი. გვიან მიხვდი, ბევრნი არიან და იმიტომ მიბრიყვებნო, გატოკდი კიდევაც, მაგრამ ცარიელმა ხელებმა სიკეთე ვერ გაიღო. მაშინ ჩვენც გამოვჩნდით, ვითარცა არაყი სახინკლესა შინა...

— ის ორი ვინდა იყო?  
 — არ იცნობ, ადგილობრივი წარმოების საქონელია, ერთად გახლდით მივლინებაში...

— ვაი, შენი აქლემების ქარავანი რა ვთქვა!  
 — რათა, რა დავიშავე, შე რკინიგზა-ჩაოხრებულო!

— ამოდი, ერთი, გაკოცო!.. მართლა მარტო შენ მოაგროვე ამდენი მწყერნი?

— მე და ამან, — მეძებარს თავზე გადაუსვა ხელი, — სროლა არ იცი და, გინდა თოფი გჭერია ხელში, გინდ — თონის საჩხრეკი! ძნელია, როცა ძაღლიც შენა ხარ და მონადირეც... ყველა დააცილე?

— ჯერ არ მისერია, — სიგარეტს მოუკიდა ოთიამ, ნაფაზი დაარტყა, წამოახველა და მაშინვე გადააგდო, — ათი დღეა, ვერაფრით ვერ შევეჩვიე ნაღდ სიგარეტს!

— წამო, ერთად ვინადიროთ, — მზეში გავიდა ჭრიალა, — ვიცი რასაც ჩამოაგდებ, მაგრამ ძაღლობას მაინც ასცდები.

— ვინ ვერ ჩამოაგდებს, მიცვალებულო?

— ეისი ხმაც მესმის!

— რომელ დადგენილებაში ამოიკითხე ეგა?

— მწყერს კი არა, აქვ რომ გადმო-

ვიტანო შენი საქათმე, იმასაც ვერ მოარტყამ.

— აბა, ჩანთა მოისხენ და დადე!

— ჩანთა რად მინდა, — თოფი ლელვის ტოტზე ჩამოჰკიდა, ზურგი მიუშვირა, — მესროლე და მომარტყვი, შეგარჩეს ჰერემელის დეკეულივით. თანაც დღეს...

ოთიამ ჩახმახი შეაყენა და ვიდრე ჰრიალა სათქმელს დაამთავრებდა, ცალი ლულა ესროლა.

ჰრიალა წამოვარდა;

— მართლა მესროლე შე შობელძაღლო! — ადგილზე დაიწყო ხტუნაობა.

შეშინებული ძალი წკავწკავით შევარდა ცოცხალ ღობეში.

ოთია ჯერ გაოცებული უყურებდა, მერე თოფი გადაავდო და პირდაპირ უბილიკოდ ჩაეშვა დელეში; შრიალით, ლაწა-ლექით მიარღვევდა კუნელის, მაყვლისა და ძეძვის ბარდებს. ვიდრე მეორე მხარესაც აიშლიგინებდა, სულ ჩამოეკაწრა ხელები, თავ-პირი, და შარვალ-ხალათმაც გაიციინა ლამაზად.

— ეს რა მწარე ყოფილა, კაცო? — თავი გადაუგდია უკან და ლელვს ურბენს გარშემო, — მწყერს კლავს და მე დამიხვალეებდა შე შობელძაღლო! — დარბის ლელვის გარშემო და გრძელი თასმით ჩამოკონწილავებული, ჩანთაზე თავჩამოხრჩობილი მწყერებიც რიტმულად ხტუნაობენ.

მეორე ღობეც გადაჰქეცა ოთიამ და ბაღაში შევარდა, იმდენი ვერ მოიფიქრა, წინ დახვედროდა ჰრიალას, ზურგიდან მოექცა და აედევნა. ახლა ლელვს ორივენი არტყამენ კალოს, ღობიდან კი მეძებარს გამოუყვია თავი და გალურსული იყურება.

— დაადექ, ჰრიალ, შე დამთხვეულო!

— მაყენებს, რა? — ცოტა დაუკლო სირბილს.

ოთია წამოეწია და ქამარში სტაცა ხელი:

— შენს მეტმა არავინ იცის სირბილი?

ჰრიალამ ხელებზე დაიხედა, სისხლი

რომ ვერ დაინახა, გიხვარდეს, წინა მხარე არტყა ოთიას:

— ერთი ვნახოთ, მეთქვა, შუბლში მესროლე-მეთქი, გამიმეტებდი?

— მა რას ვიხამდი! ძმაკაცი რაღასი ძმაკაცია, სიტყვა არ შეუსრულო...

— წამო, წავიმძლარჩოთ...

— საგაზეთო აზრია!.. ჩვენსა წავიდეთ, ოღონდ ძალღიჯ უნდა წამოიყვანო: თუ შერიგებაა, შერიგება ერქვას!..

— კეთილი და პატიოსანი!.. თქვენებს უფრო გაუხარდებათ ჩემი დანახვა, ვიდრე ჩვენებს — შენი.

— მეც ეგრე ვფიქრობ.

— მაშინ გზადაგზა იფიქრე, — ლელვიდან თოფი ჩამოხსნა, ჰრიალამ და დელისკენ წავიდა.

ბარდებში გაპარული ბილიკი მოძებნეს და თავდაღუნულები ავიდნენ დელის გაღმა-გავცემაზე. ჩადგმულ-დამძიმებულ ჰრიალას ქოშინი აუვარდა.

— სულ ეგა ხარ? — გაუღიმა ოთიამ.

— აქაურმა ჰაერმა, წყალმა, პურმა, ლოგინმა, ალერსმა და მზემ მიხამა.

— გაგიუცხოვდა, ჰა?

— ძალიან!

ოთიამ თოფი მოძებნა, მხარილივ გადაიგდო და მზეს ახედა:

— მამაჩემი ბაზრობიდან დაბრუნდებოდა უკვე.

— წინა კვირას ძვირი ყოფილა ქედლი: როველი მოიმღერის და მწყემსების აღდგომას მოიყოლებს.

— რა დროს სიძვირეზე ლაპარაკია თუ ძმა ხარ, წალამზე შეხანხლული მწვადი მენატრება!..

ჩრდილ-ჩრდილ, დახანტებული ნაბიჯით მიდიოდნენ სოფლისკენ, ხან ფიქრიანად, ხანაც ღიმილით მისაუბრობდნენ და თან მწყურებს წიწკნიდნენ; შორიახლო ცქვიტი მეძებარი მისდევდათ და დრუნჩის ურევდა ბურტყლში...

იონჯაც ჩათავდა და სოფელზე მიკრული ბაღა-ბაღებიც. მაშინ საუბნო გზიდან გადაუხვიეს — ისევ ლელეში ჩავიდნენ.

— ჩემი დეიდაშვილი უნდა გაგირიგო, — ეუბნება ჰრიალა, — მაგარი

საქართველო  
საქართველო

გოგოა, რწყილივით ჩაგისვამს უბეში.

— ინეინრის ცოლზე მეუბნები? —  
ვითომ გულუბრყვილოდ ჰკითხა ოთი-  
ამ, — იმას აქი სამი შვილი ჰყავს?

— ნუ აიწყვიტე!.. ქართლის მასწავ-  
ლებელი როა, ისა, თალიყო.

— თუ ჩემზე წიგნის დაწერას აპი-  
რებს, კი გამომეყვება!

— არც უმაგისოდ იტყვის უარს: გა-  
ნა დაუსწრებელი დაამთავრა, ჰკვიანი  
ბიჭების ფასი გაეგო!.. ჯერ ეგე, აქაური  
ინსტიტუტის ლექტორების ბაგაყი მი-  
თხარი, მერე იმათი სტუდენტებისა.  
დაუსწრებელი კიდევ არაარობისაა:  
უცოდინარობის გაღრმავების გზაა, უფ-  
რო საკუთარი თავისა, უფრო სხვათა მი-  
სატყუარი შექია — სამი წელი არ მე-  
სწავლა იქ, არც არაფერს ვიტყვოდი, რა-  
და მარტო მე — ყველანი პროფესიონა-  
ლი მათხოვრები ვიყავით, ნიშნის მათხ-  
ხოვრები... ჰკვიან ხალხს რომ დაეუჯე-  
როთ, მათხოვრობას ისევე ქურდობა სჯო-  
ბია — ქურდს ვაცილებით მეტი თავმო-  
ყვარეობა აქვსო... მაგას სახალხო უნი-  
ვერსიტეტი არა სჯობდეს, აღარაფერი  
მცოდნია: იქა, ხანდახან, საქვეყნოდ  
ცნობილი მეცნიერები მაინც გამოჩნდე-  
ბიან ხოლმე და, რომც ვერაფერი გაუ-  
გო, დაინახავ მაინც... შენ გეცინება და  
მე ისე ლამაზად აეუჩხრიალო ბამბა, ერ-  
თი წუთითაც არ შეეპაროს ეჭვი, კაკა-  
ლიაო... ნახავ, როგორ მოვაგვირისტებ  
მაგ საქმეს!

— შენ იცი და შენმა დამთხვეულმა  
თავმა!

— ვიცოდეთ!..

შორიდანვე მისწვდათ ხალხის ყაყანი.  
მერე, ლასტის კარი რომ შეაღეს და  
ეზოში შევიდნენ, ოთიას თვალების  
პარპალი აუტყდა: უბანს ვინლა ჩივის,  
რაც ახლო-მახლო სოფლებში ნათესა-  
ვი ჰყავდა, თითქმის ყველა მოსული-  
ყო, ათი მარტო „ტიგული“ დათვალა.  
ერთი ცხვარი უკვე დაეკლათ, ჩამოეტყ-  
ავებინათ და ახლა კლწაუდნენ. ზედადგა-  
რზე შემოდგმული ვეება, საძროხე ქვა-  
ბეზში ჰყარდნენ ხორცს: მეორეს—ატყა-  
ვებდნენ. თედო კიდევ, ოთიას მამა კი

არა, თავბერიძე თედო, ოთიას  
ბურვას ფუფქავდა ვარცლში. ზოგი  
ქალი თონეს ახურებდა, ზოგი — ქა-  
თამს ბლღენიდა, ზოგს — კურქული  
აქონდ-ჩამოჰქონდა კიბეზე.

ოთიას ბიძამ, სოლომ, ხორცის საკუ-  
ფი ხანჯალი კენძში ჩაარტო წვერით, ხე-  
ლები წინსაფარზე შეიწმინდა და მოღუ-  
შულმა უთხრა:

— თუ სტუმრად მოხველ, არც სა-  
ლამს გეტყვი, არც შენი ხმის გავონე-  
ბა მინდა — ეხლავე გავუტევე შინისა-  
კენი! საუღდარზე დადომას აპირებ და,  
ისე გავიხარო, ისე მოვილიხინო, ძალუ-  
აშენი ექვმა ჩააგდოს ლოგინად — ახალ  
მთვარეზე ჯორცხენასავით გააბალგაზ-  
რდავებულა ჩემი სოლია და, ვაითუ,  
კიტლაცი მიჭიროსო...

ოთიამ თოფი მოიხსნა, კრიალას მი-  
აწოდა:

— დავამთავრე წანწალი, ბიძაჩემო!  
კრიალამ თოფი გამოართვა და წაუ-  
ჩურჩულა:

— არ შეიძლება ახლავე წაგაბრძანო  
უკან?

— ეგვე შეიძლება და ისიც — ხაშ-  
ლამა გავაშლევინო თქვენებს.

— რომელი თოფით? — გაიცინა და  
უკან გადგა.

სოლიამ ოთია ისე მიიკრა მკერდზე,  
კრიალა მიეშველა, თორემ ახრჩობდა...  
შემოესია ქვეყანა: ქალებმა კოცნით  
აუწვეს ლოყები, კაცებმა ხელის დარ-  
ტყმით — ბეჭები... გოგო-ბიჭები კიდევ  
მორცხვად, მორიდებით ართმევდნენ  
ხელს.

— აბა, გამოიცან რომელი რომლი-  
საა? — ღიმილით ეკითხება ქირურგი  
ბიძამშვილი.

ოთიამ თვალი მოატარა ბავშვებს:

— აეს გოგო შენი უნდა იყოს, ის ბი-  
ჭი — შოთასი; აეს ბიჭი გვიისია, ის  
გოგო — რეზოსი; იმის გვერდით რომ  
დგას, სანდროსი მგონია...

— ვერ გამოიცან ვერცერთი!.. ამის  
შემდეგ რაღა უნდა გელაპარაკო!..

სოლიამ ოხვრით მოათამაშალა ხანჯა-  
ლი, ამოაძრო და ისე ღონიერად დაუქ-

ნია ცხერის ბარკალს, ხანჯლის პირი შუამდე ჩაჭდა კუნძში.

ქალები ღიმილით, ლაპარაკით დაუბრუნდნენ თავთავიანთ საქმეს.

გოგო-ბიჭობა გაიფანტ-გამოიფანტა.

მარნიდან ოთიას მამა გამოვიდა, კრი-ალა რომ დინახა, ძუნძულით წავიდა მისკენ, ქედზე მოსდო ხელი, თავი დააღუნინა და შუბლზე აკოცა:

— შენ გენაცვალე, შვილო!.. ეგრე, შვილო, ეგრე! — თოფები ჩამოართვა, პატრონტაშიც შემოახსნევინა, ჩანთაც, — აბა, ქალებო, ამ მწყურებს დაუტრიალდით, ტაფაზე ააშიშხინეთ!..

ოთიამ თავისი პატრონტაში მიაწოდა:

— მალა როგორაა საქმე?

— რაც მზად არის, გაშლილია, დასხედით და დანარჩენიც შემოემატება... ღვინო არ ამოვიღია, დედაშენმა თქვა — ოთიამ გადახადოსო. ქვეერ-მარანი არ მოგენატრა? — თოფები და პატრონტაშები მეზობლის ქალს მიაჩეჩა, ხმადაბლა უთხრა, — თქვენსა წაიღე და მოფარებით მიალაგე, — მერე ისევ შვილს მიუტრიალდა, — დავიჯერო ქვეერ-მარანი არ მოგენატრა?

— კარგი, ერთი! — მარნისკენ წავიდა ოთია, კრიალაც გაჰყვა.

— სახლ-კარიც ჩვენა ვართ, შვილო, ქვეერ-მარანიც, მიწაც, ვენახიც, ნავენახარიც, წალამიც, რთველიც, პურიცა და ღვინოც!... აბა, მიიხედ-მოიხედე, შვილო, ამისი ფასი რა უნდა მოიპარო! რას დაძვრები სხვისა საღორეში, სხვისა სახლში, სხვისა ბოსელში, რას დაეთრევი, რას გვხოცავ და რა თავს იჭრი!.. ძალღმა იცის: სიკვდილის მოახლოებას რომ იგრძნობს, პატრონი არ შევაწუხო, ტოვებს იჭაურობას, მიდის და ისეთ ადგილას კედება, ჭიანჭველები დაიამხანავოს, ვერ მიაგნებს! შენ კი შენ?.. შენი ჩაობრებული სიცოცხლით ჩაგვყვანე საფლავში და ისე ჩაგვაფარე მიწას, იმ მიწის სიმძიმეს ვედარავინ შეგვიმსუბუქებს!

ოთიამ ხელი ჩაიჭნია, თავი გვერდზე მიიბრუნა და კედელზე მიყუდებული თოხი აიღო:

— შენ ეს მითხარი: <sup>ქართველთა</sup> ~~ქართველთა~~ მამა რა?

— რამდენი გვაქვს ათჩაფიანი? — შეუბღვირა მამამ.

— ერთი.

— არ გახსოვს, სად არის ჩაფლული? ოთიამ მიწას მოატარა თვალი:

— აეს უნდა იყოს, — თოხის ყუა დააღო სარქველზე მიტკეპნილ-დანესტანებულ აყალოს.

— ეგ ორურშიანია!

— მაშინ დამევიწყებია... ჰა, მითხარი თუ მეუბნები!

— სიცოცხლეს ეძახი ამას — შენ სახლში სად რა გაქვს, ველარ გაგისხენებია!.. წელან სოლია მეუბნებოდა, ნათესაობა დავდებთ ფულსა და მანქანა ვუყიდოთო. მანქანის ფულიც მოვაქუჩე და ქორწილისაც!.. რძალ-ბაღალი მაინც დამიტოვე და მერე თუნდაც მოუსაყლეს ში წათრეულხარ! ჩვენს ჩამომავლობაში ქურდი არავინ ყოფილა, აეს მატირებს და მამორატებს!.. ეგე, იმ ქოცოზე დგეხარ! სად ვაგონილა, იმას იპარავდეს კაცი, რაც შინა აქვს და იმისთვისაც ვერ მოუვლია. ეს სადაურია: სხვისა ნაგავი წამოიკიდო, საკუთარი, ალალი და უსაყვედურო ოქროს კი ოხრად დაგრჩეს!.. სოფლისთვის თვალი ვერ გამისწორებია, თავი ვერ ამიწვვია, ამან დამადუნა და დამაყუზიანა!.. ღვინო გგონია ესა, მე კი ქელეხად მეჩვენება!..

სოლიამ მუჯლუგუნი წაჰკრა გვერდში:

— კარგი, თედო, ზოგი ხვალე ილაპარაკე!

ოთიამ მიწა გადაარიდა ქოცოს, ასტამის წვერით შემოუჩიჩქნა ყელი, ხმარებით გაღეული ცოცხით გადაუგავა სარქველი და ფრთხილად ახადა: უბრალო ღვინომ კვერცხის გულივით ამოანათა:

— ბებერი ვენახისა! — თქვა და თვალი ჩაუკრა კრიალას.

— ვითომ ძალღი იყეფება, არა? — სიმწრით გაელიმა მამას.

— მე ჩემი ვარამიც მეყოფა — აკი

წუხელ გითხარი და მოვრჩიი!.. სტუმრებისა მაინც მოგერიდოს!..

— ვაი, შენ თუ ამათხე გეტქმის სტუმრები არიანო!..

— წამო, მამი! — გაბრაზდა ქირურგი, — ბიძაჩემმა იმსიგრძე პროცესი წამოიწყო, ნიურბერგისას მთელი კვირით გადააჭარბებს!

— მოიცა, შვილო!.. თედო, არც ეხლა და არც შემდეგ აღარ გავიგონო შენი ეგეთი უცემური ლაილაი, თორემ ამ ეზო-ყურეში ჩემი ფეხი აღარ იქნება!.. თუნგი მოიტათ და ყველანი მაღლა ადიო, სველ ხელადებს აი, ქალები ამოზიდავენ!..

იმხელა შუშაბანდში, ცხენი რომ გაჰქნდებოდა, ორმაგათ გაეწყოთ მაგიდები და იმდენი რამე დაეხვავებინათ, იფიქრებდი, მშვიერთა და უნახავთა ღრეობააო: მრგვალად მოხარშულ ქათმებს ჰერისკენ აფეშვიათ ბარკლები; ტაბაკებით გვერდ-გვერდ ჩადგმული ხაშლამა საამოდ ორთქლად; ცალ-ცალკე ელაგა ალაზნის შერწა, წვერა, ნაფოტა და ქალაქური სათალი; ყვითელი იცრემლებოდა თუშური ყველი; მწვანე კიტრი და წითელი პამიდორი მწვანილს იფარებდა ზემოდან: არც მწნილი აკლდა სუფრას, არც გრძელი შოთები და არც ათობით მიშტერებული თვალი.

— საცაა ცხელ ლავაშებს მოგვყაროან, — თქვა ქირურგმა, — მერე: ჩაქაფულს, მწვადს, მწყერსა, და მშვირიც დაფრჩები. ბევრ საკმელს რომ ეხედავ, გუნება მემღერევა და მდაც მექარგება — თავი შემძულდება ხოლმე, რაკი ადამიანის უზადრუკობის კიდევ ერთ უმთავრეს ნიშანსა ეხედავ — გაუმადრობას!

— მართალია, — დაეთანხმა ალალი მამიდაშვილი — სახერხი ქარხნის დირექტორი, — შენი არ იყოს, მეც ადამიანების კეთილდღეობაზე ვზრუნავ და დარდიც მჭიჯნის: ეს სუფრა, ახლა ამ დილაადრიან რომ გაიშალა ჩვენი გერგოლიანობით, მაინც შემთხვევითობაა,

შენ ისა თქვი — რა ეშველებათ მღერეობებს?

— რა გვეშველება-თქო, — სკამი გამოსწია ქირურგმა და დაჯდა, — შენზე აღრე შევეძინე ბუნებას და შენზე კარგად მახსოვს: ყურებში სინათლე რომ გაგდიოდა შიმშილით, საოცრად მორიდებული, მორცხვი იყავი; დათვის სოკოსავით გაიფუყე და იუმორისა და ცინიზმის ნიჭიც ერთბაშად აღმოგაჩნდა!

— ეტყობა, მაშინ იმდენად დაბალი ვჩანდი შენზე, სისხლის ხათრითაც არ მისმენდი!

— კარგად ვიცი შენი ჭანმრთელობის ამბავი და თუ ჩამივარდა, ჩემით გავიქრავ ფეხებს: ციხის ექიმად დაეიწყებ მუშაობას და ამით დაგიმტკიცებთ, რომ მე უფრო პატივსა ვცემ გენებს.

— თუ ძმა ხარ, ნუ გადამაყოლოვ იმ ერთ ტონა თეთრ თუნუქს! ასჯერ გითხარი, პროკურორმა წაიღო-მეთქი, და ვერაფრით დაგაჯერე!

— სხვათა შორის იმ შენს პროკურორსაც კუჭის წყლული აქვს...

ქალებმა ღვიწიკი შემოიტანეს ხელადებით.

სტუმარ-მასპინძლობის კანონით შენ გეკუთვნის, თანაც ყველაზე გახარებული შენა ხარო — ოთიას მამა თედო აკურთხეს თამადად.

დალაგდნენ. მარტო ჰრიალა დგას ფეხზე და დაფიქრებული დასჩერებია სკამს.

— დაჯე, კაცო, რაღას უყურებ! — თამადამ ისე აათამაშა ხელი, თითქოს ხალხს აჩვენებდს, ასე ფრენს ბელურო.

— ბალიში მოუტეა დედი! — გაელიმა ოთიას...

ჰრიალა ფრთხილად დაეშვა ბალიშზე, და მაშინვე წამოვარდა.

ოთიამ უკან გასწია სკამი:

— მოდი აქ, ბალო, მუხლზე დამიჯექი, ვატყობ, „აჩუ, აჩუ, ცხენო“ მოგენატრა, — ფეხები გაჩაჩხა.

ჯერ ეგონათ, ხუმრობსო, მაგრამ ჰრიალა მართლა რომ ჩაიხარა დასაქდომად, სიცილით გაიგულდა ხალხი.

— ბარძაყით ჩამოჯექი და ზურგი

კედელს მიაყუდე, — უჩერჩულა ოთი-  
ამ.

ასეც მოიქცა.

— ძმობაც ამასა ჰქვია: რამოდენა  
ჯორი ჩაისვა კალთაში — თქვა სასურ-  
სათო მალაზიის გამგემ, ხალათის კალთა  
ამოიბრუნა და ცრემლი შეიმშრალა.

— ნეტაი მაგათ სახელსა და დიდე-  
ბას! — სიცილითა კვდება მეღვინე და  
ავტოინსპექტორს მხარზე ადებს თავს.  
წვერმოშვებული ეურნალისტი კიდევ  
კუთხეში მიმჯდარა, ერთ წერტილს  
მიშტერებია — ფიქრობს. საბედნიეროდ  
თუ საუბედუროდ ფიქრის ამოცნობა  
ჭერაჯერობით არ ხერხდება.

სიცილით რომ დაილაღნენ, თამადამ  
ბრძანა:

— ჯერ ჩაეუფინოთ, მემრე — პატარა  
ჭიქებით შეეყვით, თორემ შუადღემდეც  
ვერ დავიძველებთ სუფრას.

ოთიამ ხაშლაში მიაწოდა ჭრიალას:

— უმზეოსია — გამომართვი.

— ეგ არ მინდა, კიტრის მწნილი მო-  
მაწოდე.

— გუუბნები, გამომართვი-მეთქი!

— გუუბნები, არ მინდა-მეთქი!

— მალე, თორემ! — ჭრიალა რომელ-  
ზედაც იჯდა, ის ფეხი გასწია განზე.

— აუჰ! — შეტოკდა ჭრიალა და მაში-  
ნვე გამოართვა ხორცის ნაჭერი.

ჰამდნენ მადიანად, მხიარულად, გუ-  
ნებაშერჩევით.

სული რომ მოითქვეს, თამადა წამოდ-  
გა, ყანწი გაივსო:

— ესა, სავალდებულოა... ამის მემრე  
წვრილ-წვრილ სასმისებზე გადავალთ...  
ალავერდს ჭრიალასთანა ვარ... ამით,  
შვილო, ოთიავ, შენი სადღეგრძელო  
იქოს — ისე ჩამოსულიყავ, აქედან წას-  
ვლა აღარ გეცადოს!.. სხვადა მაქ სათქ-  
მელი, მაგრამ იგეთი დაბღვერილი მი-

ყურებს ბიძაშენი სოლია, ზმარამსმას  
ვიწყვიტო, ის დროა — დალია.

ამინ, ნეტა ღმერთმა მართლა ვისმი-  
ნოსო.

ჭრიალამ ვადმოფრენილი ყანწი დაი-  
ჭირა, გააპიპინა და წამოდგომაზე არც  
უფიქრია:

— მეც მანდა ვარ, თედო ძიავ, მაგ-  
რამ ვერ დავეცი, დავეცი და უფალიც  
მიიღებს.

— მიგიღოს შვილო, აქ რა, ადგილი  
არ მოინახება შენი დასაწოლი?

ჭრიალა ღვინოს ჩააცქერდა.

— მიდი, თორემ! — ფეხი ისევ განზე  
გასწია ოთიამ.

— ვიყ! — შეხტა ჭრიალა და ვეება  
ყანწს პირი რომ მიუმარჯვა, თვალი კა-  
რისკენ გაექცა: ზღურბლზე მილიციის  
ინსპექტორი გოგი ბუაძე იდგა, ხვითქი  
გადასდიოდა; ქვეშ-ქვეშ იყურებოდა.

ყველამ იქით მიიხედა — ღიმილიც  
მოისხიბეს სიტყვაც გაუწყდათ — ცუ-  
დად ენიშნათ რაღაც.

ინსპექტორმა მშვიდი ნაბიჯით გაიარა  
მაგიდებს შორის, გავიდა ბოლოში,  
ჭრიალას ყანწი გამოჰგლიჯა ხელიდან,  
მაგიდას მსხვილ წვეთებად გადააღვარა  
გადმოქცეული ღვინო, და ღიმილით  
ასწია:

— ამით, აი, ამ გიყებს გაუმარჯოს;  
ვინმემ არ იეჭვიანოს თავის თავზე —  
ოთიასა და ჭრიალაზე მოგახსენებთ.  
თქვენც გაგიმარჯოთ და მეც, მე უბე-  
დურსაც გამიმარჯოს! — ისე ხარბად  
დალია, თითქოს მთელი წელია ღვინო  
გემოთი არ უნახავსო. მერე ღრმად  
ამოისუნთქა, ყანწი ქირურგს გადაუგ-  
დო და თამადას მიუბრუნდა, — მოდი  
და ამის შემდეგ თქვი, სოფელს ყველა-  
ფერი დაეჯერებაო!..

თამადამ წყალი მოითხოვა.



## რტოები არ იმსხვრევიან

ლირული პოემა

ისევ მშობელი მიწა მეძახის,  
მამის ეზო და მამის კერია —  
მზეს ეფიცება ძველი ვენახი,  
ძველია, მაგრამ მწვანე ფერი აქვს.  
ჯამთა ყინვაში მკერივი ფესვები  
არ დაზრობია, ახლაც მთელი აქვს,  
არ შერჩენია ჭიგოდ მესრები  
და... ახლა, როცა სოფლად რთველია,  
როცა ოქტომბრის აღლუმს ვესწრები, —  
წარსულზე ფიჭვი მაინც ძნელია...  
არ შერჩა ვენახს მესრები ჭიგოდ,  
ვაზის ძირი კი მოუვლელია.  
და ვფიქრობ:  
დარდი სანამდე ვზიდო,  
ქალაქში როცა ისევ მელიან.  
მე აქ რაღა ვქნა.  
ვახს რა ვუშველო,  
ვის გაეუმზადო საწნახელები —  
ძნელია, ძნელი, მამავ, უშენოდ,  
ბაღს ენატრება შენი ხელები —  
აქ ყველაფერი, მე ვიცი, ახლა,  
არის გულთვალი მისადვენები,  
ყანას სიყვითლე დარდივით დაჰკრავს  
და შეთვალულა ვაზზე მტევნები.

• • •

კვლავ წლებს წყება,  
გადირბენს თვალწინ,

წლები კი არა, ზებრის ჯოგები,  
ბავშვობას ჩემსას სიზმრები აწვიმს,  
როცა ვიცინი,  
როცა ვლონდები,  
გულზე ნაღველი დამეწონება,  
ბაღი ძილშიაც ვეძახი დედას, —  
რარივ მკაცრია ზოგის ცხოვრება —  
ქარაფებზე კვლავ  
მშობლის ლანდს ვხედავ...  
მომეძალემა ფერები ქარვის, —  
ჩუმად ვქრები და ჩუმად ვენთები,  
რიალებს ირგვლივ წარსულის ქარი  
და სანთლის ცვილად გზას ვედევნებთი,  
დღეს რა ვიწამო მაღალ ღმერთების,  
სიხარულის და ზღვა ნეტარების,  
შენ, შენ ამივსე ზღვის ნატყებით  
ის შთაგონება, გემუდარები,  
რომელიც როგორც განძი ურიცხვი,  
გადამქცევია სულის დილეგად,  
გვედრი, დამსაჯე სიყვარულისთვის,  
თუკი გამჩენმა ესეც ინება.  
მანაზე ქროლვა ცაზე კომეტის,  
ჩემი ქროლვაც ხომ ასე იწყება, —  
რწმუნას უშენოდ სადღა ეპოვებდი,  
საქმისთვის ამგვარ თავდავიწყებას,  
ჩემი ეზოვ და ჩემო ვენახო,  
ცალ ფეხზე მდგარო ძველო ნალიავ,  
ვერ დაგივიწყებთ, ალბათ, ვერასდროს —

რაც გამაჩნია, თქვენი ბრალია;  
რაც გამაჩნია ან რაც წამართვით,  
(ო, რარიც კარგად ვინცნობთ ერთმანეთს);  
და, როგორც ზვარაკს წირავს წარმართი,  
ისე სიცოცხლეს გწირავ, ღმერთმანი!  
მეჩურჩულება ალუბლის ტოტი,  
რაზე?

ვინ იცის, ვინ იცის ახლა, —  
აწ ჩავლილია მდინარე შფოთვის  
და დღეს სიმშვიდის იმედი მახლავს,  
თუმც კარ-ბორიაც ზოგჯერ იჭრება  
ჩემს სხეულში და...  
გქანაობ მაშინ,  
გადაქვეული უთვლელ იქცებად, —  
ვითარცა ნავი — ცხოვრების ზღვაში.

• • •

ვხედავ, შრიალებს ფოთლებზე სვედა,  
თუმცა წარსულსაც როდი მივსტირი,  
მომავალს ჩემსას მზე ერგო ბედად,  
მზე, ანდა ფიქრი —  
დარდი — მზისწილი.

ვისი ბრალია, თუკი მძაფრია,  
იმ განვლილ დღეთა სუსხი და სიბოძო, —  
ასე ქმნის თავის ბიოგრაფიას  
კაცი, რომელიც მამულზე ფიქრობს;  
კაცი, რომელიც დღიდან გაქნის  
აფასებს სხვათა ზრუნვას და ამაგს, —  
აწვეს კისერზე ის განაჩენი,  
რომ არ იცნობდეს მშობლიურ მამას.  
ამიტომ უნდა გრძნობდეს ყველაფერს,  
თვალი მომავლის მწერით დაღალაობ,  
მადლობელია შენი ყულამდე,  
რომ შენ უნათებ, მწეო, მღალაო!  
ეს კაცი ჩუმად და ნაწყვეტ-ნაწყვეტ,  
როცა თიბათვის ბალახებს თიბავს,  
ყური დაუგდე!  
ჭილოფად აფენს  
მოკონებათა ხატულა დიბას.  
ზიმშიმებს დიბა, —  
წარსულის დღენი  
სრიალებს, როგორც კალოზე კვერი, —  
ყური დაუგდე. — ეს თითონ მღერის  
პაწია ცეცხლი ჩაუშქრალ კერის.

პაწია ცეცხლო, — ოქროს მისხალო,  
იანვრის მზეშიც გამითბე ხელი —  
შენ ამასორე ჭირბლის ისარი,  
ამ საველ გზაზე თუ სადმე მელის.  
მეგრამ რას ვამბობ, რა დროს ეს არის,  
ახლა დაიწყო თრთოლა სიმების, —  
მალე გატეზავს ყამირს მთესვარი  
გაწაფხულის და შრომის იმედით.  
ნუ გაიკვირვებთ, სახლიკაცებო,  
ქალაქშიცაა შავი ყამირი,  
სიტყვა და გრძნობა ნანცეც-ნამცეცა,  
თეთრ ხნულზე სანამ შავად გაივლის,  
მანამდე გმარაუბს განაჯა და ნიჭი,  
ზოგ ყანას გვიან ელის მოროდნი  
და, ალბათ, ტანჯავს შემოქმედს იჭვი,  
ბოლო არ უმანს როცა მოლოდინს.  
რა დროს ედ არის,

მე სხვა სათქმელი  
მაქვს და სხვა რამეს გიყვებით ახლა, —  
მე შინდა ვითხრათ თქვენი ნათელი,  
სახლიკაცებო, თუ რაზე მახლავს.

• • •

ჩემო ქვევრებო, ქვევრებო მამის,  
თქვენ ბედნიერნი ხართ და იქნებით, —  
პირველყოლისა მე ვამბობ, ამით,  
გახსოვთ, ჰო, გახსოვთ მამის ფიქრები,  
გახსოვთ მზედაკრულ მშობლის სახე,  
დაკოფრილ ხელნი სველი ორშინია,  
გადააწანით ჩემს სხეულს სახრე,  
რომ მეც საქმისთვის დამიმორჩილოთ.  
განა ამ წუთას რაზე მწყურია,  
თქვენი შეხედვაც იმედად მეყო, —  
ქვევრებო,  
თქვენში ჩამწყვდეულია  
დამთრობელი მამის ხმის ექო.  
ამიტომ თუკი სადმე მივლია,  
თქვენ გგუთფნოდით მაინც ნახევრად;  
და, როგორც ჭაში ჩარენილია  
თქვენში უცნობი მამის სახება;  
მითხრეს:  
იმ დღესაც ჰყავდით მასპინძლად,  
როს გაჰყოლია ომის შარა-გზას,  
კავკასიონიც თყო ასპინძა  
და, როცა მისი ბჭენი ჩარაზეს,

გჯეროდათ მათი და  
 თქვენც დალოცეთ  
 ტყვიის ქარ-ცეცხლში ველო უვნებლად, —  
 ბევრი გაღვიწა ომმა კალოზე —  
 ბევრს არგო ბედად არდაბრუნება.  
 — არდაბრუნება? —

მიოხარით მაინც,  
 ვინ გაპკრავს პაპის მდუმარე საკვესს,  
 კარს ვინ გაუღებს მღელვარე მაისს  
 და მშობლის საქმით ვინ იამაყებს?  
 ეს მე ვამაყობ...  
 თეთრი არყები,  
 მუდამ მგონია სახება მამის,  
 სისხლია, ალბათ, ფოთლებზე ნამი,  
 მშობელო, მუდამ მემამაყები, —  
 ოდეს ქართველთა თბილი ბუხრები  
 შენც გააღვივე როგორც ნუგეში, —  
 აწ ახალგაზრდა არ მოხუცდებო,  
 ფესვი ჩაკირე სიჭაბუკეში,  
 თუ გეძახიან მამულის დამცველს,  
 მე დაგიძახებ ძმას და მეგობარს,  
 რაც უთქმელად და ტკივილით მამცნე,  
 საამაყოდ ხომ ისიც მეყოფა.  
 სიმწვანეში ხარ სხვიად ჩაწნული,  
 მე კი ვარ შენი სისხლის მისხალი, —  
 ჩემი მამულის მცირე ნაწილი,  
 სად აშრიალდი, ესღა მითხარი.  
 ჩემი სიმაღლე უნდა ვეძებო,  
 შენი გულის და სხეულის ტოლი,  
 ნიშა-ხარებო, თეთრო ვერძებო,  
 სადღაც შრიალებს ის ლორთქო მოლი,  
 რომელიც იყო თქვენი წილ-ხვედრი...  
 ნიშა-ხარებო,  
 თეთრო ვერძებო,  
 სადღაც შრიალებს  
 ის ლორთქო მოლი!..

• • •

გაპყვითლებია მუხას ფოთლები,  
 აწვართულია ჭიუხებს შორის  
 და უკავია მძლავრი ტოტებით  
 მოზღვავებული ნისლეების თქორი.  
 საით მიპქრიან ღვგა ნისლები,  
 მსურვალე ვნება ხეებში კივის,  
 საგაზაფხულო სუნთქვით ვივსები

და... სატივეზე ქანაობს ტივე,  
 ჩემი ფიქრების თავისუფლება  
 ჰგავს შემოდგომის ნისლების შრიალს, —  
 ამ ეზოს, ვიცი, აწიც უთქმელად  
 აკვნის სიმღერა და...  
 სიყრმე ჰქვია...

• • •

გულადმა ვწევარ მწვანე ბალახზე,  
 ცის სიკაშკაშეს ისრუტავს მწერა  
 და ვჭვრეტ ზეცაში ქორის მალაყებს,  
 და თვითმფრინავის ფრიალებს ბგერა.  
 მამის ეზოში მუხა სწუხს ძველი,  
 და ახსოვს მუხას მიმწუხრის წამიც, —  
 ძველია, მაგრამ ნარგავებს შევლის,  
 ქარებისაგან იფარავს ტანით,  
 მშობელო მიწავ,  
 შენც დაიფარე  
 ქარიშხალისგან ლერწამი ღელვის,  
 ააშრიალე ამ გზაზე მარად  
 ყველა სურვილი კამკამა ღელის,  
 რომელიც ზეცას ეპოტინება  
 სასიცოცხლო და სასიხარულოდ,  
 არც მოგემლება აღმა დინება,  
 ჩემო ღელევე და ჩემო მამულო!  
 პატარა წყარო მდინარეს ურთვის,  
 მდინარე ხატავს სოფლის სანახებს,  
 როგორც ამზობენ,  
 ისე, ვით ღმერთი,  
 მდინარე შევლის ბაღჩა-ბალახებს,  
 მიიკინცხლება, მიიტბორება,  
 ან ავარდება ვერცხლისფერ შუქად,  
 ელტვის ბობოქარ ჟინს და ცხოვრებას,  
 არ. ჰკარგავს წუთსაც ფუჭად და უქმად.  
 — დროს ნუ დაპკარგავ! —  
 მაფრთხილებს ჩქერი, —  
 — ჰო, მისი ფასი იცოდე შენაც,  
 მას აქვს სიმკვრივე, გემო და ფერი, —  
 ის შეტყველია, რადგან აქვს ენა!

• • •

მამის ეზოვ, შენი ფრთებით  
 დამიკეცავს შორი გზები;  
 შენი კერის ცეცხლით ვთბები,

არ ჩამიქრო, გვაჯები,  
შენი ზეცის შუქი მშობავს,  
და მაქრეოლებს ცრემლი ვაზის, —  
ყოველ დილით დედის ლოცვა  
ფრინველივით მხრებზე მაზის.  
სიყვარულის ანბანს ვსწავლობ —  
დაშრიალებს თეთრი ნისლი, —  
სიყმაწვილის ნატვრისთვალო,  
კვლავ გამხადე ქების ღირსი.  
ამადელვე ქარტახილი,  
რომ დაიმსხვრეს ჯებირები, —  
თუკი ბაღში ვარ ზებილი,  
შემოდგომას ვეწირები.

• • •

მიწავ,  
მომაჩრდილე სიმშვიდე რტოთა,  
მიწავ,  
იგუგუნე ზღვითა და ზვაგებით, —  
შენ ხარ საწყისი  
მარადიულ მქუხარე ხმათა,  
ჩვენთა იმედთა,  
ტკივილთა და ფიქრთა სათავე!  
მიწავ,  
სულ ერთი ბეწო მიწავ,  
მიწავ მშობელთა,  
შეკრულო ხეთა ფესვებით და  
კირქვის ძარღვებით,  
როგორც კი გიგორძენ,  
გიწამე და...  
გეძახი დედას, —  
მირწყვიდი აკვანს  
ბზის ტოტებით დაწუნულს და მზისფერს;  
და მანდვე ახლოს  
მიცინოდა მარცვალი ხორბლის,  
რომელსაც მერე  
შენს თბილ მკერდში დაუდე ბინა,  
სანამდე იგი  
არ აფეთქდა მწვანედ და... სიომ  
აღარ უბოძა  
სუნთქვა ქმნილი ნათელ განგებით, —  
ყანაში, მზეზე  
ერთოდა ლურჯად თიბათვის თვემდე —  
ბოლოს გაგვიხდა  
პური არსობის.  
მშობელო მიწავ!

გიყვარს კოლხური „ოდოიას“ გვრელმეტი  
ძლიერო მიწავ!  
შენი ნაყოფი,  
შენი ჯიში ხიბლავს კოპალეს.  
სასწაულმოქმედს  
ვინ გარგუნა ძალა ტიტანის,  
შემქმნელო ყოვლის,  
შემოქმედო,  
დამანგრეველო,  
ჩვენც ვართ ნაყოფი  
შენთა დიდთა შთაგონებათა,  
მარადიული სასიცოცხლო  
სისხლი ვართ შენი.  
ამიტომ მინდა:  
გიცინოდეს მზე და ჰარალე,  
ამიტომ მინდა:  
მარად გწამდეც  
სასიკეთო სურვილი ჩვენი!  
სიმკვირევეს შენსას  
რომ სჭირდება ძელქვის ფესვები,  
ეს ჩვენ ვართ,  
ჩვენ ვართ:  
აღამის ძეთა რწმენა,  
საქმე,  
სწრაფვა,  
და  
ვნება.

• • •

გამახსენდება ჩურჩული ფიფქთა,  
იანვრის თოვლში სუნთქავდა ოდა, —  
მაშინ ჰაბუკურ უმანკო ფიქრთა  
გასაოცარი უნარი მქონდა.  
ხივრცეს სერავდა ძაფები ბროლის,  
მიწას ეფინა ქათქათა სუფრა, —  
გულადმა იწვა კოლხური თოვლი,  
პირველყოფილი —  
წყაროზე სუფთა;  
ჩუმად მივდევი გაკვალულ ბილიკს,  
რათა ჩემი გზაც მუბოფა მერე, —  
მენატრებოდა ბუხარი თბილი,  
გზავსა ვსაპავდი დაღვენილ ფერებს...  
მადლა ავწიე გრძობის სასმისი —  
ვცან, რა მიზნითაც მოჰქროდა გემი,  
და... დავიცავი ოქროს საწმისი,  
როგორც სინდისი და დროშა ჩემი!

მერე კი დიდხანს  
 დასისხლულ ქვიშას  
 აშრიანებდა ტალღის სიმები  
 და ასე მიუხვდი, თუ რასაც ნიშნავს,  
 შენს მიწას ჰქონდეს შენი იმედი.

• • •

— ეს მიწა ძვლებით არის შევსებული, —  
 ხშირად იტყოდა მოხუცი პაპა:

— ბევრი ვაგაკაცი, ომში ბედურული,  
 ჰგავსო მამულში ჩაფერფლილ ლამპარს,  
 .... ისინი იყვნენ ქვეყნად სიმართლის,  
 ქვეყნად სინათლის ჯარისკაცები —  
 ეს მათ დააგეს ტანჯვა-მირაფის  
 გამქარწყლებელი ცეცხლის ფაცერი.  
 მუდებნოეს მძაფრი წყურვილით  
 ვკვთნენ მეფის შერყეულ ტახტს და  
 ყველა მშრომელის ნება-სურვილი  
 ასე ახდაო, — მისხნიდა პაპა.

თუმც არ მესმოდა მაშინ რა იყო:  
 რველუცია, „ავრორა“, „სმოლნი“, —  
 ვინ რას ეძებდა, რა ვერ გაიყვებ,  
 ან ხალხებს შორის რად თესეს ომი.

— მერე გაიგებ, — მეტყოდა იგი,  
 ხელკოყრიანი ჭაღარა პაპა, —  
 — რთულია, შვილო, ცხოვრების წიგნი,  
 გახდები დიდი — გაიგებ მართალს...  
 ..და უკვე ვიცი, რას ნიშნავს მართლაც  
 გწამდეს,  
 გიყვარდეს,  
 გაუღდეს მარადის!

ქვეყნად სინათლე მნათობზე ნათლად,  
 სიბნელისაგან რას იფარადეს!  
 გზა გაგლიღია ციციბო კლდეზე,  
 მზე სამშვიდობოდ ცის კიდეს ღებავს  
 და აჭრიალებს ცისკარი დეზებს  
 გმირული ქვეყნის დათარიღებად.

• • •

საიდან ისმის ძველი მოტივი,  
 ზვეული კიბე ცისა და მიწის, —  
 აწ მოოქროვილ ატმის ტოტივით,  
 ჩემი ბავშვობის თიბათვე იწვის...  
 იწვის და ფრთონავს

სიმღერის ფრთებით

„დიდოუ ნანა, ეს რა ხანია,  
 გელოდებიან სამშობლოს მთები,  
 შენ კი სადა ხარ, სად, მახარია?!“  
 ახლა სვედაა გულის სიმღერა,  
 ფაზისთან დელავს ყველა ნებტუნი, —  
 მხოლოდ სვედაა გულის სიმღერა,  
 შინმოუსვლელებს დანატრებული  
 და სიმი, როგორც მფეთქავი ძარღვი,  
 ზედ საფეთქელთან უღმერთოდ კივის,  
 ამგვარი პანგი ვის აღარ დაღლის,  
 პანგი-ფრიალი დახადრულ რკინის:  
 „შენ წახვედი რა ხანია,  
 დავრწი მარტოდ მარტო,  
 გელოდები, მახარია,  
 ერთ შენს ღიმილს ვნატრობ!  
 შორსა ხარ და ვერ გიშველის  
 არამხუტუს მკლავიც,  
 მთვარე წყალში ფეხშიშველი  
 დგას და გნატრობს კვლავაც,  
 გნატრობს შენი უხო-კარი,  
 გატრუნულან მთები,  
 გნატრობს ყანა — მოსამკალი, —  
 ისლის მწვანე თმები.  
 გულის შენი ოდა, კერა,  
 რად, რად ხდუმზარ, მითხარ,  
 ვერ გაეშენ ბედისწერას |  
 და იქეცი თიხად?  
 ეპ, ვინ იცის, იქნებ უკვე  
 ხარ ფესვები ძელქვის, —  
 სამუდამოდ სიჭაბუკეს  
 ხომ დაუდგი ძვლი.  
 მამულისთვის თავდადება  
 გერგო ჭაბუკს წილად, —  
 მზემ დაგწვიმა უკვდავება,  
 განა შეგიწირა?!  
 დღეს ნერგები დავხარაიან  
 შენთა უჭკნობ ფეხვის,  
 ვინ გაგახმოხს, მახარია“,  
 შენი ხმები გვეხმის!

• • •

კოლხურო ხმაო, მარადის ყრმაო,  
 რქეშუქმშრალო სანეთ და მაკით, —  
 შენ ვერცხლის ცვარო —  
 ქართულო ცაო,

მომინადირე წვითა და დაგვით.  
 დაფერფლე ჩემი ყოველი ნერვი,  
 გამატიალე ცხოველ ალერსში,  
 მომეც უფლება ბობოქარ მერმისს  
 რომ გაეუყარო თვალი თვალებში.  
 შამის ეზოვ და  
 წარსულის სუნთქვავე,  
 ჩემო სვედავ და ჩემო იმედო,  
 ფიფქით მინდა, რომ დარჩე სუფთა  
 და წუსილისთვის არ გამიმეტო.

კმარა,  
 რაც ვზიდეთ ბუდად და წილად  
 ნაყოფი ნგრევის, ამაოების,  
 გვაშორე ტყვია,  
 ქარ-ცეცხლის წვიმა,  
 აგვიშრიალე დაფნის რტოები.  
 სიმშვიდე უნდა ყანებს და ბაღებს,  
 სიმშვიდე უნდა წმინდა აკლდამებს, —  
 და მზე, აღსავლის კარებს რომ აღებს,  
 გულდინჯად ხატავს მიწის აკვარელს!



# შავი და ცისფერი მდინარე

რომანო

წიგნი მეთხუთმეტი

საქართველოს პრესის გამომცემი

V

ალიზის, კაცის სიმალღე ღობე-გალავნის შიგნით, მამუკა ორ, მსხვილ პალაზე გადაჭედებულ ფიცარზე იჯდა. ძელსკამისთვის გაზაფხულის კბენია მშვეს ზედაპირი წაეშრო, მაგრამ ნესტი და სიგრილე გულსკამით კაცივით ღრმად შეენახა. გამდნარი თოვლის ნაეური ალიზის კედელზე თვალატირებულებით ეონავდა და გალავნის თავზე დამდგარი ხალისიანი მზე თითქოს თავისთვის ანათებდა და თავისთვის ათბობდა, აძინძინებულ, სიცივეჩავუბებულ ეზო-ყურეს კი უფრო ასევედიანებდა, ვინემ წვიმა და ქარ-ბუქი.

ენაწყლიან ბოკერიას ასეთი დუმილი, მამუკას ხელისგულზე ტარება და თავგადაკლული ზრუნვა — იყო ლადოცინცაძის, ლიოვა ვიშნევსკის, ნოშრევან არდაძის თუ არკადი ვინოკუროვის, აზერბაიჯანელი, თურქმენი თუ ჩეჩენი ბიჭების წილი, მათი კუთვნილი, ათისა და ოცდაათის სამყოფი და ერთის თავ-

ზე გრიგალივით დატეხილი.

ბოკერია, როგორც მოსალოდნელი იყო, უყვარდათ ახალბედა ჯარისკაცებსაც და აქაურ მეთაურებსაც, იმათაც კი, ვისაც ეღავებოდა და აგინებდა. ეღავებოდა თავისი ჯარისკაცისათვის, თავისთვის აეთანდილს არ სჭირდებოდა დავა და აყალ-მაყალი. ბნელ ხაროში რომ ჩაგვედო და თავზე ქვა და ლოდი დაგეყარა, იქაც გაიყვანდა გზას დედოფლის კოშკამდე და მარმამეზიანი კაბის ქვეშ ამოძვრებოდა. სხვა რომ არაფერი, მტრის ხახაში მოქცეულ, ჩაყალაპულ პოლიციდან მხოლოდ წვივის სირბილეში გავლილი ნატყვიარით, თავის დაღწევა რას ნიშნავდა...

მოსკოვში, ნოემბრის პარადზეც კი ამოეყო თავი და წითელ მოედანზე სტალინის მოხსენება თავისი ყურით მოესმინა; იმ გაუგონარ სისხლის ღვრაში, როცა ამ საუკუნის ორი, დიდი სახელმწიფოს არმიები ერთი ქალაქის დასავლეთ უბნებში ერთმანეთს აწყდებოდა და ჯარს ქიანჭველებივით აყრიდა, დახოცილებს რომ ათასობით და ათიათასობით ითვლიდნენ, იქაც ორი მსუბუ-

ქი კრილობით გადარჩენილიყო. ჰოსპიტლიდან სამი კვირის შემდეგ აქეთ წამოსულიყო და ამოდენა დღეობაში ძნელად მოიძებნებოდა უფროსი ან უმცროსი, ფრთხული ცხოვრების ავკარგში გატოლებოდა. მედალი ჰქონდა მიღებული და წითელი ვარსკვლავის ორდენზე იყო წარდგენილი სწორედ მოსკოვის დაცვის და დედაქალაქიდან ორასი კილომეტრით უკან დახეული მტრის წინააღმდეგ ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის. აუთანდის იქ გასწავლიდა იმედი, რომ თურმე შეიძლება ისეთ მტერთანაც ბრძოლა, რომელიც აქამდე ამოდენა არმიას მოერეებოდა. თურმე ამ დაუსრულებელ უაზრო უკან დახევისა და ძუნძულში იყო რაღაც აზრი და საგულისხმო. მას თავისი ხელით დაემარხა სახალწლოდ თხუთმეტი კერძანელი, რომელთაც ფარდულში თავშეფარებულებს ტყვია არ წაჰკარებიათ და ისე, როგორც ისხდნენ, შილიფად ჩაცმულ-დახურულები, ყინვას გაეფიჩხებინა.

რაიხის ელვისებურ ომის გეგმაში ყველაფერი ვერ იყო გათვალისწინებული. თბილი ნიფხავ-პერანგი რუსეთში ომის დროს რომ მხედველობიდან გამოგრჩება, შეიძლება ზარბაზნის და ტანკის სიჭარბემ ვეღარ გიშველოს. აკი იმ თხუთმეტი კერძანელს პირამდე დაძეგლილი ავტომატები ხელში შეჰყინოდათ?

მასპინძლის ცამეტ-თოთხმეტი წლის ჩითის შარვლიანმა გოგონამ სახლიდან ნახამთრალი ლეიბი გამოათრია და მატყლის თოკზე გადაკიდა. ქვეშ-ქვეშა მხერა ძელსკამზე მოვლემარე ჯარისკაცისკენ გამოაპარა და მოთელილ ლეიბს ჯოხი გაჯავრებით დაცხო, როცა ჯარისკაცმა მისკენ არც მოიხედა, თუ თავიდან შენიშნა და მერე დაშრეტოლი თვალები მთებისაკენ მიაპყრო, რომლის იქითაც გულგასახარს ოცნებითაც ვერაფერს ხედავდა.

მამუკა თითქოს სიკვდილს ვადარჩა, მაგრამ გარეგნულად; როცა ის ჰოსპი-

ტალში ერთი, თუ ორი თვის შემდეგ მოვიდა, მას იმ მამუკასი აღარაფერი ეცხო, რომელსაც ის და სხვა იცნობდა. მისი გონზე მოსვლა იყო, უკუნ ბნელში შორს, ძლივს, თვალსაწიერზე ქარიანში რომ ჰრატქს აანთებენ. დიდხანს, თვეობით იკიზინა იმ ჰრატქმა, ათასჯერ ჩაქრა და აინთო. ბევრჯერ ისე ჩაქრა, არავის ეგონა თუ ისევე აინთებოდა. ბოლოს ვითომ მაინც გაცრიატდა და რუსეთის მყუდრო ქალაქის განაპირა ჰოსპიტალში როგორც იქნა, აენთო, მაგრამ უსხივო, სითბოდაკარგულ, უხალისო, მკვდრის მხედ. სხვა კრილობების გარდა ორივე მუხლის ძვლები ისე ჰქონდა დაღეწილი, მაშინვე მოჰკვეთდნენ, სასიცოცხლო პირი რომ შეემჩნიათ. გაგლეჯილ სახეზე ნაკერის დადებაც არ ჩათვალეს საჭიროდ, შენგრეული მკერდიდან ნაღმის ნამსხვრევი ამოუღეს, ესეც მოვალეობის მოხდის მიზნით და ხელი დაიბანეს. ერთ მომცრო პალატაში, სასვენის ახლოს მოათავსეს, დღე დღეზე გასატანი იქნება, რალა მესამემოთხე საართულიდან ვათრიოთ, კისერში მომდგარ სულს დღეს არა, ხვალ უნდა გაეყაროსო.

როდის-როდის ციდან ჩამოვარდნილივით აღმოჩნდა პატარა, ნესტიან, პირველი საართულის ოთახში, იმდენად ვიწროდ თვალგახელილი, მის მკერდთან დახრილ მოწყალეების დის ნახევარი სახე ძლივს ჩანდა, ან შეყვითლებული კედლის ვიწრო ზოლი. მოწყალეების დას არაფერი არ უგავდა თეკლას, არც პალატას გააჩნდა ისეთი რამ, რაც თეკლას ოთახს ან გულზოდის სახლს მოაგონებდა. თავიდან, ძლივს გაჰიატებული სიცოცხლის ნიშანწყლის გამოჩენისას კი არა, მერეც, როცა სააქაოსკენ პირი ჰქნა, ვერაფრით ვერ შეძლო იმ „ქოხის“ შეყოწიწება, თვალაში, მანქანის ძარაზე და ორმოებში რომ ახერხებდა. თითქოს დიდი ხნის უსიზრო ძილის შემდეგ გონებაჩლუნგს გამოეღვიძა, რომელსაც გენით მიღებული მახსოვრობასავით ახსოვდა წარსული, მაგრამ არა თავისად, თითქოს მამის ან

ბაბუს ნანახ-განცილილით და ა. რ. ჯ. ზიადაშერტილის ვერაფერი ვე- კ. კ. ვისებინა. არაერთმა ჭოგაოყეთულო და- ბომბვამ და საარტილერიო ხალხმა, თავზე გადავლილმა ტანკების ცოცხ- ლად დამმარხველმა ჭახან-ზრიალმა, სა- ხის ჭრილობის გარდა, მისი თავის ქალა გარედან რომ მთელი გადაარჩა, შიგნი- დან დაუჩეხა და დაუსრისა. ტანკში ყველაფერი ისე აუთქვიფა, წიწილებს ერთ მუჭა ფეტვის მარცვალს სოხანეზე რომ მოუბნევ, ერთხანს ეძებონ და კენკონო. ასე კაკალ-კაკალ ეძებდა და კენკავდა მთელ მის წარსულს. ის აზრი, რომ მას ერთოდნენ, რატომ დალეწეს და დაანგრეს, რა დააშავა ასე ცოფი- ანი ძალღივით რომ ორმოში ჩააყლეს, რაღა თქმა უნდა, აღარ გაჩენია.

თუ მის დაქვიშებულ ტვინს კიდევ შეეძლო რაიმეს გახსენება, რაც მათ თავს რისხვა და მეზი დაატყდათ უფრო ის თუ გააკვირვებდა, რატომ გადაარჩა, რა დააშავეს სხვებმა, რომ დაიღუპნენ და რა წითელი კოჭი თვითონაა, რომ თუნდაც ცივ მზეს უცქერის. ის ფიქრი, რთაც ფრონტზე წამოვიდა, რომ რო- გორზე ერთი თვე გაეძლო და მერე დაუბრუნდებოდა იმათ, ვისთვისაც ამ ქვეყნად გაჩნდა, ნაცარტუტად ეჭვა და თუ ამის მსგავსი რამ გონებას მაინც შემორჩა, შემორჩა როგორც ვრცელ მინდორზე ცეცხლის ნანთები, კოკისპი- რული წვიმის შემდეგ.

იგი დიდხანს იდო ჰოსპიტლის მკვი- დრად ნაგებ სახლის მორჩილა ოთახში, როგორც ტრიალ მინდორზე და არც „ქონი“ ჰქონდა და არც თავშესაფარი; არც მეგობარი ჰყავდა და არც ნაცნობი, სიხარულზე რომ არაფერი თქვას, ტკივილსაც ისე სანახევროდ და ყრუდ განიცდიდა, როცა ღრმა, დაჩირქებულ, მყარალ ჭრილობებს უწმენდნენ და უზ- ვევდნენ, ძვლებს თუ დაფლუვილ სხე- ულს უკერავდნენ, თვით მოშვებულებს სული კბილით ეჭირათ, თვითონ კი მეზობელი დაჭრილის ტკივილივით გრძნობდა და ვითომ სხვის კვნესას იმე- ორებდა, ისე კრუსუნებდა.

გადია, თითოობის დროინდელ გე- ბრას და დედას აგონებდა, როცა ღამის ჭურჭელი შემოჰქონდა, ან ბამბით პირ- ში რძეს აწურავდა და კოვზით ფაფას ატენიდა. მამა საერთოდ გაქრა, რაკი მამასთან მას ჰქონდა ქვეყნის ავკარგზე სათქმელი და სალაპარაკო. ახლა, რო- ცა სული ჩაქრა და მისთვის ქვეყანა აღარ იყო, საწოლზე დაყრილ დაჩეჩ- ქვილ ძვლებს და დაგლეჯილ მძორს, ავთან და კარგთან, ბოროტთან და კე- თილთან რა ესაქმებოდა.

ძმები, ალბათ, დაწვრილ სისხლს გააყვენენ და ერთადერთი, რაც ოდნავ ფეთქავდა, (თუ მას კიდევ გული დაერ- ქმეოდა), ასევე ოდნავ და ბუნდოვნად ფეთქავდა თეკლას სახელი, რომელიც ისევე ქარში ანთებული ჭრაქივით ქრე- ბოდა და ინთებოდა, ქრებოდა და ინ- თებოდა.

მედღები, ექიმები თუ დაჭრილები, რომლებიც თვალების ვიწრო ჭრილში გაილანდებოდნენ, მოაჩვენებდნენ ნომ- რვეან არდაძის თავს, რომელიც მოწყვე- ტილი, სანგრადან მოშორებით, ცალკე ეგდო, ხელებგასისხლიანებულ ლადოს, მწითურ კუდრიაეცევს, პირიდანაც წი- თელი ღუფი რომ გადმოდიოდა, ან ორი- ვე ხელით თოფს ჩაფრენილ იუდინს, ქვედა ტანი რომ არ უჩანდა, წითელ ფე- რიშპამელებით დაწინწკლულ სახეზე ერთიანად მიტკლის ფერი რომ ედო...

ბოკერია გუშინდელ დღეზე დუმს და უღვაშებს იჭამს. „ბიჭებს გაუმარ- ჭოსო“ — თქვა იმ ღამეს, როცა მამუ- კას ხილვით გაიხარა და პირში ბურთი გაეჩარა, კრინტი ვეღარ დასძრა მათზე, ვინც მის ხელში სული დალია და ვისი მესაფლავეც თვითონ იყო, ხეირიანად რომ აღარ იცოდა, ვისი ფეხი ვის წაწ- ყვეტილ ბარძაყს მიადგა და ვისი თავი ვის ტანს.

ავთანდილს ყველაზე მწარე ბედი ხვდა წილად, მამუკაზეც და ყველა დაყვებილ-დაგლეჯილზე...

იმ დღეს, ვითომ აქაურ ბიჭებს რომ დაუძახა, სუფრა და ქეიფი მოინდომა, ეგონა მამუკა დაყვებილი ბიჭების ამ-

ბავს გამომკითხავსო და თავი მოიგითიანა, ვკეიფობ, რა დროს ეგააო. მათი გახსენება ზეზეულად ახმობს და ენას ართმევს.

ახლა აქ, ამდენ ჭარისკაცში ერთი გულითადი მეგობარიც არა ჰყავს. უთუოდ მწარედ ხელდათუთქულს ცეცხლივით ეწინია ვინმე მეგობრად გაიხადოს. იცის, ძვირად დაუჯდება ომში ძმის სიყვარული. ჭაქლანებს, იღრინება, ვითომ არავინ არ მოსწონს, უმეგობროდ კი უჭირს. ამიტომაცაა, ალბათ, რომ მაჟუკას ფეხს მიწაზე არ ადგმევინებს. ეს ძველი მეგობარია, როცა არ იცოდა, რომ სიყვარულს სიძულვილი ჯობდა, როცა ბრიყვი იყო და კაცის გატანა და ერთგულება კაცობად მიაჩნდა. მამუკა ძველი „შედომა“ იყო, ახლა რომ აღარ ეშველებოდა, ამათთან მიახლოებას და გულის გადაშლას არ აპირებდა. უმჯობესია, ომის დროს უბატაკო შტაბს, ამდენი და ამდენი ჭარისკაცი დაგვარგეო, ვინემ ყელში ხმელ ბურთგაჩრილს გაზით ამოგგლიჯონ, რამდენი ძმა და მეგობარი დამარხე შენი ხელით.

ფრონტზე წასვლისას იქნებ სხვა ასეულში გადავიდეთ, — ბუზღუნებდა იმ ღამეს, არც იმდენად გაღვილი, როგორც თავს იკატუნებდა. მისი გაწვრთნილი ასეულის მიტოვება რატომ ენდომებოდა, რომ ისევ იმის შიში არ ჰქონდეს რაც თავს გადახდა. მამუკას კი ვეღარ იშორებს, ორდინარეცად აიყვანა, ვითომ თვითონ ერთი ვინმე ლოქო მეთაური იყოს, თავისი ხელით ჩექმის გახდა რომ ეზარება.

„ორდინარეცი“ კი უძრავად ზ.ს ცივ ძელსკაშზე და თავზე წამომდგარი მზე კი არ ათბობს, წიწკნის და ჩხვლეტს.

ნაწყენ მასპინძლის გოგოს კი უშველებელი სპილენძის ტაშტი გამოუტანია და ნაცრით ხეხავს...

„თეკლა, როცა ამ გოგოს ხნისა იქნებოდა, ასეთი იყო? ნეტავ როგორი იყო თეკლა? იმ მთების გადაღმა რომ დაიკარგა... რას ხეხავს და წმენდავს, არაფრის გარეკვა არ ხერხდება... ეს

ბებერი, რუხი ნაგავიც ზეზეულით ჰგავს შავ, ურწყევ ძალს...“

## VI

ერთი კვირის შემდეგ, შუალამისას ბატალიონი აიყარა.

საბრძოლო განვარდებით დაფეთებული, ძილყოლილი, აკაწკაწებული ახალწვეულები ბნელში ღობე-ყორას აწყდებოდნენ და დასიცხული ცხვრები რომ თავს ერთმანეთის მუცელქვეშ მალავენ, ასე ეხურხლებოდნენ ერთმანეთს. მხოლოდ ძველი, ნაფრონტალი ათმეთაურები და ოცმეთაურები ახერხებდნენ ამ ჯოგისაგან მწყობრის შეკოწიწებას და გზაზე დადგომის ბრძანებისათვის მზადყოფნას. მანევრების სახელმძღვანელოდ ამოსული დივიზიის მეთაური, შტაბის უფროსი და კომისარი ვიწრო ორღობებში, შუკებში და შემოგარენის კორტობებზე ამხედრებულნი დამორიალობდნენ, ისედაც თავმოყურელ ოცეულებს და ასეულებს, დამფრთხალ ფარაში შევარდნილ ნადირებივით ფანტავდნენ და აწალიკებდნენ.

კიდევ კარგი, თავგზააბნეულ ჭარისკაცებს ნამდვილი იარაღის მსგავსი ჯერ არაფერი ჰქონდათ. თითო-ორილა ზის გაჯორკნილი „თოფების“ ამარა იყვნენ და ისიც ვერ მოესაზრებინათ ხელში დაეჭირათ, გადაეკიდათ, თუ ბარანიჩაბივით მხარზე გაედოთ. დღენიადაგ სოფლის მოშორებით თრევისას და წვრთნისას თითქოს ზოგი რამ გაიგეს და ისწავლეს, მაგრამ ღამით და ისიც ძილში, ეტყობოდა ისევ იმ თავის სოფელ-ქალაქს, კერიას და ბუხარს უბრუნდებოდნენ, რითაც მთელი ცხოვრება იცხოვრეს და ორკვირიანმა ჯახირმა ჯერჯერობით ტვინიდან და სისხლიდან ვერ გამოაქალათ.

გამგზავრების წინ ავთანდილმა შემოიბრინა, მამუკა თვალის დახამხამებაში გაამზადა, გზაზე გაიყვანა, „ხანუმა“ კიშკართან გადაკოცნა, ორღობეში ჩამოვლილი ფორანი არ გაუჩერებია,



„ორდინარეცი“ კოფოზე დასვა და თვალისდახამხამებში გაჭრა.

მეფორნე ჭარისკაცი მძიმედ დატვირთულ ფორანს ფეხდაფეხ მოსდევდა „ნო-ნო“-ს ძახილით და გრძელი სახრით ცხენს ახურებდა, რომ წინ წასულებს არ ჩამორჩენოდა და უკან მომავალ საბარგულებსათვის ვიწრო გზა არ გადაეღობა.

აღაფულ, აღიანცებულ სოფელს მალე გასცდნენ და ცხენმა და კაცმაც თითქოს ამოისუნთქა, მაგრამ მდინარისკენ რომ ჩაუხვეის და ხევის კედელზე ჩაჭრილ ვიწრო გზას ჩაუყენენ, ცხენებს ფორანი ქაჩაჩებში მიაწყდა და ხელნის თავმა წინ წასული, აღვირებს ჩაფრენილი ჭარისკაცი წინა, მძიმედ დატვირთულ, ბრეზენტგადაფარებულ საბარგულს მიახალა.

ვიწრო, მრგვალმორებთან ბოგირზე ჯაგლაგებმა ნალმოცვეთილი ფლოქვეებით ამოდენა ტვირთის გადატანა იუარეს და ჭამანის გაწვევის მაგიერ ერთმანეთს მიაწყდნენ და მეფორნემ, რაკი წინიდან სახრეს გაავამდე ვერ მიუწვდნენდა, თავ-კისერში დაუშინა.

აღმართზე გაზაფხულის ნოტიო შეპარულ, ათქვევილ გზაზე ჰორუტყვის მონდომება და ჭამანწყვეტა ამაო გამოდგა, თვლები ღრმად ეფლოზობდა, ფეხი ცურავდა. დადგნენ წინწასულეზიც. გაჩერებულის დაძვრა ერთი-ორად გაჭირდა. ატყდა მათარახების ტყლაშუნი და ლანძღვა-გინება. მაგრამ შეგინებული ცხენიც და კაციც ამიტომ არ იცდიდნენ, სანამ არ შეგვიკურთხებენ, ფეხს არ მოვიცვლითო, მეტის ძალა არ შესწევდათ.

აბა, ჭარისკაცებო!

უჭირს ცხენს — ჭარისკაცი. ჩაეფლო მანქანა — ჭარისკაცი. ზარბაზანი ხევში ჩაეცურდა — ჭარისკაცი. წიდი ჩაინგრა — ჭარისკაცი. გზა არაა, ლაფია, წყალია, ჭაობია, ცხენი, კაცი, ხარი, უძლურია, მაგრამ აგერაა ჭარისკაცი, მას არაფერი არ უჭირს...

ღმერთმა დალოცოს ჭარისკაცი! მას არ ცივა, არ ტყივა, არ იღლება, არ მია,

არ წყურია. მოდის ყელამდე და ტალახში, ყინვასა და უღელში. უდაბნოს პაპანაქებში, ხელიც, რომ ჩრდილს ეძებს, ჭარისკაცს, კისერზე ღილი რომ შეიხსნას, აზრადაც არ მოუვა. მირბის ტყვიის წვიმაში, ცეცხლის ალში, ცის ჩამოქცევაში, წარღვნაში და მიდის... ბედი, რომ შეთაურები ამხედრებულებიც იღლებიან, შიმშილი და წყურვილი იციან, თუ არა ჭარისკაცები ვერასდროს მოიფიქრებდნენ, რომ მუხლი ჩაეხარათ, ან კაცისშვილს, თუ ჭამასმა სჭირდება. კიდევ კარგი, მეთაურს ახსოვს, რომ ჭარისკაცს დედა ჰყავს და რომ გაახსენოს, ციდან არ ჩამოფრენილხარო, აგინებს, თორემ ალბათ ისიც დაავიწყდებოდა.

შიში, მართალია, ადამიანისთვის ისეთივე თანდაყოლილი თვისებაა, როგორც სინარულის ან ტყვილის შეგრძნება, როგორც უბედურებისა და ბედნიერების განცდა, მაგრამ ჭარისკაცისთვის ის უცხოა. ჭარისკაცს თუ ეშინია, სცივა და სცხელა, თუ ღამით ძილი მოინდომა და ყინვაში ღუმელი, ვის რად უნდა ასეთი ჭარისკაცი. ჭარისკაცს თავისი ავლადიდება ლოკოკინასავით ზედვე ჰყიდა, რაკი მას არასოდეს არ უთენდება იქ, სადაც უღამდება, და არავის ეუბნება, სადაა დღეს და სად იქნება ხვალ.

მიდი, ჭარისკაცო! მიდი, შე დალოცვილო! შენ რომ ასეთი აქლემივით ამტანი არ იყო, შენ რომ შიმშილი და წყურვილი იყოდე, შენ რომ სიკვდილის შიში გჭონდეს, რომელი თმის წამომწყები გაბედავდა მსოფლიო ბატონობაზე ფიქრს! რა ხანია ომებს დაივიწყებდა კაცობრიობა და რას ემგვანებოდა მსოფლიოს ისტორია ან გეოგრაფია. რა გადაამენებდა იმდენ კულტურულ ერებს და რა ჭანდაბა შექმნიდა იმოდენა იმპერიებს. შენ რომ არა, საიდან გამოჩნდებოდა ამდენი გმირი, გენერალი და ფელდმარშალი, ან თოფი და ზარბაზანი ვის რა ჭირად უნდოდა! შენთვის ჭარისკაცო, ყველაფერი შენთვის, შენ არც

კი იცი, რა ცეცხლის ფასი უჭდება ქვეყანას შენი არსებობა!

აგაშენა ღმერთმა, ჭარისკაცო, შენა ხარ რაცა ხარ! შენით იყვენენ მეფეები გულზეადები და ქვეყნის მპყრობელნი. შენით სცემდნენ შიშის ზარს ქვეყანას და შენით იყო რომ გამარჯვებულს არ სჯიდნენ. შენ რომ არა, ტირანებს პირში მიახლიდნენ, კაცის ხორცის მჭამელი ხარო და სახრჩობელაზე აიყვანდნენ. ვისაც შენისთანა ბევრი ჰყავს, უკვლავებაც მისია და აღამიანთა შორის ლეთისნიერადაც ის ითვლება. სადაც შენ მაგ უხეშ ბათნიკიან დაბეგვილ ფეხს დაადგამ, ქვეყნის საზღვარიც იქაა. ეამთა აღმწერლები შენი ლანჩაავარდნილი ჩექმიდან გამოჩენილ, დამაშრული ფეხის ტერფეში არიან მოჩერებულნი და შენს ნაბიჯებს ითვლიან...

მიდი ჭარისკაცო, ისტორიკოსიც შენა ხარ, გენერალიც და მეფეც.

მიდი, ჭარისკაცო! მიდი, ვენაცვალე შენს გამჩენს!.. შენ არ გეხება „ზოგჯერ შემცვიან სევდათა, ვთქვი საწუთროსა ვმობანი“, ან „ღამე მერჩია, მეწადა, არ გათენება დილისა“...

ცხენებს მიჰქონდათ ფორანი, თუ ჭარისკაცები მიათრეოდნენ, მიდიოდა და სხვა ბარჯთან ერთად მიჰქონდა მამუკაც. მას თითქმის არაფერი მიუტანია იმ ყუმბიხების აულში და არც არაფერი დარჩენია. იგი ისევე ვერ დასახლდა ხანუმას ალიზის სახლის მომკრო ოთახში, როგორც ჰოსპიტლის ნათელ, მორჩილა პალატაში. ახლაც ფარაჯის აწეულ საყელოში ჩამძვრალი გრძნობდა მხოლოდ ყრუ ტკივილებს, ორივე მუხლთან სიცივის დაკვრისთანავე რომ ემართებოდა და ამ მუხლების ტკივილის გარდა, თავისი. არც აღარაფერი. გააჩნდა. იგი ვერაფრით ველარ ახერხებდა იქის შეგვრებას და თავის „ქობში“ თავის მოყვას, რაც აუფეთქეს და გაუფანტეს. და რაც აღრე, დაჰრამდე ტოოდა, ის ტკივილიც მოუკლეს თუ დაუღამებლავეს.


როგორც აფეთქებული სახლის ნამსხვრევებს, ცეცხლს და კვამლს ვერ

მოკრიბავ და ისევ შენობას ვერ ააგებდა, ასე ვერ ახერხებდა თავისი „ქობის“ აშენებას და შიგ ცხოვრებას. მართალია, მისი დარბეული სულის ორმოში ეყარა ნამსხვრევები: თეკლა, ავთანდილი, ბაკური, დედ-მამა, ლეონი, ბებია, ბიძა და ასი და ათასი, მაგრამ ესენი იყვენენ შეზღუდილი ფერფლში და ტალახში, მათი ცალ-ცალკე დანახვა ჭირდა ან ნთქავდა სიბნელე და სიცარიელე...

ამას უთუოდ გრძნობდა გამკრიბი ბოკერია და მიუხედავად მისი აღრინდელი სიტყვაპრავლობისა, ღუმდა. ფრთხილად და უმტკივნეულოდ აპირებდა მეგობრის სულში ამორღვეულ ბნელი ორმოს ამოვსებას. თუ მამუკას „ქობის“ ნამუსრევებისაგან ოდესმე კოლოფის შეკოწიწება მაინც მოხერხდებოდა, როგორც კაცის დაწვის შემდეგ ერთ მუქა ფერფლს შეავაროვებენ და ჭირისუფალს დაუბრუნებენ, ასე რუღუნებით და მოთმინებით აპირებდა მისი სულის ანაფეთქებ ძაბრში ნამსხვრევების მოკრებას, რომ ახალ წვიმასა და თოვლს, ქარსა და უამინდობას მთლად არ გადაერეცხა და წაეშალა.

ინათა. მთიდან, მშრალი ხეობის შეფენებაზე, ალიზის ციხე-სიმაგრესავით ერთმანეთზე შეხოლიხებული მიწურების აული გამოილანდა.

მალღობიდან ქუფრი, ტყეისფერი ღრუბლები ხელმისაწვდენზე იდო და კასპიის ზღვიდან მობერილი გათოშლი ქარი, ჭერ ოფლით და ლაფით გაუგლისავ, ახალ მახარებში მსუსხავ ნემსებივით მოძვრებოდა და ინხვლიტებოდა. ბატალიონი მიღეოდა თოვლწაფარებულ დამრეც ველზე, ადრეული გაზაფხულის ყრუ სითბოს რომ ღრმულებში მოყვითალოდ ამოეცონა. მიდიოდა ათასეული, როგორც თეთრ ველზე გაჭრილი რუხი ქარიშხალი და ტოვებდა შავ ხნულს, ჩექმით და ფლოქვით მოზელილს, მანქანის საბურავებითა და ფორანის ბორბლიც საღტევეებით მერიდიანებივით პარალელური ხაზებით დასერილს. რაც



აღმართი ამოთავდა, გინება, თოხვა, ოხვრა-ხვნეშა მიწყდა და ახლა ამ თეთრ, ყვითლად დატალულ დაღმართზე, გახურებულ ჭარისკაცებს პირზე ორთქლის ბოლქვებილი ეკიდათ. მეფორნე ჭარისკაცმათ მამუკას გვერდით, კოფორზე მოიკალათა. დაღმართზე ცხენები ნებაზე მიუშვა და სრულ მზარაში გამდნარ თანამგზავრისთვის მოიკალა. ერთხანს ატრიალა თავი, საყელოში ჩამძვრალს ხან წინიდან შემოხედა, ხან უკნიდან, მაგრამ ვერც პირი მოუქებნა და ვერც ყური. ლაპარაკის საღერღელაშლილმა ვითომ ხელი ჩაიჭნია და წეკო შეახვია, მაგრამ ორი ნაფაზის შემდეგ მოავგონდა ასმეთაურის ზებარებული ავადმყოფი ასე ზეზეულად არ გამეყინოსო, შიშნარევი ზუმრობით იკითხა:

— ეი, ძმობილო, ხარ მავ ფარაჯაში, თუ სადმე გაქრი?

თავმოკრული ცარიელი ტომარი იღებს ხმას? არც მეფორნისათვის გაუცია ვინმეს პასუხი.

— ერიპა, ეს ვერანა, შარს არ გადავეცილო! — საღდაც, ფორნის იქით გადასძახა შეშვითებულმა და წეკოს მიუჩვეველს, თუ ოფლად გაწურულს კოფორზე ჯდომით დაგრილა, ხველა აუტყდა.

— ვის ემუსაიფები კოწია, ამ დილა ადრინად? — მოაძახა ვიღაცამ იქითა მზრიდან, — შე ძველო მეფაიტონე!

— რა ვიცი კაცო, მეთაურმა შეშასავით ჩამაბარა..

— ვინ მეთაურმა კოწია, როდის დაუძმაკაცი მეთაურებს?

— აი კაცო, ისა... ძალიან მაგარი რომაა, ლეიტენანტი...

— ბოკერიაზე ამბობს... — ჩაულაბარაჟა ფორნის იქით მოჩლახუნეს ბუხუნა ხმაში.

— ჩაგაბარა და შენც შუშისავით მიგყავს, მთელი ღამე ფეხი მიწაზე არ დაუდგამს.

— რა ვიცი კაცო, ის ლეიტენანტი უბედურება ვინმეა, რომ მელაპარაკება, ხელი რევოლვერის ბუდეზე უდევს!

— ნუ გეშინია, კოწია, ცარიელია ის

ბუდე. ვიცო მე! — დაამშვიდა ხმაში, ამოახველა და გადაადრუა

— ძველო მეფაიტონე, შენც ადექი და შეაძრე, მართლა შუშისა ხომ არაა, რა გეშინია! — შეაგულიანა ახლა მოჩლახუნემ, ეტყობოდა ფორნის ფარდს იყო ჩაფრენილი.

— რა ვიცი, ეს უპატრონო, ნაფრონტალია, მაგარი დაღეწილიო, შარი მინდა, ისედაც რისი პატრონი სად ვაგდევარი!..

— აჰ, კოწია? შენი ეყენებიანი და წითელ ქუჩჩეჩებიანი ბედაურები, ა?

— პაი დედასა!.. — ამოიოხრა კოწიამ.

— არლანივით მოხატული „ფაიტონი“!.. — დაუსხა დამწვარზე მდულარე ფორანს ჩაფრენილმა, ნატყენი ფეხით რომ მოკოჩიალობდა.

— დამანებე თავი, თუ კაცი ხარ! — შეიხვეწა კოწიამ, — ჩემი გაჭირვება მეყოფა..

— აჰ კოწია, შენი კუკურა და მერცხალა... მარქაფა რომ გყავდა, რა ერქვა?

— შავრა!.. — ამობოღმა მეეტლემ.

— ჰო, ჰო, შავრა... და ეს ჭაგლაგები?

— ცხენები რომ წაიყვანეს, ნეტავ მეც მაშინ გავეწვიეთ!..

— ან მაშინ რად დაგიწუნეს, ან ახლა რით მოგიწონეს! — ახლიჩინდა ისევ ბუხუნა ხმა, რომელიც გაციებულ იუნდა ყოფილიყო თორემ ასე ორკოკიანი ჭურვივით მგრგვინავს არაფერი უგავდა.

— მაშინ დაჭრილი იყო! — აუხსნა ფორანს ჩაფრენილმა აკოვლებულმა.

— ფინეთის ომშიცაა ნამყოფი?

— ფინეთი კი არა, ქუთაისს არ გაცილებია... ქალი მოიტაცა და ბარძაყში დამბაჩა დრუხეს! — გაეცინა ფეხმტყვიანს, — კოწია, „ფაიტონს“ რომ „ვენოკები“ ჩამოკიდე და აკივლებული ქალი გააქროლე, რაგა იყო?

— ეჰ, ყველაფერი ჩამარდა პატრონს, მოგჭამა პირი... — უიმედოდ გადააქნია თავი ძველმა მეეტლემ.

— მიაგელვებს კოწია ბედაურებს

ვევნების ქლარუნით, კივის ქალი, იბდუნის თმის, ხალხი და მილიცია გზას აძლევს, ნამეტანი გულდამწვარი ჭირისუფალი ჰკონიათ. — მოჩლახუნობს და ჰყვება აკოქლებული, რაკი მეეტლეს სალაყბოდ კრიჭა გაუხსნა, — მიცხო თავი კოწიამ გეგუთისკენ, რკინიგზა გადაკეტული შეიქნა. „აწიე მაგ კეტი და ვამოშვიო“, ეხვეწება კოწია დარაჯს. იცის, რაკ ელის. კივის ქალი, მაგის ორი ძმაცაი ვერ ამავრებს. დარაჯი ეუბნება: „მკვდარი სად წავა, აგერ ვეშაპივით მატარებელი მოდისო“. მაინცდამაინც მაშინ შეეკრა ფეხები ორთქლშაგალს და მაინცდამაინც მაშინ გამოუბამთ ასი ვაგონი... ასი იყო კოწია, ხომ?

— ჯანდაბა, რა ვიცო... — თავი მოიქეჭა მეეტლემ და სინანულით ჩაეღიმა. — ვითომ გააღწია კოწიას ჭირად გაჩენილმა მატარებელმა, — განაგრძო კბილის მატლივით, ფორანს ადევნებულმა, — მაგრამ რა გინდა, გავარდა დამბაჩაც.

— ასე ხელალებით ესროლეს, კაცო?! — გაუკვირდა ბუხუნა ხმას.

— კი, აბა, სანამ დარაჯმა ჭრელი კეტი ასწია და სანამ კოწიამ „ფაიტონი“ ლიანდაგებზე გადააგრიალა, წამოეწოწნ და ბრიგეს და ბრიგეს, შენს კოწიას!

— ასე პირდაპირ არ ესროდნენ, მოუხვდათ ალბათ!.. — არ დაიჯერა ბუხუნამ.

— აგერაა თვითონ კოწიე და ჰკითხე!

— კაი ახლა, კაცო... — თავდაბალი კაცის გმირობის მბავს რომ მოყვებიან და დაიმორცხვებს, ისე საამოდ ეხამუშა მეეტლეს მისი დარდიმანდი ცხოვრების გახსენება.

— არ უნდა გექნა კოწია, მაგი! — დაარიგა აკოქლებულმა.

— რატომ? — გაუკვირდა ბუხუნას.

— რატომ და ძალით მოტაცებული ქალი და წყნელის ვალიაში დამწყვდელი მიმინო ერთია.

— იმე! — შეიკვირვა და შეხტა კოწია, სკამზე რომ დასასვენებლად ჩამოჯდები და მხათი შეგერკობა.

— ასეა რომ გეუბნები... — გაუკვირდა ხავ...

— რას ენახავ? — ისევე შეხტა კოწიეზე ძველი მეეტლე.

— რას ნახავს, ვალიცო, შენც ერთი... — ეწყინა ბუხუნასაც.

— მიმინოს სანამ დარაჯობ და თუნთულა ზორცის ნაპერბსაც უყრი, აბდღვიალებს თვალებს და ქეა, მარა თუ ვაგინადირა, იმ შენი წყნელის ვალიას, ნამგალივით ნისკარტი რომა აქვს, კარგა ლამაზად გამოლუქავს...

— ვუყვარდი იმ ქალს, რომ იცოდე შენი — უფრო თავის დასამშვიდებლად ამოღერდა კოწიამ, ვინემ ჭკუის დამრიგებლის გასამტყუნებლად.

— თუ უყვარდი, რაღა აკელებდა?! — გაუკვირდა ბუხუნას, ვითომ კოწიას მხარი რომ ეჭირა.

## VII

— რა ამბავია კაცო ეს! გაწყდა ხალხი, თუ ყაჩაღად გავარდა! — შეიცხადა ბოკერამ როცა აული, თუ რაღაც „იურტი“ დაცარიელებული დაუხვდათ.

ფორანი ერთმანეთზე მიხუხულავებული მიწური ქოხების წინ შედგა. ქანცგაწყვეტილი ჯარისკაცები აულის ვიწრო დერეფნებშივე შეუკებში დალასლასებდნენ უფრო შიშით აღძრული ცნობისმოყვარეობით, ვინემ თვალისთვის წყალის დასალევად, ან რაიმე საკბილოს შოვნის იმედით.

— ამ ბარობაზე კაცის ჭკანება კი არაა და... — ამობოღმა მეფორნე კოწიამ, მის დარდს რომ ეს უკაცრიელი სოფელიც დაემატა. ეს დღე რომ მის სოფელ-ქვეყანას დამართოდა, მოტაცებულ ცოლს ვინ დაეპატრონებოდა, ან მოხუცი, ქარებიანი დედა სად გაიქცეოდა, ან უცხენო ეტლი და „ოცდამქვისიანი“ არღანი?

კოფოზე უძრავად მჯდარი მამუკა ისე გაფიჩხებულყო, ავთანდილმა ძირს ხელში აყვანილი ჩამოსვა და განაპირა მიწურის, გარდიგარდმო აქედებულ ფიცრებიან კართან მხარში შემდგარი

მიჰყვა. იქვე მოწონილად ჯარისკაცს გასძახა:

- ჩიქოვანი!
- გისმენთ, ამხანაგო ლეიტენანტო!
- რომელია მაგი, გვერდზე რომ იხედება?

— გაბადაძეა, ამხანაგო...  
 — მოდიტ აქ და მოაგლიჯეთ კარს ეს ოხერი ფიცარი!

ზონზროხა, ტლანქი გაბადაძე ახალდაკოდილი ულაყვიით ფეხებს გარეგარე ადგამდა.

— რა მოგივიდა ბიჭო შენ, ხუნაგი აიკიდეთ თუ ათამანგი?

— ფორანმა გადაუარა ფეხებზე ამხანაგო მეთაურო! — გაბადაძის მაგიერ აუსხსნა და ნამგალივით ცხვირი სახელოთი მოიწმინდა წოწოლა ჩიქოვანმა, თან კარზე გადაქედებულ ფიცარს ჩააფრინდა.

— პატრონი რას იტყვის? — საკუთრების ზელშეუხებლობის კანონით იკითხა მიწურის წინ ფეხებგაჩაჩხულმა გაბადაძემ.

— მაგი ჰქენი, მაგ! სადაა პატრონი!.. კაცო, შენ ასე წინდახედული თუ იყავი, ბორბლებს რომ ფეხებს უკვებებდი, მაშინ სად იყავი?

— მას მერე ისწავლა ჰყუა... — განმარტა ჩიქოვანმა და აგლეჯილი ფიცარი ბზაშერეული ალიზით გალესილ კედელს მიაყუდა. ავთანდილმა ლურჯად შეღებულ კარს ფეხი ჰკრა და მამუქას მიწურში შეუძღვა.

— ამ გაკირვებულს სანამდე უპირებს ლეიტენანტი ასე მზარზე გაკიდებულს ტარებას? — გადაულაპარაკა გაბადაძემ ჩიქოვანს.

— ალბათ ბერლინამდე... — მხრები აიწურა აწოწილმა ჯარისკაცმა, — მაგრამ აქ რძეს და ჰყინტ ყველს სად იშოვის?...  
 — ერთი სადმე ჩამომაჯინა!.. — ინარტა ფეხებდაშევებულმა, რომ შუეიდან თავგამოყოფილი სერჯანტი ცხოვრებად გამოეცხადა.

— გაბადაძე და ჩიქოვანი, რას ატუ-

ზელხართ მანდ? ფორანია დასაგლეჯს სირბილით იარ!

ფეხებგაჩაჩხული გაბადაძე ათმეთაურისკენ გრძელი ნაბიჯით გაკრილ ჩიქოვანს ძლყუენით გამოუდგა.

- ისე, ახია ჩემზე...
- მაინც რატომ? — თავი მოიბრუნა ჩიქოვანმა და უშველებელი, მოხრილ ბრტყელი ცხვირი ისევ მაზარის სახელოს დააწმინდა.

- მოხალისედ ვარ წამოსული...
- ვერ დაეტიე, სადაც იყავი?
- სომხეთში ვიდევით, თურქეთის სახლგარზე. მთელი წელიწადი სარდლობა შევაწრიალად, ფრონტზე გამიშვითმეთქი!..

— გაბადაძე, როგორ დაღიზარ, ბოკერიამ რომ დაგინაზოს, რა პასუხი მიეცე?

— უკვე დაინახა... — დაამშვიდა ჩიქოვანმა ათმეთაური.

— ვაი ჩემი ბრალი... მაგას შეჭირვებული ჯარისკაცები ატატებული დაჰყავს და ამოდენა მუტრუკის ახუტება რომ მიბრძანოს, რა წყალში გადავვარდე? — თავში შემოიკრა ხელი სერჯანტმა და აულის ბოლოში დამდგარ ფორანისაკენ გაძუნძულდა.

VIII

გაზაფხულის სიომ დაჰკრა თუ არა, მაისის ზოქოს ჰუბრი რომ გაიღვიძებს, სანგრებში ჩაყინული მტერიც ისე შეინძრა და მოსყოფთან არასტუმართმოყვრული დახვედრის შემდეგ, რაკი სამხრეთით მზეც მეტი ეგულეზბოდა და იქნებ უკეთესი მასპინძლობის იმედოც ჰქონდა, გამოსაფრენად ფრთების სწორება დაიწყო. თანაც გროზნოს და ბაქოს ნავთზე ხელს გადავითბობო (იმ ზამთარში ყინვამ ერთობ დააზრო).

ელვისებური ომის გეგმაზე უკვე ცოტა ხმადანწევით ლაპარაკობდნენ, მაგრამ ასეთი რამ გუნებაში არ გვექონიაო, რა პირით ეთქვათ, როცა ერთი წლის წინ მსოფლიოს ყურები გამოუჭედეს. იცოცხლე, ამპარტავანი „მსოფლიოს მპყრო-

ბელი“ ათასჯინის შეჩვენებას უგზავნიდა სტალინს, რომ მარგალიტის მძივივით ხელში საგოგმანებელი წინასწარმეტყველება გაუცუდდა და ომის მოგების სიხარული გაუნახევრა. ისედაც მარხულ და აზიზ მჭამელ ფიურერს მადა წაუხდა, მაგრამ აგერ, გამოანათებს ცხოველმყოფელი მზე, რომელიც მხოლოდ გერმანიისათვის ანათებს და მთელ რუსეთს ხანძარს მისცემს. ზამთარში, ყინვასა და თოვლს ხომ ხეირიანად ცეცხლი არ ეკიდება. წელს ვადაწყვარი, ფერფლით ვაპოხიერებულა მოსკოვი კი უნდა ვადაიხნას, ხორბალი უნდა დაითესოს და მსოფლიოზე გამარჯვების სადღესასწაულო სუფრა, მხოლოდ მოსკოვის პურით უნდა გაიწყოს, რომ ქვეყანამ დაინახოს, რა ძვირად დაუჯდა რუსებს „მსოფლიოს მბრძანებლობის“ წინასწარმეტყველების აბუჩად აგდება (თვით სიტყვა „აბუჩად აგდება“ ფიურერს აზრადაც არ მოსვლია, ასეთ კანდიერებას თავისი თავის მიმართ, თვითონაც ვერ გაბედავდა).

ადოლფ ჰიტლერი ცოფს ჰყრიდა, რომ მას ახალი სადავიდარაბო გაუჩინეს. ომის საქმე, შარშან თუ არა, წელს ვადაწყვეტილი იყო, მაგრამ როცა ის „ჩემი ბრძოლების“ მეორე ნაწილს, ადამიანის ტყავის ყდაში ჩასმულს ვამოსცემდა, რა ჩაეწერა? დაეწერა ის, რომ ერთი ზაფხულით გამიზნული ოპა, წელიწადნახევარი გაუგრძელდა? ალბათ, მოსკოვთან ვადატანილი ბრძოლების შემდეგ რაღაც, თავისთავისთვის გაუმხელელი ეჭვიც გაუჩნდა, რომელიც ვეელის შხამივით ადამბლავებდა და მარცხენა ხელს უშპივებდა. ეჭვი.. რომ მეორე ზაფხულშიაც, ამ აზიელ, ჭიუტ სტალინს გაუქირდებოდა იმის გავება, რაც აგერ, ერთი წელიწადია მისობილი აქვს ფეხი მოსკოვის კარებთან და უკან არ იხევს.

კავკასიონის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთებზე ვანლაგებულნი პოლკების ფორმირება უბრალო სასწავლო წრთვისა და მიწის ჩიჩქნა არ იყო. შენდებოდა თავდაცვის ზღუდეები.

აზოვის ზღვასთან, მოსკოვთან და ლენინგრადთან შეჩერებულნი მტრის წინააღმდეგ, აგერ კავკასიონზე თავდაცვის ზღუდეების მშენებლობამ თვით მოსკოვის ბრძოლების მონაწილე ბოკერიაც კი დააფრთხო და დააეჭვა. თუ ეს ისედაც ორ ზღვას შუა ვაჭიპული ფრონტის ხაზის, კიდევ უფრო საგანგებოდ, უსაშველოდ ვაჭიპვას და მტრის ძალების დაქსაქსვას არ ნიშნავდა, საქმე დაღუპული იყო. ბოკერიას იმის დარდი ჰქონდა, აქამდე ომით ჩამოვიდეს ეს ცეცხლმოკიდებული „ლემენცი“, აქედან ბერლინამდე ომით კი არა, მაგარი ვაგონით რომ ვამიშვან, ვეგრდები მთელი არ ჩამყვებაო, მაგრამ ბოკერიაზე და ამალბობელისთანა ჯარისკაცებზე საფიქრელად კი არა, ეკლდმარშლების მოსასმენად არ ეცალა უიურერს.

კაცმა რომ თქვას, ისე, „მინ კამპფის“ ადამიანის ტყავში ჩასმულ მეორე წიგნის ავტორს, პირდაპირ უსინდისოდ რომ მოექცენ და მსოფლიოს წინაშე ვასაწითლებელი საქმე დამართეს (ვაწითლდებოდა თუ არა, ეს საკითხავი იყო), თუ სიმართლე ვინდათ, თვით ავთანდილიც იყო ბრალში.

ბოკერიას დასავლელი ბოშბი და ტყვია „ავტორმა“ იმ თავითვე ვაიანგარიში. მერე დახურა ქარხანა, იმ ტყვიანწამლის დამამზადებელ მუშას ჩააცვა ფარაჯა, ვამოგზავნა ფრონტზე და იმ მღინარის ვაღმა, სადაც მათი პოლკი ვაწყვიტა, ავთანდილიც და მამუკაც იქ უნდა ჩაქლეთილიყვენ...

ბოკერიამ ვერ მამუკა ვაღმოგზავნა, მერე კი დილამდე ცეცხლი არ შეუწყვეტია. თოფით, ტყვიამფრქვევით, ხელყუმბარით... რაც მას და მის მეგობრებს ვაანდათ, რაც შეიძლებოდა აფეთქებულ იყო, არაფერი დაუტოვებია. ცხელ დროებში, კვამლი და ცეცხლი რომ იდგა, კისრით ვარდებოდა და რასაც ხელი მოეკიდებოდა, თუ რაიმეს ვაროლა შეეძლო, მტერს უშენდა.

„ელვისებური ომის“ გეგმით ვათვალისწინებული იყო ყოველი მტკაეული მიწა, მაგრამ ჭურვით ამოვნრეულ ორ-

მოში ხელახლა ბომბის ჩაგდება ვის უნდა ევარაუდებოდა? ბოკერია რომ თავის ადგილზე დატეულიყო, თავის წილხვედრს მიიღებდა, მაგრამ დაეტია? რამდენჯერ დაუმიზნეს და ესროლეს, იმდენჯერ აიცილა. მას მეტყვიამფრქვევე ბასოვიც აპყვა, ამოდენა ხუთფუთიან იარაღს იღლიაში ამოდებულს დაათრევდა. აქედან რომ დაუშენდა და მისთვის განკუთვნილ ყუმბარას დაუმიზნებდნენ, სადაც მიწასთან მოსწორებულ სანკრადან ამოაყოფინებდა თავს ტყვიამფრქვევეს. იქ გაუგზავნიდნენ უკვე მეორე „ულუფას“ და სადაც, ჭერჩამონგრეულ მიწურიდან ატეხავდა კაკანს... მეორე და მესამე ხელი რომ მოუკლეს, ავთანდილთან მოათრია ამხელა ტვირთი და სერჟანტი გაიხადა დამხმარედ.

გაწყდა პოლკი... ათი თვითვის ფასი ბოქვით დაიღუპა, კომისარის საბოცნებო, ანგარიშობიანი და შორსმჭვრეტელი, ცხვირბაჭუა ნერსესიანის ქუდის წინაფრაც არ დარჩენილა მთელი. ზესტუნოვი, ისედაც წელს ძლივს დაათრევდა, მერე მარჯვენა ხელში დაჭრილი, მარცხენათი ისროდა რევოლვერს, სანამ იმ გათრეულ წელში ნაღმი არ დაეცა და ოთხივე მხარეს არ გაფანტა...

თავიდან ხომ წინა ხაზის ბიჭები ჩაწყდნენ: თვით ლადო, წინა დღით ხელში დაჭრილი, საცოდავი არდაძე და თვალმბდაყვლევილი უმცროსი ლეიტენანტი ვინოკუროვი დაბომბვისას იქ დაიღუპნენ, ვასროლაც ვერ მოასწრეს.. დანარჩენები, ვიშნევსკი და იუდინი ტანკების და ჯავშნიანი მანქანების შემოტევისას გაეღიტეს... აფსუს, ბოგომოლოვი... ჩეჩენი ნურადილი, ქვეყანა რომ იქცეოდა, მაშინ მოიკეთებდა, მანამ კი სიციხით იყო გათანჯული. პასანას თავი რომ მოგლიჯა ჭურჭვა, „ჭოფოი ოღლი პიტლერიო!“ ბურთივით ვაჯორებულნი თითქოს მერეც ყვიროდა. ნარინან ბერდიევმა ისე ღრმა ორმო მოთხარა, ზედ ჯვრიანი ტანკი რომ შედგა და მოასარგალა, ცოცხლად დამარხა. ამ დროს იყო, კულრიავცევმა, რაც თავის და თავისი მეგობრების სანგრებში ხელყუმ-

ბარები იპოვა, ჭამრით ერთმანეთს შეკრა და ჩავლილ რკინის ურჩხულს ზურგში ესროლა, ხელყუმბარები ჯერ აფეთქებული არ იყო, რომ თვითონ მას მოარტყეს, ძლივს მოასწრო იმის დანახვა, ტანკს რომ ცეცხლი წაეცოდა. პოლიტბელ ტარანოვის რევოლვერიანი ხელი ზედ ბოკერიას სანგრის პირზე დაეცა...

ყველამ მიიღო გეგმით თავისი წილი და ავთანდილ ბოკერიამ, მეტყვიამფრქვევე ბასოვმა და შტაბის გადამწერმა, მიწასთან გასწორებული ბლინდაყიდან რომ ამოძვრა, მდინარის ბეჭობის მიღმა ჩაათრია ტყვიამფრქვევი და ოციოდე ტყვიის ამარა დარჩენილებმა ნაპირს მოცვენილ, გამარჯვებულ მტერს ზეიმი იქაც არ დააცალეს. იმისთანა ოთხი ახმაზი გამოასალმეს სიცოცხლეს, თითოეულში ორი საშა კუნძეცოვი გამოიჭრებოდა. მართალია, ერთს სათვალე ეცეთა, მაგრამ ამისთვის ის ბოკერიას და ბასოვს კი არა, ფიურერს არ დაუწუნებია.

ბოლოს იკადრეს და დურთეს თავი მდინარეში, მაგრამ ბასოვს, როგორც კი ტყვიამფრქვევის ფარს მოცილდა, მაშინვე კეფაში მოხვდა. საშკამ და ავთანდილმა წყალში ჩაყვინთვა მოასწრეს, მაგრამ საშკა მაინც შეეცადა, პირდაპირ გაღმა ნაპირისაკენ გაეცურა და დაუშინეს... მერენდელი არაგინ არაფერი იცის...

ავთანდილს მდინარეში შესვლისას წინასწარ შეხსნილი ბათიხები ნაპირზე დარჩა. ლოკოკინა რომ ნიჯარდინ ამოსრიალდება, მაზარიდან ისე ამოძვრა და გულადმა გაწოლილი, უძრავად, ჰაერს რომ ცხვირის წვერს ძლივს უწვედნდა, დინებას გაპყვა...

და წვრვის სირბილეში გავლილი ტყვიის საფასურად თავი დააღწია იმას, რასაც სხვა, ათი სიცოცხლე რომ ჰქონოდა, ათივეს იქ დატოვებდა...

IX

მზემ იძალა და მთკვე სამსრეთით თოვლი გააღწო. უდაბნოს ქარებით

გამოფრთხილება ეწერა მიწამ ნაფური შეისრუტა და სამხურზე პირა წაიშრო, აღმოსავლეთ-დასავლეთი კალთა ალბოკრილოვდა, ჩრდილოეთით ნაბუქი კვლავ წინდისყელზე იღო.

თავდაცვის ზღუდე, ნახევრად უდაბნო სტეპის პირას, კავკასიონის მთაგრებილის პირველ შემალღებისას თავზე იჭრებოდა ისევე უსწორმასწორო მრუდზე ხაზად, როგორც ამ გორაკების რელიეფი კარნახობდა. ყველაზე მალალ, წინ წაჩრილ მალღობებზე, საიდანაც მხარე მაინც კარგად ჩანდა, ტყვიამფრქვევის და მცირეკალიბრიანი ქვემეხებისთვის ღრმა საცეცხლე წერტებს თხრიდნენ.

ბოკერიას ასეულს ოთხი დახურული საცეცხლე ბლინდაეისათვის გარების თავზე გრძელი მაგისტრალური სანჯარი გაჰყავდა. საინჟინრო ბატალიონის უფროს არჭიტექტორ გიგი ნატროშვილის წინადადებით ამ ოთხ მალღობამდე ღია დერეფნები უნდა გაეყვანათ. საცეცხლე წერტებად შერჩეულ გორაკებში კი გვერდიდან, კორტოხების ქვევით კარგა მოზრდილა ბლინდაეები უნდა გამოეთხარათ, რომელსაც ორი-სამი ეიწრო ფანჯარა-ამბრაზურით დაბლა, „მტრის“ მხარეზე უნდა გადაეხედა. გარეგნულად გორები თავის ბუნებრივ სახეს შეინარჩუნებდნენ. გუნებაში მთას რა ედო, მტერი მანამ ვერ შეიტყობდა, სანამ ამ ამბრაზურიდან (საჭიროების დროს მათ წინ ბუჩქებიც „გაჩნდებოდა“), ცეცხლს და მდუღარეს არ გადმოანთხევდა. მაგისტრალურ ღია სანჯართან შემავრთებელი დერეფნები ბლინდაეების ვაკოთხისთანავე უნდა გადაეხურათ, რომ მიწისქვეშა საცეცხლე წერტის ერთადერთი გზა მტრის ავიაციისაგან უვნებელი დარჩენილიყო.

პოლკის სამხედრო საბჭოს თათბირზე ბოკერიამ ნატროშვილის პროექტს მაშინვე მხარი დაუჭირა. პოლკის უფროსი, მთიორი ფირფხუ შავლეგიშვილი კი თავს იქნევდა და ღრინავდა: თქვენნი პატრონის ქვეყანა... გააყუთეთ ისე, როგორც წესდებაშიაო. წესდებით საცეც-

ხლე ძოტი ხუთი-ექვსი ფუნტის მძიმე მან ნახევარი მეტრის სისქე რკინა-ბეტონით უნდა გადაეხურათ. ამის გარდა, ასეთი ნაგებობის შენიღბვა არაფრით ისე არ მოხერხდებოდა, მტრის თვალს მაშინვე არ შეენიშნა. საბჭოს სხდომაზე კომისარი ფარულავა „დუმილი ოქროა“-ს ნაცად ვზას ადგა, მით უმეტეს აქ საქმე უშუალოდ მას არც ეხებოდა. ახლომხედველი, სქელსათვალიანი, შტაბის უფროსი უდალოვი, მარცხენა წართან ნაჭიროლობებს იხელდა (ალბათ ცუდად შენიღბულ თავშესაფარში იმყოფებოდა, როცა ტყვია კინალა შუბლში ჩაჰყვდეს); იგი ნატროშვილის წინადადებას მიემხრო, მაგრამ ვითომ შავლეგიშვილიც არ გაამტყუნა, წესდებაც გათვალისწინებული უნდა იქნასო. არც მწვალი უნდოდა დაეწვა და არც შამფური. პირფართო, საექვოდ მომლიმარე საიდუმლო განყოფილების უფროსმა გოდერძი პაპიაშვილმა, მტრისთვის ასე საიდუმლო, მთიანი მხარისთვის შესაფერის პროექტს თავის დაქნევით დაყაბულდა, პოლკის მეთაურისათვის ანგარიშის გაწევა აზრადაც არ მოსვლია. მსროლელი ბატალიონის მეთაურმა კაპიტანმა ხარაზიშვილმა ყველაზე გულწრფელად აღიარა:

— გეთაყვა, ახალი რამ გვინდა... ყოველი ახალი, უარესიც რომ იყოს, მაინც ახალია.

— უარესიც?! — შეუბღვირა ცხვირბუჯა მაიორმა.

— გეთაყვა, სიტყვაზე მოგახსენეთ... რაც მტერმა და მოყვარემ იცის, ის უვარგისია...

ამ დროს სიტყვა ბოკერიამ ითხოვა და თავისი პოლკის პირველი მეთაური ბოკენკო გაიხსენა, როგორ უჭერდა მხარს მეთაურების და ინჟინრების კი არა, ჯარისკაცების და სერჟანტების ბრძოლაში გამოჩენილ უბრალო საზრიანობასაც კი...

— კი მაგრამ სად არის ახლა ის ბოკენკო? — იკითხა ფარულავამ.

— ბოკენკო დაიღუპა, ამხანაგო კომისარო, მაგრამ ომში გმირები იღუპები-

ანი — ეწყინა ავთანდილს თავისი სათაყვანო დაღუპული მეთაურის თუნდაც ასე ფარული გაჭირდება. — თუ იკითხავთ, მე რატომ გადაერჩინე...

— მე ეს არ მიკითხავს... — წითელი ვარსკვლავის კავალერის, ბოკერიას პირად ბარათში ვინც ჩახედული იყო, მას სილაჩრეს და სიმბდალეს ვერ დასწამებდა.

— კარგი, კარგი, თქვენი პატრონის ქვეყანა! — აღრინდა პოლკის მეთაური. „პატრონისო“ რომ იტყოდა და ორ „რ“-ს ხაზგასმით გამოთქვამდა, ეს მის ვინებას, თანხმობას და ზოგჯერ ალერსსაც კი ნიშნავდა.

შალა, ქართული ჩუქურთმით დამშვენებულ სასახლეებზე მეოცნებე გივი ნატროშვილი ასლა მიწისქვეშ, კაცის თვალთაგან დაფარულ ხერხელების და ორმოების პროექტებზე ათენებდა და აღამებდა.

იმ ღამესვე, როცა პოლკის საჯკოს სხდომიდან თავიანთ „ბინებში“ დაბრუნდნენ, ავთანდილმა მანაც იპოვნა გულდათუთებული არქიტექტორისათვის სახეგეგმო ორიოდ სიტყვა: იქნებ დადგეს დრო, თბილისში მეტროს მშენებლობა დაიწყოს და შენი აქაური გამოცდილება წყალში არ ჩაგეყაროსო. გიგიმ უნუგეშოდ ამოიხენეშა, მაგრამ ეს ციციანათელასავით გაჰიატებული ცივი ნაპერწკალი მაინც არ ჩაუქვრია. ჩაექრო და მე შენ გეტყვი, მის არემარეზე რაიმე ცეცხლი ენთო, რომ ხელი გადაეთბო.

ასმეთაური განსაკუთრებული გულისყურით ადევნებდა თვალს ამ საცეცხლე წერტილის მშენებლობას და ყველაზე პლუსით და შრომისმოყვარე ბიჭები იქით გადაიყვანა, ოცოცა მუშაობა მიწის ქვეშ დაიწყეს. მთის გულში ოთახის გამოჭრა და შიშველი ხელით ამოდენა მიწის გამოზიდვა ჰქირდა. ფიცხი, ხენიჭკანარევი გრუნტი ბარს აგრე რიგად არ იქარებდა და ჭარისკაცების გაჭორკნილი საზიდრებით ვიწრო, ღრმა დერეფანში ერთმანეთის გვერდის აქცევა არ ხერხდებოდა, სანამ სავე საზიდარი გაჰქონდათ, ცარიელები შავის-

ტრალური სანჯრის შესაყართან ერთად ნენ. რაკი ერთის გატანამდე მეორე ვერ ვერებოდა, მალე ისინიც გზას ადგებოდნენ. ბოლოს კი ყველა ცარიელი საზიდარი ერთად მოაწყდებოდა და ჯერ კიდევ ახალ დაწყებულ „დარბაზში“ ერთმანეთს ფეხებში და ხელებში ებლანდებოდნენ.

პირველი და მესამე ასეულები, რომლებიც მარჯვენა და მარცხენა ფლანგზე გრძელ, ღია ორმოებს ჩვეულებრივი წესით და რიგით თხრიდნენ, საქმეს თითქმის სანახევროდ მორჩნენ. ტრიდნენ ბარით მიწას და იგივე ბარით და ნიჩაბით თავს ზევით ჰყრიდნენ.

„დროში ვიწვებიო“, ცეცხლი წაეკიდა მთების გულში „დარბაზების“ მშენებელ არქიტექტორს, ისედაც ერთ ასეულში ძლივს დამრთეს ნება რომ დავაგვიანო, დავიღუპებო. ისე წუხდა ნატროშვილი, თითქოს მართლა მეტროს მშენებლობის გეგმა უტუღდებოდა და საშვილიშვილოდ იღუპებოდა.

ავთანდილმა: მაგ შენი ვიწრო დერეფანი რომ გავაგანიეროთ, რა უშავსო?

— გადახურვა გაჭირდება, ორჯერ მეტი მასალა დაიხარჯება და რაც ბლინდავის კედლებზე და ქერზე მომჭირნობას გავწევთ, დერეფნის გადახურვა შეგვიჭამს... — ამოიყენესა არქიტექტორმა, — ამას გარდა...

— რა, ამას გარდა?

— ამას გარდა დერეფნები და სანგრები, რაც განიერია, იმდენად დიდია მისი დაზიანების შანსი.

— მართალია. — დაეთანხმა ასმეთაური.

— საცეცხლე წერტს კი ერთი გზა აქვს: ტყვია-წამალი, სასმელ-საჭმელი... იგი სათვალთვალ პუნქტადაც ხელსაყრელია. მეკავშირეები, თვით უფროსობაც... ამას გარდა, უკან დახვეცა რომ საჭირო იქნეს...

— არ გადამრიო კაცო შენ! აქედანაც უკან იხვე?!

— მე არც ყირიმამდე, მოსკოვამდე და ლენინგრადამდე დამიხვევია... — თავი იმართლა არქიტექტორმა.

— მართალია ეს კაცი... — შერცხვა ასმეთურს და ღრმად ჩაფიქრა.

ასეთი ერთდერეფნიანი ძოტები რომ ბოქვენკოს პოლკში ჰქონდათ, სადაც მტერმა მტკაველი მიწა აუფეთქებელი არ დატოვა, მებრძოლები ბლინდაჟებში ცოცხლად დაიმარხებოდნენ. შეეჭვდა ავთანდილი — შეაღწევილი მართალი ხომ არ იყო, თავიდანვე რომ არ დამთანხმდა? მაგრამ უღალაოვის ნატყვიარი შუბლი არ შეცდებოდათ, ცოტა ამან დააშოშმინა. არა და ჯერჯერობით რა ვიშავს, მაგრამ მტერი რომ თავქუდმოგლეჯილი მოგდევს, თავშესაფრად ადრე და მალე გათხრას ჯარისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. რად გინდა კარგად შეხამებული, იაფად ლირებული სამალავი, თუ მტერი ზურგში მოგეჭვება.

— გიგი, მთლიანად, მთელ სიგრძეზე გაგანიერება არა, მაგრამ დერეფანში რომ ალაგ-ალაგ შესადგომები შეეკრათ?..

არქიტექტორი ფიქრით სადღაც წასულიყო, ავთანდილმა ვერ გაიგო, ისევ თავის მძალად, ჩუქურთმიან სახლებს აგებდა, თუ თბილისში მეტროს მშენებლობა დაეწყო.

— გიგი, კაცო, არ გეყურება?

— პო, ავთანდილ, რა თქვი?

— რა და, გაიგონე რომ გელაპარაკები, სად ჯანდაბაში იხედები?

— ჩვენ ძველ ციხეებს კლდეში მუდამ ჰქონდათ საიდუმლო საძრომები.

— გადამრევს ეს კაცი! ჩვენი ციხეები ომის დროს კი არ შენდებოდა მე რას გუებნები, დერეფნებში საზიდრების გზის შესაქცევად შესადგომები რომ შეეკრათ.

— ჯიხურები რომ შეეკრათ? — გაუხარდა არქიტექტორს.

— ჯიხურები დაერქმევა? რა ვიცი, კაცო... სადგურები...

— სადგურები, სადაც შემხვედრი მატარებლები...

— გადართია ეს კაცი! მატარებელს

რა უნდა ამ თბილისში, ორჯერაღმერთს თმანეთს გვერდს ვერ აუვლის.

— მეტროში, ავთანდილ!

— მეტროს მშენებლობა ჯერჯერობით შეაჩერე, ჯერ გვაქვს ცოტა საქმე...

— მოსკოვში მეტროში იმართება, რომ იცოდე ავთანდილ, უმაღლესი მთავარსარდლობის თათბირები.

— ე კაცო, ამოდი მაგ ოსერი მეტროდან და აგერ მოხედე საქმეს თუ არა, პოლკის უფროსს არ დავეძებ, დივიზიის მეთაური მოგადაგება!

— კარგი, კარგი! — შეაჩერა როგორც იქნა მეტროს მშენებლობა არქიტექტორმა, — კარგი, ავთანდილ მხოლოდ უნდა გამოვიანგარიშოთ, ასე ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვერ გავაკეთებთ „სადგურებს“, სადგური გრძელ მორებს და ფართო გადახურვას მოითხოვს.

— დროზე იანგარიშე შე კაცო, იმოდენა დარბაზებს აპროექტებ და მაგი გაგიკირდება?

— შენ რა გგონია, მაკეტი თითქმის იგივეა, მხოლოდ პროპორციებშია განსხვავება.

— ე კაცო, შეამცირე და გამოითხარე აგერ პატარა მეტრო.

— ესე იგი... — გადაადგა გიგი საცეცხლე წერტის „დარბაზიდან“ მაგისტრალურ სანგრამდე გაჭრილ ვიწრო, კაცის სიმაღლე დერეფანს, — მოდის დატვირთული მატარებელი...

— მატარებელი არაა მანდ ჯერ გიგი და გამოიხედე თვალში!.. თუმცა რა დაშავდება, „მატარებელი“ დავარქვათ... — დათანხმდა ასმეთური, იქნებ საქმეს უფრო ეშველოსო.

— მოდის დატვირთული მატარებელი... ერთი, ორი, სამი... ათი... თორმეტი, ცამეტი...

— ცამეტზე არ გაჩერდე, არ დამლუპო კაცი!

— ჩვიდმეტი, თვრამეტი... აივსო მეორე...

— სანამ საზიდარს ასწევენ, ოცოცდორ მეტროზე...

— ერთი სადგური...

— სადგურში კედელზე აკრული ორი კაცი და აყარავებული საზიდარი უნდა დაეტოვოს როგორმე...

ნატროშვილი გაიქცა, ძოტის გასწვრივ მობრუნდა და გრძელი ნაბიჯებით წამოვიდა. ოცდამეორე ნაბიჯზე გაჩერდა.

— ბარემ ოცდაერთი იყოს „აიკოა“ — დაახეინა ივთანდილმა, — თან მუშაობა რომ გაიმართება, ტემპი მოიმატებს!.. ვახტანგ! — გასძახა ხმამალა ასეთივე დერეფნის ბოლოში, თბრილიდან ამომძვრალ კრავცოვს, — მოდი, ბიჭებს თავი დაანებე და მე და შენ... ოცმეთაური შევილაძე სად დაყილობს?

— სადღაც აქ იყო, წიგნი ეჭირა ხელში... — აქეთ-იქით დაიწყო თვალების ცეცება სირბილით მომავალმა კრავცოვმა და აყვირა: — „პროფესორ“ შევილაძე!..

„პროფესორი“ სანჯრის მეორე მოსახვევის იქით ამოძვრა, ცხვირის წვერზე ჩამოკურებულ სათვალეს ზემოდან სარქენად წამოსულ თხასავით გამოიხედა.

— ოცმეთაური შევილაძე გისმენთ, ამხანაგო ასეულის მეთაურის მოადგილე, პოლიტხელო კრავცოვო!

— კაცო, არ ვააგრძელა და ვააგრძელა! — იღავლა ბოკერიამ, — ახლავე სამი ბიჭი გადმოიყვანე და აქ მოეთრიე, გადააგდე მაგ წიგნი და ბარი დაიკავე ხელში.

შევილაძემ სანჯრიდან ბარის მაგიერ ნიჩაბი ამოათრია და უბეში ჩადებული, გიმნასტურაში ოთხკუთხედად გამოჩრილი წიგნი ილღის ქვევით ზურგისაკენ გააძვრინა.

როცა „სადგურების“ შეჭრა დაწყეს, ამან ერთხანს საზიდრების მიმოსვლა კიდევ უფრო შეაფერხა და შევილაძემ წინადადება შემოიტანა დერეფანი ჭერჭერობით დამრეცად ამოეცსოთ და გამონათხარი გრუნტი იქვე, საცეცხლე წერტის გვერდით, ფერდობ-

ზე გადაეღუშეთო, მაგრამ ბოკერიამ შენივე პირში ეცა:

— დამიანე შევილაძე, მტერი რომ გკითხავს, ეს ამდენი მიწა რატომ დაგიშვავებიაო, რა პასუხს აძლევ?

— მტერი მაგას არ მეტყვის... — დარწმუნებით თქვა მწიგნობარმა ოცმეთაურმა.

— რატომ კაცო? — დაინტერესდა სახელოებდაკაპიწებული ასმეთაური.

— „პროფესორია“ და ვერ შებედავს!.. — გამოთქვა მოსაზრება კრავცოვმა.

— არა, მან რა იცის, ვინ ვარ... — არ დაეთანხმა „პროფესორი“.

— აბა რატომ?

— მემდურის...

„სადგურები“ რომ ჩაჭრეს, საქმე ისე აეწყო, თუ ჭარისკაცებში ყალთაბანდი და მეჩრდილია ერია (რა თქმა უნდა, ერია), მათი საქმე გაჭირდა. დატვირთული საზიდარი რომ წამოვიდოდა, ცარიელს „სადგურში“ უნდა შეესწრო, თუ არა ვიწრო დერეფანში შეეჩხებოდა. მოდიოდნენ ამირთავებული საზიდრები და ბრუნდებოდნენ უკან ცარიელნი, არავის შეიძლო სხვაზე ადრე ჩაემუხლა ან თამბაქო მოეწია, სანამ „პერეკური“ არ გამოცხადდებოდა, მაგრამ როცა ბოკერიამ და ნატროშვილმაც დაიმკლავეს და ნიჩბები ხელში აიღეს, წყეო აღარავის მოგონებია.

მართალია, სანამ ამოდენა „დარბაზს“ გამოთხრიდნენ, პირველმა და მესამე ასეულებმა ღია ორმოები უფრო ადრე მოჭრეს, მაგრამ მისი გადასახური მორების მოზიდვამდე დახერხება და ექვს წყებად გადახურვამდე, ნატროშვილის მიწისქვეშა ნაგებობას მეორე ასეულის „შშენებლებმა“ კერს ფიცრები ააფარეს და დაბიგეს. გაამავრეს, მალედიან რომ ნედლი მიწა არ ჩამოცვენლიყო, თორემ ბლინდაქა სახეოცად ორსაყენიანი მთა ადგა და ტონიანი ბომბი რომ დაცემოდა, აგრერიგად ვერაფერს დააკლებდა.

## X

პოლკის მეთაურ შავლეგიშვილს არც იმ საღამოს ვალდებოდა. ერთი ამოიღრინა: „თქვენი პატრონას ქვეყანა... წაეთრიეთ და აკეთეთ, რაც გინდათ.“ რაც იმას ნიშნავდა, „შემკვებითა“ იმდღევანდელი ნამუშევარი მოიწონა და ორივე, „პროექტის“ ავტორიც და „საქმის მწარმოებელ-შემსრულებელიც“ კაბინეტიდან გამოყარა.

ზნელოდა, როცა კარის მეზობლები აულში დაბრუნდნენ. აულის ახლომახლო ბრეზენტის კარვებთან კარისკაცებს კოცონები ენთოთ და კარადებში წყალს ადუღებდნენ, რალაცას წვაგდნენ და თართლაგდნენ, ღლიცინობდნენ, მღეროდნენ, საღდაციდან ფანდურის ხმაც მოისმოდა. მეფანდურე არ დაუნახავს, მაგრამ ავთანდილი მიხვდა, მისი ასეულის მეოთხე ოცეულის ბიჭები იყვნენ, გოგოჭური და თეთრუაშვილი. მომღერალმა თავისი დაწყებული საქმე გააგრძელა:

ახლოს მივლენ სოფელსა,  
დასხდეს ათლუხის პირსათ;  
ელიან დაღამებასა,  
დაბნელებასა წინათ.  
ვახშამზე ვაღაუჩინდეს

თამ...

ამ დროს მომღერალს პირში ცხელი კარტოფილი თუ რაღაც ჩასჩარეს, ენადათუთქული ახმუვლდა. ეტყობოდა ვერც პირში მოქცეულს შეეღია გადმოსაყრელად, ვერც ლექსს, და ღეჭვა-ღეჭვით, სულის ბერვით და ბლუქუნით განაგრძო. ბიჭები კი სიცილით იფხრიწებოდნენ, თუმცა ხეირიანად არავინ იცოდა, პოეზიის გმირები ვისზე აპირებდნენ თავდასხმას „დაბნელებასა წინათ“.

თამ...

— თამ... თამ... ნიაურსა შინათ...  
ლხი... ინ-ობლეს თამ... თამნიაური,  
ხელთ კა... თებ დაეპირათ...

როგორც იქნა ეშველა და გადაყლაპა ცხელი ლუკმა.

კარისკაცებს, ცეცხლთან ჩაეუზული,

მხრებში თავჩამძვრალი, მხრებში მძვრალი სილუეტი გამოეყო. ზურგში კოცონის შუქი ანათებდა და რამდენი ახლოვდებოდა, იმდენი პატარავდებოდა. ავთანდილი და გიგი მისკენ მიბრუნდნენ.

— საღამო მშვიდობისა, ჩემო ბატონო!

— გაგიმარჯოს!

— იცოცხლეთ...

— ვინა ხარ, რა გინდა? — იკითხა ავთანდილმა.

— მეთაურთან მქონდა პატარა საქმე, ჩემო ბატონო... — აჩლიფინდა მოახლოებული და თითებს ისე დაუწყო წვალება და გრეხვა, გეგონებოდა ხელში ქვის კენჭი უჭირავს და წვენი უნდა გამოაღინოსო.

— შენ ჯარისკაცი ხარ? — იკითხა ასმეთაურმა. ფარაჯა კი აცვია, მაგრამ ამას ჯარისკაცული სამომავლოდაც არაფერი ეტყობოდა.

— ჯარისკაცი ვარ ალბათ, ბატონო!..

„ეტყობა ახალი შეგვებაა და ვერ ვიცანი... — გაიფიქრა ბოკერიამ, — იმდენი ხანშიშესული და გაჭირვებული მოაყარეს, რას გაიგებ?“

— როდის ჩამოდი? — ჰკითხა ნატროშვილმა, რაღაც იმანაც ახალწვეულად მიიჩნია.

— გუშინწინ ჩამომიყვანეს, ჩემო ბატონო...

— კაცო, ჯარისკაცი რომ ხარ, ჯერ არ იცი, მაგრამ აქ ბატონები და ლუბერნატორები რომ არავენაა, არც ეს შეგიტყვია? — გაუჭავრდა ასმეთაური.

— რა ვიცი, დალოცვილო, უფროსს სიტყვა არ შეუბრუნო, რასაც გიბრძანებენ, დალუნე თავი, იშვირე ფეხი და მოუსვიო... მაშაჩემი, საწყალი სარდიონა ჩვენს ჩინია აზნაურს პირში დედმამის სულს აგინებდა...

— გადამრევს ეს კაცი, შენ ჩვენ გვიპირებ შეგინებას თუ რას ფიქრობ?! — არა ბატონო, მე ნამეტანი გულ-

მომწვევი სათხოვარი მაქვს...

ნატროშვილს სიცილი რომ დაეფარა, ჩაახველა და პირი მიიბრუნა.

— რა გვარი ხარ, ეს თუ იცი?

— ჩირგაძე უნდა ვიყო, რაღაცა ასე მაქვს გაგონილი...

გიგი მიხვდა, ამჯერად ჩაბველება და პირის მიბრუნება ველარ უშველიდა და ხმამაღლა გაეცინა.

ბოკერიამ ლამილი მსხვილ უღვაშებს შეაფარა.

— რა გაწუხებს, ამხანაგო ჩირგაძე!

— თქვენს მტერს, მე რომ მაწუხებს...

— მაინც?

— ერთი ღერი კბილი არა მაქვს... —

ამის დასადასტურებლად გვერდზე გადაგა, კოცონებისკენ მიბრუნდა და პირიდან რაღაცა გამოვლიჯეს. პირი სულ გაუქრა და ისედაც მოკლე ნაკაბი ცხვირთან მიიტანა.

— რომელ წელში ხართ დაბადებული? — ჰკითხა ჭარისკაცის, თვალსა და ხელს შუა, ფარაჯიან დედაბრად გადაკეთებით შეძრწუნებულმა ავთანდილმა.

— ალ ვიჩი, — აჩიფიფდა „დედაბერი“, — ნამდვილად ალ ვიჩი... ხამეტანი გვიან ვალ მონათლული.

— საეჭიშო კომისია არ იყო იმ არე-მარეზე, საიდანაც გამოგვიწიეს?

— ლაფა გეკადლებათ, ბატონო...

— ჩაისვი შე ოჯახქოროთ მაგ პროტუბები! — შეეხვეწა ნატროშვილი.

— დღის! — ჩირგაძემ ორივე ხელი პირში იტყა და ისევე ჭარისკაცად იქცა.

— რაო, კაცო, მერე იმ თქვენმა კომისიამ? — ჩაეკითხა ასმეთაური.

— მოგეხსენებათ, ბატონო, ყველა თავის ტყავს უფრთხილდება... კბილები არც მე მაქვსო, მაგრამ კომისიის თავმჯდომარე ვარო, მითხრა იმ კაცმა, თვალეზზე ცერის სისქე უშუშები რომ ჰქონდა აფარებულო... მტერს ტყვია ესროლე, კბილები მაინც რა ჰქონდა გინდაო... ჭერ საჭმელს საღ იშოვი და რომც იშოვო, დასაღეჭი დრო არ გექნება მაინც, დაუღეჭავი უნდა გადაუღაო.

— შენ რა უთხარი?

— რა მეთქვა, ბატონო. იმ კაცს ჩემთვის რჩევა კი არ უკითხავს.

— გადამრეცს ეს კაცი... კი ზაგრამ,

ახლა ჩვენ რა ვქნათ? — მხრებზე მტრულად არკიტეჭტორმა.

— არაფერი, ვინ გვადრათ... მაგრამ იქნებ მზარეულად... იქ ისედაც თავმოაწონე ყმაწვილი დაგოყენებით, მე ვიცი, ის შეგვეგრემანია, მარა სირცხვილისაგანაა კიბოსავეთ წითელი...

— ე, ავთანდილ, რას ერჩი, მართალს ამბობს ეს ადამიანი! — ამოისუნთქა გიგი.

— მერე მაგ საქმის გაგეგება რაიმი?

— გაგეგება?! — გაელიმა ჩირგაძეს, გაჩახახახებული ხელოვნური კბილები პირიდან კინალამ გადმოუცივებდა, — ცოლი მყავს, შენ ხარ ჩემი ბატონი, ლადრიდან ენით ნაკვეერჩხალს იღებს!

— მერე, რა შუაშია ცოლი? — ჩაკითხა ისევე უღვაშებში ღიმილშეფარებულმა ბოკერიამ. ნატროშვილმა ყურიც კი მოაბრუნა, ამ კაცის ჩლიფინში არაფერი გამოიშვაროსო.

— აშენდა იმის გამოცემელი!.. ჩემს დედაკაცზე მოგახსენებთ, ბატონო... ხუთი თითოეით მასწავლა ყველა საოჯახო საქმე. ხაჭაპურს ვაცხობ გულმობხდილს, კვერცხგადასმულს, მეფეს მიერთმევა.

— მაგი არ დაგვირდება აქ!.. — გადაუსხა ცივი წყალი ცხელ ხაჭაპურზე ბოკერიამ.

— ცხელ მჭადებს დაგიცხობთ, წამლის ნეშოში კეცსა და კეცს შუა...

— რად გინდა რა, პიტნიანი ჰყინტი ყველი და ნაღულის შოვნა გაჭირდება!

— ელარჯს დაგიზელ, შენ ხარ ჩემი ბატონი, მთელ ჭვავს ერთ ჩოგანზე ამოვიღებს... საცივს შეგვამახავ, თითებს ჩაიტყვერ...

— გაიწერდი, კაცო, არ გადამრიო! — იყვირა პირზე მდინარესავით ნერწყვმოვარდნილმა ავთანდილმა, — წადი, ოღონდ წადი და მზარეულად კი არა, თუ გინდა ასეულის მომარაგების უფროსად გაგამწესებ.

— ავაშენათ ღმერთმა, ჩემო ბატონებო, ავაშენათ! — უკან-უკან წავიდა ფარაჯიანი კოცონისაყენ და რამდენი

მეთურებს დაშორდა, იმდენი სივრცე-სივანეში მოიმატა.

მეფანდურე ისევ ამღერებდა:

ჩვენდ იყავ კაის მაქმედი,  
 ახლა შენც მაგიწვდინაო,  
 ყვერფნი აივსნეს სისსლოა,  
 ფრანგულემბ გაიცინაო...

— ავთანდილ! — ამოიხენეშა არქიტექტორმა და სანამ თავის ბინების კარებს მიუახლოვდებოდნენ, შეჩერდა, — ეს ამოდენა სისხლ-ხორციით სავესე ჯარი რომ მუშებად მომცა, აქ, ამ ადგილს, ხომ არაფერი ისეთი იშვიათი ბუნება არაა, აქ ავაშენებდი...

— გაჩუმდი კაცო, არ გადამრიო, ახლა, რა დროს აშენებაა, უკვეა ქვეყანა! — გააწყვეტინა მეოცნებეს ბოკურიამ და თვითონაც შეჩერდა, — დაუგდე ყური, რას ამბობს მეფანდურე, იჭნება რაიმე შევიდეს შენს თავში...

გამწირა წუთისოფელმა,  
 გამომაშრა ყველასა,  
 გული დღეს ხმალო ამოდი,  
 შენგან მოველი შევლასა...

— კაცო, გადამრევთ შენ და ამაღლობელი, რა ხდება, ხომ უნდა გამოიხედოთ თვალში!

— კი, ავთანდილ, მაგრამ... — სინამდვილეს მიანც ვერ შეურიგდა ნატროშვილი, — კი, მაგრამ... შეხედე! — კოცონების შუქზე კარვებთან გამოლანდული მოხორხოცე-მომღერალი ჯარისკაცები საცეცხლე წერტებისა და სანჯრების სათხრელად ვერ გაიმეტა, — ესენი რომ მივუსით, აქ ბაბილონის ბალებს გავაშენებდიო.

— ისიც ხომ არ გინდა... რა ერქვა კაცო მაგ ბაბილონის მეფის... დედოფალს რა ერქვა?

— სემირამიდა, შე ოჯახაშენებულო! — კოცონების შუქზე თვალები გაუბრწყინდა მერვე სასწაულზე მეოცნებე არქიტექტორს.

— ჰო, მაგ სემირამიდაც ხომ არ გინდა?

— სემირამიდაც მინდა, აბა, რომ ავაგო, ვისთვის ავაგო... — მერვე და-

მორცხვა, ამ პრაქტიკულმა ავთანდილმა არ იფიქროს, მართლა დედოფლებს ვგულისხმობდეთ, — ყველასა ჰყავს თავისი გულის სემირამიდა.

ატირდა ბელის დედუსა  
 ორი ლამაზი ქალია.  
 შესამე დედა ატირდა  
 ცრემლით აბანა თვალია...

რალაც ცუდად ენიშნა ოცნებია და რწმენის არქიტექტორს და ვითომ მართლა ავთანდილი ყოფილიყოს რაიმეში დამნაშავე, ფარული საყვედურით შესჩივლა:

— შე ოჯახაშენებულო, ეს ხალხი დანიგებული ხომ არა გყავს, ჩემს წინააღმდეგ პირი ხომ არ შეგვირავთ?

— კი, შეთქმულება მაკრწყვე... ასე ეგონა იმ ჩემს ძმაცაცსაც. ახლა აგერ რომ ლეკის მიტოვებულ სახლში მიცდის გამოლენჩებულო.

— მამუკა, არა? უსაშველოდ მძიმედ ყოფილა დაჭრილი.

— დაჭრა დაჭრაა, მაგრამ ჭრილობის შეხორცება, თუ კაცს სული უდგას, შეიძლება.

— აბა, სულთან ვის რა ხელი აქვს? — წამოიყვირა აგრერიგად აუღელვებელმა გვიგამი.

— ამაშია კაცო საქმე... კონტუზირებულია, იცოდე შენ!

— ხელ-ფეხი უკანკალეებს? — გულს მოეშვა ნატროშვილს, იქნებ სული მთელი გადაურჩაო.

— ამასა რომ ეტირი. ა აფერა არ უკანკალეებს, რაღაცნაირა დამბლა აქვს დაცემული...

— დამბლა?! დამბლადაცემული ვინ გამოუშვა პოსპიტლიდან?

— კაცო, შენ რომ ვერ გაგაგებინე, ექიმები გაუგებდნენ?! — გადაეწურა იმედი ბოკურიას: მამუკას ახლა თუ ვინმე გაუგებს, ვიგი გაუგებსო, რომ ეგონა.

— მართლა რაიმე დიდი უბედურება არ იყოს... — გული ეტყინა დაბნეულ ნატროშვილს.

— აბა რას გეუბნები კაცო შენ. არც აკანკალეებს, ხელსაც ამოძრავებს და ფეხსაც, ჭრილობებიც შეხორცებუ-

ლი აქვს და მინც არაა მაგის საშველი...  
— შინიდან ცუდი ხომ არაფერი გაუგია? — ისევ ვერ გაიმეტა არქიტექტორმა კაციშვილი სულში ტყვიით გასაგმირავად.

— რომ არაფერს სწერს...

— არ უყვარს წერილებს წერა?

— არა კი არა, თავიდან დღე და ღამე წერდა, ხუთ წერილს მინც გზავნიდა... გოგო უყვარდა... სიყვარული მიწადავს, გამოიგონია, წამიკითხავს და ამნაირი, კაცო, არაფერი... ლექსებს წერდა. მაგის მეგობარი იყო ჩვენთან, არადა... თუ კაცი ხარ იმ ბიჭებს ნუ გამახსენებ... ჩუმად გვიკითხავდა...

— ლექსს ბევრი სწერს... — მოაგონდა ნატროშვილს ქართველების ვასკირი.

— მართალია, ბევრი წერს. ცოდვა გამხელილი ჯობია, ბარე ორჯერ მეც გავუგზავნე შეყვარებულს თეთრ კონვერტში ჩადებული. მაგის ლექსებისას მე ვერაფერს ვგებულობდი... მაგრამ ორჯერ-სამჯერ რომ წაგიკითხავდი, ჯარისკაცების ლაფიანი მანარები ცისფერი მეჩვენებოდა.

— იუ ასე იყო, ვერ მ: შლავდა...

— მაგის იმედი მქონდა მეც... მაგრამ ნახევარი ქალაქი აღარ უჯდია ჯიბეში ახლა შეგებულებაში გაუშვია ჰოსპიტალს და მე მომადგა... იმ გოგოს რომ თავი დავანებოთ... გოგოა თურმე!

— სურათი ექნებოდა...

— არა, სურათი რად უნდოდა, გენერლის წინ რომ დაგეყენებინა, მინც იმ გოგოს უყურებდა. თუმცა, ვინ იცის, იქნება იმდენად არაფერია, ვიცი მე. თქვენისთანა ხალხი რომ ვინმეს შეიყვარებს, ორ წყება ფრთებს გამოასხამს.

— ჰკითხე რაიმე? რა გითხრა?

— არაფერი არ მიკითხავს...

— შევილაძის არ იყოს, ემღერის?

— გადამრევს ეს კაცი! — ისევ ვერაფერი გავაგებინეო, გაღარია ბოკერია, — რა ვკითხო, უკუაუ, კაცს სისხლი მისთქრიალებს და ვკითხო, რა გტკივა-მეტქი?

— მოიხა, ში მაროლა რაბ: შენი-

ბულო! — არქიტექტორმა უკან დასრულდა ლაზიასავით დაალო: მე ეს ბოკერია პრაქტიკული ჰყვის, გაქნილი მოარშიყე და ტყვიანე შუბლშიშვერილი ურა ჯარისკაცი რომ მგონია, მართლა არ გადამრიოს, ჩემსა და ამალღობელის „ლურჯ კაცი“ არაფერი ესაქმებოდესო.

— სულზე ლაპარაკობ, კაცო, შენ?  
— მართალია, ამ საკუთარ ფარჯის ქვეშ აღარაფერი შემჩნა, მაგრამ ჯერ თვალში კიდევ ვიხედები და სხვისას ვხედავ.

— მოდი, ავთანდილ, გაკოცებ რა იქნება?

— ჩუ, კაცო, რა კოცნა გამოიგონე, არ გადამრიოს!.

XI

ნატროშვილის „ორდინარეცი“, გამწვანებული ბიჭი, თუში — აბაშძე თივაში ისე ჩამქრალიყო, ზევიდან წაფარებული მანარა არსად ამობურცული არ იყო. არ გაუღვიძებია, ისე დაწვა და ფიქრი ლოგინშიაც შეიყოლა: რომ მეგონა ქვეყნის აშენების ჰყუა და ახრი მარტო მე ჩამომყვავ, სხვას დანგრევის, დაწვის და კაცის კვლის მეტი არაფერი ახსოვს, თურმე ყველა, ზურგზე მოკიდებულ, თავის „სასახლეს“ დაათრევსო...

ვარეთ, კარვებთან, კოცონები რომ ჩაინაღლა და ციქნა ფანჯრის მინებზე ნაკვერჩხლების წითელი ანარკლები ჩაქრა, მიწყდა სიმღერა და ხმაური, კედელს იქით კარის მეზობლის, ბოკერიას ისეთი ჩხავილი და ღრული მოსიმა, კინაღამ ტიხარის თიხის კედელი გამოიხვრა.

თივაში ჩაფლული აბაშიძე კი, ყურისძირში თოფი რომ დაგეცალათ, ვერ გააღვიძებდით, გაფანტუნდა, თავი წამოსწია თუ წამოჭდა.

— ვაიმე, კაცო, დავიღუპე, კაცო! — ყვიროდა ბოკერია და აღმათ თავში ხელს იცემდა, რაკი ტაცა-ტყუი იხმოდა. ტაშის დაკვრის გუნებაზე რომ არ იყო, ამას მძინარე აბაშიძე ატყობდა.

— დილას აქეთია, კაცო, დილას აქეთია აქ აგდია! — წამით შეჩერდა და ისევ წაიშინა თავში ხელები, — ორი დღე შტაბში?! იმ დასაწყვე შტაბში თუ იყო, იქ ვყრივართ ყოველ საღამოს მე და ნატროშვილი და კაცს არაფერი უთქვამს.

გივის ხსენებაზე ინეინერი და „ორდინარეცი“ თავ-თავიანთ საწოლებში წამოჯდნენ და დაელოდნენ, რა ქვეყანა იქცეოდა მათ თავზე, ასე საზრიან, ტყვიის წვიმაში გაზაღუკარგავ ლეიტენანტს რომ თავში ხელის სარტყელი გაუხდა.

რალა ვენა, ახლა კაცო! რა წყალში გადავევარდე!.. — ეტყობოდა გახდილი ჩექმები ხელის ერთი მოსმით მოირგო, რაკი კედელს იქით ნაბიჯების ზრახაბრუბი გაისმა.

— ე, ბიჭო, ერთი სიტყვა, ამ საღამოს რომ დავებრუნდი, მაშინ მაინც ვერ თქვი?.. — ცრემლნარევი, ყელში ბოლმანაქერილი ხმით იხვეწებოდა თუ უკოოდა კაცისშვილს, რომელზეც ერთი საათის წინ ამბობდა, რა ვკითხო, ვხედავ სისხლი მითქრიალებსო.

— ავთანდილ! — გასძახა გივიმ, რალაც ნამეტანი ღვთის წყრომა ჭირს და ხმას მივაწვდენ, კაცი კაცის წამალიაო.

— არიქა, გივი! — იბღავლა ბოკერიამ, ალბათ მისი ამქვეყნად არსებობა და მეზობლობა ახლა მოაგონდა. — მიშველე რალაცა, თუ კაცი ხარ, კაცო!

— ახლავე! — წამოვარდა ნატროშვილი და დაღაფულ ჩექმებში ფეხი წაპყო.

— მეც? — იკითხა ხმელ თივაში მოკალათებულმა აბაშიძემ.

— არ ვიცი... შენ ჭერ იყავი...

ავთანდილს სანთელი აენთო და ორ თითში ფარატინა ქალაღი ეჭირა, ხელი უკანკალეზდა.

— რა ამბავია, დაგველუბა ვინმე? — ესლა ჰკითხა ნატროშვილმა, მაზარა რომ მკლავზე გადაედო და გიმნასტურის ლილეებს გზა და გზა იხნევდა.

— შე დავილუბე! — ამოიგმინა ავთანდილმა და ლოგინზე გულაღმა დაგ-

დებულ, ჰერში მორებზე დასწყობდა წიკლებზე თვალმიციბულ ამალღობელს მიაშტერდა.

— რა არის ეს, გამაგებინე! — სულ დაიბნა აძიგძიგებული გივი.

— დეგეშაა კაცო, შე ჩემი ცოდვით საესე!

— მაჩვენე აქ!

— არა, არ გინდა გივი, თუ ძმა ხარ, მიშველე!

— რა გიშველო მითხარი, რომ არ მეუბნები!

— მანქანა!

— მანქანა?!

— ჰო, ახლავე! სად აყენებენ ჩვენს მანქანებს ხომ იცი?

— მანქანა კი, მაგრამ მძღოლია საძებარი.

— ზემდევი!

— ზემდევი, რომელი?

— უსტალოვი! ზემდევი უსტალოვი! — და ბოკერია უჭედოდ და უმაზაროდ, თითქოს სახლი თავზე დაწყოდა და ახლა ვაეგოს, კარში გახტა.

ნატროშვილმა თავის მაზარაში მკლავი გაუყარა, ავთანდილისა ხელში დაიჭირა და უკან გამოუდგა, რომ ბოკერიამ მოაძახა:

— გივი, მიშველე კაცო, შენი აბაშიძე გააღვიძე, ჩემთან კარგი ცეცხლი დაანთოს, არ ვიცი, თუ უნდა, ჰერში გამოიღოს მორი, დააპოს და მაგარი ცეცხლი დაანთოს!..

მეთაურების ასეთი ფიცხელი ბრძანებით დარეტიანებული, ნახევრად მძინარე აბაშიძე, რაც ინეინრის „ორდინარეცად“ გაამწესეს, მისთვის ძლი არავის დაუფრთხია, სახლის უკან ცხვრების ნაკელით აქოთებულ, დაბალ ნაფარებალში შეძვრა და მიწაზე ათრეული სქელი ფიცრის კარი ძირმომპალ ბოძიანად მოგლიჯა. მამუკასთან ოთახში შეათრია, ანჯამებზე გადაღუნულ ლურსმნებს ხელით ამოძრობა მოუნდომა, გერაფერი მოუხერხა და ტარმოდანქალეზებული რუსული ნაჭახი დას-

ცხო, დააბო და დაანაფოტა. დაპრიალდა ცეცხლი, მაგრამ სანამ შეშის გროვა არ დააყენა, ლოგინზე უხმოდ გატრუნულ დაპრილისათვის ვერ მოიცალა. მერე ნაპობებზე ჩამოჭდა და იქაურობა გულ-დაგულ მოათვალეირა.

თავისი ინჟინრის მადლიერი ბიჭი იქაურობამ მაინც გააკვირვა. დაპრილი „ორღნარევი“ იწვა ფიცრულ ტახტზე, მეთაურის საბანიც მას ეხურა, ლეიტენანტს კი ოთახის ბოლოში, თივაზე სძინებია. აქ რაიმე საიდუმლოება არ იყოს, ეს დაპრილი უფრო დიდი ჩინისა არ გამოდგეს, ვინემ ბოკერია, არაფერი ვაწუენინოო, აბაშიძეს ხმა არ გაუღია და ამის შემდეგ შეშასაც ვარეთ, ბელში დაუწყო ჩეხვა.

ამ ნაულარში ერთი გაბდღენილი მამალი დაუხვდათ ჯარისკაცებს, ძვალი და ტყავი, ფრთა ჩამოვარდნილი, ორი ღერი ლურჯებმბულშერჩენილი. ჯარისკაცების გართობა და გაღვიძება, თავიანთი სოფლების და ეზო-ფუძეების თბილი და მტკივანი მოგონება, მელა რომ კბილს არ ვაკრავდა, ამ მამალმა იყისრა. დადიოდა კარიდან კარზე უფროსთან და უმცროსთან, მართალია მისთვის არავის არაფერი ენანებოდა, მაგრამ ბუნებით აზიზი მკამელი იყო თუ სიბერის დროს დასჩემდა მარხულობა, ისეთივე მკლე და გაქუცული დარჩა, როგორც დაუხვდათ, მაგრამ დროის შეცნობის ნიჭი და უნარი ჰქონდა მომადღებელი. ის რომ დაიყვილებდა, ვისაც საათი ჰქონდა, მაშინვე მაჯაზე დაიხვდავდა. დიდი-დიდი ხუთი-ექვსი წუთით შეცდომა მოსვლოდა და ესეც ღმერთმა იცის, საათები ცოდადნენ თუ მამალი. ხმაც არ ჰქონდა ურიგო, თუ აქ მის მეტი ფრინველი რომ არ ჰჯანებდა, ამიტომ მკახე და ომპიანი ეჩვენებოდათ.

ბუნართან ჩათვლემილ აბაშიძეს ბუნდაგაცილი ფრთების ფართბუნი რომ მოესმა და მერე კარგა ლაზათიანი ყვილიც, თვალი ჰყიბა, მაგრამ არც ის იცოდა მერამდენედ იყილა დროის უტყუარმა მცოდნემ და არც ის, კიდევ

რამდენ ხანს უნდა შეეკეთებინა ცეცხლისთვის შეშა.

საალიონოს წინა ყვილი უნდა ყოფილიყო, რომ აბაშიძეს ისევე გაეღვიძა და ხევეგალიმ მანქანის ძლიეს გასაგონი თუხთუხიც მოესმა. ასეთი მყუდროება რომ არ ყოფილიყო, ამ სიშორიდან ძრავის ხმაურს ვერაფრით ვერ გაიგონებდა. სანამ ხეეს ამოიელის და აღმართზე ამოაღწევს, ერთ წამინებას მოვასწრებთ, მუხლებზე თავდადებულს ისევე ჩათვლიმა. სანამ კარზე ძლიერი ბრახუნი არ ატყდა, სახლის წინ განერებული მანქანის თუხთუხსაც ვერ გაეღვიძებინა.

— აბაშიძე! — დაუძახა ბუშეზელი თიხის კედლის იქიდან ინჟინერმა. ამ დაძახილზე საწოლზე გაშლართული ძილ-მღვიძარეც შეინძრა და თავი წამოსწია. ფერმკრთალ სახეზე ახალ ხორცამოზრდილი წითელი, ტუჩებში მოქცეული ენის წვერივით, ნაპრილობევის დანახვამ კართან მისულ აბაშიძეს ტანზე ბურძგლი დააყარა და ერთბაშად გამოფხიზლებული ოთახიდან გავარდა. მანქანა წავიდა, კართან თუ სადღაც ახლო-მახლო ჩექმების ჩლახუნი, ჰველება და პეტუნ-პეტუნი ისმოდა. მამუკა წამოდგა, ფეხები საწოლიდან ჩამოყარა, ცეცხლს ჩააჩერდა, რომელიც ერთი და კი არ სწევდა, ანათებდა და ათბობდა.

კარი იმდენად გაუბედავად და უხმაუროდ გაიღო, იმდენად უჩვეულო და მოკრძალებული ვიღაც იდგა ზღურბლთან, თუ მანქანით რაღაც დიდი და უზარმაზარი მოიტანეს, რაც ამ შემოსასვლელში ვერ შემოეტეოდა. ვითომ კარის ფართოდ მოღებას ტყუილა-უბრალოდ არც ამირებდნენ, მაგრამ იმისი გარეთ დატოვებაც შეუძლებელი იყო.

ბოლოს და ბოლოს, რომ მაინც გაბედეს და ღია კარის ჩარჩოს გარედან სიბნელის შავი ფარდა აეფარა, ამ წყვილიადის ფონზე მამუკას ლამაზი, ნაცნობი სახე მოეჩვენა, რომლის ფართოდ გახელილ, ასეთივე ღამისფერ თვალების გუგებს ცისფერი გარსი ერ-

ტყა და მოჩვენება არ უნდა ყოფილიყო, რაკი ცეცხლის ალის ათინათს ირეკლავდა. როცა მის უკან კარი მოიხურა და ბნელი ფარდა ცეცხლით განათებულმა ფიცრულმა კარმა დაფარა, თავიდან ფეხებამდე ღამეში შეხვეული პატარა ქალი გამოიკვთა, რომელსაც ხელთათმანებიც და წინდებიც იმ წყვდიადის ფერი ეცვა, საიდანაც გამოვიდა. მხოლოდ სახე იყო ძალიან ახლობელი და გულისშეღონებამდე ნაცნობი.

— თეკლა?... — იკითხა მამუქამ და ხელი გულთან მიიტანა. მას ასე მთლიანი, თუნდაც ძაძით მოსილი თეკლა, დიდი ხანია არ ენახა.

— ჰო, მამ, მე ვარ... — თქვა თეკლამ.

— მართლა?!

— მართლა...

— ვიცანი...

— როგორ, ვერ მიცნობდი გეგონა?!

— რა ვიცი...

— მამ!.. — ქალი ფრთხილად მოიწვედა წინ, მართლა მოჩვენებასავით,

— მამ, მართლა მე ვარ... არ შეგეშინდეს, მამ...

— არა, მე არაფრის არ მეშინია და არაფერი არ მიკვირს...

— მაგრამ ეს... მართლა მე ვარ. ვიცი არ მელოდი, ვიცი ვერ დაიჭერებ, მაგრამ მე ვარ...

— როგორ არ დაეიჭერებ, მე სიზმრებს აღარ ვხედავ და არც არაფერი მეჩვენება.

— მამუქა! — იკვილა თეკლამ, მის ფეხებთან დაეცა, მუხლებზე ხელები მოხვია და ნჯღრევა დაუწყო, — რატომ არაფერი არ გიკვირს, არ გეშინია, არაფერი გესიზმრება და არ გახარებს!.. რატომ! ვინ დაგასაბიჩრა ასე, ვინ მოგკლა და ამოგართვა გული, ვინ წაგართვა თვალის სინათლე, ვინ ჩააქრო ჩემი სიცოცხლის ცეცხლი... მამ... მამ!.. ამოიღე ხმა, მამ! მამ, სანატრელო, სულისდგამე, თვალისჩინო!.. ვინ დამღუპა ისედაც დაღუპული და დარბეული, ვინ დამაქცია ისედაც დაქცეული და მიწასთან გასწორებულის!..

მამუქა პასუხს არ იძლეოდა.

## თავი მეოთხე

### I

დღეებში, რომელსაც თეკლა ავზავნიდა, ფარნა ამაღლობელი ორმჯად გახარა. ერთი რომ, თუ ამ საცოდავ, თავგზააბნეულ მამუქას ამ ცის ჩამოქცევაში პირში სული ედგა: ხარივით ამტან და მომთმენ ლეონს თითქოს არ უნდა გაჭირვებოდა (ტყვიამ რომ არ იცის ამტანი და ძაბუნა, ამაზე ფიქრი მაშინ არ შეეძლო). მართალია, შემოღვომის დამდეგიდან არც ბაყურისა ისმოდა რაიმე, მაგრამ ზაფხულის გაგანია შემოტევის ცეცხლს რომ გადაურჩა, იცოდა. მეორე მხრივ, იმითაც იყო ეს ამბავი სასიხარულო, რომ ეს „თვალმზადმონთხეული“ გოგო მამუქასთან იყო. მართალია, ამ ფაქტმა ფარნას

სიამაყეს ჩრდილი მიაყენა: რატომ მაშინვე ვერ შევნიშნე, თუ ამ „გომბიოს“ ამდენი ერთგულება და გამბედაობა შეეძლო, მაგრამ ახლა ეს შარშანდელი მიუხევედრელობა, თუ უნდობლობა ახარებდა, ახარებდა რომ შეეცდა. ამ პირველი სიხარულის თავბრუდახვევის შემდეგ გულს შიგნით შურიც კი გაუჩნდა შვილისა და სარძლოსადმი კი არა, უბედურს რომ ემართება ბედნიერთან შეხვედრისას. უფრო სწორად, ამაში მაშინ გამოუტყდა თავს, როცა ამ სიხარულშიც მართო დარჩა, რაც თურმე მწუხარებაზე მძიმე გადასატანი ყოფილა. რუსულანმა ეს ბედნიერება სულ თავისად მიიჩნია, რომ ის ხელწამოსაკრავი



უნდა გვეგორებინა. დარაჯი რომ დარაჯია, შვილებზე დარდით გულგასიფბულს და მთელი დღე კოლექტივში ნასიარულევს, ჯერ სახლიდან არ ეღირსებოდა გადმოსვლა, შუალამზე წელმოთრეული გადმოლოდებოდა და დაკონკილ საბანში რომ გაეხვეოდა, თუ დარდი ან სიზმარი არ გამოაღვიძებდა, საბნინად რომ წაეყვანათ, ვერ გაიგებდა. რომ გაეგო, არც ამისთვის ავიღებოდა, რაც არ სჭირდა, იმაზე მეტს რას დამართებდნენ.

სახლი და კარი რომ მიატოვო, მე შენ ვერცხვი, რუსუდანი მოაბამს თავს. ქალის და კაცის კი არა, თავისი, საოჯახო საქმე ვერ მოეწესრიგებინა: ადრე — თთხი შვილის მოვლას ვერ ვწვდებო, ახლა — საპონი, ნავთი, შაქარი და მარილი გაწყდაო. ბოსტანი თუ მოაყოფილა და ერთი-ორი კეცი პური, ან მკადი მოტიტყნა, ცეცხლი შეანთო და საქონელს მიხედა, ამდენ ტირილსა და გასვენებაში წანწალით თავრეტდასხმულმა, მაღლობელი უნდა იყო.

საკუთარს რომ თავი დაანებო, მოხუცი დედის, და სიყვდილის პირზე მიმდგარი ძმის ეზო-გარემოს სხვა მიმხედავი ვინ ჰყავს? მართალია, რძალი და ძმისშვილები ვითომ წელეებზე ფეხს იდგამენ, მაგრამ კავის მოკიდება და ხარ-ურმის მეხრეობა არ შეუძლიათ. ლუკასთან ავადმყოფს ომი და შიმშილი უნდოდა? ისედაც არ ჰქონდა დარჩენილი ორი დღის წუთისოფელი და თავლი, კვერციხე და რძე რომ არ მოაკლო, წელს ამ გაზაფხულს თუ გაატანა, მომავალ მარტს ხომ მაინც ვერაფრით ვერ გადაიტანს. ახლა ქუთაისიდან ექიმის ჩამოყვანა... ან მანქანა სადაა, ან ცხენი. ან მკურნალი ერთ და ორ თუმანს დაეჭრდებო? კიდევ, დალოცა ღმერთმა, რომ დედა — ეს ოთხმოც წელს გადაცილებული ქალი ჯანზეა, არ ავადმყოფობს და მცირეწლოვან შვილშვილებსაც უვლის... ალბათ ბავშვებზე ზრუნვია, რომ აძლებინებს და სიბერისა და სნეულებისათვის ვერ მოუტლია.

და ამ დროს ოცდაშვიდობა... შერთულ ცოლთან, ოცდაშვიდ წელწადს ვაუგებელზე და ერთი და იგივეზე კამათი, წყლის ნაყეაც რომ არ იყოს, სადაა საამისოდ მოცლა და ძალ-ღონე. მაგრამ რამდენად აღამიანს გვირის და სული კბილით გვირავს, სიღუბჭირე იმდენად ვაყვირებს და ძალის თავს გაბამს. თან, რამდენად იცი, რომ ეს სისულელეა, უაზრო და გაუმართლებელი, იმდენად ვაწყდება ნერვები და იმას, რასაც ადრე იტანდი, ითმენდი და უყურებდი, უკვე ველარ ასერებ.

სხვა დროს ფარნა ალბათ ყურსაც არ შეიბერტყავდა რძლების წაყინებაზე. რძლები, რძალ-დედამთილი და რძალ-მული მუდამ გამოქმნიან საჩხუბარს და სადაფიარაბოს. ეს დალოცვილი მდებრის სქესი ერთმანეთის სი-ახლოვეს ძნელად იტანენ.

ომიც რომ არ იყოს და ლუკამ და მისმა ცოლშვილმა, თავისი ძმის — ფარნას სახლ-კარი რომ გადაწვან, უბატონოდ ხმა არ გაეცემა, დედაცემა ეს ხომ უნდა იცოდეს და ამ უბედურებაში რომ რძალი, საზღვარში დაუბეღავი კოპიტის ეზოს მიჩრდილავსო, ამაზე ჭლექიანი მანლის ცოლს დაეუბრა, გადაგრევეს კაცს, აბა რა მოგივა.

ეტყობა, მთლად დაკარგა ჭკუაო, და ფარნა ვითომ მაინც არ აპირებდა ხმის ამოღებას, მაგრამ ვერც „შენი ქირიმე“, „შენ გენაცვალე“ დაიკერა პირზე. სანამ იკვამლებდა ღადარ-მიყრილი თივის ზვინი...

მე თუ რაიმე ვუთხარი, ისევ მათთვის ვუთხარი... — ჩაილაპარაკა რუსუდანი, როცა თბილი რძით სავსე მწვანე ბოთლი მაგიდაზე დადგა, ფარდაგადაფარებულ ტახტზე ჩამოჯდა და ღიღებდაწყვეტილ გაფხკილ ხალათზე, სხვა ფერის ქსოვილის ქამარი გაიჭირა.

— არ ვიცი მე, შენ რას ამბობ ვის რა უთხარი...

— კოპიტის ჩრდილი და მდუღარე ერთია... იმ საზღვარზე ორი კვალი მიწა გამცდარია.

— იქ საზღვარი არაა, — ფარნამ თა-

როდან, ორი ღერი ბამბის ძაფის პატრუქი რომ ჰქონდა, კინინობელა ჭრაქი ჩამოიღო, გულისჯიბიდან კაცი და ორი შურთანის სიფართე ფოლადი ამოიღო.

— აბა, ლობე რომაა გაკავებული?!  
— იწყინა რუსუდანმა, — ბრმა ვარ და თვალში ვერ ვიხედები, თუ?!

— იმ ლობის იქით ჩვენ ვენახი გვაქვს. — ლუკას ვენახიანო, ეს განგებ არ თქვა, რომ ამ ქალს ვაეგო, ძმებს გასაყოფი არაფერი გვაქვსო — ვენახს კი, ქათამი და საქონელი რომ არ შეესიოს, შემორაგვა სჭირდება. — მეორე ჯიბიდან ბამბაჩაჩურთული გილზი ამოაძვრინა, თავწამწვარი ბამბა კაეზე დაადო და ფოლადი ჩამოკრა. ჩამობნელებულ პალატში ნაპერწყლები ვაკაფდა.

— მეც მაგას ვამბობ!  
რას ამბობ შენ, მე არ მესმის... — ბამბას მინავლულ ნაკვერჩხალივით მოედო ცეცხლი და აფუტდა.

— ჩვენ თუ რამე გავაჩნია, მათიც არაა?..

— ჰოდა, ის კოპიტი და ვენახიც ჩვენია, ეს სახლი, კარი და ეზო-გარემო — მათი.

— გიშველა ღმერთმა... — ამოთქვა ქალმა წარბაუხსნელი მადლიერებით. აყალ-მაყალს კი არ ვაპირებ, მინდა, თუ იმათ არა, შენ მაინც გავაგებინოო, — და ის კოპიტი რომ დაეხელოთ, თუ იმ ორ კვალ მიწაზე რაიმე მოვა, ჩვენ სად წავიღებთ? თუ რამე გავაჩნია, მათი არაა? ახლა მიწას ვააცდუნს კაცი? ფუთი სიმინდი რა ღირს, ესა ვერ იტყვის.

— თუ დასაბელი ყო, ვერ მიიღვი კიბე და ვერ დაბეღე? — ფარნამ ძველ, მოთელილ ბამბის ნაგლეჯზე ცეცხლი გადაიტანა, ქაღალდი შემოახვია და სული შეუბერა. — ჰო, თუ კიბეს არ მიიღვამდი, ძირში მოგეჭრა.

— კაცი ხელს ვერ შემოაწვდენს და იმოდენა კოპიტს მე მოეჭრადი?

— აბა, ჩემს რძალს მოეჭრა? ფე ლუკას აჭერინებდი ხელში ნაჯახს! — ფარნამ ისევ და ისევ წაუბერა სული ქაღალდში შეხვეულ ბამბის ნაგლეჯს.

— მანამდე არ აუღდა გვერდში მანამდე... ნოია ცხვედიანის ქალს და მოტყვეულ გომბიოებს, სანამ მე კოპიტები და მუხები არ დავეუთხარო!

— ესე იგი, მე უნდა გამებელა, ხომ? რომ ადექი და ეცი იმ ქალს, რას ვერ ჩოდი?

— მეტი ჭირი ეცა, მე არავის ვცემოდი და გულში სიავე არ მდებოდეს!

— ენა გააჩუმე, ისედაც ხელიდან მეცლება ძმა!.. — აიძვრა ფარნა და ცეცხლწაყიდებული ქაღალდით ჭრაქს მოუკიდა.

პალატში სინათლე გაქიატდა.

— მე შენს ძმაზე არ მოთქვამს, ლუკას შემოველოს მისი ცოლი და შვილი!

— შენ რა თქვი და რა არა, შენც არ იცი და მე ვავიგებ?

— როდის გესმოდა, რომ ახლა ვავიგო!..

— არასოდეს! უაზროსი და უტვირნოსი არასოდეს არ მესმოდა და ვერც ვავიგებ!

— ვერც ის ვავიგე, შენი რძალი თბილისში რომ გამატანე და აქ მეზობლებში ენა გააგლო, კარგი ოჯახია, მაგრამ ჩვენი საქმე არააო?

— სიმართლე უთქვამს.

— რისი მთქმელია ნინოიე, შენს ნათქვამს ამბობს.

— მე, დედაკაცო, შენსავით ქუჩა-ქუჩა არ დაეტანტალებ და არ ეტლიკინებ!

— მე დაედივარ ქუჩა-ქუჩა და ვკორიკანობ?

— არ ვიცი შენ რას აკეთებ. ოცდაშვიდი წელიწადია ვერ ვავიგე და ახლა ვავიგებ?

— შენი რძლის ხომ ყველაფერი იცი და მოგწონს!

— კი, ჩემი რძლით უდგია სული ჩემს ძმას. იმ ქალს წელზე ქამარი აქვს შემოჭერილი, შიგ წალდი და ნაჯახი აქვს გაკრული, კაციც ისაა და ქალიც, კოლექტივიც ისაა და ოჯახიც, შენ არც ქალად უქნხარ ღმერთს და არც კაცად!

— სამი ქალიშვილი უდგას გვერ-

დში, ჩემი შეილები სად არიან? — რუსულდანს თვალეზში ცრემლი ჩაუდგა.

— შენი შეილები აქაც იყვნენ...

— აქ რომ იყვნენ, მწყემსად კი არ ვზრდიდი!..

— სახეომების სასიძოვბად ზრდიდი და იმ სამმა ვერა, მაგრამ ერთმა ხომ გაგიმართლა!

— აბა, რა გინდოდა მეტი იმ საცოდავი ბიჭისაგან თავიდანვე რომ აიძულე, ფეხი მოგტყდაო, რატომ მოგტყდაო...

— რატომ მოტყდა?

— არ ყოფილხარ ბავშვი, ასე ბრძენი ლაიბადე?

— ბავშვი რომ ვიყავი, წისქვილებს კი არ ვანგრევედი და თავდაღმართში დოლაბების დაგორებას კი არ ვაპირებდი!..

— მასწავლებელს რომ ბავშვის ფანტაზიები უკვირს, მე არ ვიცი... არა!..

— ისიც ფანტაზია იყო, იორდანეს მდგმურის, თავისივე ქართულის მასწავლებლის ფანჯრის წინ, ალვის ხეზე რომ ამერა?... ის ქალი თავს იბანდა თუ ტანს, კაცმა არ იცის, და პირველად სადაც დოლაბი დაეცა, ხიდან ჩამოვარდნილმა ფეხი მეორედ მოიტეხა?..

— მერე, კაი მამა რომ იყავი, მიგეხედა! ხომ უნდა გცოდნოდა... შენი შვილი კი არა. მთელი სოფლის ბავშვები იცი და შენმა თავმა რა ქვა გკრა?!

— მაგისტოვისაც რომ მე მიმეხედა და მცოდნოდა, ამაღამ სად, რომელი ხის კენწეროზე იჯდა, ან რომელი დოლაბის ქვეშ ეძინა. შენ რაღას აკეთებდი? მერე როგორ იტყოდი ოთხი შეილის დედა ვარო და ოჯახს თავი ვერ მოვაბიო? — ფარნა აღგა, რძიან ბოთლს ხელი წამოუსვა და კარისაკენ წავიდა.

— ძალიან კარგად მოვაბი მე ყველაფერს თავი და შენ და შენ რძალს გულზე ეკლად ნუ გესობათ, რომ ვატუტი აქ თქვენსავით ნაცარს არ ქექავს!

— შე ვქექავ ნაცარს და გაჭირვებული ჩემი რძალი? დღე-ღამეში რომ სამი საათი არ სძინავს?! რა უნდა გელაპარაკო ამის შემდეგ! — ფარნამ კარი გამოაღო, — ის მაინც მოგებერხე-

ბია, ეს რძე რომ ჩემს ძმშენებელს მსახურს ღოთ და მე არ მეთრია!..

— არაგისთვის დამიშლია, არ წაიღოთ-მეთქი, მაგრამ თქვენ გვარიან-ჯილაგიანად ხართ ასეთი, თუ ვინმემ ერთი გადაბრუნებული სიტყვა გკადრათ, მერე მის მხარეზე არ ვაიხედავთ!

— გაჩუმდი, გაჩუმდი და ჩვენი გვარის და ჯილაგის დაწუნებას, მაგ კაბაზე ლილები დაიკრე!

ფარნამ კარი ხმაურით გამოიხურა და ილღიაში თბილი რძით საცხე ბოთლ-ამოჩრილმა ლუქას სახლისაკენ გასწია.

## II

ადრეული გაზაფხულის ნოტიო სიცოცხე ღამ-ღამობით ისევ ძვალ-რბილში ატანდა. თუ ცა მოწმენდილი იყო, ქაღალა ქირხლი მზის ამოსვლამდე მაინც იღო.

ურწყვმა, შავმა ძაღლმა ფარნა ლუქას სახლამდე მიაცილა და კუდის ქიციანი თუკან გაბრუნდა. ფარნა ავანთან, ექვს საფეხურიან ქვის კიბეზე ტალახიანი ჩექმების წმენდას ჩვეულებრივზე მეტ ხანს უნდებოდა. ათასი რამ სჭირებდა ავადმყოფს და თუ იმ ოთახში, სადაც ის იწვა, რძალიც იქნებოდა, ძმებს შორისაც წნდებოდა ის უხერხულემა, თუ რიდი, როგორც ნათესავის და მეზობლის მონახულებისას. რაკი ფარნა ყოველთვის ერთსა და იმავე დროს ვერ ახერხებდა ვადმოსვლას, ძმები „შეთანხმებულნი“ იყვნენ, მოსვლა უნდა „ეცნობებინა“.

— ეი! — შეიძება ფარნამ აივანში და ხველა აუტყდა. თავისი ხველებით ფილტვებდაღრღნილი ძმის ხრინწებას კი არ თანუგრძნობდა, თითქოს ამის აუცილებლობაც კი სჭირდა. იგი ავადმყოფთან ყოველნაირად ეროდებოდა ხელოვნურ, გამოგონილ დამოკიდებულებას, რაც მათ ძმობას თავიდანვე არ მოდგამდა, მაგრამ ხშირად ვაპოდიოდა ისე, რომ ის ძველი და ბუნებრივი, ახლა ყურით მოთრეულს ჰკავდა. თითქოს ადრინდელი განიანი, მომავლის

რწმენით და იმედებით სავსე ძმასთან ურთიერთობა სხვა კაცთან ურთიერთობა იყო და ახლანდელ, დასწრულეზულ, სასოწარკვეთილ ძმასთან სხვა. ვითომ სინამდვილეს ორივე თვალბში უცქერდნენ და არ აპირებდნენ კარზე მომდგარი უბედურების წაყრუებას, მაგრამ ეს ასე მაინც არ იყო, ცალ-ცალ თვალს მაინც ორივე ხუჭავდა. სწეულს ნამდვილად აღიზიანებდა ეს ზედმეტი ყურადღება და ლოლიავი, მაგრამ სჭირდებოდა და უამისობა კიდევ უფრო აუტანელი იქნებოდა.

— ეი! — მოისმა პასუხად ოთახადან, რაც მობი ძმავ, მობი შენი კირიმე“-ს უდრიდა.

წინა კარი ანჯამებზე დაიწია, თუ ბოკონებზე შემდგარი ოდის იატაკი ამობერა, გაღება ჭირდა სახელურით მალა აწევა სჭირდებოდა, რომ შეგელო.

— სალამო მშვიდობისა! — შეილაპარაკა ფარნამ და ლოგინზე ჩამომჯდარი, საბანშობეული ძმა რომ დაინახა, კარს ზურგიით მიაწევა.

— იცოცხლე! — ამოხსლიწინა ლუკამ და სწეულს მგრძნობიარე ფილტვებმა ჰაერის ეს უმნიშვნელო ცვლილებაც მაშინვე ხველებით და ხრინწებით გამოხატა.

— ლოგინიდან რომ ჩამოყრი შიშველ ფეხებს, შალის წინდები მაინც ჩამოიციე... შენ კი არა მეც, აგერ ცალ ჩექმაში წყალი შემდის და ვცოცდები. — ფარნას ხმაში ხიხინი გაერია.

— შენ მაინც მოუტარე თავს... ჩვენს ბარობაზე შენს მეტი კაცი აღარაჯნა... — ქალი რომაა ჩემი რძალი, რა დააშავა?

ქალი მაინც ქალია, ე, ვერ ხედავ? ბუხარში ჯირკები დაუპობლად შეყარა.

— არაფერი არ უჭირს... ერთხანს გაძლებს, იღუბლუზებს... — ფარნა ტიხარის კარს მიადგა და ღრიკოდ გამოალო, — თავო, გამომართვი! — ვილაყამ ბოთლი ჩამოართვა და კარი მიხსურა.

მამის ოთახში რომ ახალგაზრდა ქალიშვილები წამდაუწუმ ტრიალს ერი-

დებოდნენ, მას აქ არავინ შეალოვებდა. ჭლექს არაფრად ვაგდებთ, ან ან სწინა შეპყრობილი თუ ხარ, არ გვეყარო, ისეთი თვალბუჭობანას მოთამაშე ბავშვები ამ სახლში არ იყვნენ. პირიქით, ლუკა მოითხოვდა მორიდებოდნენ და თავის კმაყოფილიც იყო, რომ ავადმყოფის ჭირვეულობას და შურს ჯობნიდა.

— იმ ჩემს რძალს კიდევ ვეღავებით და კიდევ ვუცქვნი... ეს რძე და თავლი კი გეინდა, ის ქალი კი მაინცადამაინც არ გვეპიტნავენა... დაჯექი მ-ჭ, ბუხართან, გაციებული ხარ და გვერდით რომ არ მომიჯდე, ვერ გაძლებ?

— ასე ახლა, მართლა ციმბირში ხომ არ ეცხოვრობთ! — ფარნამ სკამი საწოლისაკენ ფეხით წამოაჩოჩა და ჩამოჯდა.

„გაციებული ვარ-მეთქი, რომ ვუთხარი, დიჯერა. აღრე ასეთი რამ არ გამოეპარებოდა. ახლა სჭირდება, თუ სენმა მის გონებაში რალაცა ვადააკეთა, იჯერებს... აღბათ ვერც შე ვეტყვოდი, რომ იმედი არ მქონდეს, ირწუნებს“.

— როგორა ხარ?  
— რა ვიცი... არც ვკვდები და არც ვრჩები.

— ასე არ ვართ ყველა?  
— ყველა, ღმერთმა დაიფაროს...  
— დაიფაროს, მაგრამ იფარავს? იმ შაბათს მალღარში დასაფლავებაზე რომ ვიყავი...

— ჰო, მასწავლებელი გარდაიცვალა ვილაყ...

— ახალგაზრდა ქალი. თავი დაუბანია, და დაწოლას რომ აპირებდა, მეზობლიდან შეკვილევა გაუგონია, მისი ნამოწაფარის დაღუპვის ცნობა მიუღიათ. ასე თავშიშველი გავარდნილა საწყალი... ტვინის ანთება და გათავდა... ადამიანი ვინ იცის, დღეს რომ ცოცხალია, ხვალ იქნება? — ფარნას ისევ ხველა აუტყდა.

— მშრალად გახველებს კაცო შენ, ცეცხლთან მიიწი... — ჩვენ ბიჭებს თუ აქვთ გადაბუ-

რული და იმ ბუხრის ცეცხლს შორიდან მაინც თუ ხედავენ?

— ვაი, შეილებო!.. — აღმოხდა ხველა-ხრინწებასთან ერთად ლუკას, წამოწივთლებულ სახესზე ძარღვები დაებერა.

— დაწეკი, კაცო, რომ გეუბნება, დაიჯერე ადამიანის! — ფარნას მოხვეული საბანი ხელიდან გამოგლიჯა, ბალიში შეუსწორა, ფეხები შალღა აატანინა და გულდაგულ დაფუთნა, — დაწოლილმა რომ მელაპარაკო, უზრდველობაში ჩამოვართმევ, თუ რა გგონია?

— მეშინია, ნაწოლები არ გამოინდეს... წოლაც რომ გამოიქორდეს, რა ექნა, სირბილი დაეწყოს?

— ახლა, ამ გაზაფხულზე გიჭირს, თუ არა, უნდა ირბინო და იარო, აბა ამ ლოგინის მოშორებას არ აპირებ?

— ბიჭო, ერთი ჩვენს მინდორზე ჩამოყვანა და იმ ბებერ პანტა მსხლამდე მიმაჯახირა, არაფერს დავეძებ...

— იმ მსხლამდე, შე კაი კაცო, ახლავე, თუ გინდა ხელში აყვანილს ჩაგარბენინებ... შენც ინატრე, რაღა!

ორივემ იცოდა რას ნიშნავდა სნეულის ნატვრა და რა მონაჩმობი, უადგალო და უაზრო ჩანდა პასუხი: „ხელში აყვანილს ჩაგარბენინებო“. ბოლოს და ბოლოს, თვითონ ლუკაც მოახეზებდა დარიანში იქამდე ჩაფოხილუბას, მაგრამ ერთის ნატვრა იყო, იმდენი ქანი და ღონე დაბრუნებოდა, ტყესა და მინდორში ხეტიალი შესძლებოდა და მეორეს პასუხი კი, იმედი, რომ ის ძმას გვერდით ედგა და არაფერს გაუჭირვებდა.

ლუკა ფარნას დაძახილზე საწოლიდან დგებოდა, ვითომ ნაწოლები არ გამოინდესო, მას ეს სხვა დროსაც შეეძლო გაეკეთებინა, მაგრამ უნდოდა ძმისთვის მიზეზი მიეცა, რომ მზრუნველობა გამოეჩინა. მათ ისეთი დღე-ღამეში შეილობა არ ჰქონდათ, ერთმანეთი ხბოებივით გაელოკათ. აღრე იმასაც სჯერდებოდნენ, რაც გულით დაჰქონდათ. არ ჩქარობდნენ, ცხოვრება წინ იყო. აღბათ ეს ძლიერი სენი რომ არა,

სიცოცხლეს ისე ჩაველოვებოდა, თვეში ერთხელ ენახათ და თუ ეცოდინებოდათ, რომ არაფერი უჭირდათ, მხარზე ხელიც არ ჩამოედოთ. ვთქვათ კი არა, არც ეფიქრათ, აგერ ვარ ძმაო, ნურაფრის გეშინიაო, ან ეს რომ წამოცდნოდათ, ღიმილს გამოიწვევდა.

დღეს თითქოს ლუკა ნაწყენი იყო, რომ რძლებს შორის უსიამოვნება მოხდა და ბოდიშით თქვა: „იმ ჩემს რძალს კიდევ ვედავებით და კიდევ ვფიქვინით“. მაგრამ სინამდვილეში კმაყოფილი იყო, რომ ეს უსიამოვნება მოხდა და არც უნდოდა ჭერჭერობათ ამ ბუხრის გამოთელება. თიკოს თუ ვერ დააძალებს, ის ისედაც მორცხვი და უგერგილო გოგოა. მომდევნო ქალიშვილები: მზია და თალიკო აქ არ არიან? ან რა აქვთ მართლაც ბიკოლასთან სამდურავი? რესუდანი, ბოლოს და ბოლოს, ქვას ხომ არ ესერის, ასეც რომ მოხდეს, ავადმყოფი მამისათვის, უმცროსი მამიც, გამსლეული, კიკინებიანი თაკო, არც ამას დაერიდება. მაგრამ ლუკას უნდა, ძმამ თავისი ხელით, თავისი ჯიბით, უბოთ გამოთარი რძე მოუტანოს... აბა, ერთ შეშა რძეს მისთვის ძმა კი არა, ამ გაჭირვების დროსაც, მეზობელი არ დაიშურებს. მას ახლა სჭირდება არა რძე და კვერცხი, რაც საერთოდ სჭირდება ადამიანს, რომ იარსებოს, მამ ძლიშის გარდა გულ-მუცელს უღრღნის განუკურნებელი სენი, რასაც ჩვეულებრივი რძე და კვერცხი ვერ არჩენს... აგერ, დღე-ღამეზე მათი ძროხაც ხზოს მოიგებს და რძეს არ მოაკლებენ, მაგრამ ის რძე ამის ტოლფასი ვერ იქნება.

ლუკა ძალიან განაწყენდა, ფარნამ რომ ორი კვირის წინ სკა გახსნა და იმის მაგიერ, რომ ნაშამთრი ფუტკრისათვის საკვები მიეცა, უკანასკნელი ორი კილო თაფლი ამოუღო. „რატომ დაქვითე ფუტკრის ოჯახი? ერთი ზედმეტი სკა გვაწყენდაო?“ უსაყვედურა, მაგრამ თაფლს რძეში და ფაფაში არეულსაც რომ გულახიზად ჰამდა, ახლა

აგერ სასთუმალთან ტაბურეტზე კივი-  
თაც უდგას...

მარტო ფარნამ კი არა, ორივემ იცი-  
ან, ექიმი პლექისაგან კი არა, გრიპისა-  
გან ვერ ვიხსნის. მაგრამ როცა ექიმი  
მოჰყავთ, გასაოცარია, როგორ შეჰყუ-  
რებს თვალებში ავადმყოფი მკურნალს,  
რომელიც იმის ნახევარს ვერაფერს აზ-  
ბობს, რაც ძმებმა ამ სენის თაობაზე  
იციან...

ახლაც მკლე ხელებს საბნიდან  
იღებს და მიცვალებულივით გულზე  
იწყობს. ჩასაფრებულთა: ძმის შეაშფო-  
თებს იმის წარმოდგენა და ვერ გაუძ-  
ლებს, როცა სწული ხელიდან გამოეც-  
ლება? თუ დაისვენებს, ისედაც ათასი  
დარდით და დავიდარაბით გაწამებული?

— რას შერბობი, კაცო, რაა ეს გულ-  
ზე ხელების დაწყობა? — უჯაერდება  
ფარნა და წებოსავით შეოფლილ ხე-  
ლებს საბნის ქვეშ უმაღავს, თან მო-  
ლედილი პერანგის ღილს უბნევს, — მო-  
ვიღებთა გული, ვითომ შუა ზაფხული  
იყოს... წვერი ვერ გაიპარსე? — ვითომ  
ამ დაწვეულ ლამპის შუქზე ვერ გაგარ-  
ჩიეო, ხელის ზურგს ნიკაპიდან ყვრი-  
მალამდე უხეშად აუსვს-დაუსვამს. — ნუ  
წაზდები და დაგლახაკდები, არაფერი  
არ გიჭირს მაგის ფასი!..

— სამართებელი აღარ კრას, მოჰ-  
კლა კაციო...

— კი, კი, ხეალ ან ჩემსას ვადმო-  
გიტან, ან შენი გავლესოთ.

— სად გცალია... — უარობს სწუ-  
ლი, მაგრამ ეს უნდა სწორედ, რომ არ  
გცალია, წუთი ოქროს ფასი გიღირს და  
ამ ოქროს მის თავზე უანგარიშოდ აბ-  
ნევ. განწირულის სურვილი, რომ ის  
მალე აღარ იქნება და მისი წილი, რაც  
მისთვის კიდევ ორმოცი წლის მანძილ-  
ზე უნდა დახარჯულიყო, ახლავე გაფ-  
ლანგოს, მიიღოს თავისი, რაც ძალის-  
ძალათი წაართვეს, ათრიგს, აჯახირებს,  
დაასწულეს და სიკვდილის კარამდე  
მიიყვანეს. მნახველებს ახლოს არ იკა-  
რებს, მით უმეტეს ახალგაზრდებს, მაგ-  
რამ მოშორებით რომ სხედან და თვა-  
ლი გაძევაზე უპირავთ. ვულს უკლავს.

დედის ალერსს ბავშვობაშიც ვხსენებ  
იყო დახარბებული, ახლა მოხუცს სას-  
თუმალთან დაისევამს და თავს კალთაში  
უდებს. ობოლ ძმისშვილებზე გეკვიპ-  
ნობს: დედა, ბავშვებს ნუ შემოიხვევ,  
ხომ იცი, ჩემი ავადმყოფობა ვადამდე-  
ბიაო. „შენი ავადხსენება რა დროსაა,  
ჯერ მე არ გამჰიკრებია!“ — უწყრება  
მართა და შეიღს ოფლით შეწებებულ  
თმას უჩეჩავს. „დედა, ხელები დაიბანე  
საბნით, თუ საბონი არაა, ნაცრის ძა-  
ლით. ბავშვებს გაუფრთხილდი!..“

ბავშვებს უფრთხილდება და ბებიას  
არ აყარებს, მოფრება და თავზე ხელის  
გადასმა კი მხოლოდ თვითონ უნდა.  
პატარებს არა უშავთ, რაკი ისინი ჯან-  
მრთელები არიან, ახალგაზრდები და  
ყველაფერს მოესწრებია.

ნინომ ტიხარის კარი შემოალო,  
მკლავზე დაწყობილი ნაპობი შეშა შე-  
მოიტანა და ბუხრის წინ დაახვავა.

— საღამო მშვილობისა! — თქვა და  
თავზე მოხვეული დახლიდან თვალებში  
ჩამოყრილი მუტა თმა თავსაფარს შიგ-  
ნით, ყურზე გადაიღო.

— გაგიმარჯოს ჩემო რძალო! — სკა-  
მი სხეაც დგას ოთახში, მაგრამ ფარნა  
ფეხზე დგება, — დაბრძანდი ნინო, ჩა-  
ხარე მუხლი!

ავადმყოფი აქაც ჩასაფრებულთა:  
დაჯდება? დაისვენებს? დაიღალა ქმრის  
მოვლით და უნდა მალე მოიშოროს?

ფარნაც ამას იმიტომ აკეთებს და  
სწორედ თავის სკამს ანთავისუფლებს,  
იცის, ნინო არ ჩამოჯდება.

— ეჰ, ძმაო, მაქვს საქმე აწყობილი  
დასაჯლომად და სალაპარაკო? — არც  
ბოდიშობს, ისე გადის და ცოლი თვალს  
მოეფარება თუ არა, ქმარი წუხს.

— ასეა, ბიჭო, ვერაფერს შეასმენ...  
მაგიც რომ წაიქცეს და დაავადმოფ-  
დეს, ამაზე არ ფიქრობს!.. — ბრაზობს,  
ჯავრობს და უხარია, რომ ცოლისაგან  
თან მიაქვს ის მზრუნველობა და შრო-  
მა, რაც გრძელი სიცოცხლის მანძილზე  
უნდა დაეხარჯა.

აგერ, კედელთანაა მიგორებული  
ტილოფში შეხვეული ლეიბი და საბანი,

ლამით ნინო აქვე, იატაკზე იშლის ლო-  
 გინს და წვება, ქმარი გვერდში არ იწ-  
 ვენს, მაგრამ აქვე კი ჰყავს, როგორ-  
 ლაც შვილების სისწორეს იტანს. ცოლი  
 კი ვითომ აღარც ისე ახალგაზრდაა, რომ  
 სწევლება გადაედოს, თუ ავადმყოფს  
 უნდა ვინმე, ლამით რომ გაუქირდეს...

და ფარნას აგონდება ვერ უფროსი,  
 ადრე გარდაცვლილი ძმა, ლამით მძინა-  
 რე დედამამშვილებს რომ აღვიძებდა,  
 არ დამივიწყოთო და მერე აგონდება  
 კაცობრიობის უძველეს ისტორიაში,  
 ყორღანების სამარხებში ტომთა ბელა-  
 დების ჩინჩებო, ცოლებით და მსახუ-  
 რებით, ცხენებით და ვრტლებით... რასაც  
 ამქვეყნად დასატოვებლად ვერ შევიღებ  
 და თან წაღება მოინდომეს.

ნინომ ცხელი რძე, გაფიცებული  
 მჭადის ნატეხი და თოხლო კვერცხი  
 შემოიტანა.

— რა მაჭმევს ახლა, ასე გვიან! —  
 შეწუხდა ლუკა და ისევ გაფაციცებუ-  
 ლი მიაჩერდა ძმასა და ცოლს, ხომ არ  
 მეტყვიან, არ გინდა, ისედაც მჭადის ნა-  
 ტეხი ჭირს და ნუ ჰამო.

— აბა, აბა! — გაუწყრა ფარნა და  
 თავი წამოუწია, ბალიში წამოაყუდა,  
 რძეში თაფლი ჩაუსხა.

— არ უნდა ამდენი, ერთი კოვზი  
 ეყოფა! — იუარა ავადმყოფმა.

— ორი რომ იყოს, გაწყენს? — ჰი-  
 ქა ხელმისაწვდენზე დადგა.

— ვაცალოთ, შეგრილდეს...

— სანამ ცხელია, არ ჯობია?

— კი ცხელი ჯობია... კვერცხი ქა-  
 ლო, კვერცხი მაგრად ხომ არ მოხარ-  
 შეთ?

— თოხლოა, ლუკა, არ იცი, რომ  
 თოხლოა?

— კი მაგრამ, შენ არ გეცალა და  
 გოგოებს გულზე რომ გადავიარდეთ?

— რაეა გადავიარდეთ, რას მიკეთებენ  
 მეტს! — ნინო ისევ კარისაკენ მიდის.

— რძე ნინო... რძის ბოთლს წყალა  
 ხომ არ გამოავლე და ჩაურთე?

— არა, ლუკა, ხომ იცი, წვეთ წყალს  
 არ ვურთვ.

ქმრის ჯიბეებიან ბლუზაზე ბაწარ-

ჩაჭერილს, გრძელ, ქვედაწველი  
 ქვეშ სქელი შალის თვალჩარღვეული  
 წინდები უჩანს, დაზღობვეული ისევ  
 ფაციფუციტ გადის. ქმარი კმაყოფილია.  
 ამ ქალს თავისი თავი და ქალობა აღარ  
 ახსოვს.

— ამენდა შენი გამომცემელი... —  
 ამბობს ფარნა, ჯიბიდან შინ დაქრილ  
 თუთუნთან ქისას იღებს.

— მიღიხარ, ფარნა?

— მივდივარ თუ არა, მეც სტამ-  
 ბოლში მივდივარ... აგერ არ ვარ? ყო-  
 ველი შენი დახველება მესმის...

— რა ვიცი, ბიჭო, იქნება რაღაც  
 საშველი გაჩნდეს და ერთხანს ნუ მიმა-  
 ტოვებთ... სკოლაში ამ შუალამისას არ  
 წახვიდე... — დაშაშრულ ყელში ყოვე-  
 ლი სიტყვის თქმაზე შუილით ჩაი-  
 სუნთქ-ამოისუნთქავს, — თუ კიმოთეს  
 ძინავს, იყოს, ვის რა ესაქმება იმ და-  
 ფხვიელ სკოლაში.

— არა, რა ჯანდაბა მინდა... — მ-  
 შვიდებს ფარნა, მაგრამ ის ეკვი, რომე-  
 ლიც ძმას აწუხებს, „თუ ჩემთვის არ  
 სცალია, დაისვენოს მაინც, სხვა ვის-  
 თვის და რისთვის ღირს ძილის გატეხ-  
 ვაო“, ისევ იმ უძველესი დროის სამარ-  
 ხებს ახსენებს და შინისკენ დამძიმებუ-  
 ლი, დაღლილი და თავჩაქინდრული მი-  
 აბიჯებს.

იატაკზე კარის გახახუნებას და ან-  
 ჯამის პრიალს, ბახულა ამ ორ ეზოში,  
 სიდაც არ უნდა იყოს, გაიგონებს და  
 გამოიბრის, მაგრამ ზედმეტ ლაქუცს და  
 კუდის ქიციანს ვერ ბედავს და პატრონს  
 უკან უხალისოდ მისდევს.

### III

რუსუდანი, ყოველი უსიამოვნო წა-  
 ლაბარაკების შემდეგ, საღამოს ადრე  
 წვებოდა და დილით გვიან დგებოდა.

მიუხედავად ფარნას ათასგზის თავის-  
 თათან ფიცისა და შეგონებისა, რომ  
 არაფერს აზრი არა აქვს, სახლ-კარს რომ  
 ცეცხლი წაეკიდოს ხმას არ ამოვიღებო,  
 მივიდოდა შინ, ვითომ ყველაფერზე  
 გულგრილი და თვალდახუჭული, მაგრამ



ოჯახში გამოჩნდებოდა ისეთი უსიამოვნო რამ, კაცი იფიქრებდა, დიდი თავსატეხისა და ზრუნვის შემდეგ, განგებ მომიწყობ. ომმა და გაჭირვებამ, დარღმა და შიშმა ამ ქალს იმის უნარიც დაუკარგა, რასაც ადრე უფხოდ და უკერგილოდ მაინც ასერხებდა.

წინა საღამოს ფარნა ვენახიდან გადმოვიდა, ერთი კვალი მიწა დარჩენოდა დასაბარავი. ჯერ იყო, გასხვლი დაუგვიანდა იმ ხუთი მიწკრივისა და აგერ, აქამდე ტიროდა ვაზი: ახლა კიდევ გაზაფხულის ბალახი წამოიბიზინდა და დაბინდებამდე მოუნდა უკვე გაზაფხულის წვიმებით დაბეთქილი მიწის ღრმად გამოთოხნას. მერე რძიან ბოთლს წამოუსვა ხელი ისე, რომ გვერდზეც არ მიუხედავს და უკან გამობრუნდა. უცხო და შეჩვეულ ადგილას ადამიანი ფრთხილია და წინდახედული, საკუთარ სახლში და ეზო-გარემოში, სადაც დაუფიქრებლად იცი ღერი ბალახი და ქვის კენჭი, დღეა თუ ღამეა, ისე გაივლი, ძირს არ დაიხედავ. უკვე შებინდებულ ცაზე ღრუბელი იყოფა და ღმერთი რომ გამწყრალიყო და გადმოეწყობა, იმდღევანდელ ნამუშევარს ჩააოხრებდა. სოფელში კაცი მუდამ ცასაა მიშტერებული — ამინდი მუშაობს და კაცი იყენისისო.

ლაფაროს გასათავარში, სახლის კუთხეში რაღაც ჰმაჟორით წამოედო, წამოედო თუ ფეხი დაადგა, და როგორც მგლის ხაფანგს ვერ მოიცილებ, ცალ ფეხზე რომ აეთრევიანა, მეორეზე უღელივით მოეჭიდა, ხრიგინ-გღრიალით პირქვე დაასკდა. ცალი ხელით რძიანი ბოთლი ეჭირა და შიშით, არ დაშემტერესო, მეორეც იმას მიაშველა. ბოთლი ბოთლად დაიმსხვრა და იდაყვიც გადაიყვლიფა. თუნუქის დამწვარ-დაცხავებული ღუმელი გამოეგდო იმ დილით რუსუდანს, ხელმოსაცვლეულად სახლის ლაფაროში დაეგდო (ფეხებზე რომ მდგარიყო, ზედ ვერ დააბიჯებდა), ფარნას სწორედ გამომწვარ გვერდში ჩაეხიჯებინა, დაცხავებული თუნუქი

ჩაიხა, მაგრამ მერე აგრე იოლად ფეხს დაწვინდა და ევლარ წამოიძრო.

— რატომ ეცი იმ ღუმელს? — ესლა ამოიგვინა, პალატში რომ შელასლასდა და ტახტზე ჩამოჯდა.

— რაღად გვინდოდა, გაზაფხულდა...

— უბასუბა ქალმა და რძეში კვეთის ასარევი ასკლის წყირი ქოთნის კიდეზე დარეკა.

— რაღა დღეს მოგაგონდა, რომ გაზაფხულდა...

— აბა, რა დღე ბედნიერისთვის მეცაღა?

— მერე, ვერ თქვი?

— მკითხე და არ გაგიმხილე?

— კი, მაგრამ მე რა ვიცოდი.

— ვერ მიხედ-მოიხედე, რომ შემოვარდი და ბოთლს ეცი?

ფარნამ კბილს კბილი დააკირა, რომ ეკითხა: იქ რატომ დაავდო? ეტყოდა

— „ხელმოსაცვლეულადო“. მერე სანამდე უნდა გდებულოყო? — „მერე დამაიწყდა, მაგი კი არა, თავი სად მაზია, ის აღარ მახსოვსო“.

ბარემ რაკი გამოიტანე, შეგვენახო. ეტყოდა: „დამწვარა, გადასავდებო“.

გადაგეგდო; „მამინ არ მეცალა და სად გადამეგდო, ისიც არ ვიცოდით“, და ატყდება ერთი და იგივე... მაგრამ ბოთლი რომ დაიმტვრა?

ლუკა იქნებ ერთი ღამის ურძეობამ არც მოკლას და არც მოარჩინოს, მაგრამ ამ ეტვიან, საწყალ კაცს მთელი ღამე არ დაეძინება, ზღბათ მოვებზრდი, მოქძულდი ძმას და რძალსო, ერთი ღამის ძილის ტეხა, ისედაც სული კბილით უჭირავს, გაანახვერებს...

— რძე, რძე რატომ დაკვეთე? დილა-მდე ინახავდი და დღეს რა მგელი გეცა?

— დათბა, ვერ გაიგე? დილამდე იჭრება.

— რაღა ეჭნა ახლა, რა ვუთხრა იმ ბიქსს... — აღმოხდა სასოწარკვეთილ კაცს და გადაყვლეფილი იდაყვის ტკივილი სულ გადააიწყდა.

— რა მოხდა, ერთი საღამო ვერ გაძლებს ურძეოდ? დილით მე გადაეუღდგამ ეზოში, რაკი ნინოიეს „ქალბატონებს“ არ ეკადრებათ...

— გაჩუმდი, გაჩუმდი! — შეეხვეწა კართან მისული ფარნა.

— ნეტავ რას ვამბობ ისეთს, რომ მე-ხვეწება, გაჩუმდიო, გატყდა ბოთლი, დეიქვა ქვეყანა? რძე კი არა...

— ქალო, რძეში არაა საქმე...

— აბა იმ ბოთლში თაფლი არ ჩამისხამს...

— არც თაფლში...

— აბა, ოქრო, ბოთლში ჩასასხმელი კი არა... ტყუილა დამისვრიტა ბებიაჩემმა ყურის ბიბლოვები, თითო გრამიანი საყურესათვის ვერ მიშოვნია...

ფარნამ პალატის კარი უხმაუროდ, მაგრამ მაგრად გამოიხურა, ეს უპასუხოდ და უხმაუროდ წასვლა რუსუდანს უფრო ემწუთხა, იცოდა, თუ ქმარი კრიქას შეიკრავდა, ერთი, ზოგჯერ, ორი კვირაც არ გახსნიდა. დამოღმილი თავისი ოთახის კარებს ჩაიკეტავდა და მთელ ღამეებს წიგნებსა და რვეულებში ცხვირჩარგული ათენებდა.

რუსუდანის ქალობა იმ წიგნებმა და რვეულებმა შეიწირა. იგი ქალზე არ იეჭვიანებდა ისე, როგორც იმ ქალადების გახსენება უწამლავდა გუნებას. ხშირად ეჩვენებოდა, რომ კაცი საბაბს ეძებდა, ყოველ წვრილმანს იხვევდა ხელზე, რომ თავისთავთან და საფიქრალთან მართო დარჩენილიყო, დარჩენილიყო იმაზე ბევრად დიდხანს, ვინემ ეს ოჯახური უსიამოვნებისას ხდება.

წიგნის კითხვა და ფიქრის თუ ტკივილის ქალადებისთვის მიბარება ერთ დროს რუსუდანსაც უყვარდა, მაინცდამაინც მეგობრებით გარსშემორტყმული არასოდეს ყოფილა... მეგობარი, შენ რომ ხელს დაიწვავ და სულის შებერვა დაგვირდება, მაშინ კი არ ჩამოფრინდება ციდან, მანამდე შენ უნდა ელოლიავო და უსვა მალამო. რუსუდანი მეგობრების და კარგი ქალობის მოწადინე დიახაც იყო, მაგრამ ამ მალალ სურვილებს, მოვლა და მისათუთება რომ უნდა, ამის თავი არასოდეს არ ჰქონია. ქოთანში თუ არაფერი ჩადე, როცა მოგვივდება, შიგ რომ ხელი ურიო, რა ამოკვეება? და ქალიშვილო-

ბაში ქალადი უწევდა სულისწიფობა და ღუმლის მაგივრობას. მისი დედ-მამის და შინაბერა უფროსი დების ოჯახში, გაუთავებელი ყუყუნისა და ჩხუბით გაწამებულ მის ბავშვობა— ქალიშვილობას რამდენი უამური და ქუფრი ღლეები ახლდა, ვინ მოთვლის. მერე მის ტყვიისფერ ღრუბლებით დამძიმებულ ცაზე ფარნა გამოჩნდა; შუბლშეკრული, უღიმილო გოგო, გამოუცდელ ჭაბუკს მეოცნებედ და მოაზროვნედ მოეჩვენა, სვეტაწამებული ქალიშვილის გულის მოსათხებლად ქალადს მიზარებულ ტკივილი — ცხოვრების ცოდნად და სიბრძნედ. ქალს კი ოჯახადან თავის დაღწევა ეწადა და ერთადერთ გზად ვათხოვება მიაჩნდა, გათხოვების შემდეგ ბელი ვადიმებულად მიიჩნია და როგორც ადრე თითი არ გაუნძრევია, მამსეულ სახლში რაიმე შეეცვალა, ისე ქმართან, თავისად დაგულეებული ბედნიერება ხოწნით მორთმეულ ძღვენად მიიღო. და აკეთებდა იმას, რასაც დედამისი ღვინისმსმელ, გულამღვრეულ ქმრისა და ოთხი ენადგაკრფილი ქალიშვილისათვის.

რუსუდანს დედის ბედისაგან ის ანსხვავებდა, რომ ფარნა მშრომელი, განათლებული, თავმოყვარე კაცი იყო, მერეც — ღმერთმა მისთვის მოიცალა და ოთხივე ვაჟიშვილი ეყოლა. ეგონა ეს ყველაფერს ნიშნავდა, რაკი დედამისი უბედურების სათავე თუ აშკარად არა, ქვეცნობიერად მაინც, მამა რომ თავს უმემკვიდრეოდ თვლიდა, მხოლოდ ის იყო.

რუსუდანს აბარებდა, რომ ფარნამ მასში იმაზე მეტი დაინახა, რაც ქალს არც კი დასიხმრებია, მაგრამ დიდ გობ ფაფას რომ დიდი სულის ბერვა უნდა, დაავიწყდა. ხელედაკაპიწებულს, ღლე და ღამე კი არ გაუსწორებია, რომ ქმრის სურვილები და მისწრაფებები ამოეცნო, თავის თავში ეძებნა კაცის გულისსწორი და ტოლფარდი, მეუღლეს მხარი კი არ აუბა და ქვეუს ძალა კი არ დაატანა, როცა დაინახა ქმარსა და მას შორის გაჩენილი ორმო: ზედ, მისი

ქუთით, ოთხი ვაჟიშვილის სიყვარულის ხიდი გადო და ქმრის ჩიხში მომწყვდევდა დააპირა. ხიდის თავსა და ბოლოში, მართალია, თვითონ მოექცა, მაგრამ მამას შვილებთან მისასვლელი თავისი გზაც ჰქონია, რომელსაც „შენი ჰირიმი“, „შენ გენაცვალე“ არ ჰირიდებოდა და ამას გარდაც, ომიც რომ თავზე არ დატეხოდით, შვილებს წინ თავთავიანთი გზა და ხიდი ედო. ახლა უკვე უფსკრულის დანახვა, რაც ცოლსა და ქმარს შორის იდო, თვით რუსულდანისათვისაც აღარ იყო ძნელი, მაგრამ ნიჩაბისათვის ხელმოუყიდებლად დგომა და ცქერა ამ უფსკერო ორბოს ვერ ამოავსებდა.

ადამიანი მუდამ იმის ცდაშია დამნაშავე ყველგან ეძიოს და არა თავისთავში: არც რუსულანს უფიქრია, ჩემი ქვეყანა მე დაეპყვიო, მაშინვე ქმარს ეცა: „რად დაიდგე ჩემი ცოდვა, ვინმე ერთ გაქრებულს, უბირ კაცს წაყვებოდი. პალატზე წამოკომიული ოდა-სახლი თუ არ მექნებოდა, ქოხში ვიცხოვრებდი, დილით ყანაში წასული კაცი საღამოს გუშინდელ ღობიოს, მწვანის და ერთ კეც ცხელ მჭადს დამჭერდებოდა. შვილებს უნივერსიტეტში თუ არ გავგზავნიდი, წერა-კითხვა რომ ესწავლათ, ეყოფოდით. ქმარი საღამოს წიგნებსა და ჭალალებში კი არ ჩარგავდა ცხვირს, მე შემომაჩერებოდა თვალბში, ჩემზე იფიქრებდა და ილოცებდა... იმ ჩემს პატარა ქოხს და პატარა საქმეს ჩემი ქუთაც გაწვდებოდა და შრომაც... ახლა შენთანაც შორსა ვარ და ოჯახთანაც უძლური“...

ქალი თითქოს ზედავდა თავის განდგომას და უნიათობას, მაგრამ დამნაშავეს ისევ სხვაგან ეძებდა: „შენი სოფელი, სკოლა, დედა, ობოლი ძმისშვილები, ავადმყოფი ძმა, ქვეყნის წარსული და მომავალი იმდენ თავსატეხს და ჰაპანწყვეტას მოითხოვს, ჩემს ჩამოშორებას და უკან-უკან ჩანჩალს ვერ იმეფს... მაგრამ გავაწყდება, რომ ადამიანს ორი დღის წუთისოფელი აქვს და სიამბეჭდილობით უნდა გაატაროს... მე-

ნატრება ცოლი და ქმარი რომ დასდებიან და იმუსაიფებენ, გაიხსენებენ ძველს და ახალს, ლამაზს, გულის გასახარს, სასაცილოს, იქნებ სისულელესაც და დაიძინებენ, როცა ძილი მოერევათ, გაიღვიძებენ, როცა გაღვიძებათ, ყოველი წუთი და წამი დათვლილი არა აქვთ, ყოველი სიტყვა გამოზომილი და მისხლობით აწონილი“...

თვითონ რუსულანს მაინც მაშინ ეძინა, როცა ეძინებოდა და იღვიძებდა, როცა ეღვიძებოდა, მაგრამ ამას მაღლი და გემო აკლდა. იცოდა, მისი მოსვენება ქმარს ძილს უტეხდა, მის ადგომამდე ფარნა გზას ადგა და ქვეყნის, ოჯახის და თავისიანების სასიკეთოდ იღწვოდა.

თავიდან ეს ამბავი ქალს თავის თავზე და თავის უმწირობაზე აბრაზებდა, მაგრამ მერე, რაკი კაცთან გატოლება არ შეეძლო, იმაზე იმღვრებოდა, რომ ქმარი გარბოდა და უკან არ იხედებოდა. თავიც რომ მოვიკლა, შუა გზაზეც არა ვარ, რაღას გავაწყობო, ისევ ქუსლჩათელი ჭლანებს მიაჩლატუნებდა და ისედაც დაშორიშორებულ მანძილს კიდევ უფრო ამორიშორებდა.

## IV

ნაშუადამევეს ზენა ქარი ამოტყდა და დილით სახლს ისე ძალუმაღ აწყდებოდა, კედლებს კრიალი გაჰქონდა. ძალი ორ ეზოს შუა დარბოდა და ქარის ღობეებში წივილს, ოდების ქილუქებში შუილს და აკაცის ახალ სარებზე შერჩენილ ქერქზე დაკრულ „მუსიკას“ უყეფდა. გამთენიისას ბახულა ჰიშვარს მიაწყდა და თითქოს იქ მაგარი ჯაჭვით მიაბესო, ფეხი აღარ მოუცვლია. სოფლად ძალი მუდამ ყეფს, მამალი ყვივის და საქონელი ზღავის. პატრონს არც ერთი არ ესმის, ან გაუცნობიერებლად ესმის, საერთოდ ცხოველი და ფრინველი კი არა, თავისი მამალი რა დროს ყვივის, თავისი ხარ-ძროხა რატომ ზრუტუნებს, ერთგული დარაჯი რა დროს რას უყეფს და როგორ უყეფს. გამგელელისადმი, ღობის შიგნიდან ადგენებული ძალღის

უფო სხვაა და ჭიშკართან მომდგარი მეზობლის და უცხოის მიტყვება სხვა. სხვის ღორს, ძროხას და ხმოს ეზოდან ერთ ხმაზე არ მიდენის. არც ოჯახის წევრებს ეალერსება ერთნაირად: ფარნას მთელი კვირა რომ დაავიანდეს, პატრონს რა დანატრებულოც არ უნდა იყოს, ბახულა ზედ არ შეახტება და არც გულადმა აიბლაკება. რუსულადან დილიდან საღამომდე რომ არ ნახოს, თათებით შვერდამდე აწვდება და მის წინ ისე გორაობს, ნაბიჯის გადღვების საშუალებას არ აძლევს. ბიჭებთანაც სხვადასხვანაირად ეჭირა თავი: ლეონს სხვებზე მეტად ეთამამებოდა და არ უფონებდა; გამოწყობილ ვატუტის ლაქუციით შორი-შორს ურბენდა, არ დავსვარო, თორემ წიხლს ჩამაზელსო: ბაკურთან, რაკი თვალებში აჩერდებოდა და მისგან თითქოს რაღაცა საიდუმლოს ამოცნობას, თუ შეცნობას ცდილობდა, ახლოს წოლა და თათებზე თავდადებული „ფიჭირიანი“ ყოფნა ერჩია: მიმუცას ფეხდაფეხ დასდევდა, ფეხსაცმელებზე და შარვალზე ყნოსავდა, თითქოს ეკვობდა, აქ არის თუ არაო.

გამთენიისას ჭიშკარს გაავეებული მიაწყდებოდა. გამვლელს ასე არ შეუყვებოდა, მაგრამ თუ ვინმე ეზოს მოადგა, ამდენხანს უხმოდ ვინ დადგებოდა, ან ბახულა ხმას რატომ ჩაიკმენდა? თუ ქარის ზუზუნში რაიმე მოეჩვენა... ეს მოჩვენებისადმი საეჭვო ყეფა არ იყო. ძალი ხედავდა ჭიშკართან ვინც იდგა, ვინმე თუ ახლობელია და წკმუტუნს და აღერტს მოჰყვა, ქარში კი არ ისმის, ეს გასაგებია, მაგრამ თავიდან თუ ეგონა, რომ იქ ვინმე იყო, როცა ნახა, აღარავინაო, მართლა შიშა ვინმემ, თუ რა ჭირს?... ქარი ბალანს უშლის და თუ აუცილებელი არაა, ერთ ადგილზე დიდხანს არ გაჩერდებოდა. უკანა აივნის კედელთან ამოღრუტუნულში ჩაწვება, ქარისკენ ისე მიქცეული, რომ ბალანი არ აეშალოს...

ძილ-მღვიძარე ფარნა თითქოს ფიჭრობდა, თითქოს ესობრებოდა კიდეც... ბიჭებს და ძალს ერთად ხედავდა, თუ

ახუნდებოდა შვილების აქცენტი...  
 ეზოში მათ ნაფეხურებს ზმანებაში დაეძებოდა... მერე ბახულა სულ გადაავიწყდა და აკვანში ჩაკრული ერთ-ერთი შვილი დაინახა, მაგრამ რომელი იყო, ვერ ვიპოვე. აკვანი ის იყო, ფარნას გათლილი, ახლა რომ სხვენში დგას, ბიჭი კი დიდი. არაფრით არ შეიძლებოდა, ამოდენა კაცი, სამმეტყველიან აკვანში ჩატეულიყო და რუსულადი კი მაინც შიგ ტენიდა. თეთრ, ქათქათა არტახებს გულისპირზე უჭერდა, რატომღაც ორივე არტახს გულისპირზე. დედამისისაგან არც გაკვირვებია, მაგრამ თვითონ ეს, რომელიღაც ამოდენა ბიჭი... ბიჭი კი არა კაცი, აკვანში აპირებდა ჩატევის და როგორ არ ვახირობდა, რომ ეს თეთრი არტახი მკლავზე გადაეკვირებინა. თვლივ დედის მკერდისკენ ისე ეჭირა, თითქოს ძუძუ მაწოვეო, თხოვდა. ფარნა უფრო შვილზე გაბრაზდა: რამ გადაირია ეს მუტრუკიო და უყვირა... ყვირილზე გამოეღვიძა, თუ კედელზე ბრაზუნმა გამოარკვია, საწოლზე წამოვდა.

— ფარნა! ადექო, კაცო, ზევიო! — კედლის იქით რუსულადანის შემფოთებული ხმა მოესმა, რასაც გუშინდელი უსიამოვნების კვალიც არ აჩნდა.

ფარნა ახლა ამან შეაწუხა, ვიდრე იმის მოლოდინმა, ამ უთენია ეს ქალი რამ წამოავლო, რა მოელანდაო.

— ფარნა, კაცო, არ გესმის?!

„კაცო“ მხოლოდ მაშინ ჩნდებოდა ცოლის ნათქვამში, როცა მათი ოჯახის ცაზე უღრუბლო დღე გათენდებოდა, რაც დრო გადიოდა, ეს მოწმენდილი ცა და მზე სანატრელი ხდებოდა...

— ადამიანო, არ გეყურება?... — ახლა კიდე „ადამიანო“, ესეც ზომ სიბოის და სიხარულის დროს გაჩნდებოდა ხოლმე.

— მეყურება!

— უპ, მოგეცა სიკეთე! — შვეებით ამოისუნთქა ქალმა კედლის იქით;

— რა გნებაეს?..

— ფარნა, რაღაც ამბავია ჩვენს თავს!

— შენს გადამიტდეს კარგი რომ არ იქნება... თქვი, რა გჭირს!

— ვაიმე, რა ვქნა რომ არ ვიცი... — ქალს ხმა აუკანკალდა, — ფანჯრიდან ვხედავ... ფარნა, შე კაცო, მეშინია... მუხლები მომეკვება...

— თქვი, რა ჯანდაბა გეცა! — ფარნამ შარვალში ფეხი ჩაჰკრა, დუგმაზე შებნევა და გვერდებჩახედულ კალოშებში ფეხის წადგმა მოასწრო, კარის საკოქესთან მივიარდა, რომ კედელს იქით ატუზული ცოლის გამტანარებული, ათრთოლებული ხმა მოესმა, რამაც ისევ თავგზა აუბნია.

— ფარნა, თუ მეჩვენება, ნერვებს ნუ აიშლი...

— რა ჯანდაბა დაგემართა!..

— ჰიშკართან, ჰიშკართან მიდი!.. იქ გადაღმიდან ვილაცაა, ძალღი აქედან მიწოლია და თვალს არ აშორებს!..

— იპ?! — ფარნას, ქარი ქალღღებებს და წიგნებს ამიწეწავსო, არ მოგონებია, კიბეზე ჩაგლიჯინდა, ლაფაროში დაგდებულ თუნუქის გვერდჩალეწილ ლუმელს გადაახტა, სახლს მოუარა და ჰიშკარს მიაჩერდა.

მჭიდრო ლატანების ძირში თითქოს ვილაც იქდა, მაგრამ ვინ იყო, ეზოდან გარჩევა არ შეიძლებოდა.

ძალღი!

ძალღი რად იწვა, ქარი რომ ბალანს უბერავდა და თათებზე თავდადებული „ფიქრიანად“ წინ ვის მიშტერებოდა!

ფარნას ღმუილივით აღმოხდა:

— ბაკური?! — და იმის მაგიერ, ჰიშკარისკენ წასულიყო, წინა ოთახის ფანჯარაზე მომდგარ პერანგის ამარა ცოლს მოხედა. ვითომ შეეცდომაში მან შემოყვანა და ასეთი რამ იმიტომ მომეჩვენაო.

— სულელია ეს ქალი!.. — მიილაპარაკა, მაგრამ ამჯერად ყბა უცახცახებდა და ამან დააბნია... უცებ უმწეო, საცოდავი გახდა, აკანკალდა. ისევ დალაპარაკება მოუნდა, რომ გაეგო, ლოგინიდან წამოვარდნილს ქარმა და სიცივემ მიქნა, თუ იქ, ჰიშკარის მიღმა მართლა ბაკურია და ხმა წამერთვიაო.

— გამოდი ძალღო აქეთ... შე-ენ!

ძალღმა კუდი გააქიცინა და პატრონს არც მოხედა.

— მიდი, კაცო, ჰიშკართან, შენ წაიხედე!.. რა ღმერთი გაგიწყრა! — ზარბაზნის დროს ფანჯრის მინაზე მოჭედებულივით, უძრავად მოტმასნილი რუსუდანის აფლოროცებული ხმა.

— ახლავე! — რატომღაც ცოლსაც მაშინვე დაუზავდა და თვინიერი, ხელით სათრევი კაცივით, საითაც პირს უზამ, იქით რომ წაჩანჩალდებოდა. ჰიშკართან კალოშების ჩლატუნით წაბოდიხლდა.

ლობის ძირში, წყალსაწრეტი ვიწრო არხის ფართო ბოგირზე, ჰიშკარის ლატანებთან ხელზე თეთრ მარლადაბინდული, ლოყებ და თვალბჩაცევილი, დაქმუჭოულფარაჩიანი ჯარისკაცი იქდა, ვინც მხოლოდ მშობელს შეეძლო ეცნო, რომ ბაკური იყო.

## V

როცა ფარნა მოზრდილა ფიცრულ ღუქანს გაუსწორდა, რომლის გვერდით სადალაქო-სადაარაჯო იყო მიფოხილი, ხალხი ირეოდა. გზის ვადმოღმა, ღუქანის გიტარიანი დარაჯი — ანთიმოზ შვანგირაძე თავისი ეზოს ვიწრო კარს რგოლს აგებდა და ზემოდან ქაცვის ხმელ ტოტს ადებდა.

ანთიმოზი — ძველი ნასაღდათარი, უცოლშვილოდ გადაბერებული, უხიაკი მოხუცი, დღისით თავის კარ-მიდამოში ჩაიკეტებოდა, ღობე-ჰიშკარი ეკლით და ძეძვით ჰქონდა მოქავეული. ახლოს არავის იკარებდა. თავის ერთ მტკაველ მიწას ჩიჩქნიდა და ხეებს შორის ახალ ნერგებს რგავდა. მერე ეს ძველი და ახალი ხეხილი ერთმანეთს და სიმინდის ყანას ჩრდილავდა... ან იქდა თავისი ნაღის ქვეშ შემომხენებულ ხუხულაში და ძველ კარაბადინებს და ხუცურ სახარებებს ასო-ასო კითხულობდა, ან თვლემდა. ღამით, როცა სოფელი ძალს მიეცემოდა, გამოიტანდა ძველისძველ გიტარას, დაჯდებოდა ღუქანის წინ, კობის ცივ ჭვავზე და თავისთვის (თუ ახლო-მახლო ვინმე ეგულებოდა, კარნტს არ დაძრავდა) მღეროდა.

Нива моя нива  
 Нива золотая,  
 Зреешь ты на солнце,  
 Колос наливая.

უტყუარი სმენა და ალლო ჰქონდა. თუ ვინმე, აბეზარი ბიჭები ხეს, ღობეს მოფარებულნი მაინც ყურს უგდებდნენ, ზედ დაადგებოდა და ისეთს გამოლანძღავდა, თითქოს ხატის ქურდობაზე წაესწროს. თუ შეგვიანებული მგზავრი დუქნის წინ შარაზე ფეხს აითრევდა, არც იმას დაინდობდა, ბნელშიაც ცნობდა თანასოფლელებს:

— გაიარე, ბიძია, გაიარე! ვახშამი გავცივებდა! მაშაშენს, სპირიდონა ბრუტიანს შენს გაჩენას, ძალი გაჩინა ძუკნასთან, ეზოს მაინც მოუმწყეშავდა... ჩალვადრის ცხენივით შარა-შარა რომ დაძრწინარა!..

თუ გამვლელი ქალი იყო, ვაი მისი ბრალი:

— აგიშვერია ფეხი ამძუნებულ დედაკაცს, სად ათენებ და აღამებ, თოფანე ჰქუანალრობი კი არა, ფოსტის ნაჩაღნიკი ვერ გაიგებს!..

ბავშვების სინსილას ზომ არ გააჰაჰანებდა და არ გააჰაჰანებდა!

— წადი ბიძია სახლში, დედაშენს რიფსიმეს ოქრუე დორბლიანი მოწოლია, გადამულან და წყალი დაასხი!

ოქრუე, ერთი ჩიჩია და შერეკილი, ნახევრად გიყი და დამთხვეული, ადრე ეკლესიაში შეხიზნული, ახლა ეკლესიის ეზოში ძველ ძელურ-ნასენაკარში თავშეფარებული და სოფლის სამადლო სარჩენი იყო.

ანთიმოზი სოფელში მაინც არავის სძულდა. იცოდნენ, ენაბილწობა ბოროტებით არ სჭირდა. ავეიაობა მისთვის ერთგვარი იარაღი იყო, რომ სოფელში ძველ ნაჯარისკაცულს წესრიგი დაემყარებინა. გერმანიაში ტყვედ იყო ნამყოფი. ორი ღერი „ლემენცურიც“ იცოდა და ოთხი ღერი რუსული. ამდენის მნახველი და მცოდნე, თავისი ხალხის სამხრეთულ ტემპერამენტს და საზღვარგადასულ ხასიათს წესრიგს და დროის მომპირნებობას, ყადრს— მკაცრად უნე-

რგავდა. ღამე ძილისთვისაა გაჩენილი, ამბობდა, თვითონ კი მთელი ღამე ფხიზლობდა და გიტარას აკენესებდა. ოჯახი, ცოლი და შვილი მიტომ გააჩინა ღმერთმა, მგელივით კლდე-ღრე არ დამწროდეთო, და თავად არც ცოლი გააჩნდა, არც შვილი; თუ ერთმანეთი მოგენატრათ და მუსაიფი გინდათ, ამ დუქნის წინ რომ დილაშდე არ დაეყუდოთ, წადით სახლში, დაიდგით დოქით ღვინო და ლესეთ ენაო; თვითონ კი მარტომ-მარტო უმღერდა თავის თავს და ამ ბოლო დროს გამოცარიელებულ დუქნის მშვიერ ვირთხებს...

მაშინო, ნუ ენდობი,  
 რკინიზას და რეიცას,  
 ერთ ბაიშნას დამართნა,  
 ამისთანა მტერთანა!..

ამბობდნენ, ანთიმოზს მკვიდრი ბიძაშვილის ცოლი უყვარდაო, მაგრამ ამბობდნენ და მეტი არაფერი. ის ქალი ისე მოხუცდა და მიიცვალა, მოსაზღვრე ბიძაშვილის ეზოში ნასალდათარს ვნების თვლით არ გადაუხედავს და მგონი ეს ამბავი სატრფოს სიკვდილის შემდეგ შეიტყო სოფელმა. შერეკილ ოქრუა გლახას ღამით საფლავზე ენახა გულზე ხელებდაჭდობილი, გამოლენჩებული ანთიმოზი და ოქრუამ შიში არ იცოდა რა იყო, თორემ ეს დამუნჩებულ-გახევებული კაცი ნაშუადამევს, საფლავზე დაყუდებული, გადარევდა.

ფარნას არც სურვილი ჰქონდა და არც დრო, დუქნის წინ ტალახის საზელად. რუსულიც იცოდა, მატინებებს ქეჭავდა და ისტორიას იცნობდა. ანთიმოზის თვალში ასეთი პიროვნება საპატივემულო კაცად ითვლებოდა. შვილებიც, ვატუტის გარდა, დუქნის დარაჯს ფეხებში მაინცდამაინც არ ედებოდნენ, ესეც მასწავლებლის ოჯახის ღირსებაზე ღამარაკობდა. რაკი ამ კაცს არ ესწავლებოდა და მისი ღამშდე და განქიჭება არ ზერხდებოდა, ფარნა მისთვის სხვა თანასოფლელებზე ნაკლებ საყურადღებო მეზობელი იყო. აღმათ ვატუტი, მდგმური მასწავლებლის ოთახის ფანჯრის წინ ალვის ზიდან რომ არ

ჩამოვარდნილიყო და ერთხელ მონატე-  
ხი ფეხი მეორედ მარილივით არ მოემ-  
სხვრია, ამალღობელის თჯახის არსებო-  
ბას ანთიმოზი სულ დაივიწყებდა, ან  
თვალს დახუჭავდა. ანთიმოზ შეანვირა-  
ძისთვის ისინი არსებობდნენ, ვისაც  
ყურის აწევა სჭირდებოდა და ალბათ  
ერთგვარად უყვარდა კიდევ.

პოსპიტლოდან ორკვირიანი შევბუღე-  
ბით, უთენია შინ დაბრუნებულ, დაქ-  
რილ ბაქურის ამ დუქნის წინ უნდა გა-  
მოველო. ფრთხილ დარაჯს არ უნდა  
გამოპარვოდა დაღლილი ჯარისკაცის  
ფეხისხმა.

— გამარჯობა ანთიმოზ! — მიესალმა  
ფარნა მოქავეულ ქიშკართან დარაჯს  
და საცალფეხო ბოგირთან შეჩერდა.

— გაიარე!.. — ჩვეულებისამებრ წა-  
მოცდა ნალიისაყენ პირმიბრუნებულ  
ნასალდათარს, — გაგიმარჯოს... — გაა-  
სწორა უნებლიე შეცდომა და გაჯავრდა  
ფარნაზე და თავის თავზეც, რაკი მო-  
საუბრე არ იყო ის, ვისთვისაც მისალმე-  
ბაზე შეეძლო ეთქვა ის, რაც მისთვის  
ბუნებრივი იყო: „გაიარე!“. მოკითხვა-  
ზე: რავა გკითხო? „ეინ კითხავს შენ!“  
ან „რომ მიჭირდეს, რას გამოიკეთებ!“  
თავის მართლებაზე: კაცი კაცის ამბავს  
იკითხავსო, „კაცი კი, მაგრამ შენ?!“.

ფარნასთან საუბარი კი ჭირდა.

— რა ამბავია, ანთიმოზ, რა ხდება  
ქვეყნად?

— ფარნა, ბიძია... მე და მამაშენმა,  
კი აქვს ნათქვამი, სასალდათოდ ერთად  
ვიყარეთ კენჭი... და ვიცი, ქვეყანა ერთ-  
მანეთზე წასეული მგლის და ძაღლის  
ხროვას დაემგვანა... ძაღლი მამაძაღლია,  
მგელი თუ დაინახა, მგელზე უარესია...  
არაფერი ხეირი არაა ფარნა მაგ თუთუ-  
ნის წევაში...

ფარნას უღვაშებში თავშეკავებული  
ღომილი გაერია: „მაინც დამიჭირა სი-  
სუსტეში“.

— ვინც ცდება, ყველა უგუნური რო-  
დია... — ფარნამ თავის მართლებაზე  
მეტად დარაჯის მარტოხელობის და მი-  
უჯარებლობის ახსნა სცადა.

— ბიძია, სისულელე ყველა ერთნაი-

რია. ლენერალმა ვეტრენსკიმ მგელზე  
ნა ლემენცების ბასტიონს და გვაბე-  
თქია ბერდენკა. ეუყი რომ გაგავლეს,  
შეწუხდა, შეცდომა მოგვევლიაო...

— არც ამ ომში გვადგია კარგი დღე...

— ვეტრენსკის ხუთი ვაჟიშვილი ჰყა-  
ვდა, თითისსიგრძე ბაღნები იყვნენ, მა-  
შინვე თამაშობდნენ ლენერლობანას.

— ანთიმოზ ბატონო... — ანთიმოზმა  
„ბატონო“-ბაზე დაღარული შუბლი  
შეიკრა და შეტრუსულივით შეყვით-  
ლებული წვერი მოიჭექა, — ლემენცებს  
არ უყვარდათ ლენერლობის თამაში?  
— ლემენცებმა, ბიძია, ჯარისკაცობა-  
ნას თამაში იცოდნენ... შენი ბოვშეები  
რომ თამაშობდნენ ჯარისკაცობანას, არ  
უნდა დაგეშალა...

„დაუნახავს დაბრუნებული ბაკუ-  
რი“... — გაიფიქრა ფარნამ, — „რომ  
ეუთხრა არ გაამზილო-მეთქი, ვაითუ  
გავანაწყევო“.

— ომიდან რომ დაბრუნდით ანთი-  
მოზ, რამდენხანს ისვენებდით?

— რაო?

— ომიდან და ტყვეობიდან რომ დაბ-  
რუნდით, ძილი და მარტოობა არ გე-  
ნატრებოდათ?

— მოიცა ბიძია... — დაფიქრდა, უსი-  
ამოვნოდ შეიჭმუნხა.

„არ უყვარს ჩემთან საუბარი. თავი  
ბერისმნახველ ჰკვიან კაცად მიაჩნია  
და მე საფიქრალს ვუჩენ“...

— რამდენ ხანს ისვენებდით, თუ მა-  
შინვე ხალხში და ქვეყანაში...

— მაცალე! გვიგე, რას მკითხები,  
მარა მიკვირს, შენ რატომ მკითხე...

ფარნას ცალი თვალი დაუფიწროვდა  
და ჩელტისკარის გადაღმა, ილღიაში  
გაქონილ-გამქვარტლულ გიტარამოჩ-  
რილ მოხუცს დააჩერდა, ღობის ძირში  
ჭირკებზე დაყრილ ფიჩხს და ჯარჯს რომ  
დაჰყურებდა.

— მე მაინც ვხედებოდი გევონა? —  
ჰკითხა დაჩიავებულ ნაჯარისკაცალს.

— აბა, დავიჭერო, ჩემი სულ არავის  
არაფერი არ ეყურება?

— მგონია მას აქეთაა ისვენებ...

— ჰო, ბიძია! მას აქეთ... აბა, ომი

ყანის მარგელა გგონია? დილიდან და-  
 რიჯებამდე დაიღალა, საღამოს დაწვე,  
 დაიძინა და მეორე დილას ლოგინიდან  
 უთენია წამოფრინდე... ე, მაგერ დუქან-  
 ში წუხელ საღამოს შავი მარბილი მოი-  
 ტანეს და ეს ხალხი შეუღამის აქეთა  
 მანდ ყაყანებს. წადით სახლში-მეთქი,  
 ვაგინე, მარა ჰიქიკო სამთელამის ძვალ-  
 ტყავა დედაბერი, თავზე ბალანი რომ  
 მქონოდა, თმით მათრევდა, წვერი მე არ  
 დავანებე... დუქანი რომ გაიღება, ხომ  
 მეზობლებია, ერთმანეთს დაჭამენ, ერთ  
 კვრას არც ერთი კაციშვილად არ ივა-  
 რგებს... ომში ნამყოფი რა იქნება.

— მაგრამ ეს თუ ვინმემ იცის...

— შე ვიცი, ბიძია! ომში ვინც მიდის,  
 ყველა იღუპება.

— მაგრამ ვინც ბრუნდება!.. — ფარ-  
 ნას ამდღიანდელივით შეაკანკალა.

— ყველა ვინც ბრუნდება და არ  
 ბრუნდება...

## VI

„იქნებ მართლა ეს იყოს მიზეზი,  
 რომ ბაკური სოფლის თვალს ემალებათ:  
 „ჭერჭერობით არსად არაფერი წამოგ-  
 ცდეთო“, შეინგეწა და სახლში საიჭიო-  
 დან მობრუნებულებით შეიპარა. ჯერ  
 კიდევ გარუმბული ხელი კისერზე ჰკი-  
 დია და თოფის ასაღებად ალბათ ერთ  
 თვეს შინაც არ გამოადგება. ომში შვი-  
 ლებდაკარგული დედების შურიან თვა-  
 ლებს ემალება, კარზე რომ ამდენი და-  
 ლუბულის და უგზო-უკვლოდ დაკარ-  
 გულის თვალატირებული პატრონი მო-  
 ადგება. მართალი კიდევ რომ იცოდეს,  
 ვერ ეტყვის. ტყუილი ვაუჭირდება და  
 ურჩევნია არავის დაენახოს.

„როგორც უნდა ვიყო, ისე ვარო —  
 ესლა თქვა — ერთხანს შენი სამუშაო,  
 უკანა აივანში შემოქრილი ოთახი და-  
 მითმეო“ — მთხოვა და მეც ახლა არაფ-  
 რის ხელის მოკიდება არ შემიძლია.  
 აფორაიქებულნი ვარ, თავგზააბნეული,  
 მაგრამ ეს სიხარული არაა.

„ვინც ომში მიდის, მართლა ყველა  
 რაგა იღუპება, მაგრამ მამუკას და ბა-

კურის სიცოცხლე ასე მგონია ლეონის  
 უბედურების საფასურად უნდა დაჯ-  
 დეს... თუ ეს ლოგიკური ანგარიშიანო-  
 ბით მემართება? როცა სამივეს ამბავი  
 არ ვიცოდი, თითქოს უფრო იოლად ვი-  
 ტანდი. იმედი მქონდა, სამივეს ერთად  
 დალუბვა არ მჭეროდა. ახლა, როცა ვი-  
 ცი ერთი სადღაც კასპიის ზღვის ნაპი-  
 რას დაღარდილობს და მეორე კარზე  
 მომადგა, ხომ არ შეიძლება ისე ბედნიე-  
 რი ვიყო, მესამეც საღსალამათად მყავ-  
 დეს? ამ სოფელში, ალბათ, ერთადერთი  
 ანთიმოზია, შვილი და ძმა რომ იქ არა  
 ჰყავს. ალბათ ამიტომაც მომინდა მას-  
 თან საუბარი. გამოყრუებულ ბერკაცს  
 რა დაეჯერება, მაგრამ თაფლში რომ  
 ნაღველი აურიო და პირში დაიგუბო,  
 ორივეს გემოს რომ გრძნობ, ასე ორ  
 გემოს ვგრძნობ არა მარტო საკუთარ  
 თავთან, მთელ სოფელთან.

„გინდა ხმამაღლა იყვირო, რომ შვი-  
 ლი დაგიბრუნდა. ვაიხარო და გაახარო  
 ქვეყანა, მაგრამ როცა იცი ერთი თვის  
 წინ ენუქის თვალებბრიალა ბიჭი, შენი  
 ნამოწაფარი გამოიტირეს და დედამისი  
 მოთქმით აღამებს და ათენებს, როცა  
 პოლიკარზე ხაჭაპურიძის ავთანდილი და  
 გელა უგზოუკვლოდ დაიკარგნენ?...  
 როცა ლადი ლიბარტიანის ოფიცერი  
 შვილი საზღვართან, პირველ დღესვე  
 მოკლეს, როცა ერასტი კუპავას ოთხი  
 ჰყავს გაგზავნილი და ერთის გარდა ბაი-  
 ბური არ ისმის, როცა ესტატე კინწუ-  
 რაშვილმა ექვსიდან სამის დაღუპვის  
 ცნობა მიიღო და აღარცერთს არ იჯე-  
 რებს (არც ბესოიასი ისმოდა აქამდე  
 არაფერი). გვანჯი მიჭამის და თეოფილე  
 ნიყარაძის ხუთ-ხუთი რომ იმ ელემენტ-  
 ში გეგულებათ, როგორ გინდა ადგე და  
 ამისთანა ხალხს შენი სიხარული გააგე-  
 ბინო? ამას გარდა, ისინი ხომ შენიცაა.  
 ამიტომაცაა მასწავლებლის პროფესია  
 რთული და მძიმე. მით უმეტეს სოფლის  
 მასწავლებლისა. შენ შვილებთან ერთად  
 ზრდი მათ და რაც იცი, ისევე ასწავლი,  
 როგორც შენს საკუთარ, ლეილ მე-  
 კვიდრეს“.

კოლმეურნეობის კანტორის ჰინკარა-

თან სიმსუქნისაგან ძლიერს მხენეშივი აგრონომი იოსებ კუხალეიშვილი თავ-ქვე გაქცეულ ყრუ ბრიგადირს მიჯლო-და და ვერაფერს რომ ვერ აგონებდა, გულზე ხელს იჭერდა. კიდევ კარგი ქვევიდან კოჭლი ათანასე გამოჩნდა მოსახვევში და ბრიგადირი უკან მოახედა, თორემ აგრონომს გული ტყუილა გაუსკდებოდა. რა უნდა უთხრა კუხალეიშვილს, მასწავლებელი და აგრონომი შვილები რომ ომში ჰყავს და გული ხელით უჭირავს, ან ყრუ შოთა მესხს, ოთხი ძმიდან ერთის ამბავი ვიღაც დაქარილმა რუსმა პოსტილიდან მოიწერა, ცოცხალია, მაგრამ ჭერჭერობით წერა არ შეუძლიაო, მას აქეთ აღარც რუსს მოუწერია, აღარც ოსს.

თუ პირიქით, სოფელში ფრონტიდან დაბრუნებული თანასოფლელი სიხარულს გაუჩენს მეზობლებს (ზაფხულს აქეთია ხომ ბაქურის ამბავიც არ ისმოდა).

— ერთი, ფარნაოზ, მომითმინე თუ ღმერთი გწამს!

ფარნა შეჩერდა. მესერის გადაღმა ფიცრით ამოკედლილ ალაგესთან პავლე მშვენიერაძემ იღვა და კობტად შეკრეპილ-შეჭაღარავეებული ლამაზი წვერი ცერსა და სალოკ თითს შუა მოექცია.

— უკაცრავად ვარ, ფარნა ჩემო, — მოიბოდინა მშვენიერაძემ, როცა ფარნა მიეახლა და ალაგზე გადმოსულს ხელი გაუწოდა.

— როგორ გიკითხოთ, პავლე?

— ვარ ღვთისა და თქვენი წყალო-ბით... თავად?

— რა ვიცი პავლე, რა გითხრა...

მშვენიერაძემ ცერი და სალოკი ლამაზი წვერის ბოლოში წაივლო, მიწას ჩააჩერდა, ბრძენკაცობის მოწადინე მშვენიერაძემ სათქმელს ჩაუფიქრდა.

— ხომ კარგი ამბავია, პავლე?

— კარგი, ფარნა ჩემო, უსათუოდ კარგი!

— ბრძანეთ.

— სანთლის ხელოვნურ ფიჭაზე კი გითხარი ამას წინათ... რაც შემორჩა, მისხალ-მისხალ გავიყოთ...

— კი, მადლობელი ვარ, მაგრამ წყევლისა აქვს ფუტკრის თავი.

— რომ გვჭირდება, სხვა გზა გვაქვს? ლუკა ხომაა უკეთ?

— რა ვიცი, პავლე, უღვას სული.

— კაი ყაზახია ლუკა... იცი შენ, მავას რომ არ გადაეცრაჩინე, გაეუღაყებას მიპირებდნენ.

— რა გადაგარჩინა ვადარჩენა რომ შეძლებოდა, თავის თავს ვადარჩენდა. იცოდა შენი ოჯახის ამბავი და რაც იყო, ის თქვა.

— ვინც შავ სიაში შემიტანა, იმან არ იცოდა?

— ვითომ ცოტა ხელმოთბობილად რომ ცხოვრობდი...

— მერე, ვისით, ბატონო? ჩემი შრომით და ანგარიშით. საბანი რამდენზეც მწვდებოდა, იმდენზე ვჭიმავ ფეხს. მოგხსენებოდა, გვიან დავცოლშვილდი, სანამ ოჯახი ოჯახს არ დაეამგვანე...

— პავლე, ის ბრძანე, რის თქმასაც აპირებ.

— აგაშენა ღმერთმა! რალაც მივკიბ-მოვკიბე, უცხოსავით გიყვები ჩემს ამბავს... ამ ქვეყნის დაქვევაში როდინდელი ამბავი გავიხსენე...

„ყოვლად კარგი კაცია, მაგრამ ზედმეტი სიფხიზლე, ჰკვიანურად ვთქვაო, ლუპავს“ — გაიფიქრა ფარნამ, კინალამ ისევ შეახსენა, თქვი ბარემ, რასაც აპირებდით.

— დიახ, ფარნა ჩემო, ის მინდოდა მომეხსენებინა, რაც შენც იცი...

— რა ვიცი, პავლე?

— ის, რომ ვეკენი ჭიქიას ოჯახში, ქალი უცხო კი არა, ჩვენებური არ შეიშვება!

— ა, მასწავლებელზე ლაპარაკობ?

— დიახ მასწავლებელზე, ცირეკიძის ქალზე მოგახსენებ...

ფარნამ შენიშნა, პავლეს თვალში თაფლის წვეთი ჩაუვარდა და დროულმა კაცმა, უნებური სიამის მოსაცილებლად ხელის ზურგით ქუთუთო მოისრისა.

— მოხდა რაიმე?

— რაღა, არ უნდა მომხდარიყო, ფარ-

ნა ჩემო?! უნდა მომხდარიყო და მოხდა! ფარნამ მხრები აიჩეჩა: ჩემს გაჭირვებას ეს-და უნდოდაო?

— მე ოჯახზე წიხლი დამიკარით...

— მე?! —

— შენ გქვია, საბჭომ და სკოლამ...

— მდგმურის ამბავი სკოლას არ ეხება, ეს იცი შენ, პავლე.

— სკოლისაა ის მასწავლებელი და არა საბჭოსი...

— მაინც რა მოხდა, ევგენი შეუვარდა ოთახში?

— არა, ამას მისი ცოლის პატრონი რას გაბედავდა, მარა თავს იზღვევს... თავმჯდომარეს ქეიფს უმართავს... ახლა, თავმჯდომარე მართავს სუფრას თუ ევგენის ენაბლნიანი პეპელა, ჩვენ არ ვიცით... რაღა დაგიმალო, იმ მასწავლებელს რომ შეცდენას უპირებენ, როგორც შენ გიყურებ და ვიცი, ფარნა ამბობს მისი ხარ, ისე ვარ დარწმუნებული!

— ზოგი მგლისკენ, ზოგი თხისკენ, პავლე ბატონო, იქნება იმ ქალსაც ეს უნდა.

— უკაცრავად გახლავარ მაგ პასუხზე ჩემო ფარნა, მიბრძანდი ავერ, სკოლაში და შენი ლამაზი თვალებით ნახავ ყველაფერს... მე, ამ საქმეზე მიგეჩქარებოდა მეგონა ამ დილაადრიან...

— არაფერი ვიცი, პავლე, მაგრამ არც ჩემი საქმეა მაინცდამაინც. მასწავლებელი სკოლის შემდეგ როგორც უნდა ისე მოიქცევა. თავიდან კი საბჭომ, როგორც საჭიროდ ცნო...

— საბჭომ... კი იცი შენ, ფარნა ჩემო, ამბროსი, ბარბაქაძის დატოვებული კაცია და ეკლის მონაპვრზე რა ამოვა, კი მოგეხსენება...

— გაიგებ, რაშია საქმე და...

— გაიგებ და გახსოვდეს, რომ პავლე მშვენიერადეს ოჯახი აქვს და კაცურ კაცს ეძახიან.

სამასწავლებლოს გვერდით ვიწრო ოთახში, სადაც დარაჯს ღამით ბუხრის პირას მკვდარივით ეძინა, დღისით კი კილოფში შეხვეული უთეთრეულო

ქვეშაგები მოღანალებულ ტახტზე ახვეული ედო, ახლა იმავე ტახტზე შინდისფერზოლებიანი, ბაწრით გაკრული ახალი ლეიბი, გაქეპილი ჩემოდანი და საყვოიაცი ეყარა. ტახტის კუთხეში ჩამომჭდარ მასწავლებელ ქალს, ბრაზით აცმაცუნებული ცხვირი, კურდღლის თეთრი საყელოდან ამოეყო. ფარნა დამხედურს მიესალმა და ბარბთან და თოხებთან, კუთხეში მიდგმულ ტახტურეტზე ჩამოყდა. დამხედურმა მისალმებაზე არ უპასუხა.

„ნეტავ რას შედიდგულება? — გაუკვირდა მოსულს, — ხომ არ ფიქრობს, მაგის ლოგინს მე უნდა ეღარაჯობდე?“

— მე თქვენ ვინ გგონივართ?! — ამოიწვიტინა გაკაბასებულმა ქალმა და ფარნას ნაპერწყლებით საესე თვალები შეანათა.

— მე?! — ფარნამ გახვეული პაპიროსი პირში გაიჩარა და გულჯიბეში კაცსა და ფოლადს დაუწყო ძებნა, თან უნებური ღიმილი მოიგერიო.

— თქვენ, თქვენ!

— მე მგონიხართ მედული გრიგოლის-ასული ცირკეიძის ქალი.

— მეტი არაფერი?

— მეტი, როცა სკოლაში ხართ, მასწავლებელი, შეიძლება ითქვას, — ტონი, ამჭერად. ცოტა გამჭირდავად გამოუვიდა, მაგრამ მასწავლებელს თავისი დარდი ჰყოფნიდა და მის ცეცხლს ერთი მუგუხალი ვერაფერს მიუშატებდა.

— რა შეიძლება ითქვას...

— შეიძლება მოლოდინის საწინააღმდეგოდ, არც ურიგო...

— რატომ გქონდათ ჩემზე ასეთი მოლოდინი? — საყელოდან თავი გამოამჭერინა და ფეხი ფეხზე გამომწევეად გადაიდო.

— კარგი მასწავლებელი საერთოდ იშვიათია, — ფარნამ კვებს ჩამოყრა და აბოლებული ბამბის გრეხილი პირში გაჩრილ პაპიროსს მიადო.

— რატომ ჰგონიათ: გარეწარ ევგენი ჭიქიას და თქვენს კრუხისპალო თავმჯდომარეს, რომ მე მშვიერ-მწყურვალე

ვარ და ჩემს საპატივცემულოდ მართავენ ვახშამს?

— ახლა მასწავლებლის ხელფასით...

— არაა ეს იმათი საქმე! — ისე დაიწვილა ცირკიძემ, ფარნას ღიმილთან ერთად ამ პატარა ქალის პატივისცემაკ გაუჩნდა, უმწყემსური, აპეტელეზულ თიკანივით, რომელიც ტურების ხროვაში მოხვდა და გოჯიანი რქებით იგერიებს.

— მე თვეში ცხრა კილო პური მემღევა. ხელფასი რაცაა, ხომ მკვს, რას მიფათურებს ხელებს ის თქვენი დაგვალული, საბჭოს თავმჯდომარე?

— სკოლის დირექტორი ხელებს ვერავის ვერ შეუტრავს, ისიც მთავრობას. ამისათვის საბჭოში უნდა იჩივლოთ...

— კარგი, ეს თქვენ არ გვხვბათ. არც ის, რომ მთვრალ თავმჯდომარეს შეეშალა და ჩემს ლოგინზე აზიური ვიწრო ჩექმებიანად გაიშოტა? მაგრამ რატომ ჰგონია ქარაფშუტა პეპელას, რომ მე და თავმჯდომარე ერთ ლოგინში დავეტყვი?

— ალბათ, შორჩილა კაციოა და იმის იმედი ექნებოდა... — ფარნამ პირი მიიბრუნა, ღია კარიდან ასწლოვანი კოპიტის ხმელ ტოტზე ჩამოკიდებულ რელსის ნაჭერს შეხვდა, მერე მაჯაზე საათს დააჩერდა, ვითომ პირველი ზარის დარეკვის დრო ხომ არ იქნებოა.

— ადრეა ჯერ, თქვენ ეს იცით.

— ვიცი, ქალბატონო მედული, ბევრი რაიზე ვიცი, — ფარნას შერცხვა კუკუმალობიას თამაში ხომ არ წამოვიწყეო.

— მეც ვიცი...

— თქვენ რაღა იცით?

— ის, რომ...

— თქვით, ყველაფერი თქვით.

— ის, რომ...

ქალს თვალეზში ცრემლი მოაწვა, გადმოსაღვრელად რომ ჰყოფნოდა, იმდენი არა, მაგრამ წამწამები კი დაენამა.

— ვიცი, რაც გითხრეს... მელაძეა ახალაძემ... დაიჯერეთ და სოფელს თქვენზე რომ არ ეპორავა, ჩემკენ არ მოიხედეთ...

ფარნამ შუბლი შეიკუმუნა და ნაფა-

ზის შემდეგ პირიდან პაპირის ნაქვეშა ღებდა დაავიწყდა.

— მე ყოველთვის მართალს ვამბობ...

— ქალი მიხვდა, დირექტორი მისმა ნათქვამმა ჩააფიქრა.

— ილაპარაკეთ...

— თუ ვილაპარაკებ, ყველაფერს ვიტყვი...

— ყველაფერი თქვით.

— შეგეშინდათ... — ენას კბილი დააქირა.

— თქვით, თქვით! ვისი შემეშინდა...

— სოფლის, სოფლის შეგეშინდათ!

— მერე, — ფარნა წინ გადმოიხარა, იდაყვით თავისივე მუხლს დაეყრდნო, თვალეზში თამბაქოს კვამლი აუვიდა, მოკუტა, მაგრამ მოსაუბრეს მზერა მაინც არ მოაშორა.

— მერე... იქ რომ დოყლაპია ჩემმა დეიდაშვილმა, ჩემი თავი ჩაგაბარათ, იფიქრეთ, ზურგზე გადამკიდესო და ისიც არ გააკეთეთ, რასაც, სხვა რომ ჩემს ადგილზე უპროტექციოდ მოსულიყო, მაშინ გააკეთებდით...

ფარნამ თავი ხაფანგში მოქცეულივით იგრძნო, რასაც მიჩვეული არ იყო და ემწუთხა, მაგრამ სიმართლე მოწინააღმდეგის მხარეზე იყო.

— მახსოვს, როცა ჩამომიყვანეთ, როგორ გეჩოთიერებოდათ მანქანიდან რომ ჩამომსვით. მალაზიის წინ გააჩერა მაინცდამაინც შოფერმა მანქანა, ხალხმა დაგინახათ და ყურები დაგიწითლდათ... გეწყინოთ მერე, ჩემთვის სულერთია. სამსახურიდან ვერ მომხსნით. მე ჩემს საქმეს გადავყვები და მიზეზს არ მოგკემთ... სხვა რა, აგერ დავწვები. დარაჯი ძალიან კარგი მოხუცია, ისე ხვრინავს, აქაურობას ახლო-მახლო არაეინ გაეკარება.

— აქ დაწვები?

— მე ხომ თავიდანვე გითხარით, მასწავლებლის უკმარობის გამო სწავლება ორჯერადია, ოთახები თავისუფალია... სადმე მდგმურად ნუ გამიშვებთ... ის ორი კაპიცი, საბჭო რომ იხდის, არ კმარა, მე კიდევ დამატება არ შემიძლია... არც კი გამიგონეთ...

— არის სხვა ოჯახებიც, რომლებიც თანახმა არიან.

— ვინ? არ მინდა არავისთან...

— აგერ, სკოლის ეზოსთან, პავლე მშვენიერაძე...

— ვიცი. — მედუღიმ ერთმანეთზე შეტყუებულნი ცერა და სალოცი თითები ნიკაბთან მიიტანა, — რატომაა თანახმა? ახლა იმ წვერებიანმა კაცმა უნდა მისვას ხელი? ღმერთო, რა მჭირს ასეთი!..

— პავლეს ხუთი შვილი სწავლობს ჩვენთან და რუსული, სოფელში, შენციცი, უჭირთ.

— ბავშვები მოვიდნენ აქ. ორი ფეხის ნაბიჯია, ან დარჩნენ გავევთილები მერე, ვასწავლი. არც მისი ბინა მინდა და არც თაფლაკვერი.

— აქ რომ დარჩეთ, ეს სკოლაა. ოჯახი მაინც ოჯახია, რამდენი რამ სჭირდება ადამიანს...

— დედას გეფიცებით... არაფერი არ მჭირდება. შეშა დარაჯსაც უნდა, ჭიჭა და გრაფინი სამასწავლებლოშია, თქვენი კაბინეტიდან არ გამოვიტან, ნუ გეშინიათ. ერთ ქვაბს და ორ თევზს ქართულის მასწავლებელი, მარო ჯავახაძე მათხოვებს. ლამაა აგერ დგას ბუზრის თართზე, ჭა ეზოშია. არავინ და არავისთან არ მინდა! განათლების გამგეს შევეტყვი, ჩემი დეიდაშვილის შიშით, ეს შენობა რომ გადაეწვა, ხმას არ ამოიღებს. თქვენ კიდევ სახკომი და იმის მოადგილე სულ არ გადარდებთ...

— ყველაფერი გკოდნია და მე რაღას შეეითხებოდი, — ფარნა ადგა, და დაფიქრებული ფანჯარას მიუახლოვდა. გარეთ, ძველი ფიფქორეული მსხლის ტოტებზე ცერის სიმსხო ნაყოფი დარჩენილიყო. ღობესთან ტყემალს სიწითლე გადაეკრა. ამ მკვახე ნაყოფის დანახვამ, ბაკურის ჩამოსვლამ, ამ ქალის საუბარმა თუ თამბაქოს მკვარტლმა ისევ ტკბილ-მწარე ნერწყვით აუვსო პირი და ოთახიდან გამოვიდა. აივნის ბოლოში მოშენებულ დირექტორის კაბინეტს რომ ეძახდნენ, იმ მომცროს ოთახისაკენ გასწია.

პირველი ზარის დარეკვაზე კიდევ ადრე იყო.

## VII

ფარნა კაბინეტში შევიდა და კარი მიხურა.

უწესრიგობაში, რომელიც სხვას თვალში ეცემოდა და უგზოუკვლოდ დაიკარგებოდა, ამ კაცისთვის ყველაფერი თავის ადგილზე იყო. მას ხელის ერთი გაწვდენა სჭირდებოდა, ეპოვნა ის, რაც დასჭირდებოდა.

ამ მომცროს ოთახს ორი ფანჯარა ჰქონდა: ერთი სკოლის წინა ეზოს გადაჰყურებდა და მეორე, ეზოს ნახევარს ჭიშკრამდე. ყველაფერი, რაც სკოლის ცხოვრებაში ხდებოდა, მის თვალწინ ხდებოდა. არც ცირკეიძის ქალის ამბავი იყო მისთვის მოულოდნელი, თუმცა გარეგნულად გულგრილობას და უყურადღებობას იჩენდა.

სოფელს თავისი დამაქცევარი და ამშენებელი ჰყავს ისე, როგორც ქვეყანას და ვიღაცა პატრონობს (აქვს თუ არა ამის თავი, მაინც). როგორც კი ჩვეულებრივი კაცი, შენი მეზობლის, ხელში ძალაუფლება გადადის, ის კაცი ის აღარაა, რაც შენ გახსოვს კი არა, რაც თვითონაც ეგონა, ვიყავით. ასეთ დროს, ადამიანი რაც უფრო გონებაშეზღუდულია, უკეთესია. ჭკვიანი ამ უფლებებს, თუ ბრძენი არაა, შესაფერისად მიიჩნევს და მთლად სათავისოდ გამოიყენებს. კანონს ბევრი მხარე აქვს და ვინც გონებაგახსნილია, ვისაც ის ხელში უჭირავს, იმდენ მეტს ამოიკითხავს.

სოფლაბჟოს ყოფილი თავმჯდომარე თავის დროზე ადგენდა შავსიელთა და საეკეო პირთა ნუსხებს, აგროვებდა ანონიმურ წერილებს თუ თვითონ თხზავდა. ლუკა იქ, რაიონში იჯდა და რაკი ბარბაქაძეზე წაუღებ არ იცნობდა იმათ. ვისაც დასჯა ელოდა, სპობდა ცილისწამებას, დარწმუნებული, რომ სამ...-იანად იქცეოდა. ამას გარდა, თუ...-ნი მართლა მთავრობის ძვირს



ამბობდა, ან ეჭვობდა, ამით ქვეყნის ძირის გამოთხრას კი არ აპირებდა — ბჭობდა. ბჭობა ხომ პირში წყლის დაგუბებას და ყველაფერზე თანხმობას არ ნიშნავს. მაგრამ ბარბაქაძე არ იყო ჭკუანადრძობი და არც ისე თავმდაბალი, ამ ოთხი სოფლის თავკაცობა ლეთის წყალობად მიეჩნია. რაიონში ათასობით სოფელი შედის და ოთხ ცხვარს მთელი ფარა რომ სჯობს, იცოდა.

ახლა ეს ძველი ამბავია. ლუკას შარში გახვევამ ბარბაქაძეს ის ოთხი ცხვარიც ხელიდან გამოაცალა. ახალი თავმჯდომარე კი მორჩილი კაცია, მაგრამ კაცია და რამაც მისი წინამორბედი დალუპა, იმას არ გაიმეორებს — ფარას ხელს ვერ წაუპოტინებს, მაგრამ რაც ხელში ჰყავს და რამდენადაც კანონს სათავესოდ წაიკითხავს, იმდენად გულდავულ გაკრეჭას მოუწოდოვებს. მართალია, ომია მაგრამ ჭამა-სმა და ქალის სიყვარული დანაშაულად არ ითვლება. გადასახადების აკრეფაში შეღავათები სწერია, მაგრამ მაინცდამაინც პეტრეს ან ივანეს გაუწიეთ შეღავათით, სახელში და გვარი კი არასადა ნახსენები. მუშა მოსახლეზე ორი ურემი უნდა მოიჭრას, ასე დაადგინა საბჭომ, მაგრამ ზოგიერთმა რომ ოთხი და ხუთი მოჭრას დეროდერად ხომ ვერ დაუთვლი, თუ მეტყვევს რაიმე „შეეშალა“. სიმინდი მოიტანეს, მოსავალი სახელმწიფოს ჩაბარდა. რაც დარჩა, ბედლებში ჩაიყარა, ნედლი წონა. დაილუპა საკონტროლო ვოდორი. მოსავალს ხან დარბანში იღებენ, ხან ავღარში, ყანა ზოგი ნადრევეია და ტარო ხმელია, ზოგი ნავიანევი და ნაყოფი ღაჭე. თუ სინდისი მაინცდამაინც ყელში ხელს არ გიჭერს და საკონტროლოდ საშუალო არ გამოიყვანე... (საშუალო რომ მოინდომო, ძნელიცაა), აიღო იმ კაცმა ნესტიანი სიმინდი, შენი თვალის წინ ჩაყარა ვოდორში, გადაუკრა თავი, დაასხა ლუქი და დააკრა ბეჭედი, დეკემბერში ასევე კომისიის თანდასწრებით გახსნა: ერთი მარცვალი არ აკლია, რაც შეიხმო, აგერ კომისია, აგერ საწყობის გამგე და

თავმჯდომარე. მერე კი ვის შრომადღე აქვს გამომეშავებული და რა ერგება, დადექი საწყობის ჭიშკართან და თვალიე...

კოლმეურნეობას ურთიერთდამხმარე სალაროც აქვს. ამისათვის გამოყოფილია ფონდი, მაგრამ დახმარების წესებში არ წერია ივანეს პეტრეზე მეტად უჭირს და ივანემ მიიღოსო. ომია, ახლა ყველას უჭირს, ყველა ოჯახს ჰყავს წითელარმიელი. ყველას რომ დაეხმარო, ამის საშუალება არაა. თითო-ორილას ამორჩევას დიდი სინდისი და საკუთარი რკინის კანონი სჭირდება...

სკოლის ეზოს ჭიშკარი მეოთხე კლასელმა გოგონებმა შემოადღეს.

ეს ბავშვები ყველაზე შორს ცხოვრობენ და ყველაზე ადრე მოდიან. ვინც კარის ყურეში ცხოვრობს, ისინი აგვიანებენ... ასეა ყველგან და ყველაფერში, რაზეც ხელი იოლად მიგიწვდება, უფრო იოლად გაგიძვრება ხელიდან ხოლმე. პროფესორის შვილები უფრო ცუდად სწავლობენ, ვინემ უბირო დემამის შთამომავალი...

ჭიშკარს ართიმეტის მასწავლებელი პლატონ ემგვერადე მოასკდა.

— ასეც ველოდი, — გაიფიქრა ფარნამ, — არ ვინდა ახლა მაგის დაჭერება, რომ ხვალ გერმანელები აქ არ მოგვადგებიან? ე, გაზეთს მოაფრიალებს და თავქუდმოვლენილი გამოიბის... საცაა პეტრე ჯოლაძეც გამოჩნდება... ისე იმ ოჯახდაქცეული „ლემენცის“ არ მეშინია, როგორც ამათი...

პატარა ამ ზამთარს მოვითქვი სული და ახლა ისეც აიდგა ფეხი იმ ჩემი ცოდვით საცხემ... რით ვინდა ამათ რომ გული საგულეს ჩაუბრუნო“.

ემგვერადემ მელოტი თავი პირდაპირ დირექტორის კაბინეტის კარს შვლიდა და პირზე დორბლმომდგარმა ყავისფერი, ხმოს ტყავივით გახრივინებული გაზეთი მაგიდაზე მოისროლა.

— დავიღუპეთ, ფარნა! მოდის... ისევ მოდის, კაცო!.. რაა, რომ ვერაფერი ავაგებს!

— დაბრძანდი პლატონ, მოიბრუნე სული...

— დავჯდე კაცო?! დავჯდე თუ გავიქცე? მაგრამ სად გავიქცე, ლტოლვილებით საესეა სადგურები... — პლატონმა ღიღზე თასმით მიბმული სათვალე ცხვირზე წამოისკუბა და თალხ ჭაღალდზე ძლივს გასარჩევ საინფორმაციო ბიუროს ვანცხადებებს კოტიტა თითი ატაკა, კინალამ შიგ გაუყარა, — ნახე, ნახე კაცო, რამდენი დასახლებული პუნქტი დავტოვეთ! ესაა, რომ იძახოდი, დამთავრდა პიტლერის პარპაშო?

— პლატონ, მე ის კი არ მითქვამს, მტერი ამ გაზაფხულზე ქუდს დაიხურავს და...

— ფარნა, მოიცა კაცო, მე მტერი კი არა ვარ, გული მტკივა, გაზეთიც ვიცი რაა და პროპაგანდაც ვიცი რას ნიშნავს...

— მე პროპაგანდას არ ვიწვევ, პლატონ. მე გეუბნები, რაც მჯერა, რაც ისტორიის გაკვეთილებიდან ვიცი.

— ეს ისტორია მარტო მე და შენ ვიცით და ამ ფილოსოფოსმა, გერმანელებმა არაფერი იციან?

— რა ჰქნან, რომ იციან.

— ბიჭო! იციან წასულია მათი საქმე და მაინც აქეთ გამოიბიან?! ფარნა, მეც ეს მინდა, ეს მინდა რომ დაიქცეს და დაიშოს მაგ ფაშისტების სახლი და კარი, მაგრამ აგერ რომ მომადგა კარზე, რა გქნა?

— პლატონ, აბა შენ თვითონ ივარაუდებ, პიტლერს რომ ამ ომის მოგების ძალა შესწევდეს...

— კაცო, ნახევარი ქვეყანა ხელში აქვს... ა, ბატონო, რუკა, თუ ჩემი არ გჯერა! — პლატონი მაგიდას გამოედო და კინალამ კედელთან მიიტანა, სადაც ევროპის ფიზიკური რუკა იყო ჩამოკიდებული.

— ვიცი, ვხედავ, მაგრამ გეგმა... გეგმით რა ჰქონდა იმ წყევულს ნავარაუდები?

— რა ვიცი, კაცო, მისი გეგმა... მარა გეგმით დამაქცევს თუ უგეგმოდ, ხომ მაქცევს და...

— ის, რაც გერმანულმა კომუნისტურმა ჰქონდა გამოანგარიშებული, ჩაიფუშა.

— ეს კი, მაგრამ... ე, კაცო, პეტრე! სადა ხარ ამდენ ხანს? — რუკიდან ეძგვერაძე ფანჯარას მიასკდა, — გამოადგი ფეხს!

ქოლაძემ, შემოსვლისთანავე, ძაფეზად ქვეული ქული მოიშვლია კართან და დამხვდურთ საფეთქლებიდან წაღებული, აბრეშუმის ძაფივით მბრწყინავი, მელოტზე დაწებებული ორი ღერი ქერა თმისანი თავი დაუქრა.

— მოდი ბიჭო აქ და მოიტანე მაგ გაზეთი! იქნება მანდ სხვაგვარად სწერია.

პეტრემ სიგრძეზე გაკეცილი გაზეთი გულისჯიბიდან ამოაძვრინა, გაკვეთილის უტოდინარ მოსწავლესავით ჩაანერდა, ვითომ ზეირიანად ჯერ ანბანიც არ სცოდნოდეს...

— ვიცი, მეც ვიცი... — არ აცალა ფარნამ კითხვის დაწეება.

— იმე! თუ იცის პლატონ, რალისთვის?... — პეტრემ გაზეთი ისევ სათუთად წაიღო გულისჯიბისაკენ.

— პეტრე! გაიგე შე ოჯახქორო, მე მასწავლებელი ვარ, ჩემზეა შემოჩერებული სოფელი. კი ვიძახი, გამარჯვება ჩვენ დავჯრჩებამეთქი, მაგრამ როგორაო, რომ მეკითხება ის კაცი... მოიტა მაგ გაზეთი აქ! — ეცა ეძგვერაძე და კობხად გაკეცილი მუყაო ჯიბიდან ამოგლიჯა.

— პლატონ, ახლა ასე როგორ... ასე როგორ...

— როგორ და აი ასე! — პლატონმა გაზეთზე კოტიტა თითი დაუდო, ქოლაძეს წითელ ცხვირთან მიუტანა, — აი ასე დამიდებს თითს ის შენი... ჩემი მუზობელი და მეკითხება, აქეთ მოდის ლემენცი თუ იქით.

— ჰოო, თუ მაგას იზამს... მაგრამ იქნებ არ ჰქნას! — იმედი გაუჩინა ქოლაძემ.

— რატომ არ იზამს, რა დაუშლის.

— მასწავლებელი კაცი ხარ... ხათრს დაიდებს.

— მერე, ხათრს მიშველის?! მე გი-

დებ შენ და ფარნას აგერ თითს და გეკითხებით...

— მე რაღა, შენზე მეტი ვიცი რაზე თუ? — გაუკვირდა ჭოლაძეს.

— ბიჭო, რომ მაყვირებ, გამარჯვება ჩვენ დავგვრჩებო...

— პლატონ, პლატონ! ბავშვებია ეზოში, ნუ ყვირი, შე კაცო! — გააფრთხილა ფარნამ.

— არ ვყვირი, ბატონო, ა, აგერ ვკდები... — სკამზე მოწყვეტით დავარდა და ჩურჩულით გააგრძელა, — ხმადაბლა გეკითხებით, რა ვუპასუხო ანდრია ჭურხაძეს?

— არ იზამს მაგას ანდრია ჭურხაძე, წყნარი გლახია, მორიდებული, — სკადა კოლეგის დამშვიდება ჭოლაძემ.

— ჰქნა, ბიჭო, და რა ვუთხრა?

— პლატონ! მომისმინე!

— ვიცი ფარნა, მოსკოვი ვერ აიღო, ლენინგრადი ვერ აიღო... არ უნდა, ბატონო, ეს შენი მოსკოვი, აგერ, იშვირა ფეხი და ჩემსკენ მობრბის!

— პლატონ, პლატონ!.. — შეაჩერა ჭოლაძემ და კარიდან ერთი ნაბიჯიც კი გადმოდგა, — მაგას ნუ იტყვი მოსკოვი არ უნდაო. მე ვიცი, ძალიან გულით უნდოდა...

— გავიგე ბიჭო, უნდოდა! მიეაყარეთ თუ რაიმე გავგანხნა და არ დავანებეთ!

— პლატონ, ესე იგი შეგვძლებია არ დავანებოთ! — ჩაერია ფარნა. ეძვევრამდენს ჭინთა თუთუნი გაუწოდა.

— კარგი, მაგრამ ერთი ქალაქი გვიშველის კაცო?

— ლენინგრადი? — საეჭვოდ იკითხა ჭოლაძემ.

— შიმშილით წყდება... ჩიტი კურკანტელას ვერ შეიტანს.

— ჰოო, ჩიტს გაუჭირდება... — დაყაბულდა ისედაც ყაბული ჭოლაძე.

— და რა ჰქნა ახლა...

— რა ჰქნა და მიწიე ტუჩი ფარნასაკენ და მოგიკიდებს მაგ პაპიროსს! — დაარჩია ჭოლაძემ.

— პაპიროსის და თუთუნის დარდი მაქვს ახლა მე?

მეზობელ სამასწავლებლებს ვაძლეს და ფეხის ხმა მოისმა.

— ა, ჩუმად ვარ, მაგრამ წერაკითხვა დღეს ყველამ იცის.

— პლატონ, წერაკითხვა რომ იცის, ისტორია არ იცის.

— რა წერია, თუ კაცი ხარ, ამ ისტორიაში იმისთანა, რომ მარტო შენ იცი და მე და ჭოლაძემ ვერ ამოვიკითხეთ.

— ნაპოლეონმა მოსკოვი გადაწვა, ეს ყველამ ვიცით.

— კიდევ უარესი. ის ცეცხლმოკიდებული არ წვავს მოსკოვს. რა გავიგოთ ამით?

— ის, რომ ეს ეფერეიტორი იმ კორსიკელზე მეტს ვერ წაიღებს რუსეთიდან. — ფარნა დაეკვდა. ასეთი გაკვეთილი ეძვევრამდენს და ჭოლაძეს ვერ დაამედებდა და რაკი პირველი ზარი დაირტყა და სწავლის დაწყებამდე ნახევარი საათი რჩებოდა, განაგრძო: — გითხრათ სიმართლე?

— ჰო, ფარნა, მე სიმართლე მინდა... — ამოიკვნესა ფარხმალდაყრილმა ეძვევრამდენს.

— შენ და ჭურხაძეს! — დაუზუსტა ჭოლაძემ.

— თავიდან, როცა ყველაფერი მართლა ისე მიდიოდა მეგონა, როგორც პიტლერი ვარაუდობდა, მართლა მეშინოდა. ახლა ეს, მე რომ მკითხოთ... ჭინდაობა რომ იცოდნენ ჩვენში ბიჭებმა, გასსოვთ? ერთი რომ ორ-სამს ბეჭებზე დადებდა და გულმოცემული, გაფიცებული წრეში ბლევრას დაიწყებდა...

— საწყალი, იმ ანდრიეს ბიჭმა იცოდა, ნოშრეგანმა... დაილუპა მგონი, უბედური... — თვალეზზე კურცხალი მოადგა ჭოლაძეს.

— მერე ყველას იწვევდა, თუ ვინდათ ორ-ორი გამოლითო, და რომ შეხვდებოდა ვინმე მასზე ღონიერი, დეტაკებოდნენ...

— კი, მასსოვს, მიშა კეთილადეს რომ ვერაფერი დააკლო, კისერი რომ ვერ მოუგრიხა, ფეხში ეცა.

— აგერ, პლატონ, პეტრეს თავისი

თვალთ ჰქონია ნანახი ჩვენს სოფელში, ჰკითხე და მოგიყვება...

ფარნამ მაგიდას მოუარა და მასწავლებლებს აივანზე გამოუძღვა.

— შენ საით, ცირეკიძის ქალო, შენ საით, ცუგრუმელა? — უღვამის ბოლოზე ხელი წაივლო ეძვევრაძემ.

ნაწყენმა რუსულის მასწავლებელმა ენაზე მომდგარი უკმეზი პასუხი კბილებით დაიჭირა, მაგრამ მთლად უთქმევლობაც ვერ შეძლო:

— რატომ ვარ ცუგრუმელა, ბატონო პლატონ?

ეძვევრაძე დაიბნა, ეგონა, ახალგაზრდა მასწავლებელს ქათინაური ვუთხარით, და ქარაგმა კი გამოუვიდა.

— ჰე, პლატონ, გეკითხება ეს მანდილოსანი და გაცი პასუხი, — ორაზროვნად ჩაიღიმა ჰოლაძემ და მოსვლეპილ თავზე დაწებებულ ორ ღერ თმას თითები გადაატარა.

— საქმე მაქვს თქვენთან, — ქალი კარის ზღურბლთან შეჩერებულ დირექტორს მიუბრუნდა.

— ჩვენ გისმენთ. — ფარნა ეძვევრაძის და ჰოლაძის სახელითაც ვაუბასუხა.

— დღეს მეოთხე კლასში სუფთა წერა მაქვს. ვიცი, რვეული, წიგნი, მეღანე, ცარცი... ყველაფერი ჰირს, არაფერს არ ვთხოვლობ. მომეცით ძველი, შარშანწინდელი საკლასო რვეულები, იქ თავისუფალი გვერდები იქნება დარჩენილი, ამოვხვე და ბავშვებს თითოთითო ფურცელს დავურიგებ.

— ყოჩად ცირეკიძის ქალო, ყოჩად! — წამოიყვინა ეძვევრაძემ, — ფარნა და პეტრე, დარწმუნებული ვარ ჩვენ მტერი ვერაფერს დაგვაკლებს!.. — წელანდელ ქათინაურს ახსნა ვუპოვეო, პლატონი ცას ეწია და თავი სამასწავლებლოს ღია კარში დღრთა.

— მაგრამ ცუგრუმელა?! — იკითხა ჰოლაძემ, თუ ამ სამასწავლო ნივთების უქონლობის ეამს ამ ქალის „აღმოჩენა“ ჰკვიანურია, ცუგრუმელობა მანაც გაუგებარიაო, და თვითონაც წასვლა დააკირა.

— მოითმინეთ! — შეაჩერა ქალმა, —

ბატონო ფარნა, აგერაა სამსწავლო წილის გამგე და ორივეს გიცხადებთ, მე არც ამ სკოლიდან წავალ და არც ევეგენი ჩიქიას ოჯახში დაებრუნდები! — შებრუნდა და ეძვევრაძეზე არანაკლებ ჩიქტურ გასწია სამასწავლებლოსკენ.

ჰოლაძემ მხრები აიჩეჩა.

— აქ, სკოლის შენობაში უნდა გამოუყუთ ოთახი საცხოვრებლად. — აუხსნა ფარნამ სამასწავლო ნაწილის გამგეს.

— ბიბლიოთეკა ერთი კარადა წიგნების მეტი შიგ არაფერია... — ამოთქვა სული ჰოლაძემ. ის აღარა თქვა, ბიბლიოთეკარიც ვიწოვეთო.

## VIII

ფარნას ისტორიის გაცვეთილის გეგმა წინ ედო, მაგრამ როგორ დაეწერა ორი სიტყვით ის, რაზეც შეიძლებოდა ნახევარი საათი ელაპარაკა და იქნებ სულ არ ეთქვა მოსწავლეებისათვის, რასაც აქ, გეგმაში ჩანიშნავდა.

„პლატონ ეძვევრაძის კითხვა, მართლაც რომ მთელი სოფლის და ქვეყნის შეკითხვაა. ვუპასუხე ის, რასაც ალბათ თვითონ პლატონი მეტყობდა, თუ მე მოვთხოვდი ამ ძნელებლობის ახსნა მოეცა. ეს ადამიანთა ურთიერთობის, თუ უბრალოდ საწინააღმდეგოს მტკიცების ავი ჩვეულების გამო, არ ეთანხმები; იქნებ კეთილი განზრახვითაც, რომ ის უბედურებაა, რომელსაც ორივე ხედავთ, გებრალემა დაწვარი და მდულარის დასხმას ვრიღებთ“.

მაგრამ ფარნას ვუშანით, წინათგრძნობით თუ ისტორიულად მსოფლიო ბატონობის ყველა ცდის კრახის ცოდნით სჯეროდა რასაც ამბობდა. სჯეროდა თუნდაც იმის გამო, რომ ის ბიჭუნა, აგერ ეზოში, გაქვილ შარვლის ჩიბეში, რალაცას ეძებს, მეორეს რომ ყვითელი შუშის ნატეხში გაუცვალოს; ან ეს პირდაპირი გოგუცანა, ასკინკილა რომ დარბის და გულით და სულით უნდა მეორეს, ნაწნავიან გოგონას კლასობანას თამაში მოუგოს,

არის ის ომი, რაც ახლა მთელ ქვეყანაზე მიმდინარეობს. იმ ბიჭის მამის წერილები დიდხანია შეწყდა, მაგრამ იმ ლამაზი შუშის ხელში ჩაგდებას მაცდუნებელი სურვილი ისევ აქვს, როგორც შარშან და შარშანწინ ჰქონდა. ამ გოგუცანას კი, რიყის ბრტყელ ქვას რომ უბალახო მიწაზე დახაზულ, მეტუთე უკრას უმიზნებს და სროლა ვერ გადაუწყვეტია, ეშინია არ დააცილოს და თამაში არ წაეგოს, მამაც დაეღუპა და ბიძაც. იგი მამისა და ბიძის წაგებულ თამაშს აგრძელებს, ესე იგი, მამა და ბიძა ისევ იბრძვიან.

იბრძვის რუსულის მასწავლებელი ქალიც, რომელიც ძველი რევულებიდან ამოხეულ ფურცლებში ამირებს დღეს სუფთა წერის ჩატარებას, ეძვევრამე ეძებს იმედს და ცირკეიძეს ავლუიანებს, რომ ის არ დანებდა მტერს და სუფთა წერა არ ჩაშალა. კოლაძემ უპატრონოდ მიტოვებულ ციციქნა ბიბლიოთეკას პატრონი გაუჩინა, თუ მოსწავლეს საკითხავი დრო ექნება, როცა უნდა, საღამოც რომ იყოს, წიგნს წაიღებს.

ბაკურს ომი და ადამიანთა ქლეტა იმ ყვითელი, ბრჭყვიალა შუშის ხელში ჩაგდებას სურვილად მიიჩნია და მათი მოთავეები იმ მესამე კლასელ ბიჭივით უფუნტრებად, მაგრამ იმ მოთავემაც იცის თავისი ვასკირია. იმათ, ვისი ხელითაც ამირებს იმ მაცდუნებელი მინის ხელში ჩაგდებას, ასევე მაცდუნებელ ბრჭყვიალა სათამაშოს ჰპირდება, რაკი იცის ადამიანის ხარბი ბუნება.

ბაკურს ჰგონია, ამ ორომტრიალს ვინმე, მასზე ძლიერი ძალა — მოსეირე აწყობს და ერთობა, რაკი თავის თავში ღრმად არ ჩაუხედავს და არ იცის, რომ თვით მასშია ის „მოსეირე“, რომელიც მას ჰგონია ზეცაში ზის ან ღრუბლების ქულეებზე წამოწოლილი სცენას ზევიდან დასტკერის.

„შემჩნეული მქონდა, ბაკურს ბარბაქაძის მართლაც სათნო გოგო მოსწონდა. ერთგვარად უყვარდა კიდევ, თუ სიყვარული დაერქმეოდა სკოლის მერბ-

ზე დაწყებული მეგობრობის წესდების დარღვევას. მე ამას ვგრძნობდი, ბაკურის იმ გოგოსადმი განსაკუთრებული კრძალვით, და ვამჩნევდი, რაკი ისინი ერთმანეთს არ ამჩნევდნენ, მუდამ რაღაცის დაფარვას ცდილობდნენ, მაგრამ ბაკურის კინწურაშვილებიდან ჯარში მოხალისედ წასვლა და რაც მე ესტატემ მიამბო, „მთვრალი“ ბიჭის „უაზრო“ ყვირილი და დაეიდარაბა, „ომი“ ხომ არ იყო? როცა მან მოგვიანებით შეიტყო, რომ ბიძამისს, ლუკას, ბარბაქაძემ უმეტრო, ბაკურმა „ომი“ გამოუცხადა „დამნაშავე“ გოგოს, თავისი ჭკუით, კაცისაგან კაცის გაუტანლობას, ცილისწამებას და დასმენას, და რაკი ვერ ეღევა კიოკაციობის ბრჭყვიალა შუშას, იცის, ჩვენი და ბარბაქაძეების დამოყვრება არ მოხერხდება. ვარბის ვადამთიელის ბოროტების წინააღმდეგ და თოფს იღებს ხელში... ამ მრუდე წუთისოფლის ერთი გასროლით გასწორება არც იქ ხერხდება და ერთი წლის შემდეგ ბრუნდება, მართალი კაცი, თვითონ დაჭრილი და დამარცხებული.

ახლა მას არ შეუძლია დედამისის გუთავებელ წუწუნს და კითხვა-პასუხს უსმინოს, ან ჩემთან და ლუკასთან ახსნას ის, რაც თავისი თვლით ნახა და თავის ტყავზე იწვინა. ჩემს მყუდრო, უკანა აივნის ბოლოში შეფიცრულ ოთახში უნდა ჩაიკეტოს და ეჭიოს იმის პასუხი, თუ რატომ ვვიყვარს ის ბრჭყვიალა, ყვითელი შუშის ნატეხი. ისე, როგორც მე შემიძლია გავიდე და იმ ბოჭორიშვილის ბიჭს ვკითხო, რაში სჭირდება ის შუშა, ასე გულით რომ ეძებს ჩიბებში თავწაბრტყელებულ ლურსმნებს და კაცის ნატეხებს, რომ გაცვალოს. თუ გაბედული გამოდგა, მეტყვის: „მამს“, შიგ რომ გავიხედავ, ლამაზად ჩანსო“, ასეცაა, გამარჯვებული კაცის დანახულ ქვეყანას ჰგავს. სინამდვილეში კი არაფერი იცვლება. ქვეყანა ისაა, რაც იყო. ტყუილა კი არ მოხდა, რომ პოეტებმა დაკრეს ფეხი და ზეცას მიამურეს.

მასხოვს, ჩემს ბავშვობაში, დედაჩემ-

მა მეზობლისაგან სარკე ინათხოვრა. არ მახსოვს, ჩვენი დაგვეკარგა თუ გავვიტყადა. დედაჩემს შეშინებულის შესალოცად სჭირდებოდა სარკე, ნახშირი და დანა. ის ნანათხოვრები მერე დედამ უკან მე გაშატანა, მეზობლის მაღალ ალაგზე რომ გადამქონდა, იქიდან ძალი შემომახტა. კბენით არ მიკბენდა, მიცნობდა, მაგრამ ჩემი დამემართა და სარკე დავამსხვრეე. დედაჩემმა შემოიყრა თავში ხელი, მაგრამ ბებია ცოცხალი იყო და რა მოხდა, ერთი ციდა სარკეს ვერ გადავიხდითო? უფრო დიდი, მტკავლიანი, ახალი გავუგზავნეთ (მე აღარ მენდნენ, ლუკამ წაუღო). გადაირია საწყალი (რიფსიმე ერქვა): საიდანაც გინდათ ჩემი სარკე გაშიჩინეთო, თურმე თავისი მაქებარი ყოფილა, ცოტას ადიდებდა თურმე და ცოტა უფრო ნათელი და ღია ფერებით აჩვენებდა სინამდვილეს. ჩვენს მიტანილ სარკეში რომ რიფსიმემ თავისი თავი დაინახა, არ მოეწონა.

— რა ჯანდაბამ მომაგონა ახლა ცხონებული რიფსიმე და მისი სარკე, — ამოილაპარაკა ფარნამ, მაგრამ თითქოს

იციოდა კიდევ რისთვისაც მოაგონდა. აღმაინს რომ უყვარს განდიდება, თუ იმაზე უკეთესად მოაჩვენოს ქვეყანას თავი, ვინმემ თვითონაა...

მაგრამ ახლა, ორიოდ სიტყვა უნდა არ უნდოდა, გაკვეთილის გეგმაში უნდა ჩაეწერა და ამ გზაუკველველ ტენის ქყლუტისაგან თავი დაეღწია. მერე კი ისევ ცხრილი გადაეთვალიერებინა, იქნებ გადაეადგილებინა რაიმე, რომ როგორმე გაკვეთილები არ გასცდნოდათ. ნაშუადღევს კი კლასის ხელმძღვანელებისაგან სკოლიდან განთესილი ბავშვების სია ამოეწერა და სოფელში კარდაკარ ევლო.

უჭირს უკაცო სოფელს, და თუ ქალი სუსტი, სნეული ან უთაურია, მაშინვე შეიღს ჩამოეკიდება კისერზე, რომ მძიმე ცხოვრების უღელი შეიმსუბუქოს. დედას ეშინია, შეიღები შიმშილით არ დამეხოცონო და სწავლას და თამაშს არ დაგიღევს. ბავშვი კი კარგავს ბავშვობას, რასაც მერე ვერც მამა, ვერც სიმამლრე და ვერც გამარჯვება ვერ დაუბრუნებს.

## ს ა გ ა ზ ა უ ხ უ რ ლ

დღე გათენდა, როგორც წესი,  
გლეხი კაცი დადგა ფეხზე  
და ჭინჭველიც ეძებს სარჩოს;

დედა-ენის კობტა ლექსებს  
იზეპირებს ბიჭი-სესე,  
აპრილის შვსს გაუმარჯოს!

მზეზე ბოლავს ჩემი ფაცხა,  
ამ, თითქოს კიდევ დაცხა,  
რას ბუზღუნებს, ნეტა, ბები?

უსმენს ცეცხლი ქვაბის კვარჩხალს,  
ბაბუმ ყანა გადაფარცხა,  
გუგუნებენ დიდი მთები-

ღობეს საზღვრავს ჭრილი თუთა,  
და ცა არის ისე სუფთა,  
ვით დაიას ფიჭვი ძმაზე;

და წინაპრებს როგორც უთქვამთ,  
შენ ხარ შენი ქვეყნის სუნთქვა,  
შენც მამულის ვალი გაწევს.

თხებს მირეკავს ხეივა-ბიჭი,  
ბუნებრივი რამე ნიჭით  
მამლაყინწა ყივის მჭახედ;

აწ არა გვაქვს თურქის შიში,  
არ გაისმის ვაი-ვიში,  
ვერ დაგვიდგამს მტერი მახეს.

მაცხოვრის კარს შუქი ამკობს,  
დღეა, რაღაც საარაკო,  
და ფოთოლიც ენას იდგამს,

და ცისა და მიწის ამბავს,  
მზის შუქი და სხივი ლამბავს,  
მე კი — არაფერი მითქვამს!

## ტ ო ბ ა ვ ა რ ი ხ ი ლ ი

ვერცხლის ტბა ტყის უღრანში

ქალაქელია ვერცხლის ტბა თითქოს,  
ინტელიგენტი, წასული ტყეში,  
ზის ტყის ნაპირას და ჩუმად ფიჭრობს,  
და მინდვრის ვარდი უჭირავს ხელში.

მზე როცა ჩაგა, მოიწყენს იგი,  
და ტყის მოსასხამს შემციენულ მხრებზე

წამოიხურავს, გაჰყვება ფიჭრებს  
და სიზმარ-ცხადში გარდასულს ეძებს.

დიდიბანია, რაც გაჩნდა ქვეყნად,  
დიდიბანია, რაც არის მარტო;  
როსმე კი — წყარო იყო და ჩქეფდა  
და მისი იყო ქვეყანა ფართო!

## ფ შ ა ვ შ ი

მე ფშავში ჩავედი ისევ,  
 მწვანეა შტოები ხეთა,  
 მაშინ კი — ზამთარი იდგა  
 და კაცი სახურავს ხვეტდა.

მე ორგზის ვიყავი ფშავში და  
 ორმაგად ვინანი დღემდე,  
 რომ ლექსი ვუძღვენი ამ კუთხეს  
 ვაჭა-ფშაველას შემდეგ!

## ს ბ უ მ რ შ უ ა უ ს რ ო შ ი

უცებ გამეღვიძა მძინარეს,  
 ლოგინი მეჩვენა ცივი,  
 იქ, საჩემელს ამოკრულ ქაღალდში  
 სინათლის ნამცეცი ჭვივის.

ღამეა უკუნი, გვიანი...  
 თოვლმა თუ დამიფრთხო ძილი, —  
 იქ, კართან ჭრიალებს ხეხილი,  
 ჭრიალებს, და თითქოს ტირის.

## ხ ე ვ ს უ რ ე თ შ ი

ღამეა. ჩქაფუნებს არაგვი,  
 და ტაფობს აშუქებს მთვარე;  
 მე ბარისახოდან გავცქერი  
 ამ სიზმრის მთებსა და ჭალებს.

გულს მიფორიაქებს წარსული,  
 მომავალს გავცქერი მდურვით;  
 რომელი კუთხეა — მიწაზე  
 ასე რომ მოგიწვას გული!

## მ პ ი რ ა მ რ ე მ ს ხ ე ლ ო ბ ა ს

წელს სოფელში ვიყავი და ბალახი ავცვლე,  
 მაგრამ სამაგიეროდ ვერაფერი დაეწერე!

თევზი მოჰყვა დიდძალი ჩემს ჩაგებულ ფაცერებს,  
 მაგრამ სამაგიეროდ ვერაფერი დაეწერე!

გლეხებს ველაპარაკე, შეგებულება გავწელე,  
 მაგრამ სამაგიეროდ, ვერაფერი დაეწერე!

ეზოს ღობე მოგავლე, მტერი — გავანაწევნე,  
 მაგრამ სამაგიეროდ ვერაფერი დაეწერე!

ეს კი მაინც გავიგე, რა ყოფილა მთავარი, —  
 კაცი ლექსს უკირვიტებს, როცა საქმე არ არის!

## შ ე ე ო ღ გ ო მ ა

შემოდგომაა საქართველოში,  
და სიგრილეა უკვე ჩეროში,  
მზეზე დაფრინავს მწერი-

გულს აბალისებს ვაზის შემოსვლა,  
ისმის სიმღერა გარეშემოში,  
ფერი ირევა ტრელი!

მწიფეა ხილი, ღუის მალღარი,  
გადაბრიალდა ირგვლივ ბაღნარი,  
ყანა სატეხი არის,

მოსავალს კაცი როცა დაჰხარის,  
წითლად ბრიალებს ბოსტნით ტარბალი,  
მარნის ტრიალებს კარი.

ბაგეს იპობენ ბროწეულები,  
მიზოზინებენ სავსე ურმები,  
შტოზე წკრიალებს ჩიტი.

ღობის მახლობლად დგანან ხურმები,  
მხიარულობენ ჩვენებურები  
ლიხის აქეთ და იქით.

კვამი გადადის ღობეს საწილოს,  
მაგრამ არაა კითხვა საჭირო,  
ასე რად უდევს თავი.

ღმერთმა გვიბოძა დარი საჩინო  
და ლპობას უნდა გადავარჩინოთ  
ვაშლი, ატამი, მსხალი.

გვიცინის ციდან მანათობელი,  
შენ ხარ მეურმე, თუ ხარ შოფერი,  
ეს სულერთია ახლა:

შენ შემოგყურებს ხელში სოფელი,  
თუ ხარ დობილი, თუ ხარ ძმობილი,  
არ გამაგონო დაღლა!

მზით დაშაქრულა ვაშლი წითელი,  
ხიდან ჩამოდის სავსე გიდელი,  
მანდ, ბრიგადირო, ფრთხილად:

არ დაგეხვაროს თეთრი კიტელი,  
რომ ამოსულხარ, როგორც წიფელი  
და ჰაერს ყლაპავ ტყვილა.

გკრეფოთ ვენახი ოქროსმტევანა,  
და მოვიგონოთ დედას ლევანა,  
ლექსს მიეუმატოთ ლექსი,

იმას მოუწევს დროის ტარება,  
ვისაც გარჯა არ დაეზარება,  
სოფლის მტკიცეა წესი.

ქრიამულშია ჩემი მამული,  
გლეხის სისხლით და ოფლით ნამული,  
დღეს ზეიმია მისი.

კედელს ნახშირი, არულს — არული,  
შენ გაგვიწილე ცრუდ მოარული  
და ამოუგდე ჯიში.



იოანე ვოლფგანგ ვოეთე

## ფ ა უ ს ტ ი

### აუარგანის სარდაში ლაიფშიგში

მოქვიფანი.

ფ რ თ შ ი

რად არ იცინით და ღვინოს არ სვამთ?  
თქვენ გეუბნებით, არ გეყურებათ?  
ზიხართ ნაადრძი ყვაეების მსგავსად  
და არ გემწნევთ მხიარულება.

ბ რ ა ნ დ ე რ ი

შენი ბრალია: გვიჩვენე შერე  
რამე ღორობა ან სისულელე.

ფ რ თ შ ი

(თაფზე ასხამს ჭიქა ღვინოს)  
აჰა, ორივეს მოგართმევე ურთად!

ბ რ ა ნ დ ე რ ი

შე მართლა ღორი, როგორა ბედავ!

ფ რ თ შ ი

თვითონ არ მთხოვე, რას შედავები?

ზ ი ბ ე ლ ი

გარეთ გარკვეთ ჩხუბისთაგები  
და ყველამ ერთხმად დასძახეთ ჩქარა:  
ტრალა-ლა-ლა-ლა!

ა ლ ტ შ ა ი ე რ ი

ბამბა მომეცით, თორემ ღრიალით  
გამომაყრუა ადამიანი.

ზ ი ბ ე ლ ი

ნამდვილი ბანით მამინა ვმღერით,  
როცა ზანზარებს სარდაფის ქერი.

ფ რ ა შ ი

ნაღდად ასეა! დაფეტოვოს ჩქარა,  
ვისაც არ მოსწონს: ტრალა-ლა-ლა-ლა!

ა ლ ტ მ ა ი ე რ ი

ტრალა-ლა-ლა-ლა! რამტრალა-ლა-ლა!

ფ რ ა შ ი

აბა, ამყვეთ, რაც შეგწვეთ ძალა.

(მღერის)

წმინდა რომის იმპერია,\* დღემდე ურჩად  
რომ დგას, ნგრევას რანაირად გადაურჩა?!

ბ რ ა ნ დ ე რ ი

ფუი, რას მღერის! პოლიტიკურ სიმღერას მღერის!  
არ მესმის, როგორ უნდა იყო ასეთი შტერი!  
ის არა სჯობდა, უფლისათვის მადლობა გეთქვათ,  
რომ არ გჭირდებათ ტახტზე ზრუნვა და თავის ხეთქვა.  
თუ დამოჯერებთ, გუებნებით სრულიად მართალს:  
ბედნიერი ვარ, იმპერიას მე რომ არ ვმართავ.  
მაგრამ სუფრას კი ხელმძღვანელი უნდა და მოდით  
ამოვირჩიოთ პაპი საქმის ნამდვილი ცოდნით.  
ამ რანგში ვისაც ავიყვანთ ჩვენ, თქვენც კარგად გესმით,  
რა ღირსებებიც უნდა ჰქონდეს, თანახმად წესის.\*\*

ფ რ ა შ ი

(მღერის)

ბულბულო, ჩემო ბულბულო,  
დამატებობელო ყურისა,  
ათი ათასი სალამი  
წაუღე სატრფოს გულისას!

ზ ი ბ ე ლ ი

არავითარი ბულბული და სატრფო გულისა!

ფ რ ა შ ი

არ მესმის, ასე ნეტავი რამ გაგაგულისა?!

(მღერის.)

\* წმინდა რომის იმპერია — ავსტრიის მეფეობით ერთ იმპერიად გავრთია.  
ნებელი გერმანული სახელმწიფოები (962 — 1806).

\*\* სუფრის ხელმძღვანელად „პაპის“ არჩევას ცერემონიალი ვაერცვლებული იყო ვაე-  
ლა გეროპულ ქვეყანაში. პაპობის კანდიდატს, თანახმად წესისა, სქესს უსინჯავდნენ, რაც  
აღბათ დაევიწროებელი იყო ლეგენდასთან ქალი-პაპის თიანას შესახებ, რომელიც შამაკიად  
გდაცმული IX საუკუნეში არჩეულ იქნა პაპად თიანე VIII-ის სახელწოდებით.

გააღე კარი! ღამეა წყნარი.  
გააღე კარი! სატრფოს არ სძინავს.  
დაკეტე კარი! თენდება დილა.

### ს ი ბ ე ლ ი

აო, იჭიკჭიკე, იჭიკჭიკე! გაივლის ხანი  
და შენს ამბავზე მე ბევრს ვიციენტ.  
სჯობს ღვინო ვსვათ და დრო ვატაროთ ქალების ჭიბრზე,  
რადგან მგათი ოინები კარგად ვიცი მე.  
დაე ჩემს სატრფოს, მატყუარას, გზაჯვარედინზე  
შეხვდეს კობოლდი\* ნაცვლად ხმატკბილ ბულბულებისა,  
ან ბებერმა თხამ, ბლოკსბერგიდან\*\* დაბრუნებულმა,  
ბინდში ვიკინით მიაძახოს „ძილი ნებისა“.  
კარგი ბიჭი კი მისთვის როდის რად ღირებულა..  
სალამს კი არა, ერთს სახეში კარგსა ვლენავდი  
და სათითაოდ ფანჯრის მინებს ჩავუღეწავდი.

### ბ რ ა ნ დ ე რ ი

(მაგიდაზე მუშტს ურტყამს)

სმენა იყოს და გაგონება! გარუმდით-მეთქი!  
დამეთანხმებით, რომ ცხოვრებას მე კარგად ვიციენტ.  
შეყვარებულნი სხედან აქ და აი რას გეტყვითა:  
მოდით და ახლა მათ აქ ჩვენი წესდების ძალით,  
ძილის წინ რამე საკადრისი პასუხი ვტკიცოთ.  
მისმინეთ! ეს მთლად ახლებური ზიმღერა არის.  
თქვენ კი ხმამაღლა ამიწყეთ ხანი!

(მღერის.)

სარდაფში ერთი ვირთსა სულ  
ქონსა და კარაქს სჭამდაო,  
ისეთი ღიპი მოიგდო,  
დოქტორ ლუთერსა\*\*\* ჰგავდაო.  
ერთხელაც მას საწამლავე  
მისცა მზარეულ ქალმაო,  
ისე აუწვა გულ-ღვიძლი,  
ვითარცა ტრფობის აღმაო,

### გ უ ნ დ ი

(მზარეულად)

ვითარცა ტრფობის აღმაო.

### ბ რ ა ნ დ ე რ ი

აუტყდა ერთი წრიალი  
და წუმბეკ ბვერი დალია,

\* კობოლდი — აქ უფშური, შაქლაქუნა.

\*\* ბლოკსბერგი — ბროკენს მთა, სადაც ხალხის რწმენით ვალბერგის ღამეს თა-  
ვიანთ ღრწობაზე მიეშურებიან თებზე ვადამსხდარი ქაეები, რომელნიც მანამდე გზაჯვარედი-  
ნებზე იყრიან თავს.

\*\*\* გერმანელი რეფორმატორი მარტინ ლუთერი (1483 — 1546) საკმაოდ მსუქანი  
და ღიბანი კაცი იყო.

ვერა და ვერ გაიგრილა  
გულსმოღებული ალია.  
სიმწრისგან მთლად ყველაფერი  
გადახრა, მაგრამ შხამმაო  
მალე თავისი დამართა,  
ვითარცა ტრფობის აღმაო!

**გუნდი**

ვითარცა ტრფობის აღმაო!

**ბრანდერი**

შუადღის გულზე საბრალო  
სამზარეულოს ეცაო  
და შემზარავი ზრიალით  
ქურასთან ჩაიკეცაო.  
მაშინლა უთხრა სიცილით  
მას მზარეულმა ქალმაო:  
„გაგკუდა ჩემმა წამალმა,  
ვითარცა ტრფობის აღმაო?!“

**გუნდი**

ვითარცა ტრფობის აღმაო!

**ზიბელი**

აი სიბრიყვე ამაზე ითქმის!  
თქვენმა მზემ, დიდი გმირობა კია  
ჩუმად მოწამელა საბრალო ვირთხის.

**ბრანდერი**

მერე ვირთხაზე რა გული გტკივა!

**ალტმაიერი**

ეს ღიპიანი მელოტი ბრიყვი  
იმის გამო სწუხს ყველაზე მეტად,  
რომ გახიებულ ვირთხაში იგი  
თავის საკუთარ ხატებას ხედავს.

შემოდინ ფაუსტი და მეფისტოფელი.

**მეფისტოფელი**

პირველ ყოვლისა მე შეგიყვან მხიარულ წრეში,  
რათა იხილო, რა ადვილად ახერხებს ჩვენში  
ზოგ-ზოგი ვინმე აი ამგვარ იოლ ცხოვრებას.  
ვერ იტყვი, რომ მათ ჰქონდეთ დიდი ჭკუა და გონება,  
მაგრამ გართობის ნიჭს საოცრად უზვად იჩენენ.  
მუდამ ერთიან ფერხულშია ჩაბმული ყველა,  
თავდავიწყებით ეძლევიან ამ ჭერქვეშ ღხენას  
და კნუტებივით თავისივე კუდეებს იჭერენ.  
ვიდრე თავები არ ასტკივათ, სხედან აქ ასე,  
ხოლო სარდაფის პატრონი კი ნისიად ასმევთ.

## ბ რ ა ნ დ ე რ ი

ჩამოსულები რომ არიან, ვერ ატყობთ განა!  
ამას ვე მათი მანერებიც მოწმობს და თანაც,  
ფფიქრობ, პირდაპირ ამ სარდაფში შემოუხვევის.

## ფ რ თ შ ი

მიტომ ვუწოდებ ჩემს ლაიფციგს პატარა პარიზს,  
რომ ის თავის მკვიდრთ გვებნს სულ სხვაგვარ პეწსა და იერს.

## ზ ი ბ ე ლ ი

ვე ორნი ვილა უნდა იყვნენ, რას ფიქრობ მაინც?

## ფ რ თ შ ი

მოიცა ცოტა! ჭიჭა ლენინოს გადაგვკრავ მათთან  
და დაწერილებით გამოცეცელავ ყველაფერ მართალს.  
ისე ამაყად კი უჭირავთ თავი, რომ იქნებ  
დიდგვაროვანი უცხოელი მგზავრებიც იყვნენ.

## ბ რ ა ნ დ ე რ ი

შარლატანები რომ არიან, თვალები არ გაქვთ!

## ა ლ ტ მ ა ი ე რ ი

შესაძლო არის.

## ფ რ თ შ ი

მე ახლავე მოგუული მაგათ!

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

## (ფაუსტს)

ეს კაცუნები სულ ვერ გრძნობენ ეშმაკის ძალას,  
პირისპირაც კი რომ აღმოჩნდნენ მასთან მარტონი.

## ფ ა უ ს ტ ი

სალამი თქვენდა, ბატონებო!

## ზ ი ბ ე ლ ი

ჩვენც გიძღვნით სალამს!

(თავისთვის, თან გვერდიდან მეფისტოფელს უკურებს.)

ოჰო, ცალ ფეხზე კოჭლობს, მგონი, ეს ვაეზბატონი\*.

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

იმედია, რომ მოგვცემთ თქვენთან დაჯდომის ნებას.  
კარგი სასმელის ნაცვლად, აქ რომ არ იშოვება,  
იქნებ თქვენ შორის ყოფნამ მაინც მოგვეგვაროს ღებნა.

\* ხალხში გავრცელებული რწმენით, ეშმაკი მას შემდეგ დაეკოჭლა, რაც ზეციდან ქოქო-ხეთში ჩაგდების დროს ცალი ფეხი მოიტება.

ა ლ ტ მ ა ი ე რ ი

გეტყობათ, დიდი ნებიური ვინმე ხართ თქვენა.

ფ რ თ შ ი

ხნანს, რიპახიდან\* იმიტომაც ასე ძალიან  
დაგაგვიანდათ, რომ იქ გახვამად იყავით მანათან.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

დღეს მის სახლს გვერდით ჩავეუარეთ, რაც მართალია,  
თუმც ამის წინათ კარგა დიდხანს შევეყოვნდით მასთან.  
სულით და გულით მოიკითხა ნათესაელები  
და სათითაოდ დაგვაბარა მათთან სალაშმი.

(თავს უკრავს ფროშს.)

ა ლ ტ მ ა ი ე რ ი

(ხმადაბლა)

მოგართვა?

ზ ი ბ ე ლ ი

დიდი გაქეჩილი ვინმე ბრძანდება!

ფ რ თ შ ი

ჰმ ყველაფერი ერთიანად ამოკშხამდება.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

თუ არა ვცდები, როცა ჩვენ აქ ჩამოვდივით,  
გარეთ მიჭექარე სიმღერის ხმა გამოდიოდა.  
გასაგებია, რომ ასეთ ჭერქვეშ  
სიმღერა უნდა ძალუმად ქვევდეს.

ფ რ თ შ ი

როგორც გეტყობათ, ვირტუოზულ ხმას უნდა ფლობდეთ.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

არა. სურვილი კი მაქვს, მაგრამ ნიჭი არ მომიდევს.

ა ლ ტ მ ა ი ე რ ი

იქნებ გვიმღეროთ!

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

სიმღერები რამდენიც გინდათ.

ზ ი ბ ე ლ ი

ოღონდ ახალი თუ გაქვთ რამე რეპერტუარში.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ჩვენ ეს-ეს არის, რაც დაგბრუნდით ესპანეთიდან,  
სადაც იციან ლვინისა და სიმღერის ფასი.  
(მღერის.)

\* რიპახი სოფელია ლაფცოვსა და ნუშხურგს შორის; რიპახელი ქანის სუ-  
ლელი კაცის სინონიზა.

ერთხელ თურმე ერთ დიდ მეფეს  
სასახლეში ჰყავდა რწყილი.

ფ რ თ შ ი

რწყილიო! მართლაც ბრწყინვალე წყვილი  
არ არის განა მეფე და რწყილი?!

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

(მღერის)

ერთხელ თურმე ერთ დიდ მეფეს  
სასახლეში ჰყავდა რწყილი  
და ეს რწყილი ამ მზრძანებელს  
უყვარდა, ვით ღვიძლი შვილი.  
მკერავები იხმო თვისი  
და უბრძანა: „აბა, ჰური,  
ჩემს გულის ვარდს საკადრისი  
შეუკერეთ ტანსაცმელი!“

ბ რ ა ნ დ ე რ ი

არ დაგავიწყდეთ გააფრთხილოთ მეფის მკერავი,  
რომ მან რწყილს ზუსტად აუღოს ზომა,  
თორემ შარვალზე თუ მცირედი ნაოჭიც ჰპოვა,  
ვეღარ უშველის იმ საცოდავს ქვეყნად ვერავინ.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

(მღერის)

მალე მდიდრულ ჩაცმულობით  
გააოცა რწყილმა ყველა,  
აღჭურვილმა მეფის ნდობით  
ჯვრითაც მკერდი დაიმშვენა.  
მინისტრობაც იგდო ხელში  
და, როგორც ეს წესად არი,  
მყის მოჰყარა სასახლეში  
ყველა ახლო ნათესავი.

დიდაცვებად ქვეულ რწყილებს  
ჩვევა მაინც შერჩათ ძველი,  
დედოფალს და ფროლინებს  
აადინეს ზურგზე მტვერი.  
დიდებულნი კრინტს ვერ სძრავენ,  
თუმც ქაველით სული სძვრებათ.  
ჩვენ კი მკბენარ აბუზარებს  
ისე გაესრესთ, როგორც გვენებაეს.

გ უ ნ დ ი

(მზიარულად)

ჩვენ კი მკბენარ აბუზარებს  
ისე გაესრესთ, როგორც გვენებაეს!

ფ რ თ შ ი

ბრავო! ბრავო! ეს ნამდვილად რომ ბრწყინვალე არის!

**ზ ი ბ ე ლ ი**

ვაი იმ მართლაც საცოდავი რწყილების ბრალი!

**ბ რ ა ნ დ ე რ ი**

ფრჩხილს დაატურ და მყის ტკაცუნით დაიჩუტება.

**ა ლ ტ მ ა ი ე რ ი**

მამ გაუმარჯოს ღვინოსა და თავისუფლებას!

**მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი**

თავისუფლების სადღეგრძელოს მეც კი დავლევდი,  
თქვენი ღვინო რომ ოდნავ მაინც რამედ ვარგოდება.

**ზ ი ბ ე ლ ი**

ე, აბა! აბა! აღარ იყოს მავისთანები!

**მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი**

ჩვენ რომ სარდაფის მეპატრონის რიდი არ გვქონდეს,  
აქ დამსწრე სტუმრებს სათანადოთ დავაფასებდით  
და ჩვენი მარნის თავ ღვინოებს შევთავაზებდით.

**ზ ი ბ ე ლ ი**

ეგ ჩემზე იყოს. მოაგორეთ თქვენი კასრები!

**ფ რ ო შ ი**

სმაზე უარს არ ვიტყვით, თუმც კი იცოდეთ, რომა  
ღვინის სინჯები დაგჭირდებათ ძალიან ბლომად.  
ღვინის ავ-კარგის გასაგებად მე მარტო ენის  
დაწლაპუნება, სამწუხაროდ, ცოტას თუ შევლის.

**ა ლ ტ მ ა ი ე რ ი**

(ხმადაბლა)

აი ასლა კი, მე რაინის მკვიდრნი მიცვნია!

**მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი**

ბურღი მიშოვეთ!

**ბ რ ნ დ ე რ ი**

ნეტავ ბურღი რისთვის გჭირდებათ?  
რაო, კასრები მართლა კართან ხომ არ გიწყვიტათ!

**ა ლ ტ მ ა ი ე რ ი**

ბურღი იმ ყუთში ხელსაწყოებ შორის იდება.

**მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი**

(იღებს ბურღსა და ფროშს მიმართავს)

აბა მითხარით, რომელ ღვინის გასინჯვა გსურდათ?

**ფ რ ო შ ი**

როგორ, განა თქვენ მართლა ასე ბევრი ღვინო გაქვთ?

## მეფისტოფელი

დიახ, ყველამ ის აირჩიოს, რომელიც უნდა.

## ალტმაიერი

(ფროშს)

ნეტავ წინასწარ რას ცმუკავ და ტუნებს ილოკავ!

## ფროში

რაკი ასეა, მე რაინის ღვინოს ავირჩევ.

მშობლიურ ღვინოს მუდამ პირველ ადგილს ვანიჭებ!

## მეფისტოფელი

(თან ფროშის ცხვირწინ ბურღით ხვრეტს მაგიდის კიდეს)

მე ნახვრეტების დასაცობად ცვილი მჭირდება.

## ალტმაიერი

ვგ ფოკუსები აქ არავის გაუკვირდება.

## მეფისტოფელი

(ბრანდერს)

თქვენ რას დალევდით?

## ბრანდერი

შამპანიურს და თანაც ისეთს,  
შუშუნასავით ჭერამდე რომ აიჭრას მყისვე.

მეფისტოფელი ბურღავს, ხოლო ერთი მათგანი ცვილით  
ნახვრეტებს აცობს.

## ბრანდერი

ტყუილად ვძრახავთ უცხოელებს, ჩემო ძამია,  
რადგან მათთანაც ნახავ ზოგჯერ იშვიათ რამეს.  
ნაღდ გერმანელთან თუმც ფრანგი რა მოსატანია,  
მაგრამ მათ ღვინოს მაინც დიდი ხალისით დალევს.

## ზიბელი

(მასთან ახლოს მისულ მეფისტოფელს)

მეავე ღვინოებს თუმც ბლომად ვსვამ ბოლო ხანებში,  
მაგრამ მე მაინც ტკბილ ღვინოზე ვკიჟდები დღემდე.

## მეფისტოფელი

(ბურღავს)

სიტკბოთი ყველას ტოკაური სჯობია, მენდეთ!

## ალტმაიერი

თუ შეიძლება, შემომხედეთ ერთი თვალბში  
და ამიხსენით, მასხარად ხომ არ გვიგდებთ თქვენ აქ.

## მეფისტოფელი

ვაიმე, ვაი რას არ იტყვის ამქვეყნად ენა!

ასეთ ბატონებს, ვით შევხედავთ ჩვენ ამგვარ რამეს?!  
რაკი სუყველამ სოქვა რას დალევს, გვითხარით ბარემ,

თქვენ თვითონ რომელ ღვინოს აირჩევთ?

ა ლ ტ მ ა ი ე რ ი

სულერთი არის! ოღონდაც ცდით ჭლექს ნუ გამიჩნთ.

მას შემდეგ, რაც ყველა ნაბერტო ამობურღული და დაიკობილა.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

(უცნაური შესტიკუღაცებით)

ყურძნის მტევანს გვაძლევს ვაზი,

თხას კი შუბლზე რქები აზის.

რაკი ღვინო ჩნდება ხიდან,

ღვინოს მოგვეცემს ხის მაგიდაც

ბუნებაში დაფარული,

გწამდეთ თქვენ ეს სასწაული!

მამ ამოაძრეთ საცობები და შესვით უხვად!

ყ ვ ე ლ ა ნ ი

(აძრობენ საცობებს და ღვინო ჭიქებში იღვრება)

ეს რა ბრწყინვალე მადრევანმა ამოიქუხა!

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ოღონდ ფრთხილად, რომ არ დაგვეცეთ ძირს ერთი წვეთიც.

სვამენ განმეორებით.

ყ ვ ე ლ ა ნ ი

(მღერიან)

კანიბალურად აღტაცებული

ღრეობს ხუთასი ღორის კრებული!

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ხალხი გალადდა! ჰა, შეხედე და დასტკბი-მეთქი!

ფ ა უ ს ტ ი

ხომ არა სჯობდა, ვიდრე დროა, წავსულიყავით.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

მოიცა, მათი პირუტყვეული ბუნება ჩვენს წინ,

ბარემ წარმოსდგეს მთელი თავის სიგრძე-სიგანით.

ზიბელი დაუდევრად სვამს, ღვინო მიწაზე იღვრება

და ცაცხლად აბრიალდება.

ზ ი ბ ე ლ ი

გვიშველეთ, ცეცხლი! ჯოჯოხეთის დავიწვი ცეცხლით!

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

(ულოცავს ცეცხლს)

გმარა, დაწყნარდი, შენ, ერთგულო ჩემო სტიქიავ!

(იქ მყოფთ-)

ეს ხალხინებლის ცეცხლი იყო ამჯერად მხოლოდ.

## ზ ი ბ ე ლ ი

რალაც ვე თქვენი ოინები ვერ გამიგია.  
იცით, თუ ვისთანა გაქვთ საქმე, ბოლოს და ბოლოს?

## ფ რ თ შ ი

ერთი არ მინდა, კვლავ გაბედოს ამგვარი რამე!

## ა ლ ტ მ ა ი ე რ ი

იქნებ ვუთხრათ, რომ თავის ნებით მოგვწყდეს თავიდან.

## ზ ი ბ ე ლ ი

მაგ სულელური ფოკუსებით რომ გვიბამთ თვალებს,  
ნუთუ ვერ ხვდებით, ასეთ რამეს რომ ვერ ავიტანთ?

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ჩუმად, შე ძველო ღვინის კასრო!

## ზ ი ბ ე ლ ი

თვითონ ეგდე მანდ ჩუმად და ჭკუას მოუხმე ცოტა!

## ბ რ ა ნ დ ე რ ი

ცემა თუ უნდა, ავესრულოთ გულის წადილია.

## ა ლ ტ მ ა ი ე რ ი

(აძრობს ერთ საცობს, იქიდან ამობრიალდება ცეცხლი)

ვიწვები! ვიწვი!

## ზ ი ბ ე ლ ი

ჯადოქრობა არის ნამდვილი!  
დასცხეთ, დაიჭით! არ გაუშვათ! დაიჭით-მეთქი!

(დანებს იძრობენ.)

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

(ზეიმური შესტიკულაციით)

ცრუ ხატება და ცრუ სიტყვა,

სადაც არ ხარ, იქ წაგიყვანს.

აქაც იყავ, იქაც იყავ!

ველანი გაოგნებულნი ჩერდებიან და ერთმანეთს უყურებენ.

## ა ლ ტ მ ა ი ე რ ი

სადა ვარ? ეს რა თვალწარმტაცი ქვეყანა არის.

## ფ რ თ შ ი

ვენახი?! ვაზი?! რა ვენა, ხომ არ მატყუებს თვალი?

## ზ ი ბ ე ლ ი

საიდან მოვხვდი აქ, ნეტავი გამაგებინა.

## ბ რ ა ნ დ ე რ ი

რა მსხმოიარე ვაზებია! რა მტყუნებია!

(იგი ზიბელს ცხვირზე ეტანება; დანარჩენებიც იგივეს

აკეთებენ ერთმანეთის მიმართ და დანებს მაღლა სწევენ.)

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

(იმეფე ჟესტიკულაციით)

სიცრუის ფარდა ჩამოშორდეს მათ თვალებს მყისვე

და დაე ნახონ, თუ ეშმაკი თავს როგორ იქცევს.

(ქრება ფაუსტთან ერთად; იქ დაჩრჩილები

ერთმანეთს უშვებენ ხელს.)

ზ ი ბ ე ლ ი

როგორ?

ა ლ ტ მ ა ი ე რ ი

რა როგორ?

ფ რ ო შ ი

მაშ ეს მხოლოდ შენი ცხვირია?

ბ რ ა ნ დ ე რ ი

და ეს კი შენი? ნამდვილად რომ გასაკვირია!

ა ლ ტ მ ა ი ე რ ი

დარტყმისგან ისე დამიდუნდა მთელი სხეული,

ფეხზე ძლივს ვდგავარ. მომწოდეთ ერთი, ვგ სკამი!

ფ რ ო შ ი

მაინც რა მოხდა? სიმწრისაგან გაგვიყვებ ლამის!

ზ ი ბ ე ლ ი

რალა რა მოხდა. აქ მომეცით მე ის წყვეული!

ა ლ ტ მ ა ი ე რ ი

საკუთარ თვალთ დაფინახე, როგორ გაფრინდა,

ის ღვინის კასრზე გადაიშდარი ამ სარდაფიდან.

რა ვქნა, ფეხებში ტყვია შეჭნდეს ჩასხმული თითქოს.

(შეტრიალდება მაგიდისაკენ.)

როგორ გგონიათ, ღვინო აღარ წამოვა ვითომ?

ზ ი ბ ე ლ ი

ეს ყველაფერი მოჩვენება იყო აქ ნაღდი.

ფ რ ო შ ი

მე კი მეგონა, რომ ნამდვილად ღვინოსა ვსვამდი.

ბ რ ა ნ დ ე რ ი

მტევნებიც ერთობ საეჭუთა და საგულისხმო.

ა ლ ტ მ ა ი ე რ ი

მოდე და ახლა, სთქვი: არ მჯერა სასწაულისო!

გერმანულიდან თარგმნა ზიორაბი ჯორჯაძისგან



ნიკოლოზ ჯაში

## ლენინური ეტაპი ასთიატიკაში

მაისის პირველ რიცხვებში გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტის ფაქტობრივ მენაშენელოვანი დადგენილება „იდეოლოგიური და პოლიტიკური აღმშრდებლობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“. ამ დადგენილებამ კიდევ ერთხელ მთელი სიმამართლ დააყენა ჩვენს წინაშე ამოცანა, რათა უფრო მაღალ საფეხურზე ავიყვანოთ, უფრო გაველჩაოთ ჩვენი იდეოლოგიური მუშაობა, განვავითაროთ პროპაგანდასა და აგიტაციის შემტევი ხასიათი. ხსენებული დადგენილება ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პარტიის იდეოლოგიური და პოლიტიკური აღმშრდებლობითი მუშაობის დედაარსი იყო და არის საბჭოთა აღმზიანებისათვის შეცნერული მსოფლიურედელობის ჩამოყალიბება, პარტიის საქმის, კომუნისტური იდეალების უსაზღვრო ერთგულების, სოციალისტურა სამშობლოს ხაყვარულის, პრაღეტარული ინტერნაციონალიზმის ჩანერგვა. დადგენილება აღნიშნავს, რომ ჩვენ უკვე აღმზიან უნდა უზრუნველყვოთ კ. მარტის, ფ. ენგელსის, ვ. ა. ლენინის ნაწარმოებებს, სკკ ეხტორიის, პარტიის XXIII, XXIV, XXV ურბილობათა დოკუმენტების, ამხანაგ ლ. ა. ბრეტნევის, პარტიის სხვა ხელმძღვანელების შრომების ღრმა შესწავლა. ამასთან, ხაზი უნდა ვავსავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთგულებას მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებისაღმა, პარტიის დაუღაღავ კოლექტიურ მოღვაწეობას მეცნიერული კომუნისმის თორიისა და პრაქტიკის შემოქმედებითი განვითარებისათვის, რევოლუციური თორიის, პარტიის პოლიტიკის ცოდნა საბჭოთა აღმზიანებს უნდა ვადაქტეოთ კომუნისმისათვის, უცხო იდეოლოგიის უკველგვარი გამოკვნივების წინააღმდეგ მტკიცე შებრძოლის მრწამსად,

აქტორ ცხოვრებისეულ პოზიციად, მოქმედების სახელმძღვანელოდ განვითარებული სოციალისმის აქტუალური პრობლემების ვადპრისათვის.

ცენტრალური კომიტეტის დადგენილება პარტოული ორგანიზაციების, კულტურის ორგანიზაციების, იდეოლოგიური დაწესებულებებისა და უწყებების, შემოქმედებითი კავშირების წინაშე ხაზავს ამოცანას სრულყოფნა მხატვრული ინტელიგენციის იდეურ-პოლიტიკური აღზრდა და მარქსისტულ-ლენინური განათლება, დღენიადგ იზრუნონ მწერალთა, მხატვართა, კომპოზიტორთა, თეატრისა და კინოს მოღვაწეთა, უზრუნავისთა მაღალი იდეურობის, მოქალაქეობრიობისათვის, მათი შემოქმედებითი აქტიურობის განვითარებისათვის, უზრდაღება მთავრონ ლიტერატურისა და ხელოვნების ახალი შესანიშნავი ნაწარმოებების შექმნას, რომლებიც ნიჭიერად ასახვენ საბჭოთა ხალხის გმირულ მიღწევებს, სოციალისტური საზოგადოების განვითარების პრობლემებს, ლახვარს სტეშ ჩვენს იდეურ მოწინააღმდეგეებს.

მთელ ამ მუშაობაში ვადაქმწყვეტა მნიშვნელობა ენიჭება იმ უზარმაზარი თორიული მენეჯიდრების ათვისებას და შესწავლას, რომლებიც დაავიკტოვა ვ. ა. ლენინმა.

ლიტერატურისა და ხელოვნების, ეხთიციის ყველა თორიული პრობლემა ვ. ა. ლენინის შრომებში, მითითებებში, რჩევა-დაჩავებებში, ზემარ და წერილობით გამოხსვლებში, ვანუყრულად დაკავშირებულ პროღეტარული რევოლუციისა და სოციალისმის მშენებლობის საერთო საკითხებთან. საბჭოთა ხელისუფლების გამარქვების პირველი დღედაწვე ჩვენა პარტიის პოლიტიკას ხელოვნების დარგში საფუძვლად დაედო ვ. ა. ლენინის რევოლუციამდელი და

ოქტომბრის შემდგომი პერიოდის თეორიული ნაშრომები. ამ პოლიტიკის გამოვლენაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ვ. ი. ლენინის პარტიკულ ხელმძღვანელობას ახალი კულტურის შექმნელობის ამ თუ იმ უბანზე.

საბჭოთა ესთეტიკური თეორიის განვითარებას თავის დროზე საგრძნობ ღვაწლს უწევდა აგრეთვე სხვადასხვა ჭრის იდეალისტური ესთეტიკური მიმდინარეობაში, ვულგარულ-სოციალდემოკრატიული შეხედულებაში. საბჭოთა ესთეტიკის განვითარებას უწყობდა კერძოდ ვ. ფრიდმანის „ხელოვნების სოციალდემოკრატიული მარქსისტული ანალიზის ცდა“ (1926), ლ. ზეველინისა და „ესთეტიკის ისტორიის მარქსისტული ანალიზის ცდა“ (1928) წლების განმავლობაში გამოსული მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის სახელმძღვანელო შრომები, ხოლო მარქსისტ-ლენინის კლასიკოსების შეხედულებანი, ანტიკური, რომანტიკული მხატვრული ლიტერატურისა და ხელოვნებაზე, მიერწოდული თუ. უფრო მეტიც, ზოგადად საბჭოთა ხელოვნების მკვლევარ-მკვლევ, ესთეტიკის აღნიშნავდა, რომ ლენინმა, რომელსაც ისტორიამ, ყველა მარქსისტ-შორის, დაკისრა ყველაზე მეტი პარტიკული მუშაობა, ვერაფერი მოაწერა ეთქვა ხელოვნებაზე. თუ რა აზრისა უფროა ლენინის ხელოვნებაზე, ამის შესახებ შეიძლება უმთავრესად გვიცოდო კლასიკოსების მოგონებებიდან.

ბურჟუაზიული თეორეტიკოსები, მთელი რიგი რევოლუციონისტები ცდილობდნენ არა მარტო დემოკრატობით, არამედ საერთოდ არარობად ექცათ მარქსიზმის კლასიკოსების შეხედულებანი ლიტერატურისა და ხელოვნებაზე. იმ მოტივით, რომ შათ არ დაგვიტოვებს ესთეტიკის კურსი, ზოგადად „თეორეტიკოსი“ ცდილობდა დემოკრატობა, რომ მეცნიერული კომუნისმიის კლასიკოსებს და პირადად ვ. ი. ლენინს არ განაღდა ხელოვნებაზე მთლიანი შეხედულებანი, რომ თითქმის იხანი ლიტერატურათა და ხელოვნებათა „არ იყვნენ დანიტერებულნი“ და ა. შ.

ვ. ი. ლენინის უფლები დამახატრება მარქსისტული ესთეტიკის განვითარებაში იმაში მდგომარეობს, რომ კულტურისა და ხელოვნების საკითხებს იგი მთლიან განიხილავდა პარტიკარიაჰის პოლიტიკური პრინციპის საერთო საკითხებთან უშუალო კავშირში. მან ხასტკად გაკრტიკა ბურჟუაზიული, იდეალისტური შეხედულებანი ერთიანი, ზედასობრადი ნიციონ-ლურის კულტურის შესახებ და შეიმუშავა დემულებანი კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის, კულტურისა და ხელოვნების კლასობრადი ხასიათის, ხელისხატვის კულტურისა და ხელოვნების უფლები აღმზრდელობითი, აქტიურ-გარდამქმნელი როლის შესახებ.

„მატერიალიზმისა და ემპირიოკრიტიციზმის“ მეორე გამოცემის წინახატვაობაში (1920) ვ. ი. 10. „მნათობი“, № 6.

ლენინი წერდა, „პროლეტარული კულტურის შესახებ ა. ბოგდანოვი თავის ვახუტის ტრეტირში“ ზოულ და რეკტიულ შეხედულებებს.

ვ. ი. ლენინი, იბრძოდა, რა პროლეტარული მირი ძველი კულტურისადაი ნახილბატრის დამკიდებულების წინააღმდეგ, ხას-გახიით აღნიშნავდა, რომ სოციალიზმის კულტურისა და ხელოვნების შექმნის საქმეში მშდ-გომი მუშაობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც შეთავსებულია და გადამუშავებულია უფრო ძველი და ახალი მხატვრული და კულტურის ორათხიანი წლის განვითარებაში.

ცნობილ პრექტიში რეზოლუციის „პროლეტარული კულტურის შესახებ“ (1920) ვ. ი. ლენინმა მთელი ხისრული ნამუშაულობა მომდერება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ და პარტიული პოლიტიკის არხი ხელოვნების, ესთეტიკის საკითხებში. მთელ რიგ თავის ნაშრომებში ელადიმერ ილიას ძე ვაღაპრის ხას უხვად იმას, რომ ახალი ლიტერატურა, ახალი ხელოვნება, ახალი კულტურა შეიძლება შეიქმნას და განვითარდეს მხოლოდ მრავალპარტიკული საზოგადოებრივი და მსოფლიო მემკვიდრეობის შენახვისა და განვითარების შედეგად. პროლეტარული კულტურის მდგრადი დამუშავების გულისხმობდა ვ. ი. ლენინი, როდესაც კომუნისტი III ურთობაზე აღნიშნავდა:

„პროლეტარული კულტურა არ არის სიდიდან და გამოშტარი რამ, ანუ არ არის იმ ადამიანთა გამოწავლია, რომელნიც თ. ვახუტის პროლეტარული კულტურის სპეციალისტებს უწოდებენ. ეს თავიდან მხოლოდ ნახია, პროლეტარული კულტურა უნდა იყოს ცოდნის ამ მარჯის კანონზომიერი განვითარება, რომელიც კაცობრიობაში შეიმუშავა კანტალისტური საზოგადოების, მემკვიდრეობის საზოგადოების, მოხელური საზოგადოების უფლებები. ყველა ამ უხას და ბილიკის მიყვანით, მოყვანით და კვლავაც მიგვყვანს პროლეტარული კულტურისათან...“

კომუნისტური პარტია, მისი ბედად ვ. ი. ლენინი სათუთად, დიდი სიფრთხილით ემადებოდა კულტურული მემკვიდრეობის საკითხს, ახალი ინტელიგენციის აღზრდის საკითხს, ვ. ი. ლენინმა, მოგვცა რა კულტურის, ხელოვნების დარგში პარტიული პოლიტიკის გატარების ძირითადი ხაზები, გამოაშკარავა მთავარი მანკერება როგორც პროლეტარული კულტურის, ისე ყველა სხვა წვრალბურჟუაზიული ფორმალისტური მიმდინარეობის ხელოვნებაში რევოლუციის პირველ წლებში. მან გვიჩვენა, რომ ხელოვნების ნამდვილ შესატყვისობას სოციალისტური რევოლუციის ამოცანებთან არა აქვს რა საერთო მონაგონ ვ. წ. „რევოლუციურ“ ფორმებთან ანდა განუყვანებულ, ცხოვრებისაგან მოწყვეტილ იდეებთან და სახებთან.

3. ა. ლენინმა მოგვცა რა ფორმალისმის განმარტებები კრიტიკა და გამოაშქარავა მისი რეპრეზენტული ხასიათი, ვგანვიხილოთ კვლევა, რომ უკვე „პირადი მონაცემი“ ხელოცნებას დაჩაგრის, რომელთაც კვებავდა წერტილბურჟუაზიული ფეოდალურ-ფეოდალურობა, სავსებით ეწინააღმდეგება ხალხის ინტერესებს და უყოფელად უნდა იქნეს.

3. ა. ლენინი, იბრძოდა რა ღრმა რეალიზატორი ხელოცნებისათვის, გადაჭრით გამოხდა ექსპრესიონიზმის, ფუტურისმის, კუბიზმისა და სხვა „იშემების“ 3. ა. ფორმალისტური ხელოცნების ყოველ ნაწარმოებს. წერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ვლადიმერ ილიას ძე უდაღესი შერუწველობით აღვივებდა თვალურს საბჭოთა ხელოცნების პირველ ნაბიჯებს, მხატვრული ინტელიგენციის აღზრდას პროლეტარული იდეოლოგიის სულისკვეთებით. მან პირველმა დაუჭირა მხარი საბჭოთა ეპოქის გამოჩენის პოეტის ვლადიმერ მაიაკოვსკის პოეზიის აქტუალობას.

ფორმალისმის იდეოლოგები ხელოცნებაში ცალსა სწამებდნენ რუსულ კლასიკურ რეალიზატორ ხელოცნებას, მოთხოვნიდნენ „ახალ“ მხატვრულ ფორმებს. მათი აზრით, რეალისტ ფორმა წარმოადგენდა „ძველ ფორმას“, „დროშოკმულ“, ფორმას, ხოლო მისი თანამედროვე მოდერნიზტების ფორმა „უღატაკი ახალი ფორმა“ იყო. ეს ვახლდათ, არსებითად, ცდა მოეტრუნებინათ საბჭოთა ხელოცნება დამეზღუდების ეპოქის ბურჟუაზიული ხელოცნებისაკენ.

სწორედ ამას გულისხმობდა 3. ა. ლენინი, როდესაც აღნიშნავდა: „საბჭოთა ლაშქარში შეფარტული, ავიღოთ ის როგორც ნიშნით, დანერგული მის თუნდსაც ის „ძველი“ იყო. რატომ უნდა შევქაყიოთ ზურგი კერძო რეალისტურ მშენებებს, უარყოთ ის როგორც გამოხავალი პუნქტი შემდეგში განვითარებისათვის მხოლოდ ამის საშაბით, რომ ის „ძველია“? რატომ უნდა მოვხაროთ ქედი ახლის წინაშე, როგორც ღმერთის წინაშე, რომელსაც მხოლოდ იმიტომ უნდა დავემორჩილოთ, რომ „ეს ახალია?“ უაზრობაა, სრული უაზრობა! აქ ბევრი თვალთმაქცობაა და, რა თქმა უნდა, შეუგნებელი მოწინააღმდეგეობა ვახატოვში ვახატოვებულ მხატვრული მოდის წინაშე. ჩვენ კარგი რეალისტური ნაწარმები ვართ, მაგრამ რატომღაც ვაღვებულად ვთვლით ჩვენ თავს დამამტკიცოთ, რომ ჩვენც „თანამედროვე კულტურის სიმღელზე ვდგავართ... შე არ შემიძლია მხატვრული გენიის უნდაღესი გამოხატულება ჩვეთვალეო ექსპრესიონიზმის, ფუტურისმის, კუბიზმისა და სხვა „იშემების“ ნაწარმოებებში. შე ისინი ვერ გამოვია, შე არ განვიციდი მათგან არავითარ სხარულს.“<sup>2</sup>

მოდერნება მხატვრული ლიტერატურისა და ხელოცნების პარტიულობის შესახებ, რომელიც

ჩამოყალიბებულია 3. ა. ლენინის „ლიტერატურული ნაშრომში „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“ (1905) უდაღესი წავილია მარქსისტულ ესთეტიკაში. შეცნებების, ფალოსოფიის პარტიულობის პრინციპი 3. ა. ლენინმა წამოაყენა ჯერ კიდევ 1894 წელს სტატიაში „ნაროდნიკობის ეკონომიური შინაარსი და მისი კრიტიკა ბ-ნ სტრუვის წინაშე“. ილიამა მოგვცა ნაროდნიკობისა და „ლიტერატური მარქსიზმის“ გაწილი კრიტიკა და გადმოცა მარქსისტული შეხედულებანი რუსეთის ეკონომიური განვითარების საკომბეზეზე.

ხელოცნების პარტიულობა ნიშნავს მის პარტიულად, აშქარა კავშირს კარკვეული კლასის ინტერესებთან, გამოხატავს მხატვრის შეგნებულ სამსახურს ამ კლასისადმი, ხალხისადმი. პარტიულობა „...მოყვლინაო ყოველი შეფასების დროს საგაღვებულს ხდის პირდაპირ და აშკარად დაღვრომას განსაზღვრული საზოგადოებრივი ჭკუფის თვალსაზრისზე.“ ლენინი ვახსნიავილია რომ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში უპარტიობა მხოლოდ ფარისევლური, დაფარული, პასიური გამოხატულებაა კულტურის მხედართა პარტიისადმი, ექსპლუატატორთა პარტიისადმი, რომ უპარტიობა — ბურჟუაზიული იდეაა, ხოლო პარტიულობა სოციალისტური იდეაა, რადგან მტკიცე პარტიულობა დიდად განვითარებული კლასობრივი ბრძოლის თანამგზავია და შედეგაა.

3. ა. ლენინმა ამ სტატიაში პირველმა მარქსისტულ ლენინურ ესთეტიკაში ჩამოყალიბა სოციალისტური მხატვრული ლიტერატურის (ხელოცნების) შექმნისა და განვითარების ძირითადი პრინციპი — პარტიულობის პრინციპი, რომლის დედადარსი მდგომარეობს იმშია, რომ მხატვრული ლიტერატურა (ხელოცნება) უანგაროდ უნდა ემსახურებოდეს მუშათა კლასის, მოცილი ხალხის საქმეს.

3. ა. ლენინი წერდა: „ლიტერატურა პარტიული უნდა გახდეს. წინააღმდეგ ბურჟუაზიული წინააღმდეგ ბურჟუაზიული სუფარმეო, ჩარხული ბეჭდვითი სიტყვისა, წინააღმდეგ ბურჟუაზიული ლიტერატურული კარიერიზმისა და ინდივიდუალიზმისა, „ბატონკატორი ანაქრისმისა“ და მოგებიხადმი მისწრაფებისა, სოციალისტურში პროლეტარიატში უნდა წამოაყენოს პარტიული ლიტერატურის პრინციპი, განვითაროს ეს პრინციპი და განახორციელოს იგი რაც შეძლება სრული და მოღიანი ხაზით“<sup>4</sup>.

თავის სტატიაში კომუნისტური პარტიისა და ხალხის ბელადმა მოგვცა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ხელოცნების მდგომარეობის უსენინინაღვები ანალიზი. განვითარა რა კ. მარქსის დებულება ამის შესახებ, რომ კაპიტალისტური წარმოება ეწინააღმდეგება სულიერი წარმოების ზოგიერთ დარგს, როგორც არის ხე-

ლოცვები და პოეზია, ვ. ი. ლენინმა მოკცია ზელოცვების ამომწურავი კრიტიკა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. ამ სტატიის აზრები საფუძვლად უდევს საბჭოთა ენობრივ, რადგან ნაწილი მოცემულია არა მარტო კრიტიკა ზელოცვებისა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, არამედ მთელი რიგი მნიშვნელოვანი დებულებები, უპირველეს ყოვლისა, სოციალისტურ საზოგადოების ზელოცვების სახისთვის, არსისა და განვითარების გზების შესახებ.

სტატიაში მოცემულია მიზეზები იმისა, თუ რატომ მოქმედებს ბურჟუაზიული საზოგადოება ზელოცვებზე დამდებულად. ნახევრებია, რომ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში არ არის და არც შეიძლება იყოს მებრძოლ კლასებზე მძლავრობა, ზელოცვების ზელოცვება, არამარტო ზელოცვები, რომ ბოლშევიკები უნდა ამხილებდნენ ბურჟუაზიული ზელოცვების პარაზიტობას და ჩამოგლეჯდნენ ყალბ საფარს ვ. ი. „თავისუფალი“ ბურჟუაზიულ ზელოცვებს, რათა პარაზიტული-თავისუფალი, ზოლო არსებითად ბურჟუაზიისთან დაკავშირებულ ზელოცვებს დაუპირისპირონ ჰერმეტიკად თავისუფალი, პროლეტარიატთან აშკარად დაკავშირებული ზელოცვები.

რასი მფლობელების ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი, მისი დედასი ვ. ი. ლენინი განმარტავდა, რომ პარტიულობის პრინციპი მფლობელებს არა მარტო იმაში, რომ პროლეტარიატისთვის ლიტერატურული საქმე არ შეიძლება პირთა ან ქალღმერთების მოგების ახარა იყოს, საერთო პროლეტარული საქმისა და მსოფლიოებელი ინდივიდუალური საქმე იყოს, „ლიტერატურული საქმე უნდა ვახდეს საერთო პროლეტარული საქმის ნაწილი“.

აღნიშნავდა რა იმას, რომ ლიტერატურული საქმე უნდა ვახდეს „მატარა პირბული და ხეხანი“ ერთი მთლიანი, დიდი სოციალ-დემოკრატიული შექანისა, რომელიც მოძრაობაში მოხუცებს მუშათა კლასის მთელ შეგნებულ ავანგარდს, ვ. ი. ლენინი ამავე დროს ამბობდა, რომ პროლეტარიატის პარტიული საქმის ლიტერატურული ნაწილი არ შეიძლება შაბლონურად ვაიკავებულ იქნეს პროლეტარიატის პარტიული საქმის სხვა ნაწილებთან.

მეორეადა რა ბურჟუაზიული ზელოცვების მოღვაწეებს, ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა:

„ბატონო ბურჟუაზიული ინდივიდუალისტები... თქვენი სოციალური აბსოლუტური თავისუფლებებზე მხოლოდ ფარსევლობაა. ფულის ბატონობაზე დამყარებულ საზოგადოებაში, საზოგადოებაში, სადაც მშრომელთა მხები ვადატყებულნი არიან და ერთი მუტა მდიდრები შეუთხოვრობენ, შეუძლებელია რეალური და ნამდვილი „თავისუფლება“. განა თქვენ თავისუფალი ხართ თქვენი ბურჟუაზიული გამოქ-

ველიდან, ბატონო წერალი? თქვენს „სწინა“ ჟურნალური საზოგადოებისაგან, რომელიც თქვენს გან მოთხოვნს პორნოგრაფიის რომინებსა და სურათებში, პრისტიტუციას „წმინდა“ სახეში ახელოცვების „დამატების“ სახით? ეს აბსოლუტური თავისუფლება ხომ ბურჟუაზიული თუ ანარქისტული ფრაზაა (ვინიდან, როგორც მსოფლიოებელი, ანარქიზმი უკლებია გამობრუნებული ბურჟუაზიულია)“.

ზუსტ უხვებდა რა იმას, რომ ეს „თავისუფლება“ არის მონვენებითი თავისუფლება, ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა იმ მნიშვნელოვან მომენტს, რომ ზელოცვების ვ. ი. „თავისუფლება“ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, როგორც ბურჟუაზიული დემოკრატიის საფუძვლების გამოხატულება, არის და არ შეიძლება სხვა რამ იყოს, ვიდრე ფორმალური თავისუფლებისა.

„ბატონკაცური ანარქიზმი“, რომელზეც მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, არსებობდა წარმოადგენდა საზოგადოებაში პარტიულობის ფორმალური განცხადებების იდეური გამოხატულების, რომელიც მხატვრის ბურჟუაზიული საზოგადოებაში „არადანტერესებულ პარტიულობა“ იყვანებდა. სწორედ აქედან გამოდინარობს „ზელოცვება-ზელოცვებისათვის“ ლოზუნგის მომხრეების გაკრეფილებული აზრი იმის შესახებ, რომ მხატვარი არ უნდა ზრუნავდეს ცხოვრებაზე, რომ იგი თვითონაა „თავის თავის მატრონი“, რომ მისი ინტერესები სრულადაც არ უნდა ეხებოდნენ რომელიმე კლასის საზოგადოებრივ ბრძოლებს. ვ. ი. ლენინმა ვერგენა, რომ საზოგადოებასთან რაიმე კავშირის ეს უარყოფა არსებითად ნიშნავს ბურჟუაზიულ პარტიულობას, იმას, რომ მხატვარი სწორედ ბურჟუაზიული კლასის პოზიციებზე დგება.

ახსიათებდა რა ახალ, სოციალისტურ ლიტერატურას, ვ. ი. ლენინი წერდა:

ეს იქნება თავისუფალი ლიტერატურა, თავისუფალი იმით, რომ არა აწარება და არა კარგია, არამედ სოციალიზმის იდეა და მშრომელებისადმი თანაგრძნობა მიიწოდებს ახალ-ახალ ძალებს მის რაგებში. ეს იქნება თავისუფალი ლიტერატურა იმით, რომ იგი სამხატვრო გაუფრებს არა სალონების ვულგარობებულ „გვირ-ქალებს“, არა მოწყენილ და სიმსუქნის ქონით შეწყნებულ „ზედა ფენის ათულ თანებებს“, არამედ მილიონობით და ათულ მილიონობით მშრომელებს, რომელნიც ქვეყნის საუკეთესო ნაწილს, მის ძალას, მის მომავალს შეადგენენ“. ეს იყო ლენინის პროგრამული მითითებანი მოწინავე, თავისუფალი ლიტერატურის განვითარების გზებზე შესახებ.

ზელოცვების ხალხობის პრობლემაში ჩასოვლია ზელოცვების მხატვრული ღირსება, იდეური შინაარსი და სოციალური ფუნქცია. ზელოცვების ნაწარმოებები, რომლებსაც ჩვენ ვუწოდებთ ხალხურს, განსაკუთრებულ ძალით

გამოხატავენ მოცემულ ეპოქაში მიღწეულ საზოგადოებრივ ცნობიერების უმაღლეს საფეხურს. მაგრამ ყველაფერი, რაც დაკავშირებულია მოცემული საზოგადოებრივ მდგომარეობასთან, არ წარმოადგენს ქვეყნობრივ ხალხურს. ნაზობრობა ქერ კიდევ არ ნიშნავს ხალხრობას.

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ ქვეყნობრივ ხალხურ ნაწარმოებს უნარი აქვს გაუწიროს თავის დროს, რადგან შეიცავს ისეთ ელემენტებს, რომლებიც თუმცა შექმნილია მოცემული ეპოქით, მაგრამ შეადგენენ მასში ისეთ რაშებს, რასაც მომავალში განვითარების ტენდენციები გააჩნია.

მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკისთვის უდიდესი, გადაწყვეტი მიწიერებოდა აქვს ასახვის თეორიას, რომელიც გამოვლინებულია ვ. ი. ლენინის გენიალურ ნაშრომში „მატერიალიზმა და ემპირიოკრიტიციზმი“ (1909).

ასახვის ლენინური თეორია წარმოადგენს ფედოსოფიურ საფუძვლეს კულტურის ყველა დარგის, მათ შორის ხელოვნებისა და მხატვართული ლიტერატურის, გაგებისა და შესწავლისათვის, მასში მოცემულია მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის იმ უმნიშვნელოვანესი დებულებების დასახულება, რომლის თანახმად ხელოვნების წყაროს ხინამდვილე წარმოადგენს, რომ უკიდურ მხატვრული ნაწარმოები ცხოვრების მოვლენების ასახვაა. ასახვის მატერიალისტური თეორია წარმოადგენს ურყევ საძირკველს, რომელზედაც დამყარებულია სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების ყველა უმნიშვნელოვანესი პრინციპი.

ასახვის ლენინური თეორია წარმოადგენს საფუძვლეს მხატვრული ხაზის რაობის განსაზღვრისათვის, იმის გაგებისათვის, რომ ზოგადი თავის ზორცხეხმას პოულობს ინდივიდუალურ ხასიათში ან მოვლენაში.

„მატერიალიზმა და ემპირიოკრიტიციზმი“ ვ. ი. ლენინმა ჩამოაყალიბა და შემდგომ განავითარა მარქსისტული ფედოსოფიის ძირითადი საკითხები: საშუაროს მატერიალურობის, მისი ობიექტურობის, ვ. ი. ადამიანის ცნობიერებაში და მისგან დამოუკიდებლად საშუაროს არსებობის შესახებ, ბუნებისა და საზოგადოების განვითარების ობიექტური ხასიათის შესახებ, დიალექტიკური მატერიალიზმის შექმნების თეორიის ძირითადი დებულებები: შემეცნების როგორც ობიექტური მატერიალური საშუაროს ასახვის, ამ ასახვის კანონებისა და ფორმების, ობიექტური, აბსოლუტური და შეფარდებითი ქვეყნობრივების შესახებ, პრაქტიკის როგორც შემეცნების საფუძვლესა და ქვეყნობრივების კრიტიკიკის შესახებ და ა. შ.

ვ. ი. ლენინი წინასწარ განსაუბრებულ ადგილს უთმობს შემეცნების მარქსისტული თეორიის საკითხებს. ეს თეორია მან ჩამოაყალიბა

და განავითარა ახალი ესთეტიკური პირობების შესაბამისად. სწორედ ამიტომ მას სამართლიანად უწოდებენ ასახვის ლენინური თეორიას.

ვ. ი. ლენინმა გენიალურად ჩამოაყალიბა ქვეყნობრივების შემეცნების კლასიკური ფორმული — „ცოცხალი განვერტიდან აბსტრაქტული აზროვნებამდე, და მისგან პრაქტიკამდე — ასეთია ქვეყნობრივების შემეცნების, ობიექტური რეალობის შემეცნების დიალექტიკური გზა“.

ასახვის ლენინური თეორია გვასწავლის დავიანათ ხელოვნებაში ცხოვრების სწორი, მისი განვითარების მნიშვნელოვანი მხარეების, საზოგადოებრივ ფსიქოლოგიის, ადამიანთა ხასიათების მრავალფეროვნება, მაგრამ შეცნობა მასში ურთი აქტი როლია, ასახვა მექანიკური, მკვდარი ასახვა როლია.

„მისვლა (ადამიანის) გონებისა ცალკეულ ნივთთან, მოხსნა იმ ნივთისაგან ტვიფარობა (— ცნებისა) არ არის მარტივი, უშუალო, ხარკისებურ მკვდარი აქტი, არამედ იგი რთულია, გარბებული, ზიჯზიჯისებრი, რომელიც შეიცავს ცხოვრებისაგან ფანტაზიის მოწყვეტის შესაძლებლობას, კიდევ მეტიც: შეიცავს აბსტრაქტული ცნების, იდეის ფანტაზიად გადაქცევის შესაძლებლობას“.

ვ. ი. ლენინმა თავის წინასწარ „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ გვიჩვენა, რომ ადამიანის მიერ ბუნებისა და საზოგადოებრივ ცხოვრების მოვლენათა უსასრულო სხვადასხვაობის შეცნობა უმარტივესა ყველა თავის ფორმაში შემეცნების ერთიან კანონებს. ასახვის ლენინური თეორიიდან გამოშინდარებულ მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის მთელი რიგი ფუძემდებელი დებულებები.

ვ. ი. ლენინის ცნობილი სტატიები ლ. ტოლსტოის შესახებ მათში გარჩეული პრობლემებისა და დაწერის დროის მიხედვით უშუალოდ უკავშირდებიან გენიალურ ნაშრომს — „მატერიალიზმა და ემპირიოკრიტიციზმს“.

დიდი რუხი მწერლის შემოქმედების კონკრეტულ მავალითებზე ამ სტატიებში მოცემულია ზელოვნებაში ასახვის მატერიალისტური თეორიის გამოყენების უმაღლო ნიმუშები. ზელოვნების მოვლენებისადაში. ვ. ი. ლენინის შეხედულებათა თავისებურება ვახაგები ზედმა ასახვის თეორიის — შემეცნების მატერიალისტური თეორიის „სულთსა და გულს“ მიხედვით.

ვ. ი. ლენინი ზედამ შეფასებას აქვდა ტოლსტოის, მან მოგვცა მისი შემოქმედებისა და მსოფლმხედველობის გენიალური შეფასება სტატიებში, „ლდე ტოლსტოის როგორც რუსეთის ზელოვნებაში ასახვის მატერიალისტური თეორიის“ (1908), „ლ. ნ. ტოლსტოი“, „ლ. ნ. ტოლსტოი და თანამედროვე მუსონთა მოძრაობა“, „ტოლსტოი და პროლეტარული ბრძოლა“ (1910), „ლ. ნ. ტოლსტოი და მისი ეპოქა“ (1911), „განმარტების გმირები“

(1910). „დემონსტრაციების დასაწყისი“ (1910), „პობრუნების დასაწყისი ზომ არ არის?“ (1910). ტოლსტოიზე ვ. ა. ლენინის სტატიების შენაარსი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უშუალოდ ეხმარება ფილოსოფიურ დებულებებს წიგნისა „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“. სწორედ ამ ასპექტში, ანახვის მატერიალისტურა თეორიის ასპექტში უკვლავ უფრო სრულად ვლინდება ტოლსტოის როგორც რუსეთის რევოლუციის სარკის ლენინისეული დასახიფების დედარსი.

დიდი მწერლის სახელს დაკავშირება რევოლუციასთან, რომელიც მან ვერ გაიგო და რომელსაც იგი ვაწუღებდა, პირველი შეხვედით შეიძლება მოგვეყვანოს უცნაურად და ხელაუწერადაც აღნიშნავს რა ამას, ვ. ა. ლენინი შემდეგ მითითების, რომ რუსეთის რევოლუცია მეტისშეტად რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე მოვლენაა. და ამ წინააღმდეგობებში თავისი გამოხატულება მოცეს ტოლსტოის ნაწარმოებებში, შეხედულებებში, მოძღვრებაში, სკოლაში, რომლებშიც ხორციელდებოდა იქნა, ერთის მხრივ, უკვლავ ფხვნილი რეალური, უკვლავ და უკვლავი ნიღბის ჩამოგდება, ხოლო მეორე მხრივ ერთ-ერთი უკვლავ საზოგადოებრივი ჩაშლის ქადაგება, რაც კი არის ქვეყნად, სახელმწიფო, რელიგიისა, მისწრაფება საზოგადოებრივი ხელისა აღკვეთის წინააღმდეგ რწმენის ბუციად დაღწენი. ვ. ა. უაღრესად გაქნალი და განსაკუთრებით საძაგელი ხეცობის დაწერვა.

ვ. ა. ლენინის ღრმა განმარტებით წინააღმდეგობანი ტოლსტოის შეხედულებებსა და მოძღვრებაში წარმოადგენს ამ წინააღმდეგობებთან აღსავსე პირობებს, რომელთაც ჩაყენებული იყო რუსეთის ცხოვრება XIX საუკუნის უკანასკნელ მესამედში.

რატომ არის ლ. ტოლსტოი რუსეთის რევოლუციის სარკე?

ვ. ა. ლენინი აღნიშნავდა, რომ დიდი რუსი მწერალი იმდროინდელი არის რუსეთის რევოლუციის სარკე, რომ ა) წინააღმდეგობანი მის შეხედულებებში სარკეა იმ წინააღმდეგობრივი პირობებისა, რომელშიც ჩაყენებული იყო გლეხობის ისტორიული მოღვაწეობა რევოლუციაში, ბ) ტოლსტოის ადგილი გლეხური აჯანყების ხისხტობის, ნაყოფიანების სარკეა.

„...თუ წევრს წინაშე მართლად დიდი მხატვრია, — მწერდა ვ. ა. ლენინი ტოლსტოის შესახებ, — მას თავის ნაწარმოებებში უნდა აეხსნა რევოლუციის თუნდაც ზოგადი არსებითი მხარე.“<sup>7</sup> ეს ვენილური ლენინისეული დებულება ვერსაირება ვაგარკვიით რეალისტური ხედვებისა. ცხოვრების მართლად, ეპოქის ისტორიული სინამდვილის არსებითი მხარეების ასახვა — ხედვების ჰუმანიტატი ნაწარმოებების ლენინისეული შეფასების მთავარი კრიტერიუმია.

რუსეთის პირველი რევოლუცია და მწერლის შემდეგ, რეაქციის წლებში დიდი პირობების გაჩაღდა ლ. ტოლსტოის სახელის გარშემო. თავიდანვე ამ პირობამ პოლიტიკური ხასიათი მიიღო. საქითი ასე იდგა: რათა დიდი ტოლსტოი, რას აძლევს იგი რუსეთის საზოგადოებას და მსოფლიო კულტურას. ვ. ა. ლენინის სტატიები ლ. ტოლსტოის შესახებ ქრონოლოგიურად ძირითადად დაკავშირებულია ორ მნიშვნელოვან თარიღთან: ტოლსტოის 80 წლის იუბილესთან (1808) და მწერლის გარდაცვალებასთან (1910).

ზურწუაწილ-მეამდური რეაქცია არსებითად ტოლსტოის შეცდომებს ჩაქვიდა და ცდილობდა წარმოედგინა იგი ცხოვრების წინააღმდეგობრივად. ამტყობდა, რომ ტოლსტოი დიდა არა მხატვრული ნაწარმოებებით, არა, მედ ბოროტებისადმი წინააღმდეგობის ქადაგებით, საზოგადოებრივი „რეპუტაციის“ ქადაგებით. ცხადია, ეს იყო პირობა ლ. ტოლსტოის წინააღმდეგ, დაშტრობა გენილური მხატვრის წინააღმდეგ, მხატვრისა, რომლის ნაწარმოებები რუსული და მსოფლიო კულტურის სიამაყეს წარმოადგენს.

ვ. ა. ლენინმა სტატიებში ტოლსტოის შესახებ, მწერლისა, რომელმაც მოგვცა „რუსეთის ცხოვრების უბედლო სურათები“, გვიჩვენა, რომ ტოლსტოი „ახსია გულში დაგროვილი სიძულვილი, მომწიფებული მისწრაფება უკეთესისაგან, წარსულისაგან თავის დაღწევის სურვილი, — და მოუწიფებელი ოცნება, პოლიტიკური აღზრდელია, რევოლუციური უნიათობა“.<sup>8</sup>

ვ. ა. ლენინის უდადესი დამახტრება მსოფლიო ისტორიკური აზროვნების წინაშე ის არის, რომ თავის სტატიებში ტოლსტოის შესახებ იგი მწერლის შემოქმედებისა და მსოფლიო ხედვების, ხედვების როგორც რთული მოვლენის შეფასებას მიუღდა დააღქტიკურადა.

ორთავ რომანის მიხედვით ხაღისაგან განდგომა, პიროვნების თავგასულობა და განდობვა, მისი გაღმერთება ერთი უზედურების, დაცინების, დაცემის, დაწუნების საწინდარია და ნაწარმელ ხაღის ჭეშმარიტი სიყვარული უკარ-ხაზებს მათ ავტორებს ცაცობიანობისთვის ამ მარად მწვავე, შტკანულად, სახილცუბლო პრობლემის დაუყენებას.

ზოროტივებს ზოგადად თავისი წარმოსობის საერთო ძირებიც გააჩნია და გამოხატვის მიზ-სგავსებული ფორმებიც. მარკეტისა და ბიბიალურის წიგნებშიც ამ ხენის უპირველესი თვისებად დაუთარგუნელი შიშა მინეული, არა მარტო სხვათა შიში ტარანის მიმართ, არამედ, რაც უფრო საეულისხმოა, თავად ტარანის შიში სხვათა მიმართ და ამ საფუძველზე გამაფრ-ბული, უკიდურესობამდე მისული სიჭრუღა და დაუნდობლობა.

ამ აზრის აქცენტირება ორთავ რომანს დი-დად საყურადღებოს, საეულისხმოს ხდის, ამას-თანავე კიდევ ახლოებს ერთმანეთთან. მაგრამ უოველგვარი მთქმე-მთქმის თვიდან ასცალ-ველად (ჩვენი უუვართ ზოგადრთებს პარ-ველწარობის თუნდაც ანა ძენსა) უნდა ით-ქვას, რომ როცა თამაზ ბიბიალურის რომანი იწერებოდა და მგონი უყვე დამთავრებულიც იყო, მარკეტის „პატრიარქის შემოღობვის“ ჩვენი გრ არავინ იცნობდა და არც არავინ

შეეძლო მის შესახებ რაიმე სეოდნა... სერო-სორის კი, ისიც უნდა ითქვას ზოგადრთა გა-სგონად, რომ თუნდაც მწერლობის წყალობით მიღებული ნაწერწავლი, რომელიც თავად და-ანთებს დიდ შემოქმედებით ხანძარს, არავითარ საზრახისი ხაქმე არ არის. მითუმეტეს, იმის მშვენიერი მადალითებიც ვაკვებს, როცა ჩვენს დიდ წინაპრებს სიუფეტებიც კი უსენსნათ და ასე შეუქმნიათ მსოფლიო მწერლობის შედევ-რები.

ასე რომ, მთავარი მაინც ამ ორი რომანის მწვავე პრობლემატიკობაა, რაც მათ დიდ რე-ზონანსს ინიჭებს და თუ ერთ-ერთი მთგანის ავტორა ქართველი მწერალია, ეს ჩვენ მხოლოდ სიამაყეს უნდა გვაგონებდეს. თუ სიმართლე გან-დათ (ამას გთხოვთ შეტერძობაში წუ ჩამოთვ-ლით), ამ ორი რომანიდან ჩემზე უფრო დიდი მთახედვლება „უამი კითხულობს“ მოახდინა.

თუმცა შედეგათ ამგვარ დამიხრებარებას, ამ საკითხზე უფრო სარწმუნო და მთედგომელი აღბათ ვაგრძელოთ აზრი აქნება. ახლა იმის კონ-სტანტირებით დავამყოფილდეთ, რომ ამ ორ-თავე მადლმხატვრული რომანის სათქმელის მასშტაბურობა ზოგადსაყოფობრია, მთუნდა-ვად იმისა, ერთი ლათინური ამერკავს ქვეყნის, მეორე კი სულაც ქართული მთის ერთი თემის ცხოვრებაზე დაწერილი.

ქართული მთისა, ვთქვი და მაშინვე მთავ-რები უყურადღება იმას, რომ თამაზ ბიბიალური არსად არცერთი ფრანთაც კი არ აკონტრტებს ადგილსა და გარემოს. ისევე როგორც არც მარკეტის არა აქვს მინიშნებული კრძალ რო-მელ ქვეყანაში ხდება მის რომანში წარმოსახუ-ლი ამბები. ესეც კარგად ცნობილი ხერხია სა-თქმელის ზოგადობის ხაზგასასმელად, რაც ორ-თავე ავტორმა გამოიყენა.

იმ ნაწერწკლად, ცეცხლი რომ დაწოთ, რისი შემოქმედებითი წვას შედეგოცაა „უამი კითხუ-ლობს“, იმ პირველ ზიძგად, რამაც შექმნა ეს მშვენიერი მხატვრული ნაყოფი, ქართული მთის ლეგენდები უნდა მიუჩნით. გიორგი თედო-რაძის წიგნი „სუთი წელი ფშა-ხევისრეთში“ მოთხრობილია საეულისხმო, ღრმად ჩამოკონ-ზელი ამზავთ თათია ბალიაურისა, ვისი საქცი-ლიც ხალხურმა სიბრძნემ ქუთისასწავლად შემოუნახა შთამომავლობას.

თათია ბალიაური სოფლის კითხული ყოფი-ლა, დანჯი და ქვეიანი კაცი, მას გეითხობოდა მრეეღის ცოდო-მადლის განსჯა, მაგრამ ისიც ადამიანი იყო და ერთხელ მწარედ შემედგარა, შეუტოლავს. რაკიდა თავად იყო კითხული და მისი გამოსახვი არავინ იყო, თვითონვე გამოუ-ტანია საყურთარი თავისთვის მსჯეტრ, ამდგარა და თავი მოუტლავს.

ეს ხალხური თქმულება, ცნობილი, მხატვრუ-ლად დაწმუშავებული, ვატიკონილი და ფსიქო-ლოგიკად ჩაღრმეებული, თამაზ ბიბიალურის

შეტანილი აქვს თავის რომანში ერთ ეპიზოდად.

დღეა ბალიაურმა ახ წლამდე იცოცხლა თურმე და „სოფლის საქმეთა განსჯის სასწორი მრუდვად ერთხელად არ გადაუწონია“. მცირე შეცოცხებას კი თავის უზუქვად, მაგრამ ღიღ ცოცხას არავინ აპატიებდა, რადგან წყადა, ერთ დაუსჯელ ცოდვას სხვა უფრო დიდი ცოდვა მოსუყებოა. ასე უცხოვრია ბერიაკის მამამ, ვიდრე თვითონაც არ წაუღვინა დიდი ცოდვა, მეზობლის თხოვრები წლის გოგო შეშვარებისა. მწერალი მშვენივრად ავსიერს მოხუცის განცდებს, ჭრ იმედს მისას, რომ ყველაფერი თავადან იწყება, მეროდება, ვნება არ იმარტება. მერე კი — უხიზელი გონება დაღვინულ წაშის წარს. და მამაც გრძნობა მძლავრობდა გონებაზე, ვიდრე ის სამუდისწერო საღამო არ დადგა.

ერთ საღამოს, როცა მიუსაღარი ბერიაკი ბინდში აჩრდილივით დადიოდა, ციხის ნაშალიდან ჩურჩულდა შევარტო: თითქოს ელადამ ხელი ჰქარა, ბერიაკმა ნაბიჯა გადადგა და იქვე მსუხი მოეკვთა: მოხუცი კითხულის მძინწულს — თვარმეტა წლის უფორგას ის შხიხუერი გოგო ციხის კედელზე ავეუღებინა და ისე ლყავდა, როგორც ხარი პატარა ხმოს.

ბერიაკის თითქოს სილა ვაწვეწვს ბერიაკი გამაფხიზლდა... გონება ერთბაშად განადკა

ბერიაკი ტაროდა... ეს ერთმელემა უბედურნი და დამცირებულნი კაცის ცრემლები იყო, უბედურნი კაცი კი მარტო თავისი გრძნობის შორჩილი უნდა უყოფილიყო. მოხუცი კითხული მახვდა, რომ დღეის იქით სულის სიმშვიდეს ვეღარასოდეს დაიბრუნებდა, საკუთარ თავს ვეღარასოდეს მოერგოდა. უბედურს, შორჩილს და საწყალს აღარ შეეძლო სოფლის საქმეთა მართვა, სხვისი სინაიდის გატრთობება. კითხული მიხვდა, რომ კითხული აღარ იყო...“

დღეა ბალიაური კარგა ხანს განმარტობუდა. მერე თავისიანებს დამწიფობებია, მათი ედარება არ შეუხმენია, ხელში მარტო ერთი ქონი დაუქერია და გზას დასდგომია. ერთხელად აღარ მოუხებდავს, წასულა და წასულა... არავინ უწყას კაცთაგან, სად შეხვდა დღეა ბალიაური დეგარს...“

ყველას როდი შესწევს ძალა საკუთარი თავის განსასჯელად. მხოლოდ ჭეშმარიტად დიდი აღმზიანების კუთვნილი ნიჭია სამარტოლიანობა და საკეთი. ასეთი იყო დღეა, ასეთივე იყო მისი შვილი კითხული მანგია, ვისაც ასე იგონებს ბერა წოსიმე, მავსუბოში რომ მათე ერთქვა: „ერთთვის დედაშიწაზე ჩამოვიდა იმედო იმ იმედს ჰქონდა სახე მანგია ბალიაურისა და დიდი, მწაფო, მდიერი და თბილი ძვლები“.

თამაზ ბიბლურის რომანი დაწერილია როგორც „ამბავი, მოთხრობილი ვარყველი ბერის

— წოსიმესი (ერობაში მათე) თავშივე ვეცტუვის

„იმ იმ პატარა სოფელში გავიარად და ქვეყანაც ვნახე. და როცა იმ პატარა სოფელზე ვუქერბო, მგონია ქვეყნიერებაზე ვუქერობა მეთქი. ამის გავიერებამ შეშმატა ძალა, როცა წერად ვწებობდი, ის ერთხელეუ სოფელიც ერთბაშად ვადიდა, სოფლის ასიოდე მხედარი ლაშქრად იქცა, სოფლის კითხული — მღევამოსად მუფედ და წინაშედალად, სოფლის კოსმული — სრასახასლუებად, ასიოდე კოსმული — ხალხად და ქამათად“.

ასე რომ, პატარა თემი ის მიეროსამეაროა, რომელიც მთელი ქვეყნიერების ვნებებს იტყვის და აქ დატრიალებული სივეთეცა და ბოროტებაც მხოლოდ მანსტაბების არის პატარა, თავისი ძალთა თე რეალურობით კი კაცობრიობის სატვიგარს ვამოხატავს. ერთოდ, კოსმული თავაკიცხ, სოფლის იქნება თუ სახელმწიფოსი, თვისებები, ხასიათი, მიზანწერადვა ვამოხატება და შესაბამისად მისი მრევლის ბედიც იხსნება.

„კითხულობა, სოფლის აღათით, მხოლოდ ბრძენ, გამკითხვად და ვეფეკ კაცს ეკისრებოდა“. ეს თვისებები უყოველი მანსტაბის თავაკც მოეთხოვება და სოფლის, თუ ერის ბედი-ღება იმაზე ბევრად არის დამოკიდებული, თუ როგორი წინაშედალი ეყოლება. დღელასა და მანგიას ხელში სოფელი მშვიადდ იყო და დიდ ფათერაკებსაც არ ვადაშვრია. მაგრამ გიორგო ბალიაურის კითხულობის ვამს კი ყველაფერი უკუდმა დატრიალდა.

მავსუბობიდანვე მოხდევდა გიორგის სითამამე, თავეერობა, სიერებე, ზოლო იმ წამს, როცა მან ჩამქრად კერაზე გულადმა ვადავარდნილი მამის მამას ცივად ვაუტვა ხელი და მეგობარს, წოსიმეს დაეკერა, ბერმა დაინახა, რომ მის თაფლებში ბოროტებაც დასადგურებულიყო.

სივეთეცა და ბოროტებაც ერთხანად დადის თუ დაბოგინობს ამ ქვეყანაზე. დღელას, მანგიას, მამა სტეფანეს, ბერა წოსიმეს და სხვების გვერდით იქვე არიან გიორგო ბალიაურიც, ხეჩინაც, ხარტაიც თუ მისი ჭურისანნიც, თითქოს ერთია საკეთი, ისევე როგორც ერთია ბოროტება. უბრალოდ მრავალსამებობად არიან მოვლენილი ამ ქვეყანაზე. ამიტომაც არის, რომ წოსიმე ბერს მანგია ბალიაურის ცხედართან დაბრილს ხასხლში ვანმანილი მამო სტეფანე შერჩება, ზოლო მონსტრადან სოფლად მობრუნებულს ხარტაის სახით ხეჩინა ვამოცხადება. ასეა ეს სოფელი მოწყობილი, ხან სივეთეც მძლავრობს და ხან ბოროტება.

ამ რომანში ბოროტების მძლავრობის ვამა მოთხრობილი წოსიმე ბერის მერე, ვისაც მხოლოდ ჭერებადა შეეძლო სოფელსა, რადგან მიხვდა, რომ ამიერიდან სოფელს აღარ ეყოფენო-

სენიპატორული პრესბურსი

და, უცხო იყო მისთვის და ხაყუთარ სულში უნდა ჩაეტრიალყო. ეს იმიტომ, რომ სოფელს გორაკი ბალიაური მართავდა და სოფელსაც გორაკი ბალიაური ყავდა თავაყადა. ეს იმიტომ, რომ სიკეთე დაიწვებოდა და ზორბტება დასადგურებოდა ირგვლივ.

გორაკი ბალიაურმა პირველივე, რაც იგრძნო და იფიქრა იმე წუთიდან, როცა სოფლის კიბოვანი გახდა, ეს იყო შიში. მას შემდეგ შიში ერთი ნაბიჯით, ერთი წამითაც არ მოსცობოდა. ჭერ სოფლის დაწინება სწავდა გორაკის, რადგან მხოლოდ ასეთი სოფელი გამოადგებოდა მის ჩაფიქრებულ საგმირს საქმეებს, მაგრამ თავაყობამ თავად მასაც ჩაუნერგა შიში.

ამ გრძნობამ, შიში გაამაძვრა ახალგაზრდა კიბოვანი, შირიან დაამბრვდა აქცია, და ახე გრძნობამ, შიშია დაამბუნა იგი, როცა ყველა კოშკზე უფრო მაღალი, პირქუში კოშკი აგებინა ირგვლივ სათოფურისანი ვალაყანი შემოარტყვივინა და კარებთან მცველები დააყენებინა. თუ უწინ სოფელში ყველა კიბოვანს გაჩემო იყო შემოკრებილი, ახლა მათ შორის უამრავი ხალხი ტრიალებდა და კიბოვანადაც სოფლის საქმე მხოლოდ ამ ხალხის პირით მიდიოდა.

შიში მცველს იბოხვდა, ერთგულ ადამიანს და ასე განიდა ვიღაც უცხო და უჩვეულო ხიჩნლა, კიბოვლის უფადაზე სანდო კაცა.

შიშს განართლება სქირადებოდა, და ასე შემოაჭრა ახალი სიტყვა — ღალატი.

ასე ექნა გამოცხადებული მოვალეობა ეს პირტრეველა ქაბუკი, ვინც კიბოვლის მცველად აიყვანა ხიჩნლა. ჭერ ვალაყანთან გარეთ იდგა ის ბიჭი და დედამისს ხაიმაყით უყვებოდა გულს, მერე შიშისა შეიყვანეს, ზოლოს კი გააქრეს. მოგონალ ღალატს მსხვერპლი სქირადებოდა და სწორედ ეს ბიჭი, მერე მისი მშობლები ამხვერპლეს, მათი სახლ-კარი კი ქვების გროვად აქციეს.

ბრწყინავთღედ არის დაწერილი ამ პირტრეველა ქაბუკის ამბავი, სადაც მთელი ადამიანური ზორბტებაცა და ვერაკობაც (გორაკი, ხიჩნლა), უხვეწეშობაცა და სასწარკვეთილი თავგანწირვაც (ბიჭის მშობლები), წამებრობა და სიღარიბე (სოფელი) მთელი თავისი უკიდურესი გამოსატრეველით არის წარმორჩენილი.

„მოტრეველი სოფელი დაქანდა, შეწერა ერთმანეთში ახალი სახლი და უროც, მანი და კოშკი, ერო და საფიხინი, დიდი და პატარა, ქალი და კაცი, სოფელმა დაიწერა სოფლობა, სიკეთე დიმიარბა და ახლა, ყველაფრისაგან თავისუფალი, დიდძალი და ზედგახსნილი სოფელი სადაღაც თავაწყებოდა მთქანებოდა. ადრეული სოფლის ხსნა აღარ იქნებოდა და მეც დიდინის მეტი არაფერი შეშეძლო. მე ჩემს ადგილს დასასრულს მერტედა ვხედავდი, და-

სასრულს მერე მე უნდა დაწეროდა და დაწერებოდა და მარტყეპული და მერტყეპული სოფელი“.

ზორბტების ყველაზე შეშინაკავი კვალი ეს დაქინებული, ძალით თუ ნებით მოტრეველი, სიყვითდაკარგული სოფელია და ამის საოცარი სიცხადით მერტყეპად არაერთ სურათს გვიხატავს ზუსნიე ბერის პირით მწერალი. ობოლ გოგოს ლესმა პერის ქურდობისათვის მოსაკლავად გაწოდებებული სოფელი, სხვათა დასარბევად ამხედრებული ლაშქრის გაცილება სოფლის მიერ, შეილაკარგული დედის გულყავად შეწყურე სოფელი, დაბოლოს თავად კიბოვლის მსაკლავად ამოიქრებული სოფელი ცივა წრფანტელის მომგვრელია თავისი უსახერობათ, სიბრძევეთ, ღმარობათ, სიზორბტით.

„სამდელოსი მოქმედი სოფელს აღარ ქირადებოდა ნამდელოსი მოქმედი თავდავიწყებულად გამოიყვანდა, სოფელს კი ახლა თავდავიწყება ყველაფერს ერჩია“.

ახლა სოფელი გახდა ზორბტის ერთგული და აჭარა მიმდევარი, მისი სახელით და ნებით ხდება ყველაფერი. თავად ზორბტი თქვლის მთხველი კი სათნოების ნიღაბს ირგებს.

„დღესვე უპოვეთ შეილი“ — დამატებს ხიჩნლა, როცა გაშვებული მშობლები მოედანზე დადგნობან და შეშინებულ სოფელს გამკივიან ვეიშველეთო. ამის გამო ხიჩნლა თითო ცხენზე ამხედრებულ კეთილ გმირად წარმოუდგება სოფელს, თუმცა ყველა კარგად გრძნობს, რომ ბიჭს ვერავინ მიგვრის მშობლებს, რადგან თავად ხიჩნლა შეაწრვინა იგი მოგონალ ღალატს მსხვერპლად.

„უროლ მდედელი“ — შეფასებს ავად ჩამოწოლილ დღშიღში ვიღაცა ზოსნიეს, როცა ველარ მოითქნეს და ამაზრუნ ბროვან მასთან მიჭრალ თავებდ ბიჭს (როგორც თავად იტყვის ბერი, ამ ბიჭის თავლებში ზორბტისაყენ მიდრეკილ ვენებს) სიღას გაწინავს. ეს ვიღაც ხიჩნლა აღმონინდება. და ერთი წამის წინ მდედლის ნაუწუნ-ნაუწუნ დასაფლეთად განწყობილი სოფელიც ერთხმად დაიქუბებს: უროლ, მდედელი!

ზორბტს აფარებელი ნიღაბი ვერავინ მოტყუებს, მაგრამ საქმედ ის არის, რომ სოფელი თავად ტყუილება, მას უყვე ზელს აქლავს ეს ტყუალი. გამჭვირვალე ნიღბინი ხაზინაწე კი თანდათან და შეთოფრად ახორციელებს სატანურ ზრახვებს. მას აღარ აქნაყოფილებს სოფლის ზილელი მსარტყერა, მას მეტი სურს — მარტობაშიც. ფაქრშიც წაართვის საყუთარი აზრი ყველას და თვითუფლს, უწინარეს კი ზოსნიეს.

ამე შევიდისთან შევედი, სანთელი ავანთი, ქაღალელები გავშალე, საწერი მოვიმარტვე და აქვე შევწიო. ვხედავდი, როგორ კახალებდა ჩემს ზედში კაღაბი. ზურგსუქან ვიღაცის ღრმა

სუნთქვას ვგრძობდი. ვიდაცის მახვილი შერკა ჩემი კალმის წვერზე შეღწის წვეთივით ეკიდა“.

შინი კი სულ უფრო ძლიერდება, სულ უფრო მეტ მსხვერპლს მოითხოვს და ასეა უკვე მარტო კვამლი მცველი კი არა, ჭვრუჭვრუფად ეწირება ხალხი ამ გრძობას, შთელ კომლეს ეღვებენ და ბუგავენ; საფიზნოს თავზე მსხვერპლად გადაბული უსულო დედაკაცი გვინათებს სეტყა თოვლში და ჭირისუფლად მხოლოდ ძაღლი უწის და ყშვის. ჭირისუფლობასაც აღარავის აწებებენ.

მკვდარი დავმარბოთ, ბერეკაცი — შეთხოვს ზოსიმე საფიზნოსთან მარტოდ მდგომ კათანდარა, თეთრწვერა შობუცს. ამაჟი ბიჭის (ბრბოს წინაშე რომ არ დაიჩოქა ვითარცა მოდალატის ნაშერმა) ცხედარი მიწას ითხოვდა, სხვას არაფერს და თურმე ამის უფლებაც არ ჰქონია. ბერეკაცი გაეპარება ზოსიმეს და ისიც გაოგნებული ფიქრობს, ვერაფრით აუხსნია: „რატომ ვერ გაბნის სიკვდილის შინა არაბობად ქცევის შინი? რისთვის სჭირდება ბერეკაცს ის დარჩენილი ორი დღე, რად არ ეჩქარება ამ ქვეყნად შერცხენილს ამ ქვეყნიდან წასვლა?“

შინი აი რას შეუპყრია სოფელი, აი რა დათესა კითხულის ნებისყოფამ, აი რას ემსხვერპლა უველა და უველაფერი ადამიანური. მაგრამ საოცრება ის არის, რომ თავად კითხულიც მსხვერპლია, და იქნებ უველაზე დიდი მსხვერპლიც მის მიერვე დათესილი შინია. ბუშერანვივით დაუბრუნდა მას მის მიერვე აბოპქრებული ბორბტება, მასაც სხვასავე სტანჯავს შინი, მარტოობა, სიძულვილი. მაგრამ ის უველაფერი ამას უკვე ვეღარ მოერტვა და ამიტომ კიდევ უფრო მეტად ბორბტდება, ერთადერთ ნუგუმს, საყვარელ ადამიანსაც კი სახეკად გაიმეტებს.

და დადგება შამი, როცა სოფელს უღვრის დევე უფრო დიდი მსხვერპლი მოუნდება. მოხუც კითხული უკვე შედგენილი გახდა და მისი ჩამოშორების დრომაც ჩამოქრა. და სწორედ ხარჩლა, ვინა ხელითაც და ნებითაც სთესდა კითხული ბორბტებას, პირველი გაიმეტებს ხალიაურს. „სოფელი შალეშარწმენი იყო და ეს კარგად იცოდა ხარჩლამ. მის თვალში სოფელი ვირსების ქოგს ჰგავდა, თავად კი ზვადი კატა იყო, თავის ნებაზე რომ ათამაშებდა ამ ქოგს, იღონდ უნდა გცოდნოდა, როდის გადმოგვსროლა ის ხაზედისწერო სიტყვა, რითაც ამ ქოგს ბრმად და ხელაღებით გააფოლებდი...“

თამაზ ბაბილურმა ამ რომანით დიდად საგულბისხმო ამავე მოგვიტბრო „ერთფერად კეთილისა და ერთფერად ბორბტის მტვირთველი სოფელის“ შესახებ, იმაზეც, თუ რა ხაზედისწეროა ადამიანური პატემოუვარეობა, მით უფრო თავკაცს თუ მორტეია ეს სენი.

გარეკელი ბერის მონათბრობს მწერლის მიერ შეთხუელი ლეგენდა აგრძელებს:

„ვიორტი ბალიაური და ზოსიმე მღვდელი დღესაც მაღიან წუთისოფლის გზაზე, დღესაც ექებენ ერთმანეთს და ვერ უპოვიათ; ხარჩლა სადღაც არის მიმალული და არავინ უწვის, ზვად რომელ სოფელში გამოჩნდება, ან ვის სულში ჩახახლებდა...“

ეს აშხავცა და ამ ლეგენდის დასასრულიც დრმად დამაფიქრებელი მაგალითი და გაფრთხილება უნდა იყოს უველა დიდი თუ პატარა პალიაურისათვის, ყოველი ადამიანისათვის, რათა თვითუფლო ჩვენთაგანის სული საიშედოდ იქნას ჩარაწული მარად ჩახაფრებული ხარჩლასათვის, რათა მშვიდი და ხათწო სოფელი კვლავ არ იქცეს სიძულვილითა და ბორბტებით ხაცხე სამუაროდ, რისი ბოლაც მხოლოდ ჩამორღვეული ხახლება და მიმქრალი საცოცხლე შეიძლება იყოს.

□ თბსსსრული იმეზბა □



## ასტრალური მოვლენები ვეფხის ტყაოსანში

ასტრალური მოვლენები ვეფხის ტყაოსანში დიდი ცოდნითა და შესანიშნავი ოსტატობით არის აწერილი. ყველაფერიდან ჩანს, რომ გენიოსი პოეტი ჩინებულად იცნობს თავისი დროის ასტრონომიასა და ასტროლოგიას და სათანადო ტერმინებს თავისუფლად იყენებს თავის უკვდავ ქმნილებებში. მოვიყვანოთ სათანადო ადგილები.<sup>1</sup>

ბაღის წარმოდგენით ცა მრგვალია, რის გამოც „ცამრგვალი“ ითქმის. ცის სიმრგვლე სწვდება დედამიწას, რომელსაც იგი თავზე ახურავს. დედამიწის დღელმღერი ბრუნვის გამო თავის ღერძის გარშემო ჩვენ გვეჩვენება, რომ ცა ბრუნავს. ცის ბორბალი (სპარსულად — ჩარხი ფალაქ, „ცის ჩარხი“) იგივე ცის სიმრგვლეა, რომელიც ბრუნავს პოემასი იკითხება:

მათე რისხვით გარდღებრუნდა  
ბორბალი და სიმრგვლე ცისა (1415,3),  
რისხვით მობრუნდა ჩვენზედა  
ბორბალი ცისა შეიღისა (1309,4).  
ვინ ღიბსა, თუშვი წყალობით  
ცა მიწყვი მობრუნებოდა (1352,4).  
მიობრა: ღმერთმან სიმრგვლე ცისა  
ჩვენთვის რისხვით წარმოგარანა (269,4).

კაცის ბედი, ღვთის გარდა, მბრუნავ  
ცაზე და მოკიდებულნი:

არ იფი, ღმერთი რას მიხამს,  
ანუ ცა მიწყვი მბრუნავი (938,4).

„მიწყვი მბრუნავი“ — მარად მბრუნავი, მუდამ მბრუნავი.

ჩვენ გვეჩვენება, რომ ცაზე არსებობს სარტყელი, რომელსაც მიჰყვება მზე და წლის განმავლობაში შემოუვლის მას. ამ მზის წლიურ გზაზე მდებარეობს თორმეტი ვარსკვლავნარი,<sup>2</sup> რომელიც ზოდიაქოს ნიშნებს ეძახიან. ეს ნიშნები ქართულად „ეტლების“ სახელით არის ცნობილი, თვითნებულ კაცს თავისი ეტლი აქვს, რომელიც მის ბედს განაგებს:

ღმერთმან სხვა-შვი ეტლსა ჩემსა  
რაცა კაცი რად დაჰადა (275,1).  
აქ მის იქით ვნატრიდე  
ჩემსა ეტლსა და წერაჲა (1210,3).

„წერა“ ბედი, რაც კაცს აწერია მებლზე და რასაც ვერ ასცდება იგი. ხოლო რაც შეეხება ეტლს, მის შესახებ მოვიყვანოთ ორი ადგილი საეტლოდან, სადაც შეეჭვებ ეტლის („ქალწულის“) შესახებ იკითხება: „ვინცა ამას ეტლსა ზედა იშვას, კაცი ბრძენი და გონიერი და მართალი იყოს, და პირ-შეუნიერი და უბეო; არც მკვლე იყოს, არცა მსუქანი, თოალ-ფართო იყოს და რააცა დაეს-

წავლოს, ყოველსავე გონებად მოიღებდეს" და სხვ. იმავე საეტლოში მერვე ეტლის („ღრიანკალის“) შესახებ იკითხება: „ვინცა ამას ეტლსა ზედა იშვას, კაცი იყოს პირ-მრგვალი, თეთრ-ვრემანი და მოშწითურე, მეკრდ-ბრტყელი და წვივ-ვრძელი და ფერხ-დიდი და თმა-მრავალი, და მწურომი და მტყუანი და უსირცხვილოა“ და სხვ.

თვითეული ეტლის ფარგალში მზე ერთ თვეს რჩება, მერმე გადაინაცვლებს უახლოეს ეტლში, ხოლო ერთი წლის განმავლობაში დაასრულებს წრიულ სვლას და შემდეგ ხელახლა იწყებს სარტყელზე მოძრაობას.

ეტლების სახელები ქართულად და მათი თვეების შესატყვისებია: 1. ვერპი (მარტი); 2. კურო (აპრილი); 3. ტყუბი (მაისი); 4. კირჩხიბი (ივნისი); 5. ლომი (ივლისი); 6. ქალწული (აგვისტო); 7. სასწორი (სექტემბერი); 8. ღრიანკალი (ოქტომბერი); 9. მშვილდოსანი (ნოემბერი); 10. თხის რქა (დეკემბერი); 11. წყლის საქანელი (იანვარი); 12. თევზი (თებერვალი).

ამ თორმეტ ეტლთაგან პოემაში მხოლოდ ორია დასახელებული, კირჩხიბი (მეოთხე ეტლი) და ლომი (მეხუთე ეტლი), ოღონდ ქართული „კირჩხიბის“ ნაცვლად არაბული ტერმინია ნახმარი („სარატანი“):

მოწერვილ იყო ზაფხული,  
ქვევით ამოსვლა მწვანისა,  
ვარდის ფერცლობის ნიშანი,  
დრო მათის პეშანისა,  
ეტლის ცვალება მზისაგან,  
შეჯდომა სარატანისა (1328).  
ჰგანდა, ოდეს ლომსა შეჯდეს  
მზე მნათობთა უშეტესი (1201,3).

აქედან ჩამს, რომ მზის გადასვლას ერთი ეტლიდან მეორეში „ეტლის ცვალება“ ჰქვია, ხოლო მზის შესვლას რომელსამე ეტლში — „შეჯდომა“. სარატანი მეოთხე ეტლია, რომელიც ივნისში მიიღებს მზეს, ლომი კი — მეხუთე, რომელშიც მზე ივლისში შედის. დანარჩენი ეტლების შესახებ მკითხველი ცნობებს იპოვის ზემოთ დასახელებულ

ბუღს ჩემ გამოცემულ ასტროლოგიურ თხზულებაში.

სხვა ვარსკვლავნართაგან პოემაში ნახსენებია ზომნი:

მზე მნათობთა დაფარავს,  
არცაღა ნათლად ხომნია (1411,3).  
იმა ზანგთა სით მოჰყვანდა  
მენ, პატრონი ცისა ხომთა (1139,2).

ზომნი ის ვარსკვლავნარია, რომელიც მდებარეობს მეორე ეტლში, კუროსაში. ბერძნულად მას პლედიადეს ჰქვია, რაც სახელის მრავლობითი რიცხვის ფორმაა. ქართულშიც მისი ეკვივალენტი მრავლობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი (ზომნი-ი). ახალ ქართულში ვაგერცვლებული „ზომლი“ მრ. რიცხვის ფორმისაგან უნდა მოდიოდეს, როგორც „ქართლი“ „ქართნი“ ფორმისაგან. ს.-ს ორბელიანს თავის ლექსიკონში მოჰყავს: „ზომი — ხომლი“ და უჩვენებს მის ხმარებას მეფეთა წიგნში (4 მეფ. 23,5), მაგრამ აღნიშნულ ადგილას ასეთი სიტყვა ბაქარისეულ ბიბლიაში არ მოიპოვება (და არც მისგან დამოკიდებულ თბილისურ გამოცემაში). ილია აბულაძეს თავის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ ეს ვარსკვლავნარი მრავლობითისავე ფორმით მოჰყავს ერთი ხელნაწერიდან: „ვლენან რომელნიმე მთიებნი და რომელნიმე ზომნი“. ზომ-ის გვერდით ს.-ს ორბელიანს ზომლი-ც მოჰყავს და სწნის: „მრავალვარსკვლავი“. საინტერესოა, რომ სულხანის ახსნა „ზომლ“ სიტყვისა ემთხვევა ამ ვარსკვლავნარის სახელის ხალხურ ფორმას, რომელიც ასე გამოითქმის: „მრავალანი“.

მე ჩაწერილი მიქვს 1913 წელს მთიულეთში ასეთი ხალხური ლექსი:

გაღმოვიდეს მრავალანი,  
გაღმოხედეს ხალასო;  
თავ-თავის თავს გაუჩივთ,  
ნუ არიგებთ სხვათასო.

ხალა ხეობაა მთიულეთში, არავის მარცხენა მხარეს. მას ჩრდილოეთიდან მალალი კავკასიონის მთები აკრავს.

ამას დავსძენთ, რომ სომხურადაც ამ

ვარსკვლავთა კრებულის სახელი „ბა-  
ზუმეჲ“ („მარავალინი“) მრავლობითის  
ფორმითაა წარმოდგენილი, როგორც  
ქართულსა და ბერძნულში.

მზისა და ვარსკვლავთა ამოჩენისთვის  
პოემაში შემდეგი ტერმინებია ნახმარი:  
ამოსლვა, ან ამოსდომა, ხო-  
ლო ჩასვლისთვის — ჩასლვა და  
ჩასვენება:

რა შეუღამდის, ვარსკვლავთა  
ამოსლვა ეამებოდის (838,3).  
ესე ჰყარებ: რაოვან, მზეთ,  
ჩემთვის ნათლად აღმოჰხდებია (382,3).  
დღესა ერთსა, საღამო ვამ,  
ჩასლვა იყო ოდენ მზისა (1216,1).  
დამე აღხედის, დღე სჭიდის,  
ელის ჩასლვასა მზისასა (840,1).  
ანუ ჩვენ, ვლახ, რა გვერგების,  
რა ჩასვენდეს გორსა მზეო (921,2).

სამთვარიო, რომელიც შესულია ზე-  
მოთ დამოწმებულ ასტროლოგიურ  
თხზულებაში, მთვარის ამოსვლა-ჩასვ-  
ლის შესახებ, სათაურში გვაძლევს „აღ-  
მოსლვასა“ და „შთასლვას“: „სახე აღ-  
მოსლვისა მთოარისაჲ და შთასლვისაჲ  
ღამით“, ხოლო ტექსტში — „აღმოს-  
დომასა“ (ან „ამოხდომას“) და „შთა-  
ხდომას“: „აქან მზე და მთოარე ერთა-  
ნეთსა ბირისპირ არიან და მზე ჩაჰხდე-  
ბის და მთოარე აღმოჰხდების“ (გვ. 36);  
„აქან მეგვიდმეტესა ღამესა რაჲ ამოჰ-  
დეს“ (გვ. 37); „აქან მეთეთსა ღამესა  
რაჲ ჩაჰხდეს“ და მისთ.

ვეფხისტყაოსნის დაწერის ხანაში  
ცნობილი იყო ხუთი ცთომილი, ანუ ხუ-  
თი პლანეტა. ეს ხუთი პლანეტა ასეთი  
რიგით არის ჩამოთვლილი ავთანდილის  
ლოცვაში:

მო, ზუალი, მომამეტე ცრემლი ცრემლსა,  
ვირი ვირსა (958,1).  
ჰე, მუშთარი, გვაჩეხი შენ მართლსა  
ბატვისა ღმრთულსა (959,1).  
მოდი, მარბიო, ფუჯალოდ  
დამკერ ლახვითა შენიაჲ (960,1).  
მოდი, ასპიროზ, მარგე რა,  
მან დამწეა ცეცხლსა დავითა (961,1).  
ოტარიდო, შენგან კოდე  
არვის მიგავს საქმე სხვასა (962,1)

მაშასადამე, დასახელებულია ხუთი  
პლანეტა, ანუ ხუთი ცთომილი, რომ-

ლებიც ასეთი რიგით არის ჩამოთვლი-  
ლი: ზუალი (958), მუშთარი (959), მარ-  
ბიო (960), ასპიროზ (961), ოტარიდი  
(962). აქ მოცემულია პლანეტების რი-  
გი იმგვარად, რომ თანდათან კლებუ-  
ლობს მანძილი მზის უშორესი პლანე-  
ტიდან (ზუალიდან) უახლოესამდე  
(ოტარიდამდე).

საყურადღებოა, რომ ოთხი პლანე-  
ტის სახელი არაბულია: ზუალი (არაბ.  
ზოჰალი, ზუჰალი), მუშთარი (არაბ. მუშ-  
თარი), მარბი-ი (არაბ. მირბი) და ოტა-  
რიდ-ი (არაბ. უტარიდ), ერთისა კი —  
ბერძნული (ასპიროზ, ბერძნ. ჰესპე-  
როს). ოღონდ უნდა შევნიშნოთ, რომ  
მუშთარი არაბულად ბოლოში ფტძისე-  
ულ ი-ს გვიჩვენებს, რომელიც ქართულ-  
ში სახელობითის ნიშნად არის გაგებული  
(მუშთარ-ი) და წოდებითში მოკვეცილი  
(მუშთარ-ო). ასპიროზის ნაცვლად  
„შვიდთა მნათობთა“-ში („ეტლთა და  
შვიდთა მნათობთათვის“, გვ. 38-39)  
მთიები იკითხება. მთიები, რომე-  
ლიც ამჟამად უფრო ვენერას ანუ ვე-  
ნერას სახელით არის ცნობილი, ყვე-  
ლაზე ბრწყინვალე მნათობია ცთომი-  
ლებსა და ვარსკვლავებს შორის და იმის  
მიხედვით, თუ რა მდგომარეობაშია  
ორბიტზე დედამიწისა და მზის მი-  
მართ, იგი ან დასაბლეთით კაშკაშებს,  
საღამოს, მზის ჩასვლის შემდეგ, ან აღ-  
მოსაბლეთით, გათენების წინ, მზის  
ამოსვლამდე. ამიტომ იგი ორ სხვადას-  
ხვა ვარსკვლავად მიაჩნდათ ძველად და  
სახელიც ორი ჰქონდა, რომელთაგანაც  
ერთია ბერძნული (ასპიროზ, ბერძ. ჰეს-  
პეროს „საღამოსი“, იგულისხმება ვარ-  
სკვლავი) მეორე კი — ქართული (მთი-  
ები, ე. ი. „გამთენებელი“). ასპიროზი  
საღამოს მოკაშკაშე ვენერას დაერქვა,  
მთიები — იმავე ვენერას, როდესაც ის  
გათენებისას კაშკაშებს.<sup>6</sup>

მზეცა და მთე რეც ძველად შეცდო-  
მით პლანეტებად ითვლებოდა. ამიტომ  
„შვიდთა მნათობთათვის“ ასეთ რიგს  
გვაძლევს: ზოჰალი, მუშთარი, მარბიო,  
მზე, მთიები, ოტარიდი, მთოარე. მნა-  
თობთა ეს რიგი, როგორც კარგად ცნო-

ბილია, პტოლემეოსის რიგია. როცა პო-  
ემასი შვიდ მნათობზეა საუბარი, ხუთ  
პლანეტასთან ერთად მზეცა და მთვა-  
რცეა იგულისხმება: „პკვანდეს შვიდ-  
თავე მნათობთა“ (281,4), „მათ სამთა  
შვიდნი მნათობნი ჰფარვენ ნათლისა  
სვეტითა (1409,2)“.

მა მოწმებენ ვარსკვლავნი,  
შვიდნივე შემოწმებინ“ (964,1).

ვეფხის ტყაოსნის არაბულ-ბერძნუ-  
ლი სახელები პლანეტებისა რომ ვად-  
მოვიყვანოთ ამჟამად უფრო გავრცე-  
ლებულ ლათინურებზე, გვექნება: ზუა-  
ლი ანუ ზოპალი — სატურნი, მუშთა-  
რი — იუპიტერი, მარხი — მარსი, ას-  
პიროზ (იგივე მთიები) — ვენერა, ოტა-  
რიდი — მერკური. ამათ გარდა პოემა-  
ში ნახსენებია აგრეთვე კრონოსი:

კრონოს, წყრომით შემედეკლჳან,  
მოიშორჳა სიტჳო მზისა (1415,2).

კრონოს, — ეს არის ბერძნული სახე-  
ლი და უდრის არაბულ ზუალს და ლა-  
თინურ სატურნს. მაშასადამე, ამ პლა-  
ნეტისთვის ვეფხის ტყაოსანში არაბუ-  
ლი სახელიც არის ნახმარი და ბერძნუ-  
ლიც. პოემაში მოიპოვება კიდევ ცის-  
კარი:

ზოგთა ეუქეთ: არის ცისკარი,  
ზოგთა თჳეს: არის მოვარეო (1226,1).

ცისკარი, ანუ ცისკრის ვარსკვლავი,  
არის მთიები, ე. ი. ვენერა.

ვეფხის ტყაოსნის მიხედვით ცათა  
რაოდენობა შვიდია. ამის შესახებ პოე-  
მაში ორგანაა საუბარი:

რისხით მობრუნდა ზევნ ზღდა  
ზობალი ცისა შვიდისა (1309,4).  
მოვარე უქდა კოდხანსა, ცა შემოიდე  
მან-შეა ვეო (625,4).

ამათგან პირველი ცა მოვარისაა, მე-  
ორე — ოტარიდისა, მესამე — მთიები-  
სა, მეოთხე — მზისა, მეხუთე — მარი-  
ხისა, მეექვსე — მუშთარისა და მეშვი-  
დე ზუალისა („ეტლთა და შვიდთა მნა-  
თობთათვის“, გვ. 38-39).

იმავე პოემაში ცხრა ცაზედაც არის  
ცნობა:

გაერუო, დნერთმან, მიწა მქნას,  
ნუშეა ცხრითავე ვხი ცითა (413,4).

ამის გამო უნდა შევნიშნოთ, რომ ას-  
ტროლოგიაში ცხრა ცაზედაც არის საუ-  
ბარი („ეტლთა და შვიდთა მნათობთათ-  
ვის“, გვ. 10).

ვეფხის ტყაოსანში ხშირია მთვარის  
ფაზების დახასიათება სხვადასხვა ტერ-  
მინით: მთვარე შეიძლება იყოს  
მ ც ხ რ ა ლ ი, ან გა ლ ე უ ლ ი (დ-  
ლ ე უ ლ ი), ს ა ვ ს ე ან გა ვ ს ე-  
ბ უ ლ ი (პ ი რ-გ ა ვ ს ე ბ უ ლ ი, გ ა ვ-  
ს ი ლ ი), ს რ ტ ლ ი:

მთვარესა მცხრალსა ვარსკვლავან  
ვითა-შეა ჰადრა მტერობა (37,4).  
შო, მოვარეო, შემობრალე,  
ვოლუო და შენებარ ვმულდები,  
მზე გამავსებს, მზევე გამლევს,  
ზოგჯერ ვსხედები, ზოგჯერ ვწულდები  
(963,1-2).

მზესა მოვარე შეეფარეს,  
დალევოს, და-ცა-ქნების (126,2).  
გამოვართო იგი მზევ,  
პირია სავსე მთვარისა (1325,2).  
აწ იგრე ვან გავსებულა,  
წინას ვიყავ ვითა მცხრალმ (1436,3).  
ანუ მზე იყო ქვეყანად,  
ან მოვარე პირ-გავსებული (538,2).  
ყმა მიშავალი მთუნბოხს,  
მსგავსი მთვარისა სრულისა (1025,1).

მზისა და მთვარის დაბნელება, ხალ-  
ხური თქმულების თანახმად, იმისგან  
არის გამოწვეული, რომ თითქო მათ  
გველი ანუ ვეშაპი (გველ-ვეშაპი) ნთქა-  
ვდეს, ე. ი. ყლაპავდეს. ამ მოვლენის  
მეთი გაგება ვეფხის ტყაოსანშიც არის  
დადასტურებული:

მზე ვეშაპსა დებნელა,  
ზედა რად-შეა გავითენდა (1158,4).  
ღარჩა მოვარე გავსებული,  
გველისგან ჩუნთქმელი (1198,4).  
რა სახრალთა ვავსილი  
მოვარე, ჩანთქმელი გველისა (1230,4).

ვეფხის ტყაოსანში ასახული ასტრო-  
ლოგი მოვლენების შესახებ საკმაოდ  
მოიპოვება ლიტერატურა: მათ ეხებოდ-  
ნენ ზ. ავილიშვილი, პ. ინგოროყვა,

გ. იმედაშვილი, დ. ჭანტუაშვილი და სხვები. უკანასკნელ ხანს მათ მიემართა გიორგი თევზაძე. ეს არის ცნობილი ასტრონომი, თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი, რომელსაც ასტრონომიული განათლება პულკოვოს ობსერვატორიაში აქვს მიღებული. მან შეიძინა წერილი დაბეჭდა საერთო სათაურით „რუსთაველის კოსმოლოგია“, რომელთაგანაც პირველი დაბეჭდა „ცისკარი“ 1974 წ. (№ 12), სხვები კი — „განთიადის“ ნომრებში 1975-1977 წლებში. უკანასკნელი წერილი („მზის სისტემა“) მან რუსულადაც დაბეჭდა „ლიტერატურაში გრუზიაში“ (1978, № 12, გვ. 113-115), ხოლო ამას წინათ ქართულად გამოვიდა შეიდივე წერილი ერთ წიგნად: „რუსთაველის კოსმოლოგია“ (თბილისი 1979, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 148 გვ.). წიგნს მიუძღვის ჯურამ ფანჯიყიძის წერილი „ახალი სიტყვა რუსთველოლოგიაში“ (გვ. 3-11) და ავტორის წინასიტყვაობა, სადაც აღნიშნულია, რომ მის „კვლევის საგანს შეადგენს ვეფხის ტყაოსანში მოცემული ასტრონომიული შინაარსის შემცველი სტროფები“. გამოკვლევა შეიძინა თავისაგან შედგება: I. ზოგერთი ტერმინისათვის (გვ. 14-35), II. ქვედა პლანეტები (გვ. 36-57), III. მნათობთა რიგი (გვ. 58-77), IV. მზე და მისი მოძრაობა (გვ. 78-87), V. ზედა პლანეტების მოძრაობა (გვ. 88-95), VI. მნათობთა დღეღამური მოძრაობა (გვ. 96-101), VII. მზის სისტემა (გვ. 102-133). შემდეგ მოსდევს ლიტერატურა (გვ. 134-135) და რეზუმე რუსულად (გვ. 136-139) და ინგლისურად (გვ. 140-144). წიგნის კანის წინა ფურცელზე მოთავსებულია რუსთაველის სურათი, ხოლო უკანასკნელზე — რუსთაველისავე გეო-პელიოცენტრული სისტემის ნახატი. ტექსტში ჩართულია 14 ნახატი, რომლებიც მოწოდებულია, რომ ავტორის მსჯელობა და მონათხრობი უკეთ გასაგები გახადოს, მათ შორის პოეტის გეო-პელიოცენტრული სისტემაც (ნე-10 ნომრად 111 გვერდ-

ზე). ამ ნახატის მიხედვით დედამიწისა და იგი დედამიწის გარშემო ტრიალებს. დედამიწის გარშემო ტრიალებს აგრეთვე მზეც, რომელსაც თავის მხრივ ირგვლივ უვლის როგორც ორივე ქვედა პლანეტა (ოტარილი — მერკური, ასპირიონ — ვენერა) — ისე სამი ზედა (მარსი — მარსი, მუშთარი — იუპიტერი და ზედა — სატურნი).

გ. თევზაძის თანახმად, „პოემაში არსად არ გვხვდება პოეტის მიერ გამოგონილი, ბუნებაში არ არსებული მოვლენა, ან მისი თუნდაც სრულიად უმნიშვნელო თვისება თუ თავისებურება. ყოველი აღწერილი სურათი საოცრად ზუსტად ასახავს რეალურ სინამდვილეს“ (გვ. 21). ამ აზრს იგი სხვაგანაც იმეორებს: „მასში (ე. ი. პოემაში) არ არსებობს არამც თუ შეთხზული მთელი მოვლენა, არამედ მოვლენის მცირედი ნატამალიც კი“ (გვ. 63).

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ ის ტაეპები, რომლებიც მოვარის ფაზების მოვლენის აღწერას შეიცავს („მთვარე მზესა შეეყაროს, დაიღვეის, და-ცა-ქნების, „მზე გამავსებს, მზევე გამლეს“ და სხვ.), მოწოდებენ „დედამიწის გარშემო მოვარის ბრუნვითი მოძრაობის მოვლენის აღიარებას“ (გვ. 47).

მეორე მხრით, „რადგან მთვარე დედამიწის გარშემო ბრუნავს და ამ ბრუნვით მოძრაობას იგი ასრულებს ზოდი-აქოს თორმეტი ეტლის გავლით, და რადგან მზის თვისებაა ნიადაგ „ეტლის ცვალება“, რაც სწორედ იმავე ზოდი-აქოს ეტლების გავლით მიმდინარეობს, ამიტომ, ცხადია, მზის ამგვარმა ხილულმა, საკუთარმა მოძრაობამ ისეთივე მოვლენა უნდა მოგვეცეს, როგორც მოვარის შემთხვევაში გვაქვს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ვეფხის ტყაოსანში მიღებულია ის, რომ მზეც დედამიწის ირგვლივ ბრუნავს“ (გვ. 49).

გ. თევზაძეს მიაჩნია, რომ ვეფხის ტყაოსნის ავტორი გეოცენტრისტია, „მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს,

იმას, რომ იგი იმ ეპოქაში ვაბატონებულ და საყოველთაოდ მიღებულ ბტოლუმეოსის გეოცენტრული წარმოდგენის ურყევი მიმდევარი იყოს“ (გვ. 50).

პოემაში იკითხება სტროფი, სადაც ავთანდილის ლოცვა მიმართულია ოტარიდისადმი (ანუ მერკურისადმი):

ოტარილო, შენგან კიდევ  
 არცის მიგავს სიქმე სხვათა:  
 მზე მპბრუნვებს, აბ გამიშუებს,  
 შემოყრის და მიმცემს წყაპა (962).

გ. თევზაძის აზრით, „იმ სტრიქონებში ჩაქსოვილია გენიალური აზრა, რომლითაც მისი ავტორი საუკუნეებით უსწრებს თავის თანამედროვეობას“ (გვ. 37). სახელდობრ, რუსთველი „გარკვევით გვეუბნება, რომ მერკური ნამდვილად ბრუნავს მზის ირგვლივ და რომ სწორედ ეს მცხუნვარე მზე დგას პლანეტის წრიული ორბიტის ცენტრში“ (გვ. 55).

ოტარიდის ანუ მერკურის მსგავსა მოძრაობა ძველად ცნობილ ციომილთავან მხოლოდ ასპიროზს ანუ ვენერას აქვს. ამის მიხედვით გ. თევზაძე აკყენის: „ამგვარად, ჩვენი მტკიცებით, რუსთაველს მიაჩნია, რომ მზე, დედამიწის გარშემო ბრუნავს, ხოლო მერკური და ვენერა — მზის ირგვლივ“ (გვ. 55). აქედან კი იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ „ეს ორი პლანეტა, როგორც მზის თანამგზავრები, მახთან ერთად ასრულებს დედამიწის ირგვლვ შემოვლით მოძრაობას“ (გვ. 55). ამიტომ მნათობთა რიგი, დედამიწისაგან დაშორების თვალსაზრისით, როგორც ეს რუსთველს მიაჩნია, შეიძლება: 1. მთვარე, 2. მზე, 3. მერკური (ოტარიდი), 4. ვენერა (ასპიროზი), 5. მარსი (მარიზი), 6. იუპიტერი (მუშთარი), 7. სატურნი (ზუალი) (გვ. 67).

რადგანაც „პოემაში არსად არ არის მოცემული შეთხზული მოვლენები“ და „მათი აღწერა ბუნებაში არსებულ რეალურ სურათს წარმოადგენს“ (გვ. 69), ამიტომ, გ. თევზაძის მტკიცებით, ავთანდილის ვედრებაც მნათობებისადმი რე-

ალურ ვითარებას ასახავს. იგი ორჯერ მიმართავს მზეს:

მზესა ეტყვის: მზო, გიტყვი  
 თინათინს ღმერთა დარად (955).  
 თინათინს იქსა შესტარს,  
 ეტყნებოს, ეტყნოს მზესა:  
 ამა, მზო, ვეაყვები  
 შენ უმძღესთა მძღესთა მძღესა (957).

გ. თევზაძეს მიაჩნია, რომ ამ სტროფებში, მართალია, მოხსენებულია მზე, მაგრამ ციურ სხეულთა ჩამოთვლა ამ სტროფებით არ იწყება. ეს შესაძლებელი იქნება „მხოლოდ მზის ჩასვლის შემდეგ, ღამით, როდესაც ისინი ცაზე ხილვადნი არიან“ (გვ. 70).

მზისადმი ორჯერ მიმართვა ხდება იმ დღეს, როცა ავთანდილი დილით გაეყარა ტარიელს და გაემართა ფრედონისკენ. ჯერ კიდევ მზე ცაზეა და პლანეტები და მთვარე არ ჩანან. ამათი გამოჩენა მხოლოდ ღამით არის შესაძლებელი და ლოცვაც ზუთი პლანეტისა და მთვარისადმი გ. თევზაძეს მომდევნო ღამეს აქვს ნაგარაუდელი.

მართალია, ყველა პლანეტა ყოველ ღამეს არ ბრწყინავს ცაზე, მაგრამ არის ღამეები, როცა შეიძლება ყველა პლანეტა გამოჩნდეს. ციური მოვლენები საზოგადოდ მეორდება და რუსთველის დროსაც ეს მოვლენები იგივე იყო, რაც ჩვენს დროს არის. ამიტომ უნდა დასახელებულ იქნეს ის ღამე, როცა ზუთივე პლანეტა ცაზე ჩანს. ასეთი ღამე ჩვენ დროს იყო 1966 წ. 15 აგვისტოს, როცა „მზის ჩასვლიდან ორ საათ-ნახევარის შემდეგ, თბილისის დროით 20 საათსა და 31 წუთზე, აღმოსავლეთით, პარიზონტზე პირველად სატურნი (ზუალი) გამოჩნდება და მთელი ღამის განმავლობაში ყველასათვის თვალნათლივ დასაინახავი იქნება“ (გვ. 71). ამით აიხსნება, რომ ავთანდილი პირველად ზუალს მიმართავს („მო, ზუალი, მომიმართე“ და სხვ.) (გვ. 71).

„ამის შემდეგ, ღამის 2 საათსა და 37 წუთზე ამოვა კაშყაში პლანეტა იუპიტერი (მუშთარი) და ისიც მთელი ღამის განმავლობაში იქნება ცაზე“ (გვ.

71). ამიტომ ავთანდილი სატურნიის შე-  
მდეგ ოუპიტერს მიმართავს („მე, მუშ-  
თარო, ვეაჯები“ და სხვ.).

„ოუპიტერის შემდეგ ღამის 2 საათსა  
და 40 წუთზე ამოვა მარსი (მარსი) და  
ისიც მთელი ღამის განმავლობაში იბრ-  
წყინებს ცაზე“ (გვ. 71), ამიტომ მუშ-  
თარის შემდეგ ავთანდილი მარსის მი-  
მართავს („მოდი, მარსიბო, უწყალოდ“  
და სხვ.).

ასევე განაგრძობს გ. თევზაძე მსჯე-  
ლობას შემდეგი პლანეტების (ვენერა-  
სა, მერკურისა) და მთვარის შესახებ  
(გვ. 70-73) და დაასკვნის: „ამგვარად,  
ავთანდილის ვედრებაში მნათობები  
მოხსენებულია შემდეგი თანმიმდევრო-  
ბით: „სატურნი (ზუალი), ოუპიტერი  
(მუშთარი), მარსი (მარსი), ვენერა (ას-  
პიროზი), მერკური (ოტარიდი), მზე,  
მთვარე“ (გვ. 74). ეს რიგი თვალსაზი-  
ნოდ ნაჩვენებია მე-14 ნახატზე, რომე-  
ლიც გამეორებულია წიგნის გარეკანის  
უკანა ფურცელზე.

ამ რიგში მზის ხსენებას გ. თევზაძე  
აღულისხმობს იმავე სტროფში, რომელ-  
შიც ავთანდილი ოტარიდს მიმართავს:

ოტარიდო, შენგან კიდ  
არვის მივას საქმე სხვისა;  
მზე მბრუნებს, არ გამოშვეს,  
შემიყარს და მიმეშს წვას.

1957 წ. გამოცემით ეს არის 962  
სტროფი, საიუბილეო გამოცემის მიხე-  
დვით კი, რომელსაც გ. თევზაძე იყე-  
ნებს — 951 სტროფი. მაგრამ ძნელია  
დავიჯეროთ, რომ ერთი და იგივე შაი-  
რი ორი მნათობის რიგის მანვერებული  
იყოს, ოტარიდისა და მზისა. მზე მომ-  
დევნო (963/952) შაირშიც არის ნახსე-  
ნები, მაგრამ ეს შაირი მხოლოდ მთვა-  
რისადმი მიმართავს შეიკავს, ისე რო-  
გორც წინამთხვეული შაირი (962/951) —  
მხოლოდ ოტარიდისადმი მიმართავს.

საერთოდ, როდესაც ავთანდილი თა-  
ვის ლოცვაში მნათობებს მიმართავს,  
იგი ყოველთვის რაიმეს სთხოვს მათ,  
შაირში რაიმე აქაა გამოხატული.

მართლაც, ავთანდილი მზეს ეაჯება:

„მე ნუ გამყრი საყვარელსა, ნუ შემწყმ-  
კლი ლამედ დღესა“ (957);

ზუალს ეაჯება: „მას უთხარ, თუ: „ნუ  
გასწირავ, შენია და შენთვის ტირსა“  
(958);

მარსის მიმართავს: „მას უთხარენ ჩემ-  
ნი პატყენი, მას გააგონენ ენითა, რაგ-  
ვარ გასრულ ვარ, შენ იცო, გული არღა  
არს ლხენითა“ (960);

ასპიროზს მიმართავს: „მოდი, ასპი-  
როზ, მარგე რა, მან დამწვა ცეცხლთა  
დავითა“ (961);

ოტარიდს მიმართავს: „დაჯე წერად  
ჭირთა ჩემთა, მელნად მოგცემ ცრემლ-  
თა ტბასა“ (962).

მთვარეს მიმართავს: „მას უამბენ  
სჯანი ჩემნი, რა მჭირს ანუ რაგვარ  
ებნდები, მიდი, უთხარ, ნუ გამწირავს,  
მისი ვარ და მისთვის ვკვდები (963).

ამიტომ ბუნებრივია დავასკვნათ, რომ  
აქა მზისადმი მხოლოდ 957 (946) შაირ-  
შია მოხსენებული და, მაშასადამე,  
რუსთველის მნათობთა რიგში მზე არა  
მეორე ადგილზეა მთვარის შემდეგ,  
არამედ სულ თავში, პირველზე.

არის სხვა საცილობელი ადგილებიც  
გ. თევზაძის გამოკვლევაში. ვუფხის  
ტყაოსნის შესავალში თავშივე ნათქვა-  
ნია:

რომელმან შექმნა საყვარო  
ძალითა მით ძლიებითა,  
ზეგარდო არსნი სულითა  
ყენა ზეცილ მონაბერითა,  
ჩვენ კეთო მოვეცა ქვეყანა,  
გვაქვს უფალავი ფართო,  
მისგან არს ყოველი ზღმწიფე  
სახითა მის მიერთა.

ამ შაირის მესამე ტაეპში ნახმარ  
„ქვეყანა“ სიტყვაში, გ. თევზაძის აზ-  
რით, „რუსთაველი გულისხმობს მთელ  
მზიურ სისტემას და ნიადაგ მბრუნავ  
ცას“ (გვ. 29). არა მგონია, ამგვარად  
იყოს საქმის ეთარება. სიტყვა „ქვეყა-  
ნა“ პოემაში ხშირად გვხვდება და ძნე-  
ლი არ არის მისი ნამდვილი მნიშვნე-  
ლობის დადგენა. თავდაპირველად „ქვე-  
ყანა“ (ძველი ორთოგრაფიით „ქუეყა-  
ნა“) ნიშნავდა მიწას, რომელზედაც დაე-

დივართ და რომელსაც ეხნავთ და ვთესავთ. ეს მნიშვნელობა ვეფხის ტყაოსანში ორჯერ არის დამოწმებული. ტარიელის საძებრად წასულ აეთანდილზე ნათქვამია:

უზნის ქვეყანა ტახტად და  
მკლავი სადებლად თავისად (181,2).

ეს ნიშნავს, რომ აეთანდილი ტახტის ნაცვლად მიწაზე წვებოდა და სასათუმლის ნაცვლად თავს ქვეშ მკლავს ამოიდებდო. ერთგან პოემაში ნათქვამია:

მოწერილ იყო ზაფხული,  
ქვეყნით ამოსღვა მწვანისა (1328,1).

ეს ნიშნავს: მოტანებული იყო ზაფხული, როცა მიწიდან მწვანე ბალახი ამოდის. ქვეყნის მეორე მნიშვნელობაა კუთხე, მხარე. ამ მნიშვნელობით პოემაში გვხვდება: ქაჯთა ქვეყანა (1429,1), მეფეა ამა ქვეყნისა ჩვენი (971,1), ნურადინის ქვეყანამდის (1374,2) და სხვა. მესამე მნიშვნელობაა დედამიწა (ამ შემთხვევაში მისი საპირისპირო სიტყვაა ცა, ზეცა):

ვოქვით. თუ: მზეით ქვეყანად,  
ნუ ვეუბნებით ცად ერთ (205,2).  
ანუ მზე იყო ქვეყანად,  
ან მოვარე პირ-გავსებული (535,2).

ამიტომ გ. თევზაძის მტკიცება, რომ პოემის შესავლის პირველ შაირში „ქვეყანა“, სიტყვით, თითქო რუსთაველის გაგებით, „მთელი მზიური სისტემა და ნიადაგ მზრუნავი ცა“ იგულისხმებოდა, სიმართლეს არ შეეფერება.

სიტყვა „ცა“ (მრ. რიცხვით „ცანი“) გვხვდება შემდეგ ადგილებშიც:

ქვეყანა ჩვენი არ ასწუდეს,  
რისხვით არ დავეტადენ ცანი (429,3).  
ესე მესმა, დამტყდეს ცანი,  
რისხვა ღმრთისა ვცა გორთა (1172,4).

გ. თევზაძე იმოწმებს ამ ორ ტაეზს, მათ უმატებს მესამეს:

„ვლა ნუ მიქმ ერთგულობისა  
გამტახლად, და-ცა-მღეწულად (1484,4)

და ამზობს: „თუმცა ეს სტროფები ასტროლოგიური შინაარსისაა, მაგრამ გა-

მოთქმებს „ცა-მღეწულად“, „დამტყდეს ცანი“ საფუძვლად უნდა ედოს არისტოტელეს მიერ წარმოდგენილი თითქოსდა რეალურად არსებული გამკვირვალე ციური მატერიალური სფეროები“ (გვ. 100). აქ შეცდომა ის არის, რომ „და-ცა-მღეწულად“ გამოთქმაში ცა ნიშნავს არა ცაბ (ზეცას), არამედ აეია ნაწილაკი ცა, რომელიც დღევანდელ ქართულში ელერს, როგორც ც (კაცსა-ც, ქალსა-ც, გუშინ-ც, დღესა-ც, და მისთ.).

ეს ცა ნაწილაკი ბევრგან გვხვდება ვეფხის ტყაოსანში:

ესე სიტყვა დასარულა,  
ყრმამან სულთქნა, ა-ცა-ტირდა (913,4).  
სიხარულმან ამაქჟარა,  
ამათროლა, და-ცა-მღეწა (627,1).  
თავსა გარდაეკარ, მო-ცა-ვეალ,  
დაეპსენ სოფლისა თობასა (910,4).  
ესე უსტარი დაწერა, შვერა და  
წი-ცა-ზევის მან (1224,1) და სხვა.

„რუსთაველის კოსმოლოგია“ გ. თევზაძისა დაწერილია დიდი დაჭერებით და აღფრთოვანებით. იგი ეხება მეტად მნიშვნელოვან საკითხს და ვურჩევ ყველას, რუსთაველოლოგსაც და სხვებსაც, ვისაც აინტერესებს ჩვენი ლიტერატურისა და კულტურის საკითხები, წაიკითხოს ეს წიგნი და გაეცნოს შიგ გამოთქმულ აზრებს ვეფხის ტყაოსნის ავტორის ასტრონომიულ შეხედულებათა შესახებ.

გ. თევზაძის დებულება, რომ შ. რუსთაველი გეო-პელიოცენტრისტია და რომ მან ამ მხრივ რამდენიმე საუკუნით უსწრო თავის თანამედროვეებს, ეს ისეთი მშვენიერი და მომხიბვლელი ამბავია, რომ იგი სასიამოვნოდ ელერს ქართველი კაცის ყურისთვის და აღვივებს მისი ეროვნული სიამაყის გრძობას. კერძოდ, ჩემთვისაც მეტად სასიამოვნო იქნებოდა, რომ ეს დებულება დამტკიცებული ეპქტი იყოს, მისაღები არა მარტო გრძობისთვის, არამედ გონებისთვისაც. მართალია, ვეფხის ტყაოსანი პოემაა და არა მეცნიერული გამოკვ-

ლევა, რომ შიგ ყოველი დებულება დამტკიცებას მოითხოვდეს, მაგრამ გ. თევზაძის აღძრული საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია და სათანადო დასკვნა იმდენად საპასუხისმგებლო, რომ უფლება გვაქვს მოვსთხოვოთ მეტი საბუთიანობა, რომ მისი დასკვნები სხვებისთვისაც

მისაღები იყოს. ოღონდ უნდა გავსაზრდოვდეთ, რომ უაღრესად კმაყოფილი ვიქნები, თუ შემდგომი კვლევებიდან წყალობით ჩემი ეპიკური უსაფუძვლო აღმოჩნდება და უდიდესი მგოსანი შოთა რუსთაველი დაიმკვიდრებს უდიდესი მეცნიერის სახელსაც.

**შ ა ნ ი შ ა ნ ი ბ ი :**

1. ადგილები ნაშენებია პოემის 1957 წლის გამოცემის მიხედვით.
2. „ვარსკვლავნარის“ სახელით აღნიშნავ ვარსკვლავთა დაწვრთვებს, რომელსაც სხვანაირად „ვარსკვლავებს“ ან „თანავარსკვლავებს“ ეძახიან (созвездие).
3. ეტლია და შეიღია მნათობთათვის. ასტროლოგიური თხზულება XII საუკუნისა. გამოსცა, წინასიტყვაობა და ენობრივი მიმოხილვა დავით ავაგი შანიძემ. თბილისი, 1975.
4. თვეები იგულისხმება ძველი სტილის მიხედვით და მილიანად მაშინაც არ ემთხვევა სათანადო ეტლებს.

5. აღსანიშნავია, რომ ზოგ ხელნაწერში (და ზოგ გამოცემაშიც კი) „სარატანი“ რომ ვერ გავგეოთ, იგი „საროს ტანად“ გადაუცეთებულია.
6. ა. შანიძე, სინური მრავალთავი 864 წლისა და მისი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის (წიგნში: სინური მრავალთავი 864 წლისა. ძველი ქართული ენის კათედრის შრომები. 5. თბილისი 1959, გვ. 332).
7. ეგულისხმება ავთანდილი.
8. ამას ფაქტის ეუბნება ნესტან-დარეჯანი ქაქეთის ციხიდან განთავისუფლების შემდეგ, თავის თავზე იგი მოვარის ფაზების აღსანიშნავ ტერმინებს ბნარობს.



ნათელა ჯაფარიძის

## ქართული ლექსიკოლოგიური მუშაობის ისტორიისათვის

ნათელა ჯაფარიძის მიმოხილვადან

1915 წელს გავიდა „სახალხო ფურცლები“ № 305-ში გამოქვეყნდა წერილი: „ქართული ლექსიკონის შესახებ“, რომელსაც ხელს აწერდა ამ დროს უკვე კარგად ცნობილი ცხრა მეტრიკოსი და საზოგადო მოღვაწე: ივანე ჯავახიშვილი, კორნელი კეკელიძე, იოსებ ბერიძე, იოსებ ყიფშიძე, სერგო გორგაძე, ვახტანგ ღამბაშიძე, ვუკოლ ბერიძე, პავლე ინგოროვა და აკაკი შანიძე.

წერილს მოწოდების ხასიათი ჰქონდა: ამავე დროს, წერილი განმარტავდა რამდენად ადგილებზე და სახარტო იყო, რა დიდი და შეერთებული ძალა იყო საქართველოში, რომ ქართული ენის კვლავ მოედოვნება სპეციალურ და სახელმწიფოებრივი ენის ადგილი და მნიშვნელობა. „იმ ერს, რომელიც თავის სამწერლობო ენას შესაფერისად არ განავითარებს, არც შეუძლიან გონებრივ განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწიონ, რადგან მას ამისათვის აუცილებლად სჭირდება იარაღი არ ახალია: ენა სტიქიური სულის ბუნებისა და ძალის გამოხატულება და ერთობლივი შემოქმედების ნაყოფი, მისი გადაკვარება თვით ერის სულიერ გადაკვარების მომასწავებელია“, ხოლო იმ მოთხრობის იარაღად, რომელიც ენის განვითარებასა და გამდიდრებას შეუწყობდა ხელს, წერილის ავტორები ვრცელ სამეცნიერო ლექსიკონს მოიხსენებდნენ და განმარტავდნენ რანაირად უნდა ყოფილიყო გამოხატული ლექსიკონი. ავტორებს რამდენიმე პირობა ჰქონდათ წამოყენებული. უპირველეს ყოვლისა, მათი აზრით ლექსიკონი ამ დროის საქართველოსათვის და მოთხოვნებისათვის უნდა ყოფი-

ლიყო შეთანხმებული და ამისდა მიხედვით სამთავარ მიზანს უნდა მომსახურებოდა: 1. ქართულ სამეცნიერო გრამატიკასთან ერთად ლექსიკონი ქართული დედაენის ბუნების სრულად გამოხატული უნდა ყოფილიყო, სიტყვათა ფრაგმენტების და მოკიდებულებების შემასწავლებელი და სწორმეტყველების განმარტებელი; 2. ლექსიკონი ძირითადად ქართველი ერის მრავალსაფეხოვან საუბრებს უნდა დაერქმობოდა, რომ იმ დროისათვის გადატაცებული ენა კვლავ გამდიდრებულიყო, ძველი სამეცნიერო ტერმინოლოგიის განახლებით და ახლის შექმნით განათლებულ ქართველ მეცნიერებს თავის აზრის გამოხატავად სამწერლობო ცოცხალი ენა შეექმნათ, ამავე დროს, სამეცნიერო ტერმინოლოგიის ძველ მწერლობასთან კავშირი გაწყვეტილი არ უნდა ჰქონოდა, რომ ქართველ ერს თავისი წინაპრების სამეცნიერო-კულტურული ნამუშევრის შეთვისებაც შეეძლებოდა. 3. და მოთხრობა, ძირითად პირობა იყო — ლექსიკონი ვახაგები უნდა ყოფილიყო ყოველ ქართველისათვის, ისეთისთვისაც კი, რომელმაც დედაენის ვარდა სხვა ენა არ იცოდა.

პარალელური, ორენოვანი (ქართულ-რუსული, ქართულ-გერმანული და ქართულ-ფრანგული) ლექსიკონები მხოლოდ მცარერიცხოვან წრისათვის მიაჩნდათ გამოხატავად განსაკუთრებით — მთარგმნელთათვის, „ხოლო თუ იგი საყოველთაო სახმარებლად იქმნება განუყოფელია, ზვენი გადაკვარების იარაღად უკეთესია“! იმდროს რომ მკითხველს უცხო ენაზე შეარვეს აზროვნებას და... „ყალბ შეხედულებას ჩაუნერ-

გავს გულში თითქოს დედანის შეგნებისთვის უცხო ენის სწარება აუცილებლად საჭირო იყოსო"2.

შემდეგ დაწვრილებით იყო განმარტებული რა ხასიათის უნდა ყოფილიყო მუშაობა და როგორ უნდა ჩატარებულიყო ეს სამუშაო ამ საქმის განსახორციელებლად. დასაბუღებულ იყვნენ ლექსიკონის შემადგენელი კომისიის წევრები და აღნიშნული იყო, რომ ამ საქმეზე უკვე მუშაობდნენ პეტროგრადის ქართული სამეცნიერო წრის წევრები და სხვა უნივერსიტეტების ზოგიერთი სტუდენტები, დადგინდა იყო ვადა და სხვ.

გაუთვნი გამოქვეყნებულ წერილს მომუშავე ცალკე წიგნად გამოცემული „მომართვა-მოწოდება“, რომელსაც დართული მქონდა „სახელმძღვანელო ვრცელი ქართული ლექსიკონის მასალების დასამუშავებლად“. „სახელმძღვანელო“ უკვე მუშაობრივად იყო მოცემული პროგრამა და ის პრინციპი, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელო მასალების შემგროვებლებს და შემდეგ ლექსიკონის შემდგენლებს. მაგრამ ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. რადგან ჩვენი დღევანდელი საგანი — ამ საკითხთან დაკავშირებული მიწერ-მოწერა გიორგი ყაზბეგის და ივანე ჭავჭავაძის შორის, თავისთავად ეტება და განმარტავს ამ საკითხს.

აღნიშნული წერილის გაზეთ „სახალხო ფურცელში“ გამოქვეყნებამ ამახანად ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარის, გიორგი ყაზბეგის დიდი გულანწყრომა გამოიწვია. მან წერილით მიმართა ივანე ჭავჭავაძის, სადაც აღიარებდა, რომ იგი არ ეთანხმება მათ პროგრამას და აინტერესებს როგორც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარის, საზოგადოების, რომელიც თავის შიგნით უკვე შეუდგა მთელ რაგ პარტიულურ (ქ.ა., რ.ფ.) ლექსიკონების შედგენას, ხომ არ არის მათი საგაზეთო წერილი „სურას ეუბნებოდნენ, კოკა შენ ისინიყო“.

ამასთანავე გ. ყაზბეგი გამოხატავდა მტკიცე რწმენას, რომ თავდაპირველად სწორედ პარტიულური ლექსიკონების შედგენა იყო საჭირო; იგი ეუბნებოდა იმ მოსაზრებას, რომ ევროპასა და რუსეთში სწორედ ამ ხასიათის ლექსიკონები კეთდებოდა და განმარტავდა თავის მოსაზრების უპირატესობას.

ივანე ჭავჭავაძის არქივში, ზემოდასაზღვრულ გ. ყაზბეგის წერილთან ერთად, დაცულია ივანე ჭავჭავაძის სახასუხო წერილისნ შავი დედანი, რომელიც მილიანად მოკვავს, ვინაიდან ეს წერილი ნათლად გვიჩვენებს პირადად ივანე ჭავჭავაძის აზრს ქართული ლექსიკონის დანიშნულების შესახებ, ისევე როგორც მის პრინციპულობას ამ საკითხში; ამავე დროს, ატყვევებოდა ერთგვარად ისტორიას, როგორც

თვით ივ. ჭავჭავაძის მიერ, ასევე მისი ხელმძღვანელობით ჩატარებული მუშაობისა ქართულ სამეცნიერო ტერმინოლოგიაზე.

წერილი. იმ. ჯანაშიანიწერილი. ფ. № 1495.  
ს. ხოკლე.  
1915. VII, 22.

„ღრმად პატივცემულო ბ-ნი გიორგი ნიკოლოზის ძე“!

თქვენი წერილი მნ იენის დაწვრილი, ტფილისიდან 4 ივლისს გამოგზავნილი, მომივიდა იელისის 8, თუ მ-ს. რაკი თქვენი წერილი ჩვენს საერთო მიმართავს „ქართული ლექსიკონის შესახებ“ ეტებოდა და როგორც თქვენ წერილით გან ჩანს, ამ მიმართვის ერთი ადგილი სხვანაირად ვაგვიფათ, ამიტომ ვიდრე სახასუხო წერილს ვახლებდით, საჭიროდ მიმანდა მომეცაღდა იმ დრომდე, სანამ ჩვენი პატარა წიგნაკი „სახელმძღვანელო ვრცელი ქართული ლექსიკონის შესადგენად“ დაიბეჭდებოდა. ამ წიგნაკში მოთავსებულია ჩვენი ზემოაღნიშნული მიმართვა და თვით ინსტრუქცია ჩვენ თანამშრომლებისათვის შედგენა-კითხვის „სახელმძღვანელო ვრცელი ქართული ლექსიკონისათვის მასალების დასამუშავებლად“. ამ რამდენიმე დღის წინად ეს წიგნაკი ტფილისიდან დაბეჭდილი მივიღე და ამ ჩემ წერილთან ერთად გაახლებთ. ბოლოში ვიხილ, რომ თქვენი წერილის პასუხი დროზე ვერ გახვლით.

სწორედ მოვახსენით, მე ძალიან გამაყვირა, რომ ჩვენი მოქმედება თქვენ ასე უცნაურად ვაგვიფათ, ვითომც ჩვენი მოქმედებით ჩვენ იდუმალი წაიღო გვიონა და წ. კ. გ. საზოგადოებისათვის ჩავგვარა (сделает делкативный удар по адресу) და ქართული ანდაზის მსგავსად ვიქცეოდით — „ძალდა სცემდნენ, რძალს ასმენდნენო“.

ძალიან შემეძღარა პრძანებით, ყოვლად პატივცემულო ბ-ნი გიორგი, მე სწორედ უკან მოქმედების მომზარ არასდროს არ ყოფილვარ და თუ საჭიროდ დაინახავდი საზოგადოების წინააღმდეგ შემოქმედნა, ამას არც დაგზაუვდა და პირდაპირ გამოვაცხადებდი კიდევ.

გარწმუნებთ, რომ ჩვენი მოქმედება სრულებით უანგაროა და მხოლოდ წ. კ. გ. საზოგადოებისადმი თანაგრძობით იყო ნაკარნახევი. ეს საქმე ცრცელო ლექსიკონის შედგენის შესახებ ზრუნვა) პეტრეს ქალაქში არის დაწყობილი, როდესაც ჯერ ჩვენ წ. კ. საზოგადოების ვიღაც წევრების შესახებ არა ვიცოდით რა დიდი ჭნია, რაც მე ქართულ ძველ ტერმინოლოგიაზე ვაგრძობ და საკმაო და საგულისმზიერო მახალა შეგროვოილი მაქვს კიდევ; აზრად მქონდა ქართულ სამეცნიერო სატერმინოლოგო ლექსიკონისათვის მასალები დამუშავებინა და დამბეჭდვა, ამ 8 წლის წინად ტფილისში მე სა-

განჯბო კრებად კი მოვიწვიე, რომელშიაც 40-მდე კაცი იღებდა მონაწილეობას და საერთო, ყველასათვის საფლავდებულო სამეცნიერო ტერმინოლოგიის შემუშავებაზე გვქონდა ბეობა, მაგრამ არა გამოვიდა რა. ამას შემდეგამ მუშაობას პირადად განვაგრძობდი, მაგრამ, რასაკვირველია, მხოლოდ ჩემ სპეციალურ დარგში. მერე არ დავსაც სამეცნიერო წრებში პეტრეს ქალაქში ჩემის ხელმძღვანელობით ქართული საზოგადო მიხლოგრადიის შედგენა დამთავრა (I ნაწილი იბეჭდებოდა სამეცნიერო აკადემიის მიერ და შემოდგომაზე უკვე გამოვა კიდევ), გადაწყვიტედი ორივე (ხელმძღვანელობისა და ქალთა) სამეცნიერო წრის წევრების ერთობლივი მუშაობა, ამ დიდმნიშვნელოვან საქმის განსახორციელებლად მიმეშარბინა და საქმე მოეწყო კიდევ: მუშაობა დაწყებულია და ზოგჯერ დარგის მასალები უკვე ჩამაბარებინ, ამ საგანზე ბახის დროს ჩემმა ერთმა მოწოდებთაგანმა, ესლა ჩვენ კათედრაზე დაკრებულმა, აკაც შანიძემ მითხრა: ბატემ რაკი მავალენა მასალა შეკრებოლი გაქვთ, კარგი იქმნება საზოგადო ლექსიონის გამოცემა რომ მოხერხებულაო. მე ვუპასუხე: ეგ იმდენად ძნელი და რთული საქმეა და ჩემ სპეციალურ საგანზე დაშორებულა, რომ არასდროს ეგ ფიქრად არ მომსვლია. მაგის განხორციელება მხოლოდ შეერთებულის ძალით შეიძლება, თუ თქვენ, ოსებ უფშიძე და სხვები მონაწილეობას მიღებთ, მაშინ იქნებ როგორმე ვაგებოდით მეთქი. აკაც შანიძემ მითხრა: ითავეთ ეს საქმე, მოვილაპარაკოთ და ეგების საქმე მოეწყოს. რამდენიმე დღის შემდგომ პეტრეს ქალაქშივე კრება გვქონდა და განვაკრკვეთ ვის შეეძლო და სახურველი და ობიექტები იყო. რომ ამ საქმის მონაწილედ ყოფილიყრ, მონაწილედ ყველა ოს პირნი იყვნენ დასახლებულნი, რომელიც ჩვენს, უკვე გამოქვეყნებულს მიმართავს ხელს აწერენ. ამასთანავე გადაწყვეტიტ, რომ ამ ძნელ საქმის ღირსეულად განხორციელება მხოლოდ ამ შემთვევაში მოხერხებულა, თუ კი სალქსიკონოდ შესაკრები მასალა მონაწილეთა შორის დარგებისდა მიხედვით იქმნება დაყოფილი, (და თვითელი ჩვენთაგან თავის სპეციალურ კვლევის საგანს აიღებდა, და იმ დარგთაგან მოგვაწვილიდა მასალას; მოლაპარაკების შემდგომ გამოირკვა, რომ ამ მხრივ საქმე შეიძლებოდა კარგად მოგვეწყო და დეკ კველიძემ ღვთისმეტყველებას, აგიოგრაფიას და ლიტურჯიკას აიღებდა, — მისი სპეციალური საგანია და საუკეთესო მცოდნედა, ა. აბულაძე, როგორც ქართულ-საარსულ პოეზიის მცოდნე, ამ დარგთაგან მასალის მოწოდებას იკისრებდა, ს. გორგაძე — ქართულ ფილოსოფიურ ტექსტების გამომცემელი, მასალებს საფილოსოფიო მწერლობითგან შეგროვებდა, პ. ინგოროყვა მის მერ გამოცემულ და გამოსაცემად დამზად-

ბულ ძველ სასულიერო პოეზიას აიღებდა, ვ. ლაშხაშიძე — სამკურნალო და სახუნების-მეტყველო დარგს, ოსებ უფშიძე, ავ. შანიძე და ვუკ. ბერიძე ქართულ ენათმეცნიერებას და ქართულ ზმნას, როგორც ურთულეს ნაწილს თქვენი უმორჩილესი მონა კობრელობა და ესლაც კისრულობს: მხოლოდ ძველ ქართულ (V-XVIII ს. ს.) სამართლის, ეკონომიური მეცნიერების, ხელოვნების და ისტორიის და სამხედრო ტერმინოლოგიას, აგრეთვე ქართულ-ბერძნულ მწერლობის ენას. ამასთანავე, თვითელ სპეციალისტს გადავცემი იმ სატერმინოლოგიო მასალას, რომლის ამოკრებასაც ორი ქართული სამეცნიერო წრის წევრები ჩემის ხელმძღვანელობით XVIII ს. ქართულ მრავალსამეცნიერო სახელმძღვანელებითგან შეუდგენენ...) \* თბილისში მომხდარმა ამ საქმის მონაწილეთა კრებასაც სალქსიკონო პროგრამა და გეგმა შეიმუშავა და დაადასტურა. რაკი მოლაპარაკების დროს ყველანი თანახმანი იყვნენ, რომ მიინდობიან ეს საქმე ჩვენ ვერ ავცდებოდა და მისი განხორციელება ყოველი ჩვენგანის (სამშობლოსადმი) მოვალეობაა, ამიტომ გადაწყვიტეთ საქმის შედგომოდით, თავდაპირველად მე, სწორე მოგახსენოთ, გადაწყვეტილი მქონდა, რომ ეს საქმე სანამ განხორციელებოდა, არ გამაურტებულიყო, მაგრამ ჩემმა მეგობრებმა ტფილისში დამარწმუნეს, რომ ჩვენ ზენობრავი უფლებმა არა გვაქვს საზოგადოებას ეს გარემოება დაავუშალით იმიტომ, რომ წ. კ. ჯ. ამ საქმეზე 7.200 მან. დახარჯვას აპირებდაო და თქვენი ლექსიკონი რომ გამოვა, წ. კ. ჯ. გამოცემული აღარ გაიყიდება და დიდი ზარალი მოყვარ. ამ ზარალში ზენობრავი და თქვენი დაავლებათ ზრალი იმიტომ, რომ წ. კ. ჯ. საზოგადოების გამოგობას შეეძლო თავი გაემართლებინა, ჩვენ არაფერი ვცოდით რა ამ ლექსიკონის შესახებ და ვერც წარმოვადგენდით, თუ რომ საქმე ასე დატარადებოდაო. გამგეობის ამგვარი პასუხი სამართლიანი იქნებოდაო. მოვილაპარაკეთ ამის შესახებ და კრებამ ეს აზრი სამართლიანად ხსენო. ამის გამო დადგინდა ვაზეთებში დაბეჭდვით წერილი ქართულ ლექსიკონის შესახებ. ეს გადაწყვეტილება განხორციელებული და როგორც ესლა თქვენ წერილთაგან ირკვევა, ჩვენი მოქმედება თქვენ ამ მოგწონებოდა.

ჩვენი აზრით, ღრმად პატივცემული ბ. ნო გიორგი, ზენობრავი მოვალეობა და პასუხისმგებლობა მოგვხებდა. ესლა წ. კ. ჯ. ს. ს. გამოგობის საქმეა, როგორც მხურდებს, ისე მოიქცეს. მხოლოდ ერთ რამეს მოგახსენებთ: ერთ

